

იოსებ სიბრავილი

ბ  
ე  
რ  
ე  
ს  
ი

იოსებ სიმოზვილი

# ტერესი



გამომცემლობა „მწიგნობარი“  
თბილისი 2020

წიგნში ასახულია გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში განვითარებული მოვლენები. ავტორი, რომელიც ამ პროცესების თვითმხილველი გახლავთ, რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით გადმოსცემს 9 აპრილის და აფხაზეთის ომის ტრაგიკულ ისტორიას. რომანის გმირებს, ქვეყანაში ჩამოწოლილ პოლიტიკურ ბურჯუსში სამშვიდობოზე გასასვლელად, უამრავი ლაპირინთის გავლა უწევთ. ბოლოს, სიყვარული ბოროტ ძალას ამარცხებს და ამით ამცნობს წუთისოფლის მკვიდრთ, რომ ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი ღმერთია.

## რედაქტორი მანანა გორგიშვილი

მხატვარი  
ნინო მლებრიშვილი

დამკაპადონებელი  
თამარ ტყაბლაძე

## ჟკივილის გამოძახილი

მკითხველის წინ იოსებ სიბოშვილის ახალი წიგნია - „ბურუსი“, რომელიც ჩვენი უახლოესი წარსულის ტკივილის, დამოუკიდებლობაგამოცხადებული სახელმწიფოს წინააღმდეგობების, პოლიტიკური კატაკლიზმების და ბოლო დროს რეალობაში გამეფებული მოუგვარებელი პრობლემების გამოძახილია. კითხულობ და თითოეული ფურცლიდან უკვე განცდილსა და გადატანილ სატკივარს იხსენებ. ავტორი ჩვენი რეალობისა და ყოველდღიურობის შუქ-ჩრდილების აღნერით ცდილობს დაგვანახოს ის მანკიერებები და უარყოფითი მოვლენები, რაც ბოლო წლების ისტორიულმა ქარტეხილებმა მოგვიტანა და განსაკუთრებით მე-20 საუკუნის დიდი ტკივილი - 9 აპრილი. სამოცდაათწლიანი კომუნისტური იმპერიის ნგრევის მოთხოვნით ქართველობა უზარმაზარ ურჩხულს დაუპირისპირდა და მკაცრადაც დაისაჯა. ყოველი ისტორიული მოვლენის თანამედროვეთა მიერ ობიექტურად შეფასება მეტად რთულია, ამას დრო, წლები სჭირდება, რათა მიუკერძოებლად და რეალურად დაერქვას ყველას და ყველაფერს მისი სახელი, ღვაწლი და დამსახურება სათანადოდ დაფასდეს, ხოლო შეცდომას და გადაცდომას თავისი მიზეზები მოეძებნოს. სწორედ ამის მცდელობაა წინამდებარე რომანი. მკითხველმა უნდა განსაჯოს...

ისტორიას თავისი ფილოსოფია აქვს და ამით ძირითად დანიშნულებას ასრულებს, ადამიანობის სულიერ ევოლუციას ძერნავს და კულტურას აყალიბებს. მთავარ კითხვას

უსახავს კაცობრიობას - საიდან საით? საუკუნეთა ქარტებილებმა თაობების ხასიათი განსაზღვრა, ზოგჯერ აპოვნინა, ზოგჯერ დააკარგვინა საკუთარი თავი. მეოცე საუკუნემ უცნაურად გაულო კარი ოცდამერთეს. ღირებულებათა ქარცეცხლი გააჩალა. ჩვენ 21-ე საუკუნის ბინადარნი ვართ და სულაც არ აღმოჩნდა ადვილი დამოუკიდებლობანაზიარებებს ახალი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე უშეცომოდ, უდანაკარგოდ, უტკივილოდ გვევლო.

9 აპრილის ტკივილი ჯერ არ იყო განელებული და აფხაზეთი დაემატა, პატრიოტი ქართველობა შეეწირა, მრავალმა ადამიანმა სახლ-კარი დაკარგა, თავისივე სამშობლოში დევნილი გახდა. ორი ახალგაზრდის სიყვარულის ისტორიით ცდილობს ავტორი იმ ეპოქის შუქ-ჩრდილები, ომის მკაცრი შედეგები გაგვახსენოს და მკითხველი აიყოლიოს, რათა მის მიერ დანახულ ჩვენს თვალნინ გაჩაღებულ ღირებულებათა ქარცეცხლის განელების, ჩაქრობის გამოსავალი მოძებნოს. ყოველი მხატვრული ნაწარმოების ერთ-ერთი დანიშნულება ხომ სწორედ ეს არის.

ავტორისეულმა დამოუკიდებულებამ და რეალობის შეფასებამ დღის სინათლე იხილა და ღრმად ვარ დარწმუნებული, მკითხველისგან გულწრფელ აღიარებას და სიყვარულს მიიღებს.

### **მანანა გორგიშვილი**



თბილისში გაზაფხული ნელ-ნელა ძალას იკრებდა. ოთხი აპრილის დიღა დარიან დღეს ჰპირდებოდა თბილისელებს და დედაქალაქის სტუმრებს. ეს უკანასკნელნი კი ძალიან ბევრნი იყვნენ ქალაქში, განსაკუთრებით კი მთავრობის სახლის წინ, სადაც არაფორმალების საინიციატივო ჯგუფს დროებით შეეჩერებინა მიტინგების მსვლელობა, თუმცა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ადამიანები დაშლას არ აპირებდნენ და ყველა მათგანს აშკარად ეტყობოდა, რომ რაღაც ახლის მოლოდინში იყვნენ.

სამშაბათი დღე იყო, ლექსო სამსახურში არ მიღიოდა და გადაწყვიტა, თავის ერთადერთ ვაჟთან ერთად, ქალაქში გაესეირნა. გაზაფხულის მზიანი ამინდები თბილისს განსაკუთრებულს ხდიდა. ამ დროს ის ნამდვილად ამართლებდა თავის სახელს. ქალაქი თბილი და სიხარულით აღსავსე იყო. ადამიანებს შორისაც ურთიერთობები უფრო ხალისიანი და მრავლისმეტყველი გახლდათ. ასე, რომ თბილისი, ყოველ გაზაფხულზე,



გადაიქცეოდა ხოლმე სიხარულის ქალაქად. ეს სახელი ხომ მას ისტორიულად, საუკუნეების განმავლობაში მოსდევდა.

ლექსო ვაჩნაძე სოლოლაკში ცხოვრობდა მეუღლესთან და ვაჟიშვილთან ერთად. ლექსო არქიტექტორი გახლდათ, ხოლო მისი მეორე ნახევარი, კდემამოსილი ქალბატონი ნატო — მხატვარი. ისინი ერთად სწავლობდნენ სამხატვრო აკადემიაში. იქ ჩაეყარა საფუძველი მათ სიყვარულს და ცამეტი წლის წინ ქორწინებით დამთავრდა. ერთი წლის შემდეგ, ქვეყანას მათი სიყვარულის ნაყოფი მოევლინა სამყაროს და ლექსოს მამის ხსოვნის საპატივცემულოდ გურამი დაარქვეს სახელად. გურამი ჯერ თორმეტი წლის იყო და უკვე მოესწრო თავის თანატოლებში თბილისის ჩემპიონი გამხდარიყო ჭიდაობა ძიუდოში. პარალელურად დადიოდა კარატეს შემსწავლელ წრეზე და სახლში კედლები აჭრელებული იყო მისი ნაფეხურებით. ოჯახში ხშირად გაიგონებდით ერთი და იგივე სიტყვებს: „შვილო, გურამ! გეყოფა ამდენი ვარჯიში, გაკვეთილები გაქვა სასწავლი!“ გურამს კი წიგნებისკენ გახედვა არ უნდოდა და იყო გაუთავებელი კამათი სახლში. თუმცა ბოლოს მშობლების მითითებებს მაინც ემორჩილებოდა თავზეხელაღებული სპორტსმენი და, მათ რომ არ ენერვიულათ, ჩაუჯდებოდა ხოლმე წიგნებს.

ლექსო და გურამი გამოვიდნენ სახლიდან და ნელ-ნელა დაეშვნენ სოლოლაკის დაღმართზე. მზე უკვე კარგა ხნის ამოსული იყო და თავისი სხივებით ცდილობდა გაეთბო ზამთარგამოვლილი გარემო, თუმცა ჯერ



კიდევ არ იყო იმ სიძლიერის და ჩრდილში შესული ადა-  
მიანი ისევ ზამთრის სუსხს გრძნობდა. სოლოლაკში კი,  
ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული ქუჩების გამო, ასეთი  
ჩრდილები ყოველ ნაბიჯზე შეხვდებოდა ქუჩაში მიმა-  
ვალ ადამიანს. როგორც იქნა მიაღწიეს ლენინის მოედ-  
ნამდე და მამა-შვილმა შვებით ამოისუნთქეს. მოედანზე  
უხვად იფრქვეოდა გაზაფხულის მზის სხივები. ლექსომ  
ლაბადის ყურებამდე ანეული სახელოები გაისწორა და  
გურამს უთხრა:

— რუსთაველზე, მთავრობის სახლისკენ წავიდეთ.  
საინტერესოა რა ხდება იქ?

გურამმა მამას არაფერი უპასუხა, შეტრიალდა  
მარცხნივ და გეზი რუსთაველის პროსპექტისკენ აიღო.  
პიონერთა და მთავრობის სასახლეების წინ ხალხი  
ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილიყო და ერთმანეთში კამა-  
თობდნენ. ლექსომ მინისქვეშა გადასასვლელთან თავ-  
ისი თანამშრომელი შენიშნა და იქითკენ გასწია. შორი-  
დანვე მიესალმა, მერე მიუახლოვდა, ხელი ჩამოართვა  
და მოიკითხა:

— შოთა, როგორ ხარ? რას შვრები?

შოთამ ლექსოს ხელი ჩამოართვა, გურამს გაული-  
მა, თმებზე ხელი გადაუსვა, მოეფერა, მერე ლაბადის  
ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, გაუწოდა თა-  
ნამშრომელს და ჰქითხა:

— მოწევ?

— არა, ალარ ვეწევი, გადავაგდე და შენც იგივეს  
გირჩევ.



შოთამ სწრაფად გაუკიდა სიგარეტს, კარგად მოქაჩა  
და თითქოს ფილტვებიდან ამოსულ სიგარეტის კვამლს  
ამოაყოლა:

— როგორ ვიქნები ამათ ხელში! მიტინგის ორგანი-  
ზატორებმა დაგვშალეს! მთავრობასთან შეთანხმებას  
მივალნიეთ და უნდა შევწყვიტოთ პროტესტიო. თუმ-  
ცა ზედ დააყოლეს: „შორს არსად წახვიდეთ, შეიძლება  
მალე დაგვჭირდეთო“.

— და რა ხდებაო? — იკითხა ლექსომ, — არაფერი  
უთქვამთ?

— წუხელ ჰქონდათ შეხვედრა პატიაშვილთან. — უპა-  
სუხა შოთამ.

— ვინ და ვინ იყვნენ ასულნი?

— ზვიადი, მერაბი და ნიკო.

— აფხაზეთის საკითხზე ხომ? — არ ცხრებოდა ლექსო.

— კი, — უპასუხა შოთამ, — ეგ სეპარატისტები თუ არ  
გაჩერდნენ, ჩვენი ქვეყნის მთლიანობა საფრთხის წინაშე  
დგას. მერე სხვებიც მოითხოვენ გასვლას და დამთავრდა  
საქართველო.

უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმისას შოთა, რო-  
მელიც მიწისქვეშა გადასასვლელის მარმარილოთი  
მოპირკეთებულ ზღუდეზე იყო მიყრდნობილი, ელდანა-  
კრავივით წამოვარდა, პროსპექტის გადაღმა მდებარე  
ქაშუეთის ტაძრისკენ გაიხედა, სწრაფად გადაიწერა სამ-  
ჯერ პირჯვარი და ხმამაღლა, თითქმის იყვირა:

— მაპატიე, უფალო! შემიწყალე, უფალო! დაიფარე  
ჩემი სამშობლო ყოველგვარი უბედურებისაგან!





შოთა მცირეხანს მდუმარედ, თავდახრილი იდგა, მერე გაიმართა და განაგრძო:

— პატიაშვილს უთქვამს: „შეწყვიტეთ დემონსტრაციები და მიტინგები. მომეცით ორი კვირა. თუ ამ დროის განმავლობაში მე, როგორც რესპუბლიკის ხელმძღვანელი, ვერ შევძლებ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას, პირობას გაძლევთ, რომ თანამდებობიდან გადავდგები და როგორც ამ ქვეყნის ერთი რიგითი მოქალაქე და რიგითი ქართველი, თქვენს გვერდით დავდგებიო!“ ამასთან, თურმე დელეგაცია ჰყოლია ოლიმპიური კომიტეტიდან და რეალურად აგვარებს ბაკურიანში მსოფლიო ზამთრის ოლიმპიადის ჩატარების საქმეს — „და მინდა, რომ სტუმრებს საქართველოში სიმშვიდე და სტაბილურობა დახვდეთო“.

— ვაჲ! ეგ კარგი რამეა, ტო, — გაუხარდა ლექსოს, — ზამთრის ოლიმპიადა მოგებას მოიტანს საქართველოსთვის!

— რას ამბობ, ლექსო! — უსაყვედურა შოთამ, — ვინ დაგიტოვებს მოგებას, კველაფერი საკავშირო ბიუჯეტში წავა. მაგის გაკეთება როგორ შეიძლება.

ლექსომ ამ თემაზე საუბარი აღარ გააგრძელა, რადგან მიხვდა, რომ ამ საკითხის ირგვლივ შოთა მომიტინგების საერთო გადაწყვეტილებას აუღერებდა. ამიტომ ისევ შეკითხვა ამჯობინა:

— მერე, ესენი დათანხმდნენ პირველს?  
— ჟო. ეგრე გამოვიდა რა, — უპასუხა შოთამ, — ზვიადს უთქვამს: „მართალია ეს კაციო. უნდა ვაცადოთ,



მით უფრო, რომ არც ორი დღე და ორი კვირა არაფერს წყვეტს. თუ დათქმულ დროში არაფერი გამოვიდა, აქციების გამართვა სოხუმში ზაფხულშიც შეიძლება და გაცილებით მეტი ხალხის მობილიზაციას შევძლებთ, ვიდრე დღეს ეს თბილისშია შესაძლებელიო“. მერაბი და ნიკოც დათანხმებიან, ერთმანეთისთვის ხელი ჩამოურთმევიათ და წამოსულან. მაგრამ ჩვენ რატომ გაგვაჩერეს აქ, არ ვიცი.

— ალბათ, ბოლომდე მაინც არ ენდნენ, — გაელიმა ლექსოს, — ხომ იცი, მაინც კომუნისტები არიან, — მერე შოთას მხარზე ხელი დაადო და განაგრძო, — მე და გურამი ზემელზე ავალთ და მალევე მოვპრუნდებით. ისე, რომ გამოვლისას გინახულებ.

რუსთაველის პროსპექტზე, მიუხედავად მზიანი და ნათელი ამინდისა, ოდნავ შესამჩნევი თეთრ-მონაც-რისფრო ჩრდილი ჩამონალილიყო. ლექსომ მიმოიხდა, მერე გაკვირვებულმა ხელები ნერვიულად შეათამაშა და გაიფიქრა: „რა დროს ბურუსია ამ მზით განათებულ ქალაქში ... მგონი მოჩვენებები დამეწყო ... “.

II

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს მაღალჩინოსნები, ცეკა-ს პირველი მდივნის ჯუმბერ პატიაშვილის ხელმძღვანელობით, დილიდან თბილისის აეროპორტში იყვნენ შეკრებილნი და მოსკოვიდან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დელეგაციას ელოდებოდნენ, რათა ერთად გამგზავრებულიყვნენ ბაკურიანში და დაეთვალიერებინათ სპორტული ბაზები. საბჭოთა კავშირიდან ბაკურიანი და სოჭი აცხადებდნენ პრეტენზიას მსოფლიო ზამთრის ოლიმპიადის ჩატარებასთან დაკავშირებით. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტსაც მიეღო გადაწყვეტილება ოლიმპიადის საბჭოთა კავშირში ჩატარებაზე და კომპეტენტური კომისიაც გამოეგზავნა, რომელსაც საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა, სად იყო უფრო ხელსაყრელი პირობები ამ გრანდიოზული ღონისძიების ჩასატარებლად, ანუ უნდა გაეკეთებინა არჩევანი ბაკურიანსა და სოჭს შორის. ჯუმბერ პატიაშვილს უკვე მოესწრო, ამ საქმესთან დაკავშირებით, კრემლში სათანადო „ნიადაგის“ მომზადება. ახლა მხოლოდ ტექნიკური დეტალების მოვარება იყო საჭირო, სტუმრების თბილი დახვედრა და ჩვენებური მასპინძლობა, რაც ქართველებს ნამდვილად არ ეშლებათ.

სტუმრები მალევე ჩამოფრინდნენ თბილისში და სამთავრობო მანქანებით, მასპინძლებთან ერთად, გაემგზავრნენ ბაკურიანში. მხოლოდ მცხეთაში შეჩერდ-



ნენ, დაათვალიერეს საქართველოს ძველი დედაქალაქი და განაგრძეს გზა. სულ მალე მათ წინაშე გადაიშალა ულამაზესი ბორჯომის ხეობა, რამაც სტუმრები ისე აღაფორთოვანა, რომ გიდს საერთოდ აღარ უსმენდნენ და გონებით ბუნებასთან გააბეს ბასი. ბაკურიანიც გამოჩნდა თავისი დათოვლილი მთებით. მიუხედავად აპრილის მზისა, თოვლი ჯერ კიდევ მყარად იყო დაფენილი სპორტულ ბაზებსა და შემოგარენზე.

ბაკურიანმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებზე, ისინი აღფორთოვანებულნი იყვნენ ნანახით. ყველას იმედი გაუჩნდა, რომ ოლიმპიადის ბაკურიანში ჩატარება სულ მალე რეალობად იქცეოდა. მხოლოდ რუსები ვერ მალავდნენ წყენას. მათთვის სოჭში ზამთრის ოლიმპიადის ჩატარება ოცნებად და შორეულ პერსპექტივად იქცა. თუმცა მალევე მოვიდნენ ხასიათზე, როდესაც პატიაშვილმა სტუმრები ვახშამზე მიიპატიჟა დანგაძის ცნობილ ქოხში.

ქართულმა სამზარეულომ სტუმრები იმაზე მეტად აღაფორთოვანა, ვიდრე ბაკურიანის დათვალიერებამ. აქვე ზოგადად განიხილეს ოლიმპიადის მსვლელობის დროს სპორტსმენებისთვის მისართმევი მენიუს ჩამონათვალი. საფრანგეთის წარმომადგენელმა გაიხუმრა კიდეც:

— სპორტსმენებს ხინკალი და ხაჭაპური რომ აჭამო, მარტო აქედან მიღებული კალორიებით გააუმჯობესებენ მსოფლიო რეკორდებს.



მართალია ხინკლის და ხაჭაპურის გამოთქმა გაუჭირდა, მაგრამ მაინც თქვა სათქმელი, მერე ღვინით სავსე ჭიქა ასწია და განაგრძო:

— აი, ამას თუ დალევენ ტრამპლინიდან, ალბათ, სამას მეტრზე გადახტებიან! ...

სტუმრები და მასპინძლები გამხიარულდნენ, რაც იმის საწინდარი იყო, რომ ოლიმპიადა ბაკურიანში ნამდვილად ჩატარდებოდა და საქართველო, ოლიმპიურ სტატუსთან ერთად, დიდ ფინანსურ შევსებას მიიღებდა.

ამ დროს ჯუმბერ პატიაშვილთან მივიდა მისი თანაშემწე და დაბალი ხმით რაღაც მოახსენა. ცენტრალური კომიტეტის მდივანი მაშინვე წამოდგა სკამიდან, სტუმრებს ბოდიში მოუხადა და თანაშემწეს გაჰყვა. ავტომობილის ტელეფონის ხაზზე თბილისი იყო. ყურმილში უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ხმა გაისმა:

— ჯუმბერ ილიჩ, ბოდიშს ვიხდი შეწუხებისთვის, მაგრამ უფლება არ მქონდა არ ჩამეყენებინეთ საქმის კურსში. არაფორმალების ლიდერები მომიტინგებთან და ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილთან ერთად, „დინამოს“ სტადიონზე გამართული ფეხბურთის მატჩის შემდეგ, დაიძრნენ და მთავრობის სახლთან აქციას ატარებენ.

პატიაშვილს თავისდაუნებურად აღმოხდა:

— კი, მაგრამ ... ჩვენი შეთანხმებიდან ორი კვირა კი არა, ოცდაოთხი საათიც არ არის გასული ...

— დიახ, ჯუმბერ ილიჩ ... — არ დაამთავრებინა სიტყვა უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, — დაარღვიეს თქვენთან მოცემული პირობა. გადაწყვეტილება თქვენ უნდა მიიღოთ. ველით თქვენს განკარგულებას.



— არაფერი მოიმოქმედოთ და პროვოკაციებს არ აჰყვეთ, — წყნარად და აუღელვებლად მიუგო პატიაშვილმა, თუმცა მის გონებაში ათასი ურთიერთგამომრიცხავი და ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი ტრიალებდა, — ახლავე მოვდივარ!

პატიაშვილმა სტუმრებს ბოდიში მოუხადა, თბილისში დაბრუნდა და იმავე საღამოს, ცენტრალური კომიტეტის წევრებთან ერთად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პირველი მდივნის — ადლებიძას შემცვლელი კანდიდატის შერჩევას შეუდგა. გადაწყდა, რომ ადლებიძას ვლადიმერ ხიშბა შეცვლიდა, რომელიც სატყეო მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე იყო და რომლის დასაყოლიებლად პირადად პატიაშვილს რამდენიმესაათიანი მოლაპარაკება დასჭირდა. სოხუმში ამის შესახებ არაფერი იცოდნენ.

ექვს აპრილს, დილის ექვს საათზე ვლადიმერ ხიშბა საფოსტო რეისით, ხოლო პატიაშვილი მომდევნო რეისით, აფხაზეთში ჩაფრინდნენ. ჩაატარეს ბიუროს სხდომა. დასვეს თანამდებობიდან ადლებიძას გადაყენების საკითხი და მის ადგილზე რეკომენდაცია ხიშბას გაუწიეს.

არავინ მოელოდა ასეთ რადიკალურ ზომებს ...

ბიუროს ყველა წევრი, მათ შორის ადლებიძა, გაოგნებას ვერ ფარავდა. ბაგრატ შინკუბა, აფხაზი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც ერთგვარ იდეოლოგად ითვლებოდა აფხაზურ საზოგადოებაში და რომელიც ჯერ კიდევ ათას ცხრაას ორმოცდაშვიდ წელს ითხოვდა კრემლისაგან აფხაზეთის დამოუკიდებლობას, ნამოდგა და განაცხადა:

— ჯუმბერ პატიაშვილი მართალია და დღეს ჩვენ მის სამართლიან გადაწყვეტილებას მხარი უნდა დავუჭიროთ!

თანამდებობიდან მარტო ადლეიბა არ გაუთავისუფლებიათ. მისი ბედი გაიზიარა ლიხის შეკრებაში მონაწილე რამდენიმე პარტიულმა და პასუხისმგებელმა მუშაკმაც. ჩატარდა ემოციებით დატვირთული რამდენიმე შეხვედრა, დაიგმო სეპარატიზმი. ქართულ პოლიციას სიტუაციის სრული გაკონტროლება დაევალა და შვიდ აპრილს ჯუმბერ პატიაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრთან ერთად, თბილისში გაემგზავრა. მანამდე კი, აფხაზეთის ხელისუფლებაში მომხდარი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია თბილის მიაწოდეს, რათა მომიტინგებისათვის ეცნობებინათ, რომ აფხაზეთში სიტუაცია კონტროლს ექვემდებარებოდა და სეპარატისტები საკადრისად იყვნენ დასჯილნი. ამიტომ მთავრობის სახლის ნინგამართული აქციაც უნდა დაშლილიყო.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა მომიტინგებს ინფორმაცია სწრაფად მიაწოდეს, თუმცა მათ დაშლის ნაცვლად ახალი მოთხოვნა წამოაყენეს — საქართველოს გამოსვლა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან.

ცხადი გახდა, რომ ვითომდა ამ სპონტანურ და უმართავ პროცესებს უხილავი მმართველი ჰყავდა და აქციები სულაც არ იყო ისეთი „ბუნებრივი“, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა. რესპუბლიკის ხელმძღვანელს, რომელსაც ყველა სტრუქტურაში, ყველა კაბინეტსა და ყველა ორღობეში აგენტურა ჰყავდა ჩასაფრებული, საჭირო



ინფორმაციას ან დროულად არ აწვდიდნენ, ან საერთოდ უმალავდნენ ... ყველა თავისი თამაშს თამაშობდა ... ეს იყო ლახტის წრე, რომელიც პატიაშვილმა ვერაფრით გაარღვია, რადგან ერთ მუშტად შეიკრა კრემლიც, ჯარიც, ცენტრალური კომიტეტიც და არაფორმალების აგენტურაც. ყველა შოლტი ლახტის წრეში მოქცეული საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისკენ იყო მიმართული და უხილავი მმართველის ნიშანს ელოდა.

### III

შაბათს, რვა აპრილს, ლექსო და გურამი, როგორც სჩვეოდათ, ლოცვაზე წავიდნენ დიდუბის ეკლესიაში. მამა-შვილს ერთი მოძღვარი ჰყავდა — მამა მიქაელი, რომელიც ახალი ნაკურთხი იყო მღვდლად. თუმცა მას ბერობა უნდოდა, მაგრამ პატრიარქმა სთხოვა, ვინაიდან საქართველოს ეკლესია მღვდლების სიმცირეს განიცდიდა და უკანასკნელ პერიოდში, პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ტაძრებში მრევლმა საგრძნობლად იმატა, თეთრი მღვდლის ხარისხში გაეგრძელებინა თავისი მოღვაწეობა. მიქაელი, რა თქმა უნდა, ამ ეროვნული საქმის წინააღმდეგ არ წავიდა და ამიტომაც დიაკვნობიდან მალევე აიყვანეს მღვდლის ხარისხში. ამ დროს, ლექსოც ახალი მისული იყო დიდუბის ეკლესიაში. რელიგიურ ცხოვრებაში გაუთვითცნობიერებელმა ახალგაზრდა კაცმა დაინახა რა თავისი ასაკის სასულიერო პირი, აღარ დააყოვნა და მას მიმართა დახმარებისთვის. ერთი



ნლის შემდეგ მეუღლე და შვილიც დაიყენა გვერდით და ასე შეიქმნა კიდევ ერთი მართლმადიდებელი ოჯახი, რომელმაც თავიანთი სულის ცხონება დაუკავშირა მამა მიქაელს. სამივენი ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მამა მიქაელი მათ მიიყვანდა სასუფევლის კარამდე და თავიანთ ჯვრებს დაადებინებდა უფლის ტახტზე.

ლექსო და გურამი, მამა მიქაელის დამსახურებით აქტიური აღმსარებელ-მაზიარებელნი გახდნენ და ცდილობდნენ ეცხოვრათ ისე, როგორ ამას მოითხოვდა მართლმადიდებლური კანონიკა. ახლაც, მამა-შვილმა იცხეს ზეთი და ჩამოლოცვის შემდეგ, იქვე ეკლესიის კუთხეში გაჩერდნენ და მამაოს გამოსვლას დაელოდნენ, რადგან ლექსოს გასაუბრება სურდა მოძღვართან. მამა მიქაელი მალევე გამოვიდა საკურთხევლიდან. ლექსომ გურამს ანიშნა, გარეთ დამელოდეო და მამაოსკენ გასწია. მამა მიქაელი, მისკენ მიმავალი ლექსო რომ შენიშნა, მიხვდა, რომ გასაუბრება სურდა და უთხრა:

— ალექსი, გარეთ გავიდეთ, კარგი ამინდია, სკამზე ჩამოვსხდეთ და გავისაუბროთ.

პანთეონის მხარეს გავიდნენ და იქვე მდგარ სკამზე დასხდნენ მოძღვარი და მისი სულიერი შვილი.

— ხომ მშვიდობა გაქვთ ოჯახში, ალექსი? — ჰკითხა მამა მიქაელმა ლექსოს.

— ღმერთის წყალობით და თქვენი ღოცვებით ოჯახში ყველაფერი კარგად გვაქვს, — უპასუხა ლექსომ, — მე უფრო ჩვენი სამშობლოს საერთო მდგომარეობით ვარ შენუხებული, რადგან ქვეყნის ტკივილი თითოეული ჩვენთაგანის ტკივილია.





— დღეს ამბობდნენ, მთავრობის სახლთან ისევ დაიძანა სიტუაციაო? შენ უკეთ გეცოდინება, ახლოს ცხოვრობ.

— კი, მამაო. სწორი უთქვამთ. როგორც ჩანს ხელისუფლება და მომიტინგები ერთმანეთში ვერ თანხმდებათ და ეს კიდევ მტრის წისქვილზე ასხამს წყალს. ჩვენი მერვე პოლკიც გამოუძახიათ ყარაბალიდან. ღმერთმა არ ქნას, მანდ თუ რაიმე დაიწყო, ყვავ-ყორნებივით დაგვესევიან ...

მამაომ პირჯვარი გადაიწერა, ტაძრის საკურთხევლისკენ გაიხედა და წარმოთქვა:

— უფალო, დაიფარე ჩვენი სამშობლო და ჩვენი ერი.

— მამა მიქაელ, — მორიდებით დაიწყო საუბარი ლექსომ, — ერთი ორი დღის წინ მე და გურამი პირველ სკოლასთან ჩემს თანამშრომელს შევხვდით, ისიც არა-ფორმალებთან არის. მასთან საუბარს რომ მოვრჩით ზემელისკენ წავედით და უცებ ჩემს თვალწინ რაღაცნაირი არაამქეყნიური ბურუსი ჩამონვა. საითაც კი გავიხედე, ყველგან ეს ბურუსი მელანდებოდა. ვერ გავდევნე მხედველობის არედან. ცოტა არ იყოს შემეშინდა. ეს რა იყო სინამდვილე თუ მოჩვენება, ვერ გავარკვიე.

მამა მიქაელი დაფიქრდა, პირჯვარი გადაიწერა და მიუგო ლექსოს:

— ეჰ, ჩემო ალექსი, თბილისის მაგ უბანს ჯერ კიდევ თავს დასტრიალებს ის შავი ლაქა, რომელიც თემურ ლენგის მიერ ბავშვების კალოზე გალენვით არის შემორჩენილი. ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა მაგ ადგილას წმიდა გიორგის ტაძარი ააშენეს და უცოდველი ბავშვების სული შეავედრეს უფალს.



— სად, მამაო? — იკითხა გაოცებულმა ლექსომ, — რომელი ადგილია ეგ?

— რომელი და სადაც ახლა კინოთეატრი რუსთაველია, — უპასუხა მამა მიქაელმა, — ეს ადგილი ქალაქის გარეუბანი იყო და მანდ ხორბლის გასალენი კალოები მდებარეობდა. ავადსახსენებელმა თემურ ლენგმა ქალაქელი ბავშვები მოაგროვა, გაალენინა კალოზე და სიამოვნებით უყურა. წმიდა გიორგის ეკლესიას ამიტომ ეწოდა კალოუბნის სახელი. შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნეში, ამ ეკლესიას რუსებმა თავიანთი არქიტექტორული სახე მისცეს, ხოლო მეოცე საუკუნეში ბოლშევიკებმა ააფეთქეს და კინოთეატრი „რუსთაველი“ ააშენეს.

— აუჟ! — ანერვიულდა ლექსო, — არადა რამდენჯერ ვარ მაგ კინოთეატრში ნამყოფი, მომიტევე, მამაო, არ ვიტოდი.

— ღმერთმა მოგიტევოს, ალექსი, — უთხრა მამა მიქაელმა და ჯვარი გადასახა, — რას იზამ, შენი ბრალი ხომ არ არის. არც მე ვიცოდი. ეკლესიაში რომ დავიწყე სიარული, მეც მაშინ გავიგე.

მამაომ პირჯვარი გადაიწერა და განაგრძო საუბარი:

— ეგ ისეთი ადგილია, ალექსი, რომ კარგა ხანს ვერ დალაგდება მანდ სიტუაცია, სანამ არ აღადგენენ ალექსანდრე ნეველის ტაძარს, რომელიც ახლანდელი მთავრობის სახლის ადგილას მდებარეობდა. ორმოცდათექვსმეტში ბევრი ადამიანი შეიინირა მაგ ადგილმა, კავშირგაბმულობის სახლის კედლებს ახლაც შემორჩია ნატყვიარები. სამოცდათვრამეტში, ქართული ენის



დასაცავად გამოსულ სტუდენტებს, უფალმა დააფარა თავისი ძლევამოსილი ხელი და გადავურჩით სისხლის-ლვრას. ახლა კი ამ გამოსვლებს ვიღაც უხილავი მართავს, იყენებს ჩვენს ერში დაგროვილ საპროტესტო მუხტს და რადაც არ უნდა დაუჯდეს თავისას გაიტანს, თუნდაც ეს ადამიანთა დალვრილი სისხლის ფასად დაუჯდეს. ნაცრისფერი ბურუსი კი, რომელიც შენ დაგანახა უფალმა, სატანის კლანჭებია. როგორც ჩანს, ეშმაკი მალე შემოუსევს საქართველოს თავის ჭინკებს. ამიტომ ძალიან დიდი წინდახედულება მართებთ მომიტინგებს.

— მამაო, მომიტინგები ხომ მართალი საქმისთვის იბრძვიან და ღმერთი როგორ მისცემს უფლებას, რომ ეშმაკმა ისინი სასიკვდილოდ გაიმეტოს? — იკითხა გაკვირვებულმა ლექსომ.

— გეთანხმები, — მშვიდად მიუგო ლექსოს მამა მიქ-აელმა, — საქართველოს დამოუკიდებლობა ყველას გვინდა, მაგრამ საამისოდ პოლიტიკური და სოციალური ვითარება უნდა იყოს მომწიფებული, რაც სამწუხაროდ დღეს ჩვენ არ გვაქვს და არც ხალხია ამ მხრივ მომზადებული, ეს ყოველივე, ჩემი აზრით, უფრო მაღალ ეშელონებში პირად დაპირისპირებას ჰგავს, რისთვისაც ამ არაფორმალურ მოძრაობას იყენებს მავანი.

— რას და ვის გულისხმობთ, მამაო? — ისევ იკითხა მამაოს პასუხიდან გამომდინარე გაკვირვებულმა ლექსომ.

— ჯუმბერ პატიაშვილი ეროვნული და მორწმუნე ქართველია, — თქვა მამაომ და პირჯვარი გადაიწერა, —



დედის მხრიდან მისი წინაპრების უმრავლესობა სასულიერო პირები იყვნენ, რაც მისი მართლმადიდებლობისაკენ სწრაფვის ერთ-ერთი საფუძველია. ამასთან, მისი დამსახურებაა, რომ კოსტავა ვადაზე ადრე გაათავისუფლეს ციხიდან, ჯერ ერთი იმიტომ, რომ კოსტავას დედამ სთხოვა და მეორეც, ისინი ბავშვობიდან ერთად მოღიოდნენ. ეს კიდევ პატიაშვილის ეროვნულობას უსვამს ხაზს. აქედან გამომდინარე, პატიაშვილსა და არაფორმალებს შორის უთანხმოება გამორიცხულია. ასე რომ, აქ სულ სხვა ამღვრევს წყალს, რომელიც შენს მიერ დანახული ნაცრისფერი ბურუსის სახით შემოსულია ჩვენს სათაყვანებელ დედაქალაქში.

— გასაგებია, მამაო, — თქვა დაფიქრებულმა ლექსომ, — ორივე მხარე ეროვნულია და მართლმადიდებლური და ორივეს ერთი და იგივე იდეა ამოძრავებს — ქართული იდეა, რაც ჩვენი წინაპრების გადმოცემით უზენაესი ჭეშმარიტებისადმი თავდადებას ნიშნავს ანუ ღმერთისადმი თავდადებას. მაგრამ არაფორმალები ამბობენ, რომ პატიაშვილი კომუნისტური იდეოლოგით არის აღზრდილი და ის დამოუკიდებელ საქართველოს ვერ გაუძღვებაო.

— მაშინ გამოდის, რომ თვითონ უნდათ ხელისუფლებაში მოსვლა. მათ ხომ ამის გამოცდილება არა აქვთ და ასეთი რადიკალური ქმედებებით ვერც რუსეთთან გამონახავენ საერთო ენას? — იკითხა გაკვირვებულმა მამა მიქაელმა.

— არც აპირებენ ხელისუფლებაში მოსვლას. — უპასუხა ლექსომ.



მამა მიქაელს გაეღიმა და ჰკითხა ლექსოს:

- აბა, ვის უპირებენ მოყვანას? საინტერესოა ...
  - ერთნი ძალიან სერიოზულად საუბრობენ ქართულ ემიგრაციაზე, — მიუგო ლექსომ, — რომლებიც გაძევებული იქნენ საქართველოდან ბოლშევიკების მიერ ანუ საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარემოცვაზე, ხოლო მეორენი ბაგრატიონთა შთამომავლებზე, რომლებიც გაბნეული არიან ევროპაში, ან მონარქიული სახელმწიფო ან დემოკრატიული რესპუბლიკაო.
- მამა მიქაელმა პირჯვარი გადაიწერა, გაიხედა ტაძრის საკურთხევლისკენ, თითქოს კურთხევის გამოთხოვას ითხოვდა წმიდა სამებისაგან, მერე შეხედა ლექსოს და დაფიქრებულმა წარმოთქვა:

- ახლა კარგად დამიგდე ყური, ჩემო ალექსი. პირადად მე შენდობას და პატიებას ვითხოვ ჩვენს უსაყვარლეს, უძვირფასეს, საქართველოს ფარგლებს გარეთ დაბადებული ძმებისა და დების წინაშე, მაგრამ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ რაც მათ არ იციან, ის იცის მამა ღმერთის მიერ შექმნილმა, ყოფილმა ნათლის ანგელოზმა — სატანამ. ამიტომაცაა, რომ ყოველგვარი დასაშვები და სატანისთვისაც კი დაუშვებელი ხერხებით ებრძვის საქართველოს, ქართველსა და ყოველივე ქართულს, რამეთუ წმიდა სამების შემდეგ ის ერთად-ერთია, რომელმაც იცის, რომ მის მიერ დამცირებული, მინასთან გასწორებული, ფიზიკურად უფსკრულის პირას მიყვანილი ერის წიაღიდან იშვება სულიერად გადარჩენილი, თუნდაც ბოლო და უკანასკნელი ადა-



მიანი, რომელიც წმიდა სამებამდე მიიტანს ქართველი ერის და ბერის, არა ხელიდან ხელში, არამედ გულიდან გულში გარდამავალ ღვთიურ იდეას, რომელი იდეისთვისაც უფლისკენ სავალ ეკლიან ბილიკებზე, მრავალი და მრავალი საუკუნეების მანძილზე ენირებოდნენ ივერიელნი და ენირებიან მათი, ივერიელთა დღევანდელი შთამომავალნი — ქართველნი. ქართველი, რომელიც არ არის საქართველოში დაბადებული, არ გაიზარდა საქართველოში და არ აღიზარდა საქართველოს წიაღში, ის ქართველი იქნება გენეტიკურად, ის შესაძლებელია რომ იყოს სამაგალითო მართლმადიდებელი, საუკეთესო მეოჯახე, შეძლებისდაგვარად ქართული ტრადიციების მიმდევარი, თუნდაც ნოსტალგიით დაავადებული ძალიან კარგი ადამიანი, მაგრამ ის ვერ იქნება მტვირთველი სიყვარულივით უმძიმესი და ამასთანავე უმსუბუქესი ჯვარისა და მითუმეტეს განმახორციელებელი იმ დიდი ქართული იდეისა, რომელი იდეის გულის გულით სატარებლად აკურთხა უფალმა დიდი ივერიელები და მათი შთამომავალი — ქართველი ერი. საქართველოს ფარგლებს გარეთ დაბადებულმა ქართველმა არ იცოდა, არ იცის და არც არასდროს ეცოდინება, რომ ქართველი ერის გულის გულში რჩმენით, იმედითა და სიყვარულით ნატარები და ნაფერები მარად ცოცხალი იდეის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი თვისებაა ის, რომლის ძალითაც საქართველოში დაბადებული ყოველი ქართველი ბავშვი დაბადებისთანავე ქრისტიანია, რამეთუ ქართველის, საზეპურო ერის შვილის თესლისგან და გენისგანაა.



ხოლო როცა მონათლავენ, მერე უკვე — მონათლული ქრისტიანი ხდება.

ლექსო ყურადღებით უსმენდა მამა მიქაელს. ამ თემაზე მოძღვარს მასთან არასდროს უსაუბრია, ამიტომ ყველაფერი მისთვის ახალი იყო. ბევრი კითხვა დაებადა გონებაში, მაგრამ ვერც ერთს ვერ გამოთქვამდა, აზრი ეფანტებოდა. ბოლოს, თითქოს გონს მოეგოო და დაბ-ნეულმა წარმოთქვა:

— ესე იგი ... იქიდან არავინ ... აბა? ...

— ასეა, ჩემო ალექსი, — შეაშველა სიტყვა მამა მიქა-ელმა, — არც დემოკრატები ევროპიდან და არც ბაგრა-ტიონები, მითუმეტეს ბაგრატიონები. ისინი უკვე აღარ არიან იმ ფუნქციის მატარებელნი, რომლითაც ბრწყ-ინავდა ერთ დროს ბაგრატიოვანთა სამეფო დინასტია. უორდანიას ხალხი კი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყაჩაღები არიან.

— აბა, ვინ, მამაო? — არ ცხრებოდა ლექსო.

— დღევანდელ ეროვნულ მოძრაობაში, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ადამიანია მამულის სიყვარულით გუ-ლანთებული, სახელმწიფოს მართველად მე ვერავის ვხედავ. ისინი კი აზროვნებენ სახელმწიფოებრივად, ზოგ შემთხვევაში გადაჭარბებულადაც კი, მაგრამ სახელ-მწიფოს მართვის უნარი არ გააჩნიათ. ქვეყანას ცივი გონებით მართვა სჭირდება და არა პირადი ამბიციებით. ასეთი პიროვნება, გაგიკვირდება და, ამჟამად მხოლოდ ჯუმბერ პატიაშვილია ...

— როგორ, მამაო, — შეაწყვეტინა სიტყვა გაოცე-ბულმა ლექსომ, — ის ხომ კომუნისტია?



— გეთანხმები, კომუნისტია, — გაელიმა მამა მიქაელს და განაგრძო, — ის ისეთი კომუნისტია, რომ მოსკოვთან შეთანხმების გარეშე, ორი წლის წინ დიდი ზარზეიმით აღნიშნა საქართველოს უგვირგვინო მეფის — ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან ას ორმოცდათი წლისთავი. ჩვენმა ეკლესიამ მხოლოდ მაშინდა გაბედა მისი შერაცხვა წმიდანად. სულ ახლახან, მოსკოვთან შეთანხმების გარეშე, თანამდებობიდან გაათავისუფლა აფხაზეთის პირველი პირი ადლეიბა. ამ უკანასკნელს თვითონ გაჰკვირვებია, კრემლის გარეშე როგორ გაუშვეს თანამდებობიდან. მოსკოვს მოუგო ზამთრის ოლიმპიადის სოჭის მაგივრად ბაკურიანში ჩატარების საქმე. გარეჯის სამონასტრო კომპლექსის საქმე თითქმის ბოლომდე აქვს მიყვანილი და კიდევ ბევრი სიკეთე, რომელსაც ვერც კი ჩამოთვლი. და ეს ყველაფერი გააკეთა სულ რაღაც სამ წელიწადში მიტინგების გარეშე.

— რით დამთავრდება ეს ყველაფერი, მამაო? თქვენ როგორ ფიქრობთ? — იკითხა ლექსომ.

— ბოროტ ძალებს ყველა მხრიდან ალყაში ჰყავთ საქართველოც და პატიაშვილიც. მთავარი მიზანი მათი განადგურებაა, — თქვა მამაომ, წამოდგა ფეხზე, პირჯვარი გადაიწერა და ცრემლმორეულმა შეჰდალადა ზეცას, — ღმერთო, გადაარჩინე ჩემი სამშობლო და ჩემი ხალხი! — მერე შემობრუნდა ლექსოსკენ, რომელიც ასევე პირჯვარს ინერდა და უთხრა. — ფრთხილად იყავით, ალექსი, ცუდი ამბებია მოსალოდნელი.

ლექსო დაემშვიდობა მამაოს და გურამთან ერთად მთავრობის სახლისკენ გასწია.

IV

რვა აპრილს თბილისში სიტუაცია უაღრესად დაიძაბა. მომიტინგები კვლავ აგრძელებენ მიტინგს, ხოლო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო რვა აპრილს განხილულ აუცილებელ ღონისძიებათა ნუსხას ამტკიცებს, რომლის ერთ-ერთი საკითხიც არის არასანქცირებული მიტინგის ორგანიზატორთა იზოლირება, რაც ბუნებრივია, არაფორმალთა ლიდერების დაპატიმრებას გულისხმობს.

როგორც მოსალოდნელი იყო და როგორც ეს კომუნისტებს სჩვეოდათ, ამ განყვეტილებას მხურვალე ტაშით შეხვდნენ. კრება ჯერ არ დასრულებულიყო, აქციის ორგანიზატორები კი უკვე ინფორმირებულნი იყვნენ ამ გადაწყვეტილების შესახებ და, როგორც მოსალოდნელი იყო, სასწრაფოდ დატოვეს მიტინგი.

შეხვედრაზე მიღებული ღონისძიებების ნუსხა ჯერ კიდევ ხელმოწერილი არ იყო, რომ კაბინეტში დაბრუნებულ ჯუმბერ პატიაშვილს მოსკოვიდან დაურეკეს. წინადადება მოკლე და კონკრეტული იყო:

— კრემლი კატეგორიული წინააღმდეგია და აქციის ორგანიზატორების დაპატიმრების უფლებას არ გაძლევთ!

აქტივის გაფართოებულ კრებაზე განაწილებული და განერილი იყო ყველა ის ფუნქცია და დავალება, რომლებიც კონკრეტულ პარტიულ მუშაქებს უნდა შეესრულებინათ მიტინგის უსაფრთხოდ დაშლისათვის, თუმ-



ცა ყველა დავალება და მისი შემსრულებელი თითქოს ობობას ქსელში გახვეულიყვნენ. არაფერი ადგილიდან არ იძვროდა. იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ რესპუბლიკას არა პატიაშვილი, არამედ სხვა მართავდა, ხოლო ამ უკანასკნელს „განტევების ვაცად” ამზადებდნენ.

ამ დროს კიდევ ერთი მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი ამბავი მოხდა. რუსთაველზე ჯავშანტექნიკა გამოჩნდა და სამხედრო ვერტმფრენებმა თბილისის თავზე გადაიფრინეს. ჯავშანტექნიკამ გავლისას მიღიცის კუთვნილი ერთი მანქანა დააზიანა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ისინი ბრძანების გაცემის შემთხვევაში არავის და არაფერს მოერიდებოდნენ. თანაც ეს პირველი შემთხვევა არ იყო. ნომებრის აქციების დროს, სანაპიროზე, სიონთან ასევე გამოჩნდა ტანკების კოლონა, რომელსაც, როგორც შემდეგ განაცხადეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მაღალჩინოსნებმა, ვითომ კოლონას სამხედრო ბაზისკენ გზა აერია. ამ ფაქტმა ძალიან გააღიზიანა ჯუმბერ პატიაშვილი და მასთან კაბინეტში მყოფ საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს — არმიის გენერალ კოჩეტოვს და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს — გენერალ-პოლკოვნიკ როდიონოვს ხმამაღლა ჰკითხა:

— ვისი ბრძანებით გამოჩნდა თბილისის ცაზე და თბილისის ქუჩებში მძიმე სამხედრო ტექნიკა!? ამჯერადაც შეეშალათ გზა!? ...

კოჩეტოვს პატიაშვილის შეკითხვაზე წარბიც არ შეუხრია და იქვე განმარტა:



— ეს ჩემი ბრძანება იყო, ჯუმბერ ილიჩ! ეს აპრობირებული მეთოდია. რამდენიმე თვის წინ სწორედ ამგვარი ქმედებით ბაქოში ასიათასიანი მიტინგი უპრობლემოდ და უსისხლოდ დავშალეთ.

აქ უკვე პატიაშვილს მართლა მოაწვა სისხლი თავში და მის წინ არხეინად მჯდარ სალდაფონს მიაძახა:

— უნდა გესმოდეთ, რომ ქართველები და აზერბაიჯანელები განსხვავებული ზნე-ჩვეულებების ხალხი ვართ!

— როგორ? — გაიკვირვა კოჩეტოვმა, — კი, მაგრამ ორივე კავკასიელები არა ხართ? რა შუაშია აქ სხვადასხვა ზნე-ჩვეულებები?

ჯუმბერი მიხვდა, რომ ვითომ კავკასიურ ეთნოსში გაურკვეველ კოჩეტოვს, სხვა რაკურსით მიჰყავდა საუბარი და ამიტომ არ მოერიდა და პირდაპირ უთხრა:

— არა! ძირძველი კავკასიელები ჩვენ ვართ! და იმან, რამაც ბაქოში სასურველი შედეგი გამოიღო, თბილისში უკუშედეგი მოგვცა — ახალგაზრდობა უფრო აქტიური და აგრესიული გახდა. მომიტინგების რიცხვმაც იმატა.

კოჩეტოვმა, ასეთ კონკრეტულ ახსნა-განმარტებას რომ ვერაფერი დაუპირისპირა, მხრები აიჩეჩა, ხელები გაშალა და კბილებში გამოსცრა:

— მე დამნაშავე არ ვარ ... ბრძანება, ბრძანებაა ...

არადა სულ ცოტა ხნის წინ ამბობდა, რომ „ბრძანება მე გავეციო“.

ეს არასასურველი საუბარი მხარეებს ტელეფონის ზარმა შეაწყვეტინა. თავდაცვის საბჭოს სხდომა იწყებოდა.



სხდომა გახსნა ჯუმბერ პატიაშვილმა. მან რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობა დაახასიათა, როგორც უკიდურესად გამწვავებული, რომელიც კატასტროფულის მიჯნაზეა. მან აგრეთვე განაცხადა:

—არაფორმალური ორგანიზაციებისა და ჯგუფების ლიდერები აზრის პლურალიზმიდან მოქმედებაზე გადავიდნენ. მათ მოახერხეს, თავიანთი მიზნებისთვის გამოყენებინათ აფხაზების წერილი ქვეყნის ხელმძღვანელობისადმი, არასანქცირებულ მიტინგებსა და დემონსტრაციებში ჩაეთრიათ მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა, განსაკუთრებით, მოსწავლე-ახალგაზრდობა, სტუდენტობა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ტარდება მეცადინეობები სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ქალაქ თბილისში პარალიზებულია სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების მუშაობა, ალყაშია მოქცეული მთავრობის სახლი, გამოდიან მთავრობის ფიზიკურად მოსპობის მუქარით, რადგან იგი არაკანონიერად და თვითმარქვიად მიაჩნიათ. ჩვენი მცდელობა, არაფორმალების ლიდერებთან დიალოგის დაწყების შესახებ, წარმატებით ვერ დაგვირგვინდა. გამოცხადდა, რომ შექმნილია რესპუბლიკის მართვის დროებითი კომიტეტი, რომელმაც უარი თქვა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის არსებულ ხელმძღვანელობასთან კონტაქტის დამყარებაზე. თოთხმეტი აპრილი მათ გამოაცხადეს კომუნისტებთან ანგარიშსწორების დღედ. დღევანდელმა პარტაქტივმა დაგვანახა, რომ კომუნისტების დიდი



უმრავლესობა აუცილებლად მიიჩნევს გადამწყვეტი ღონისძიებების განხორციელებას რესპუბლიკაში წესრიგის დასამყარებლად. თუმცა არიან ისეთებიც, ვინც მხარს უჭერს არაფორმალებს და დაინტერესებულია რესპუბლიკაში მდგომარეობის გამწვავებით.

ბოლოს, პატიაშვილმა გადახედა სხდომის მონაწილეებს და თხოვნით მიმართა:

— წესრიგის დასამყარებელი ღონისძიებების განხორციელებისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ არც ერთ ადამიანს არ მივაყენოთ ფიზიკური ტკივილი.

არმიის გენერალი კოჩეტოვი დაეთანხმა მდგომარეობის შეფასებას და დასძინა:

— როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ექსტრემისტული ელემენტებისა და თავაშვებული პიროვნებების მიერ პროვოცირებული ამგვარი არეულობების აღკვეთა ყოველთვის ვერ ხერხდება რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალებით, რადგან რესპუბლიკის მილიციას ეშინია და ყოველთვის არ სურს, გაბედულად იმოქმედოს წესრიგის დასამყარებლად. იგი დაარწმუნებს, რომ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცძალები, რომლებიც უკვე იმყოფებიან თბილისში, კარგად არიან მომზადებულნი და შეძლებენ წესრიგის დამყარებას მოქალაქეთა დალურჯების გარეშე. დადასტურდა, რომ ღამით მთავრობის სახლის წინ ცოტა დემონსტრაციი რჩება და სწორედ ღამით შეიძლება მთავრობის სახლისა და ტელე-რადიო კომიტეტის დაბლოკვა. მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, განუცხა-



დონ მოსახლეობას რესპუბლიკაში რაღაც საგანგებო კომისიის შექმნის შესახებ, რაც პანიკას დასთესს მოსახლეობაში. გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ ადგილზე, რადგან მოსკოვიდან ყველაფერი არ ჩანს. თანახმავარ, რომ მიღებული ლონისძიებების შესახებ უნდა მოხსენდეს მოსკოვს.

სხდომის მონაწილეთა ყურადღება ძირითადად მისყრობილი იყო ამიერკავკასიის ჯარების სარდლის — გენერალ-პოლკოვნიკ როდიონოვის მისამართით, რადგან მას დაევალა რესპუბლიკაში წესრიგის აღდგენა და დაცვა, მათ შორის თბილისში. ამასთან დაკავშირებით, მის განკარგულებაში გადავიდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებიდან ჩამოსული ძალები და საშუალებები, რომლთაც მიეცა მითითება, რომ შეასრულონ სარდლის გადაწყვეტილებანი. როდიონოვმა თავის სიტყვით გამოსვლის დროს მკაცრად მოითხოვა:

— ობიექტები, რომლებიც დაბლოკილი აქვთ დემონ-სტრანგებს, დებლოკირებული იქნეს ღამის საათებში. ამისთვის ყველაზე მიზანშეწონილად მივიჩნევ ღამის სამიდან ოთხ საათამდე პერიოდს, როცა დემონსტრანტების რაოდენობა არის მცირე. მთავრობის სახლის წინ მოედნის განმენდისა და ტელე-რადიო კომიტეტის დებლოკირების დაწყების ზუსტ დროს დამატებით გაცნობებთ! გამოვთქვამ წუხილს, რომ ზევით უარი თქვეს კომენდანტის საათის დღესვე გამოცხადებაზე. ჩვენი არმიის ძალები წესრიგის დასაცავად აქციის განხორ-



ციელებისათვის მომზადებული არ არიან, მაგრამ იმედი მაქვს საბჭოთა კავშირის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროების ძალებისა, რომლებიც მედამიქვემდებარეთ.

სხდომაზე გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრებებიდან საყურადღებო იყო ის, რომ ჯუმბერ პატიაშვილს ურჩიეს, არ გასულიყო მომიტინგეთა წინაშე, რადგან მას არავინ მოუსმენდა, ხოლო ამის შემდეგ მოედნის გასაწმენდად ძალის გამოყენება აღთქმული იქნებოდა, როგორც მთავრობისა და პირველი მდივნისაგან შურისძიება. თუმცა უარი არ თქვეს დემონსტრანტების წინაშე გამოსულიყვნენ რესპუბლიკის ავტორიტეტული პიროვნებები, რომლებიც აუხსნიდნენ მომიტინგებს, თუ რა პასუხისმგებლობა დაეკისრებოდათ მათ კანონისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში.

გადაწყდა, რომ მთავრობის სახლის წინ მოედნის განმენდა განხორციელებულიყო ცხრიდან ათ აპრილამდე, ხოლო ოპერაციის კონკრეტულ დროს დაადგენდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი როდიონოვი და ამის შესახებ მოახსენებდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას.

## V

საღამოს ლოცვიდან შინისკენ მობრუნებულმა მამა-შვილმა მთავრობის სასახლისკენ გაიარეს. მომიტინგ-ეთა რაოდენობა მართლა საგრძნობლად გაზრდილიყო. ისმოდა გამუდმებული ანტისაბჭოთა შეძახილები, ახალგაზრდები ქართულ ხალხურ საპრძოლო სიმღერებს მღეროდნენ, ზოგნი კი ცეკვით ერთობოდნენ. უცებ, თითქოს ეს წინასწარ იყო შეთანხმებული, ყველა ჩერდებოდა და მეგაფონში დაიკუხებდა სიტყვები:

— საქართველოს გაუმარ — ჯოს! ... გაუმარ — ჯოს!  
... გაუმარ — ჯოს! ...

აღტკინებული ხალხი კი ერთხმად იმეორებდა ამ სიტყვებს. შემდეგ, სადღაც მოედნის შუაგულში წამოიწყეს ცნობილი ქართული სიმღერა „შავლეგო”, რომელიც თავის დროს ქართველმა ხალხმა საქართველოს ეროვნულ გმირსა და წმიდანად შერაცხულ შალვა ახალციხელს მიუძღვნა. აბობოქრებული დემონსტრანტები ახლა ამ სიმღერას აჰყვებოდნენ... მერე ისევ ჩერდებოდა ყველაფერი და მეგაფონიდან კვლავ გაისმოდა:

— ზვიადი! ... ზვიადი! ... ზვიადი! ...

და ასე დაუსრულებლად... არავინ არსად წასვლას არ აპირებდა, პირიქით, მომიტინგებს ემატებოდა და ემატებოდა ხალხი ...

ლექსომ გურამს ხელი მხარზე გადახვია და უთხრა:

— შვილო, აქ საქმე მართლა სერიოზულად არის.

— ყოველდღე ასეა, მამა. — მიუგო გურამმა.




— არა, შვილო, — თქვა დაფიქრებულმა ლექსომ, — გული კარგს არაფერს მეუბნება. წავიდეთ და ხვალ წირვის შემდეგ კვლავ შემოვიაროთ აქეთ.

— ცოტაც რა, მამი, და წავიდეთ მერე, მგონი მერაბ კოსტავა აპირებს გამოსვლას. — თავისას არ იშლიდა გურამი, მაგრამ ბოლოს დაჰყვა მამის ნებას.

მამა-შვილი დიდხანს ვერ გამოვიდნენ მთავრობის სასახლის მიმდებარე ტერიტორიიდან. ხან ვინ შეხვდათ, ხან რატომდაც უკან მიბრუნდნენ და ასე კარგა ხანს იტრიალეს. თითქოს რაღაც უხილავი რკალი იყო შემოჭერილი მომიტინგების გარშემო და აკავებდა მათ. ლექსოს კვლავ ბურუსი გაახსენდა, რომელიც მამა მიქაელმა სატანის კლანჭებად მოიხსენია. პირველი გადაიწერა, მერე გზას გადასახა ჯვარი, თითქოს შვება იგრძნო, ხმაურიც იმდენად აღარ აწუხებდა და მალევე მამა-შვილი აუყვნენ სოლოლაკის აღმართს.

სახლს რომ მიუახლოვდნენ, რესტორან „სამადლოდან“ დოლ-გარმონისა და სიმღერის ხმა გამოდიოდა. შაბათი დღე იყო და ხალხი განცხრომას მისცემოდა. რა ხდებოდა ქვევით, რუსთაველზე ბევრს არ ადარდებდა. მიტინგებს უკვე ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანების გასართობ ადგილად მოიხსენიებდნენ და ხშირად გაიგონებდით: „მეტი საქმე არა აქვთ! ვის ებრძვიან? არ იციან, რომ კომუნისტებს ვერ მოერევიან? მაგათ ჰიტლერმა ვერაფერი დააკლო“.

— გურამ, — გადაულაპარაკა ლექსომ ვაჟიშვილს და რესტორნისკენ გაიხედა, — აქ ისეთი ამბავია, მგონი ამაღამაც არ გვინერია დაძინება.





რესტორანი „სამადლო“ ლექსოს საცხოვრებელი კორპუსის გვერდით მდებარეობდა. კორპუსი სამსარ-თულიანი იყო და ვაჩნაძეები მესამე სართულზე ცხოვ-რობდნენ. მათი ბინის ფანჯრები რესტორანს ზევიდან გადაჰყურებდა, ამიტომაც იქიდან გამოტყორცნილი მუსიკალური ჰანგები ყოველგვარი დაბრკოლების გა-რეშე აღნევდა ბინის ოთახებამდე. ასე რომ, ოჯახში მხ-ოლოდ სუფრა უნდა გაგეშალა, დანარჩენი „კომფორტი“ კი უფასო იყო. ამის გამო, ლექსოს მეგობრები ხშირად იკრიბებოდნენ ხოლმე მასთან, ბაზრიდან მიჰქონდათ სანოვაგე, ღვინო ლექსოს, როგორც კახელ კაცს, ყოვ-ელთვის ჰქონდა, მუსიკა და სიმღერები არ აკლდათ და იყო „ჩქარი ტაში და გრძელი შალახო“. თუ რაიმე დააკ-ლდებოდათ, დარეკავდნენ რესტორანში და ოფიციან-ტები, რომლებმაც ლექსოს ბინა ზედმინევნით კარგად იცოდნენ, სწრაფად აარბენინებდნენ ხოლმე ბინისკენ მიმავალ საკმაოდ დამრეც კიბეებზე. იცოდნენ, რომ ბიჭები უპატივცემულოდ არ დატოვებდნენ. ლექსოს წინაპრებისგან ძველი თბილისური კალათაც ჰქონდა შემორჩენილი, რომელსაც პროდუქტების ამოსატანად თოკით ჩაუშვებდნენ აივნიდან და ოფიციანტებს კიბეზე სიარულისგან იხსნიდნენ ხოლმე. რესტორნის ადმინის-ტრაცია და თანამშრომლები ასეთი კეთილგანწყობილი იყვნენ კორპუსის მაცხოვრებელთა მიმართ, ეს უკანასკ-ნელნიც, თავიანთი თბილისური ხასიათიდან გამომდინ-არე, „ვაუკაცური“ მოთმინებით იტანდნენ რესტორნის ხმაურსა და ხშირ შემთხვევაში — აურზაურს.



ნატო ქმარ-შვილს ბინის კარის ზღურბლთან დახვდა  
და აღელვებულმა ჰკითხა:

— ხომ მშვიდობით ხართ?

— კი, — უპასუხა გაკვირვებულმა მეუღლემ და კითხ-  
ვა იქით შეუტრიალა, — კი, მაგრამ რატომ არ უნდა ვიყ-  
ოთ მშვიდად? — თან აკოცა ნატოს, მერე ფეხსაცმელები  
კარის წინ დაგებულ ფეხსაცმელების საწმენდ ხალიჩაზე  
გაუსვა და შევიდა ბინაში.

— რა ვიცი, — უპასუხა ქმარ-შვილის შინ მოსვლით  
დამშვიდებულმა ნატომ, — დღეს ტელევიზორში ისეთ  
რამეებს აჩვენებენ, ასე მგონია, ომი უნდა დაიწყოს.

— აქ ომისა არაფერი გეტყობათ, — გაეცინა ლექსოს,  
ფანჯარასთან მივიდა და რესტორნის დარბაზისკენ  
გაიხედა, — აგერ, ანზორამ ლამის ერთად გახეთქა თავი-  
სი ლოყუები და კლარნეტი, „სადგურიდან წისქვილამდეს“  
უკრავს და შუბლიდან ოფლი ისე გადმოსდის, არყის  
სახდელი ქვაბის მილი გეგონება, — მერე მეულლისკენ  
შემოტრიალდა ლექსო და განაგრძო, — ახლა ამათ ტან-  
კიც რომ მიადგეთ რესტორნის წინ, ყანწებით ხელში შეე-  
გებებიან, არადა ტანკები მართლა დადიან ქალაქში.

— ვაიმე! რა გვეშველება!? — შეიცხადა ნატომ და  
მარჯვენა ხელის გული შუბლზე მიიდო, — ლექსო! მითხ-  
არი რამე!

ლექსომ მეუღლე მკერდში ჩაიკრა, თმებზე ხელი გა-  
დაუსვა, შუბლზე აკოცა და უთხრა:

— ნუ გეშინია, აქამდე არ ამოვლენ. ყველაფერი კარ-  
გად იქნება.



ქმრის ნუგეშით დამშვიდებულმა ნატომ ცრემლები წინსაფრით მოიწმინდა, სამზარეულოსკენ წავიდა და იქიდან გამოსძახა მამა-შვილს:

— მოდით, ივახშემეთ!

როდესაც გურამი სამზარეულოს მაგიდას მიუჯდა, ნატომ თავში შემოიკრა ხელი:

— დედა, ჩემი სიკვდილი! კინალამ დამავიწყდა ამ რესტორნის და ტელევიზორის გადამკიდეს. შვილო, ერთი საათის წინ თეკლამ დარეკა და გიკითხა.

გურამი ელდანაკრავივით წამოხტა სკამიდან და მისაღები ოთახისკენ გაიქცა, სადაც ტელეფონის აპარატი იყო კედელზე ჩამოკიდებული.

გურამი და თეკლა თანაკლასელები იყვნენ, ერთად მიიყვანეს ისინი მშობლებმა თბილისის მესამე საშუალო სკოლაში და პირველი კლასიდან ერთ მერხზე ისხდნენ. სხვადასხვა კლასებში გადასვლისას კლასის დამრიგებლებმა სცადეს მათი განცალკევება, მაგრამ გურამიც და თეკლაც ჯიუტობდნენ და არ სცილდებოდნენ ერთმანეთს. ამ ყველაფერმა ბოლოს, მათ ბავშვურ, მაგრამ მყარ სიყვარულს ჩაყყარა საფუძველი. ისინი უერთმანეთოდ ვეღარ ძლებდნენ და ეს სატელეფონო ზარიც ამ ურთიერთობის შედეგი იყო.

ყურმილში თეკლას ხმა გაისმა:

— გისმენთ!

— თეკლა, მე ვარ. რა ხდება?

— გური, რა კრგია რომ დარეკე. რუსთაველზე მინდა ჩასვლა. მინდა, ვნახო რა ხდება იქ ღამით. ყველა ამაზე ლაპარაკობს და მე კი აქვე ვცხოვრობ და არაფერი ვიცი.



- ისეთი არაფერი, თეკლა. მღერიან, ცეკვავენ და ყვირიან. სხვა არაფერი.
- თან ჩვენები არ მიშვებენ.
- არც მე.
- იქნებ მოვახერხოთ და წავიდეთ? — შეეხვენა თეკლა.

გურამს თავის დამცირება არ უნდოდა და ამიტომ უყოყმანოდ მიუგო:

- მაშინ თქვენები რომ დაიძინებენ, უნდა გამოიპარო. შეძლებ?
- შევძლებ. — მტკიცედ და თავდაჯერებულმა უპასუხა თეკლამ.
- მაშინ პირველ საათზე შენი სახლის წინ დაგელოდები. ახლა წავედი, არ მინდა ჩემებმა რამე გაიგონ.

ლექსო და ნატო ტელევიზორს უყურებდნენ, გურამი კი ველოსიპედის თვალს საბურავს უცვლიდა.

- გურამ, შვილო!, — დაუძახა ნატომ „მოწადინებულ“ ხელოსანს, — წადი დაიძინე, დროა უკვე.

— ხვალ კვირაა, დედა, ხომ არ დაგავიწყდა, — უპასუხა გურამმა, — თან წირვა ათ საათზე იწყება.

ნატომ სავარძელში ჩაძინებული ლექსო გააღვიძა, წამოაყენა და საძინებლისკენ წავიდნენ ორივენი. ოთახში შესვლამდე ისევ გასძახა გურამს:

- დროზე დაწექი! ჩვენ ვიძინებთ.

გურამმა მისაღებში შუქი ჩააქრო, შევიდა საერთო ოთახში და ფანჯრიდან რესტორანში მოქეიფე ადამიანებისკენ მიმართა მზერა. ხალხი უკვე შეთხელებული-



ყო. რამდენიმე ადამიანი მუსიკოსებთან შეკრებილი-ყვნენ და ხელების და ფეხების მოძრაობით რაღაცას ანიშნებდნენ. როგორც ჩანს მუსიკის შეკვეთა უნდოდათ და ვერ უხსნიდნენ დალლილ და ხმაურისგან გაოგნებულ მუსიკოსებს. ერთი ჯგუფი კი რესტორნის წინ ტაქსის გაჩერებას ლამობდა, მაგრამ ამაოდ იშვიათად თუ გა-მოჩნდებოდა ცენტრისკენ მიმავალი ტრანსპორტი, ძირ-ითადად მანქანები საპირისპირო მიმართულებით — ოქროყანისკენ მიემართებოდნენ, არადა, ამ დროს მოძ-რაობა პირიქით, ქალაქის ცენტრისკენ უფრო ხშირი იყო. „რაღაც ხდება“ — გაუელვა აზრმა გურამს, — „ჩვენები დაიძინებდნენ, დროა გავიდე, თეკლას არ შეეშინდეს“.

დათქმულ დროს გურამი მივიდა თეკლას კორპუსთან და ეს უკანასკნელიც მალე გამოჩნდა სადარბაზოში.

— ძლივს გამოვალნიერ გვიან დაწვნენ, თუმცა მაშინვე ჩაეძინათ.

— წავედით, თეკლა, — უთხრა გურამმა შეყვარე-ბულს და ხელი გაუწოდა.

— წავედით! — მიუგო თეკლამ და ორივენი დაღმარ-თზე დაეშვნენ.

გურამი და თეკლა სრული, ჰუტკუნა ბავშვები იყვნენ. ისინი და-ძმას უფრო ჰგავდნენ, ვიდრე სხვადასხვა დედ-მამის შვილებს. ისე უხდებოდნენ ერთმანეთს, რომ თვალს ვერ მოსწყვეტდა ადამიანი. ურთიერთობაც დიდი ადამიანებივით ჰქონდათ დალაგებული, ერთმანეთს ერთი შეხედვით უგებდნენ. რომ არა ასაკი, ისინი კარ-გახნის ცოლ-ქმარი გეგონებოდათ. სადლაც, ორის ნახ-



ევრისთვის უკვე მთავრობის სახლს მიუახლოვდნენ. გურამმა შეაჩერა თეკლა და უთხრა:

— ახლა კარგად დამიგდე ყური. აქ ბევრი და ამასთან ძალიან აღგზნებული ხალხია. ამიტომ ახლოს იყავი ჩემთან. რომ იცი, დაადებ თავს და მიდიხარ წინ, ხანდახან ისიც არ იცი სად. ნაბიჯი არ გადადგა უჩემოდ. გამიგე!

— გაგიგე! — უპასუხა ნაწყენი კილოთი თეკლამ და თან დააყოლა, — მამიკო!

მიტინგი აბობოქებულ ზღვას დამსგავსებოდა. სადღაც, მთავრობის სასახლის ასასვლელ კიბეებთან ვიღაც ჩონგურს უკრავდა და საოცარი ხმით აგუგუნებდა: „დაუკარით, რომ ძელ ხანჯალს ელდა ეცეს ...“

გურამმა და თეკლამ პიონერთა სასახლეს გაუარეს და ჩიტაძის ქუჩის კუთხეში შეჩერდნენ.

## VI

უშიშროების სხდომის დამთავრების შემდეგ ჯუმბერ პატიაშვილმა კიდევ ერთხელ შეახსენა შინაგან საქმეთა მინისტრს, შოთა გორგოძეს:

— იმოქმედეთ ფრთხილად! იცოდეთ, რომ მომიტინგებსა და ჯარს შორის დაპირისპირება არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს! როგორც გადავწყვიტეთ, ჯარსა და მომიტინგებს უშუალო შეხება არ უნდა ჰქონდეთ, მათ შორის უნდა ჩადგეს ქართული მილიცია!

— შესრულებული იქნება, ჯუმბერ ილიჩ! — თავის თავში ღრმად დარწმუნებულმა უპასუხა შოთა გორგოძემ,



— ჩვენ გავათავისუფლებთ მომიტინგეებისაგან მთავრობის სასახლის მიმდებარე ტერიტორიას, შემდეგ კი ამიერკავკასიის ჯარი დაიკავებს აღნიშნულ ტერიტორიას!

შოთა გორგოძემ როგორც კი დატოვა სხდომა, ჯუმბერ პატიაშვილი კიდევ ერთხელ დაფიქრდა და ეტყობოდა, რომ კვლავ ყოფილი მისი ასეთი მდგომარეობა უცებ „ნაიკითხა“ კოჩეტოვმა და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე უთხრა:

— თუ ჩვენ დღესვე არ გავათავისუფლებთ მოედანს მომიტინგეებისაგან, ხვალ შეიძლება საქართველოში სუმგაითი გამეორდეს!

კოჩეტოვის ეს სიტყვები უფრო ბრძანებას ჰგავდა. ამის შემდეგ კოჩეტოვმა და როდიონოვმა სხდომა დატოვეს.

ჯუმბერ პატიაშვილი კოჩეტოვის სიტყვებმა დააფიქრა და ააფორიაქა. რატომ ახსენა საბჭოთა გენერალმა მაინც და მაინც სუმგაითი. ამ სიტყვებში ბევრი რამ შეიძლება ეგულისხმა ადამიანს. არადა, სუმგაითის ხოცვა-ულეტვა, ამ სიტყვების პირდაპირი გაგებით, სულ ახლახანს — თებერვალში მოხდა და საბჭოთა სამართალდამცავმა და ძალოვანმა სტრუქტურებმა დროულად არ აღკვეთეს ეს სისხლიანი აქცია, რომელიც დიდი მსხვერპლით დასრულდა. არ აღკვეთეს ეროვნული შუღლი აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის, პირიქით, ის გადაზარდეს ეროვნულ დაპირისპირებაში, რაც, რა თქმა უნდა, იმპერიის „ნისქვილზე ასხამდა წყალს“ და მის განმტკიცებას უწყობდა ხელს.



„აქ რა მზაკვრობა აქვთ ჩაფიქრებული გენერლებს, — ფიქრობდა პატიაშვილი, — რაღაც სხვა სცენარია დაწერილი ... რაღაც სხვა ... მაგრამ რა და რომელი? ...“

საჭირო იყო კიდევ დამატებითი ლონისძიებების გატარება, რათა ეს აზვირთებული ტალღა მომიტინგებისა როგორმე შეეჩერებინათ. პატიაშვილის აზრით, მოლაპარაკებაში უნდა ჩართულიყვნენ ინტელიგენციის და საზოგადო მოღვაწეების წარმომადგენლები. ასეც მოხდა. თუმცა არაფორმალთა ლიდერებმა უარი თქვეს ჯუმბერ პატიაშვილთან მოლაპარაკების გამართვაზე და მოითხოვეს კრემლის წარმომადგენლის ჩამოსვლა და მასთან მოლაპარაკება. აქ უკვე გაუგებარი რამ ხდებოდა, რატომ ამბობდნენ არაფორმალები რესპუბლიკის უმაღლეს ხელისუფალთან შეხვედრაზე უარს და რატომ ითხოვდნენ კრემლის წარმომადგენელთან შეხვედრას მაშინ, როდესაც მათივე ლოზუნგებით — ისინი კრემლს ებრძოდნენ? უფრო მეტიც, როგორ შეიძლებოდა კრემლს დაეკმაყოფილებინა არაფორმალთა ლიდერების მოთხოვნა — საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ? ვინ ეგულებოდათ კრემლში ისეთი, ვინც მათ მოთხოვნას მხარს დაუჭერდა? ... და თუ ასეთი მართლაც არსებობდა, მაშინ გამოდის, რომ ამ ყველაფერს, რასაც ქართველი ერის დიდ პროტესტს უწოდებდნენ, უჩინარი „რეჟისორი“ სწორედ კრემლში ჰყავდა და პროცესები კრემლიდან იმართებოდა.

შუალამე უკვე გადასული იყო, რომ მიტინგზე სიტუაცია უაღრესად დაიძაბა. მთავრობის სასახლის წინ მო-



მიტინგეთა რიცხვი კი არ იკლებდა, არამედ თანდათან მატულობდა. პატიაშვილმა ითხოვა, სასწრაფოდ დაეკავშირებინათ მისთვის როდიონოვი. რამდენიმე წუთში ამიერკავკასიის ჯარების სარდალი უკვე სატელეფონო ხაზზე იყო.

— ძალიან ბევრი ხალხია, — მიმართა პატიაშვილმა როდიონოვს, — მთელი რიგი ღონისძიებების გატარების მიუხედავად, მათი რიცხვი, როგორც ჩვენ ვვარაუდობდით, კი არ იკლებს, არამედ მატულობს. იქნებ გადაგვედო ოპერაციის ჩატარება?

— ჯუმბერ ილიჩ, — მიუგო მშვიდად როდიონოვმა, — ამჟამად ადგილზე ვიმყოფები. სიტუაცია ჩვენს კონტროლს ექვემდებარება. გაძლევთ გარანტიას, რომ აქციას მშვიდობიანად დავშლით, ისე, რომ მომიტინგებს ერთი „სინიაკიც“ არ ექნებათ. — კიდევ ერთხელ გაიმორა როდიონოვმა ადრე წარმოთქმული თავისივე სიტყვები.

პატიაშვილი კვლავ მოუსვენრობამ შეიპყრო. მან ხელისუფლებაში არსებული ყველა რესურსი ამონურა ... გულს კი, რაღაც ცუდი წინათგრძნობა დაეუფლა. ამ ყველაფრის ფონზე უკვე ცხადი ხდება, რომ ადამიანური შესაძლებლობები ამონურულია. რჩება მხოლოდ უფლის იმედი.

ერთადერთი ხსნა და რეალური იმედი იმისა, რომ აპერაციის ჩატარებამდე მომიტინგების დაშლა შესაძლებელი იქნებოდა, უნმიდესის და უნეტარესის ილია მეორის მობრძანება იყო. მან სიტყვით მიმართა აქციის მონაწილეებს:





— მე ახლა მაცნობეს, რომ საშიშროება რეალურია. შეიძლება ამ საშიშროებამდე დარჩა რამდენიმე წუთი. ჩემო სულიერო შვილებო, გეძლევათ ლოცვა-კურთხევა, რომ აპრანდეთ ახლა, ნავიდეთ ერთად ქაშუეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში და მადლობა შევწიროთ უფალს.

არც უწმიდესის სიტყვებმა გამოიღო რაიმე შედეგი. აქციის ორგანიზატორებმა ჩვეული ორატორობითა და ემოციურობით მომიტინგებს მოუწოდეს პატრიარქი-სათვის არ დაეჯერებინათ და არ დაეტოვებინათ მთავ-რობის სასახლის მიმდებარე ტერიტორია.

ცხრა აპრილის დილის ოთხ საათზე ოპერაცია დაიწყო ...

## VII

გურამი და თეკლა ნელ-ნელა მიტინგის ცენტრისკენ მიიწევდნენ. მაინც რა არის ბავშვური ცნობისმოყვა-რეობა. პატრიარქის მოწოდების შემდეგ, ორივეს სურ-და, დაენახა თუ როგორ დაიძვრებოდნენ მომიტინ-გები ტაძრისკენ, რათა თვითონაც გაპყოლოდნენ და ტაძარში პატრიარქის ლოცვისთვის მოქსმინათ. მთავ-რობის სასახლესთან ხომ უამრავი მომიტინგე იყო, ამი-ტომ თუ დროზე არ წავიდოდნენ ქაშუეთისკენ, ტაძარში უადგილობის გამო ვეღარ მოხვდებოდნენ. გურამს მაგრად ჩაეჭიდა ხელი თეკლასთვის და ისე იკვლევდა გზას მომიტინგებს შორის. ხალხის შეძახილებისაგან ყურთასმენა აღარ იყო:

— ძირს საბჭოთა იმპერია! ...



— გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! ...

გურამი ძალიან ცდილობდა მთავრობის სასახლის კიბეები ჩაევლო, მაგრამ ის ისე იყო გადაჭედილი მჯ-დომარე აქციის მონაწილეებით, რომ იქ გავლას ვერ მოახერხებდა. უკანაც ვერ ბრუნდებოდნენ. ასე რომ, ისინი აღმოჩნდნენ აქციის შუაგულში. მომიტინგების ერთობლივი შეძახილები, ქარში ტყის გამოცემულ ღმუილს უფრო წააგავდა, ვიდრე ბრძოლის ყიუინას. გურამმა ცას ახედა, რომელსაც სადღაც სიღრმეში შავი ფერი გადაკვროდა, ხოლო მიწისკენ წაცრისფერი გაუმჭვირვალე ბურუსი ეშვებოდა. მამა მიქაელის სიტყვები გაახსენდა გურამს: „წაცრისფერი ბურუსი სატანის კლანჭებია. როგორც ჩანს, ეშმაკი მალე შემოუსევს საქართველოს თავის ჭინკებს ...“

ამ სიტყვების გახსენებაზე გურამმა პირჯვარი გადაინერა, თეკლას ხელი მაგრად ჩასჭიდა და ყურში ჩასძახა:

— დორზე გავეცალოთ აქაურობას, თორემ გადაგვივლიან.

თეკლამ თითქოს იუკადრისა გურამის წათქვამი და თვითონაც იყვირა:

— მოიცა! ... ეს სიმღერა მორჩეს და მერე წავიდეთ! ...

ვიღაც ჩონგურს მაღალ ხმაზე აუღერებდა, თან მღეროდა, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა — გაჰკიოდა:

— დაუკარიით! და იმღერეთ ისე მაგრააად, რომ ფილტვები გვეტკინოს და დაგვებეროოს! ...

— ჩქარა! — იყვირა ისევ გურამმა, თეკლას წელზე შემოხვია ხელი და გეზი ისევ ჩიტაძის ქუჩისკენ აიღო.



ლენინის მოედნის მხრიდან კი სამხედრო ტექნიკის გუგუნი უფრო და უფრო ძლიერდებოდა... რაღაც დიდ საშინელებას უმზადებდა იმპერია მრავალტანჯულ საქართველოს და მის ხალხს...

როგორც იქნა გურამმა და თეკლამ გზა გაიკვლიეს მომიტინგებში. ის იყო, თითქოს გავიდნენ სამშვიდობოს, რომ უცებ მათი მიმართულებით შეშინებული ხალხის ნაკადი დაიძრა. გურამმა თვალი მოჰკრა, რომ პიონერთა სასახლის მიმდებარედ სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრები შეტევისთვის ემზადებოდნენ. ვერც კი გააცნობიერა რა ხდებოდა, რომ უცებ მას ვიღაც ზორბა მამაკაცი დაეჯახა და მთავრობის სასახლის წინ აღმართულ ძეგლის კვარცხლბეჭს მიანარცხა. გურამმა მარმარილოს კედელს თავი მაგრად დაარტყა და იქვე ჩაიკეცა. თეკლა მაშინვე გადაეფარა და კისერზე მოხვია ხელი... სისველე იგრძნო. დახედა ხელის გულს და ის წითლად იყო შეღებილი.

— გურამ! ... გურამ! ... ჩემო სიცოცხლე არ მოკვდე! ... მიშველეთ, ხალხო! — გულამოსკვნილი ყვიროდა თეკლა და ადამიანებს საშველად უხმობდა.

თეკლას ხმა არავის ესმოდა. ყველა სადღაც გარბოდა... სამხედრო ტექნიკის შემზარავი ხმა ნელ-ნელა ძლიერდებოდა. ამას ემატებოდა სპეციაზმის ფარების და ხელკეტების გამყინავი ჩხრიალი, თითქოს მსოფლიოს ყველაზე დიდი პითონი დაძრულიყო ხალხის ჩასაყლაპად ...

გურამი მის გარშემო ატეხილმა ხმაურმა გამოაფხილა. მაშინვე კეფაზე დაიდო მარჯვენა ხელის გული და იყვირა:



- თეკლა!... თეკლა!... სად ხარ!
- აქ ვარ, სიყვარულო, როგორ ხარ!?
- წავედით! — წამოიძახა გურამმა, თავს ძალა დაატანა, წამოდგა, თეკლას ხელი მოჰკიდა და თითქმის ყურში ჩასძახა, — როგორმე დერუინსკზე უნდა გავი-დეთ, თექვსმეტ ნომერში ჩემი ძმაკაცი ცხოვრობს და იქამდე უნდა მივაღწიოთ!

ამ დროს მათი მიმართულებით ხალხის კიდევ ერთი ნაკადი დაიძრა. ისინი გამორბოდნენ, მაგრამ არ იცოდ-ნენ საით მიდიოდნენ. მათი გვერდის ავლა ფაქტიურად შეუძლებელი იყო. ამიტომ გურამმა თეკლა კედელთან ზურგით გააჩერა და ზედ გადაეფარა. გავეშებული ადა-მიანების მუჯლუგუნებს გურამმა როგორც იქნა გაუძ-ლო, მერე თეკლას დახედა, რადგან გოგონა თავს კარგად გრძნობდა, ისევ ჩიტაძის ქუჩის ასახვევისკენ გასწიეს, მაგრამ უკვე გვიანი იყო, რამდენიმე ათეული ნაბიჯიც და ჯარისკაცების წინ აღმოჩნდებოდნენ. ისინი სწრა-ფად შემობრუნდნენ და პირველი სკოლისკენ გაიქცნენ. რუსთაველის პროსპექტის მხრიდან ჯარისკაცებს უკვე დაეწყოთ მომიტინგების შევიწროვება, თან რაღაც მო-ელვარე იარაღი ეჭირათ ხელში, რომელიც სპეცრაზმის ხელკეტს არ ჰქონდა. გურამი წამით შეჩერდა, ქაშუეთის ტაძრისკენ გაიხედა, პირჯვარი გადაიწერა და თავის-დაუნებურად აღმოხდა:

— წმიდაო გიორგი, გთხოვ, გადაგვარჩინე ამ უბედ-ურებისგან!

ლოცვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ გულმა თრ-თოლვა დაუწყო. გურამმა მამა მიქაელისგან იცოდა,



რომ ლოცვის დროს თუ გული აუთორთოლდებოდა, ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ ღმერთმა შეისმინა მისი ვე-დრება და აუცილებლად დახმარების ხელს გაუწვდიდა. ამან გურამს გაუასკეცა იმედი, ჭრილობიდან მომავალ ტკივილსაც თითქმის ვეღარ გრძნობდა და ახალი ძალებით, თეკლასთან ერთად, გასწია პირველი საშუალო სკოლისკენ. ისინი არ დაიბნენ, მალევე აუარეს სკოლას გვერდი და ერთ-ერთი სახლის ეზოში შევიდნენ.

თბილისურ ეზოში ყველა მაცხოვრებელს შუქი ჩამქრალი ჰქონდა. მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ან გაეცალნენ აქაურობას ან კიდევ ამჯობინეს, რომ თვალში არავის მოხვედრობნენ. გურამისთვის, რომელიც თავისი ხუთი თითოვით იცნობდა ამ უბანს, პრობლემას არ წარმოადგენდა ეზო-ეზო სოლოლაკში გადასვლა, მაგრამ ჭრილობიდან მომავალ სისხლს ვერ აჩერებდა. თავისი და თეკლას ხელსახოცები სისხლით იყო გაუღენითილი. ეზოში წყლის ონკანიც არ იყო, რომ ჩამოებანა ჭრილობა. ბოლოს, პერანგი დახია და თეკლამ, ისედაც დასისხლიანებული პერანგის ნაჭრებით, შეუხვია ჭრილობა.

რუსთაველის პროსპექტიდან სამხედრო ტექნიკის ხმაური და ხალხის წივილ-კივილი ისმოდა. გურამმა თეკლას მოხვია ხელი და უთხრა:

— სასწრაფოდ უნდა წავიდეთ, თორემ ისინი აქაც მოგვწვდებიან. თანაც ბევრი სისხლი დავკარგე და მე-შინია არ გავითიშო.

აცრემლებულმა თეკლამ ხელი მოჰკიდა გურამს და ორივენი გაუჩინარდნენ მთაწმინდის უბნების შუკებში.



მათ როგორც იქნა მიაღწიეს გურამის სახლის შესახვევამდე. გურამის და თეკლას მშობლები გაოგნებულნი იდგნენ კორპუსის წინ და არ იცოდნენ რა მოემოქმედათ. მომხდარის შესახებ უბანში ყველამ ყველაფერი იცოდა, მაგრამ მაინც იმედოვნებდნენ, რომ გურამი და თეკლა იქ არ იქნებოდნენ. როგორც კი გურამმა შორიდან თვალი მოჰკრა მისი ბინის სადარბაზოს წინ შეკრებილ ხალხს, უცებ მოეშვა, თვალთ დაუბნელდა და აცრემლებული თეკლას ფეხებთან დაეცა.

### VIII

მთავრობის სასახლის წინ სისხლის სუნი დატრიალდა. ჯარისკაცები ალესილი ნიჩბებით უმოწყალოდ ჩეხდნენ მომიტინგეებს. დილის ოთხ საათზე, როდესაც, როგორც ჩვენი წინაპრები ამბობდნენ, ნაკადულში წყალიც კი იძინებს, თბილისის ცენტრში სისხლის კალი ილენებოდა. ხალხის წივილ-კივილი ზეცას სწვდებოდა. კინოთეატრ „რუსთაველის“ თავზე ყრმათა სილუეტები გამოისახა. ისინი იმ ბავშვთა სულები იყვნენ, რომლებიც თემურ ლენგმა გააღენინა ამ ადგილას მდებარე ხორბლის გასაღენ კალოზე. თითქოს კინოთეატრს კალოუბნის წმიდა გიორგის სილუეტიც დაადგა. ისტორია მეორდებოდა, ოღონდ მტერი სხვა იყო, მართლმადიდებლურ საბურველში გახვეული და მოძმე ერად „მონათლული“ რუსეთი. თუმცა ისინიც მონღლოლურ-კორეული ჯიშისანი იყვნენ და სწყუროდათ იაფეტური სისხლი.



ცამ თითქოს ჩამოიწია, სატანა ყველა მხრიდან აჩენდა ბრჭყალებს, მიღიცია არსად ჩანდა, არც მიტინგის ორგანიზატორების ომახიანი ხმა ისმოდა. ხალხი პირისპირ აღმოჩნდა გამძვინვარებული და შეიარაღებული ჯარისკაცების ბრძოსთან ...

... კიდევ ერთხელ ატირდა დედა ქართლისა ...

... ცხრამეტი ადამიანი მოკლეს ბარბაროსებმა ...

... უამრავი მამულიშვილის სისხლით გამოძღვა ლუ-ციფერი ... რაც მთვარის სიახლოვეს მისი გამონათებით დადასტურდა ... ცისკრის ვარსკვლავი ათას ცხრაას ორმოცდათექვსმეტი წლის ცხრა მარტის შემდეგ ასეთი გაბრწყინებული არავის უნახავს ...

... ოცდაერთი დაღუპულიდან ჩვიდმეტი ქალი იყო ...

მიტინგის დარბევის შემდეგ პატიაშვილის კაბინეტში შედის გაფითორებული როდიონოვი და თითქმის ისტერიკაში ჩავარდნილი ეუბნება პირველ მდივანს:

— როგორც შეთანხმებული ვიყავით და როგორც სქემით იყო გაწერილი ოპერაცია ისე არ ჩატარდა. გორგოძემ ქართული მიღიცია არ გამოიყვანა და შედეგად ჯარი და მომიტინგები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ!

— გორგოძე კი თქვენსკენ იშვერს ხელს, ამხანავო გენერალო! — სიტყვის დამთავრებისთანავე მკაცრად მიუგო პატიაშვილმა, — ასეთმა შეუთანხმებლობამ და უნესრიგობამ ტრაგედიამდე მიგვიყვანა!

როდიონოვმა დაინახა რა გაცეცხლებული ცეკას მდივანი, ყოველგვარი შეპასუხების გარეშე დატოვა კაბინეტი.



პატიაშვილმა გაშლილი ხელის გულები საფეთქლებზე დაიდო და ფიქრებს მიეცა: „ოცდაერთი დაღუპული ... ღმერთო, შენ გვიშველე ... აქედან ჩვიდმეტი ქალი ...“ — უცებ თვალწინ დაუდგა ათას ცხრაას ოთხმოცდაშვიდი წლის იანვარი, როდესაც სვანეთში დიდთოვლობამ ოცდაექვსი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, — „სვანეთში ჩასულს იმდენად ტრაგიკული სურათი დამხვდა, რაღაც მომენტში მეგონა, რომ აზროვნების უნარი წამერთვა ... გახევებული ვიდექი და თავჩაქინდრული თოვლს დავცეკეროდი. თოვლში ბავშვებისა და ქალების ცხედრები ესვენა ... ლოყებდაჟღაჟა ბავშვები, რომლებსაც სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდათ, გარდაცვლილები იყვნენ, მაგრამ ლოყებზე ჯერ კიდევ შემორჩენოდათ ჯანმრთელი სინითლე. ტკივილის სიტყვებით გამოხატვა მაშინ ვერ შევძელი... ახლა... ახლა... რატომ მხოლოდ ქალები?... როგორ გადარჩენენ უვნებლად აქციის ორგანიზატორები ან მომიტინგე მამაკაცების უმრავლესობა?... არავინ ლაპარაკობს ეგრეთნოდებული ეროვნული მოძრაობის ლიდერების პასუხისმგებლობაზე. ხალხი მათ შეკრიბეს, არასანქციორებულ აქციებსაც ისინი ატარებდნენ, არავის ახსენდება მათი წილი პასუხისმგებლობა, არც კანონის წინაშე და არც მორალური და სულიერი თვალსაზრისით... ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით ისეთი ფონია შექმნილი, თითქოს არავის არა აქვს პასუხი კითხვაზე — ვინ დაგეგმა და განახორციელა ეს ტრაგედია?... ვის ინტერესებში შედიოდა?... ვიცი, რომ ყველა ჩემსკენ გამოიშვერს ხელს... მე არც დამგეგმავი ვარ და



არც განმახორციელებელი, ეს ცხადია. ყველა ადამი-ანურ ფაქტორს რომ თავი დავანებოთ, საკუთარი თავის დისკრედიტაცია და თანამდებობიდან გადადგომა არც ერთი ხელისუფლების ინტერესებში არ შედის... ცხადია ისიც, რომ ნებისმიერი ტრაგედიის დაგეგმვა და განხორციელება მათ ინტერესებს ესადაგება, ვინც ტრაგედიის შედეგებით ხარობს ... “

— ჯუმბერ ილიჩ, შეიძლება? — შეაწყვეტინა ფიქრი პატიაშვილს უეცრად შემოსულმა უშიშროების თანამშრომელმა.

ეს თანამშრომელი გახლდათ პატიაშვილის ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც, ყველა ინსტანციის გავლის გარეშე, ინფორმაციას აწვდიდა უშუალოდ ცეკას პირველ მდივანს.

— ახალი გვაქს რამე? — ჰკითხა ფიქრიდან ახლა-დგამოსულმა პატიაშვილმა თანამშრომელს.

— დარბევის დროს ერთ-ერთ ჯარისკაცს ლურსმნებ-ჩარჩობილი ფიცარი მოხვდა არტერიაში და კლინიკური სიკვდილი ჰქონდა.

— მერე? — დაინტერესდა ჯუმბერი, — ახლა როგორ არის?

— ძლივს გადაარჩინეს, — მიუგო თანამშრომელმა, — როდიონოვმა ეს ამბავი სასწრაფოდ მოახსენა შტაბს მოსკოვში, საიდანაც იაზოვის სასტიკი საყვედური მიიღო. ასე უთქვამს თავდაცვის მინისტრს: „რატომ გადაარჩინეთ!“ დაე, მომკვდარიყო ის ერთი ჯარისკაცი, სამაგიეროდ, მოგვეცემოდა საბაბი, სამაგალითოდ დაგვესაჯა მომიტინგებიო!“



— სულ გადაირია ეს ხალხი, — თქვა ისედაც განერვიულებულმა პატიაშვილმა, წამოდგა სკამიდან, კაბინეტში გაიარ-გამოიარა და მზერა ისევ თანამშრომელს მიაპყრო, — გატყობ, კიდევ რაღაც გაქვს სათქმელი, რახდება?

— როგორც ჩემმა წყარომ მაუწყა, — განაგრძო საუბარი თანამშრომელმა, — და ის არასდროს შემცდარა, ყოველ შემთხვევაში აქამდე, ეროვნული ლიდერებისა-განაც გამოვიდა ხმა, რომ ზოგიერთები წუხდნენ, გენო-ციდის აღიარებისათვის საკმარისი რაოდენობის მსხვერპლით რომ არ დასრულდა ტრაგედიაო.

პატიაშვილმა უცებ შეწყვიტა კაბინეტში წინ და უკან სიარული, თანამშრომელს მიაშტერდა და შეეკითხა:

- ძალიან გაზვიადებული ხომ არ არის ეგ ინფორმაცია?
- არა, ჯუმბერ იღლიჩ, — მიუგო თანამშრომელმა,
- ჩემი წყარო არასდროს ცდება. მე თვითონ მოვთხოვე ინფორმაციის გადამოწმება, რაზეც უარი მივიღე, რადგან ინფორმაცია უტყუარია და გადამოწმებას არ ექვემდებარებაო. მხოლოდ ის მითხვა, რომ ეს „წუხილი“ ლიდერებს, დილით, თბილისის უნივერსიტეტის ეზოში სტიქიურად გამართულ მიტინგზე გამოუთქვამთ. მე, პირადად, მახსოვს, მსგავსი ფაქტის მათეული, „რაციონალური“ დასაბუთებაც, თუ მსხვერპლი ორმოცს მიაღწევდა, მაშინ, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ეს ერის გენოციდად ჩაითვლებოდა და მაშასადამე დაგმობილი იქნებოდა მსოფლიო საზოგადოებისა და წამყვან სახელმწიფოთა მიერ. არადა სამწუხაროა, რომ



სისხლი მართლაც დაიღვარა, ოღონდ არა რადიკალ-ექს-ტრემისტთა ლიდერების, არამედ მიტინგის რიგითი მონაწილეების, რომლებიც გულუბრყვილოდ ენდნენ აქციის ორგანიზატორებს. მათ ირწმუნეს კერპების და-პირებებისა, რომ ჯარისკაცები მათ ხელს არ ახლებდნენ.

მზის და ვარდების ქალაქი თბილისი კი ნელ-ნელა ივესპოდა საბრძოლო ტექნიკით და შეიარაღებული ჯა-რისკაცებით. მეორე დღეს შევარდნაძეც ჩამოფრინდა მოსკოვიდან იმ მისით, რომ რესპუბლიკაში დაელაგე-ბინა სიტუაცია. მან პატიაშვილს პირდაპირ უთხრა, ყოველგავარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე:

— გორბაჩოვი შეწუხებულია ტრაგედიის შედეგებით და იმით, რომ აქციის დარბევაში ჯარმა მიიღო მონაწ-ილეობა. შექმნილი უმძიმესი სიტუაციიდან ერთადერ-თი გამოსავალი ისაა, რომ თქვა, თითქოს ჯარები რეს-პუბლიკის ხელმძღვანელობის ანუ შენი მოთხოვნითა და დავალებით შემოვიდნენ. თან თუ თანამდებობიდან აპირებ გადადგომას, შენთვის ამის თქმა არც ისე ძნელი იქნება. სამაგიეროდ, კრემლისკენ და გორბაჩოვისკენ ხელს აღარავინ გაიშვერს ...

— არავითარ შემთხვევაში, — მიუგო პატიაშვილმა, — ეს აბსურდია. მე ჩემი წილი ცოდვაც მეყოფა და არ ვა-პირებ სხვისი წილი პასუხისმგებლობის ზიდვას და საკუ-თარი თავისთვის ტყუილის დაბრალებას.

როგორც ჩანს, კრემლი „განტევების ვაცს“ ეძებდა და ამისთვის შევარდნაძემ „სასურველ კანდიდატად“ პატი-აშვილი შეარჩია.



თუმცა, მიუხედავად კრემლის და საქართველოს მტრების სურვილისა, ასე არ ფიქრობდა მართლა ეროვნულად მოაზროვნე ქართველი საზოგადოება და მათ ჯუმბერ პატიაშვილს ურჩიეს, რომ არ გადამდგარიყო თანამდებობიდან, რაზეც ამ უკანასკნელმა ასე უპასუხა:

— მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში არავითარი პრეტენზია არ მქონია, არავითარი კარიერისტული ზრახვები არ მამოძრავებდა და არ მამოძრავებს, მით უფრო დღეს. მე ვგრძნობ ჩემ წილ პასუხისმგებლობას, მაგრამ მაქეს ერთი დიდი გულისტკივილი — მივდივარ ისეთ დროს და ისეთ მომენტში, როდესაც მე შემეძლო არა ჩემი თავისა და პირადი ბედნიერებისათვის, არამედ მომავლისათვის უფრო მეტი გამეკეთებინა. არავის არ ვსაყვედურობ, ბრძოლა ზოგ შემთხვევაში არასწორი მეთოდებითაც ხდება. შეცდომები, ალბათ, ჩვენც გვქონდა, მაგრამ მე ყოველთვის ვცდილობდი, ჩვენს ინტელიგენციასთან, ახალგაზრდობასთან და საზოგადოებასთან უფრო ახლო, მჭიდრო ურთიერთობები გვქონდა. სამწუხაროდ, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში პირადად მე ნორმალური მუშაობის პირობები არ მქონდა. მთელი ჩემი ძალისხმევა და დრო გადართული იყო და ხმარდებოდა იმას, რომ არ მომხდარიყო ის, რაც, სამწუხაროდ მოხდა.

## IX

გურამი ბინაში აიყვანეს და საწოლზე დააწვინეს. ლექსო მაშინვე მიხვდა, სად და რატომ შეემთხვა მის შვილს ეს საშინელი ამბავი. მაშინვე მოიმარჯვა ტელეფონი და თავის მეგობარ ნოდართან დარეკა, რომელიც რესპუბლიკური საავადმყოფოს ქირურგი გახლდათ. ტელეფონის ყურმილში ზარი რომ გავიდა, ლექსომ მაშინდა დახედა საათს. დილის შვიდის ნახევარი სრულდებოდა. „ჯერ კიდევ ეძინება“, — გაუელვა ფიქრმა გონებაში, — „მაგრამ რა ვქნა, სხვა გზა არ მაქს“.

ნოდარმა მალევე აიღო ყურმილი. ლექსომ როგორც კი ყურმილში მეგობრის ხმა გაიგო, ყოველგვარი მისალმების გარეშე შეჰველადადა:

- ნოდარ, მიშველე! გურამი მყავს ცუდად!
- ეგეც იქ იყო. — მაშინვე შეაგება სიტყვა ნოდარმა.
- შენ საიდან იცი? — ჰკითხა გაკვირვებულმა ლექსომ.

— ახლა დამირეკეს საავადმყოფოდან. უამრავი ხალხი შეჰყავთ თურმე და მეც უნდა წავიდე. ველარ აუდიან პაციენტების მიღებას.

— მე როგორ მოვიქცე, ნოდარ? — ჰკითხა დაბნეულმა ლექსომ, რომელსაც თითქოს იმედი გადაეწურა.

— ახლავე გამოვალ. — უპასუხა ნოდარმა, — სასწრაფო არ გამოიძახო. ჯერ მე ვნახავ.

ნოდარი იქვე ცხოვრობდა, ჭონქაძის ქუჩაზე, ამიტომ მალევე ლექსოსთან გაჩნდა. გურამის ჭრილობა დაათვა-



ლიერა, მერე თვალებში ჩახედა, პულსი და წნევა გაუსინ-ჯა, საწრაფოდ დაიწყო ჭრილობის დამუშავება და თან ლექსოს უთხრა:

— საგანგაშო არაფერია, ჭრილობა ღრმა არ არის, ამას სახლის პირობებში ვუმკურნალებთ, მაგრამ ტვინის შერყევა აქვს და სჯობს, რომ იწვეს და არ ადგეს. ზედმე-ტი მოძრაობები არ არის საჭირო.

— საავადმყოფოში ხომ არ გადავიყვანოთ? — ჰკითხა ნატომ ნოდარს, — სახლში არაფერს მოვაკლებთ, მაგრამ მაინც მეშინია, ძალიან მოუსვენარია და ტვინის შერყევას რაიმე გართულებები არ მოჰყვეს.

— საავადმყოფოში გადაყვანას მე სხვა რამის გამო არ გირჩევთ, იქ ახლა ყველა შესულ პაციენტზე დაიწყება საქმეების შედგენა და ჩვენი ორგანოების ამბავი რომ ვიცი, რაღაც პოლიტიკურ უბედურებაში არ გახვიონ ბავშვი.

უცებ სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს, ისევ ლექსომ ამოიღო ხმა:

— სწორია ნოდარი. ჩვენ ამაზე არ გვიფიქრია. უბედურებას უბედურება არ მივუმატოთ. დაიწყება ახლა დაჭერები და დაკითხვები. სჯობს სახლის პირობებში ვუმკურნალოთ. ნოდარი გვეტყვის, რა უნდა გავაკეთოთ და მივხედავთ გურამს.

— კარგით აბა, — თქვა ნოდარმა, რომელიც ქალ-ალდზე წერდა მკურნალობისთვის აუცილებელ დანიშნულებას. მერე ნამოდგა, ფურცელი ნატოს გაუზოდა და და დასძინა, — რაც აქ დავწერე, ყველაფერი თავის



დროზე და აბსოლუტური სიზუსტით გააკეთე. თუ რაიმე ცვლილებას შეამჩნევ დამირეკე ან სახლში ან სამსახურში. მე ყოველდღე მოგაკითხავთ, მაგრამ არ ვიცი როდის, რადგან საავადმყოფოში გადატვირთულ რეჟიმში მოგვიწევს მუშაობა.

ნოდარმა ჩანთა აიღო და ის იყო ბინიდან გასვლა დააპირა, რომ უცებ შეჩერდა და ლექსოს უთხრა:

— ეცადე, რომ ეს ამბავი თქვენს გარდა არავინ გაიგოს. ხოლო თუ მაინც და მაინც ვინმე ჩაგეძიებათ, უთხარით, რომ კიბიდან ან ხიდან ჩამოვარდა და ყველაფერი მალე გაივლის-თქო.

— კარგი, ნოდარ, ასე ვიზამ, — მიუგო ლექსომ, — თეკლას მშობლებსაც გავაფრთხილებ ...

— თეკლა ვინ არის? - იკითხა ნოდარმა.

— ამ ვაჟბატონის თანაკლასელი და შეყვარებულია, — უპასუხა ლექსომ, — გამონახეს სასეირნო ადგილი და ღამე გაიპარნენ, ისე, რომ ვერც ჩვენ და ვერც თეკლას მშობლებმა ვერ გავიგეთ.

— და გოგონა როგორ არის?

— მადლობა უფალს, იმას არაფერი დაუშავდა. მშობლებსაც ასე უთხრა: „გურამმა გადამარჩინაო“.

— ოჰ, ეს ახალგაზრდები. ახლა ესენი იმ ასაკში არიან, თავში რომ უქრით. — თქვა ნოდარმა, ხელი ჩაიქნია და სადარბაზოს კიბეზე დაეშვა.

ერთმა კვირამ უცებ „გაირბინა“. გურამს ჭრილობა თითქმის შეუხორცდა. ნოდარი ექიმმა ნება დართო სანოლზე წამომჯდარიყო, ოლონდ მცირე დროით, რადგან თავბრუსხვევა ჯერ კიდევ აწუხებდა.



კვირას, წირვის შემდეგ, ეკლესიიდან დაბრუნებულ ლექსოს მამა მიქაელიც ახლდა. მოძღვარმა მოინახულა თავისი სულიერი შვილი, ჯვარი გადასახა, ჯანმრთელობის ლოცვა წაუკითხა, შემდეგ გაულიმა და ჰკითხა:

— როგორ ხარ, გურამ?

— ახლა უკვე კარგად, მამაო. გადავრჩით, ნიჩბების მსხვერპლი რომ არ გავხდით. დროულად გამოვასწარით, თქვენი ლოცვა შეგვენია.

— ჩემი ლოცვა კი არა, უფალი შეგენიათ, დედა ლვ-თისამ გადაგაფარათ თავისი ძლევამოსილი კალთა. მამაშენს ისეთი ხილვა ჰქონდა, რომ შენ მაგ მიტინგზე არ უნდა წასულიყავი, მაგრამ არ გააცნობიერე მოსალოდნელი ხიფათი და შედეგიც მოიმკეთ. მაშინ ხომ გითხარით, მამაშენის დანახული ბურუსი რასაც ნიშნავდა. სატანასთან ხუმრობა არ შეიძლება, შვილო.

— რას ვიფიქრებდი, მამაო, რომ ასე გაგვწირავდნენ ამდენ ხალხს? — მიუგო მომხდარით დაღონებულმა გურამმა, — დღესაც ვერ ვიჯერებ, როგორ შეიძლება ასე ჯალათივით მოექცე ადამიანებს?

— კარგია, შვილო, რომ შენი ასაკის ადამიანი ასეთ დასკვნას გამოიტანს მომხდარიდან, — მიუგო მამა მიქაელმა, — მაგრამ შენი გაპარვა სახლიდან ასეთ ფეთქებად ადგილზე არ იყო გამართლებული. ყველაფერი რომ სხვაგვარად დამთავრებულიყო, ღმერთმა დაგიფაროს, რამხელა პასუხისმგებლობა დაგეკისრებოდათ შენ და შენს მშობლებს. ამაზე აღარ იფიქრე?

— რა ვიცი, მამაო, — უპასუხა გურამმა, — რას წარმოვიდგენდი, რომ მაინც და მაინც იმ ღამეს დაიწყებო-



და ყველაფერი. ჩემს თანაკლასელებთან ერთად, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, ხშირად დავდიოდით მთავრობის სასახლის წინ და მომიტინგებს და მომღერლებს ვუსმენდით. იმ ღამესაც მაგისტვის წავედით ...

— და მშობლებს რატომ არ დაეკითხეთ? გინდა შენ და გინდა შენი მეგობარი გოგონა? — ისევ კითხვა შეაგება მამა მიქაელმა.

— შეცდომა დავუშვი, მამაო, — თქვა გურამმა, — შემინდეთ და მაპატიეთ.

— უფალმა შეგინდოს, შვილო! — მიუგო მამაომ, — იმედია, ამის შემდეგ მსგავს რამეს არ ჩაიდენ. შენ ჯერ ბავშვი ხარ და უნდა იცოდე, ასეთი მოვლენა უკანასკნელი არ იქნება საქართველოში. გარე და შინაურმა მტრებმა კარგად შეისწავლეს ჩვენი შინაგანი ბუნება და ჩვენი ერის განადგურების შესაბამისი გეგმაც შეიმუშავეს. ამ შემთხვევაში ეს იყო მტრების მიერ დადგმული სცენარი, გარკვეული ეროვნული ძალების გამოყენებით. როგორც ჩანს, ქართველი პოლიტიკოსები და ქართული საზოგადოება ძალიან ადვილი სამართავი აღმოჩნდა გარედან და ყოველთვის ცდილობდნენ მის მართვას ჩანერგილი პიროვნებების და დაბალი პოლიტიკური აზროვნების გზით. ოცდაერთი ადამიანის სიკვდილი, ეს დიდი დანაკარგია ჩვენი ქვეყნისთვის.

— და ათასობით მონამლული ადამიანი, მამაო, — ჩაერთო საუბარში ლექსო, — გაიგსო საავადმყოფოები მონამლული ადამიანებით და ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა მიმსვლელთა ნაკადი. ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი ამ ტრაგედიაზე?



— მიუხედავდ იმისა, რომ ვიღაც უხილავის კარნახით ქართული მიღიცია არ ჩადგა მომიტინგეებსა და სამხედროებს შორის, — მიუგო მამაომ, — მიუხედავად იმისა, რომ ყველამ დაინახა, რომ სამხედროებმა აკრძალული იარაღი გამოიყენეს მომიტინგეების წინააღმდეგ, ერთადერთმა — პატიაშვილმა ტრაგედიის ღამესვე გააცნობიერა თავისი წილი პასუხისმგებლობა და საკავშირო ტრიბუნიდან განაცხადა: „მე არ ვცდილობ თავი ავარიდო პასუხისმგებლობას, იგი გავაცნობიერე იმავე ღამეს და მაშინვე განვაცხადე წასვლის შესახებ“. კარგი იქნებოდა, რომ მსგავსი გრძნობა და შეგნება საქართველოს სხვა უმაღლეს ფუნქციონერებსაც გასჩენოდათ. შეცდომების, მონანიების გრძნობის განცდის მძიმე ჯვარი უნდა ზიდონ რადიკალ-ექსტრემისტმა არაფორმალებმაც, რომელთა მცდელობითაც მოეწყო ეს სასაკლაო. დანაშაულის განცდა უნდა ჰქონდეს ქართველინტელიგენციასაც. ყოველივე მომხდარმა დაადასტურა ის, რომ ჩვენ გვახასიათებს პოლიტიკური შეგნების დაბალი დონე, რელიგიურობაზე აღარაფერს ვამბობ, ამიტომაც ჩვენს გონიერაზე ემოცია ბატონობს. ასე, რომ ამ ტრაგედიის გამო, დამნაშავედ თავი მრავალმა ქართველმა უნდა იგრძნოს და შესაბამისად, მონანიებაც საყოველთაო უნდა იყოს.

ლექსო და გურამი ყურადღებით უსმენდნენ მამა მიქაელს და ხვდებოდნენ, რომ მოძღვარი თავის ნააზრევში საქართველოს მომავალსაც გულისხმობდა. მამაო თითქოს მიხვდაო მამა-შვილის ნაფიქრალს და გურამს მიუბრუნდა:



— ჩემო გურამ, ჩემო სულიერო შვილო, დაიმახსოვრე, შენ არ მოგელის ია-ვარდებით მოფენილი ცხოვრების გზა. შენი და შენი თაობის ზურგზე გადაივლის ამ ქვეყნის ორომტრიალი, რათა საქართველო გამოვიდეს იმ ბურუსიდან, რომელიც დიდი ხანია ჩამოწოლილია ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაზე. ამიტომ ღმერთს ეპარებოდეთ. შენ კი, როდესაც გამოჯანმრთელდები, სჯობს ცოტა ხნით მაინც განერიდო ქალაქის ციებ-ცხელებას და სადმე სოფელში წახვიდე.

— სოფელში პაპაჩემის უმცროსი ძმა ცხოვრობს, მამაო, და იქ გავუშვებ დროებით, — უთხრა მამაოს ლექსომ, — სკოლის დირექციასაც ჩავაყენებ საქმის კურსში. ნატო და მე ხშირად ჩავაკითხავთ ხოლმე.

— ეკლესია ხომ არის სოფელში?

— დიახ, მამაო, მღვდელიც ჰყავთ — დეკანოზი ანტონი და წირვა-ლოცვაც ტარდება.

— ჰოდა, ძალიან კარგი. კურთხევას გაძლევ დაესწრო წირვა-ლოცვას, ჩააბარო აღსარება მამა ანტონს და ეზიარო ქრისტეს სისხლსა და ხორცს. — წარმოთქვა მამაომ, ოჯახის წევრებს ჯვარი გადასახა და დაემშვიდობა.

## X

ცხრა აპრილის შემდეგ, რამდენიმე დღეში მოწვეული იქნა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პლენური, სადაც უკვე ოფიციალურად დაისვა საკითხი პატიაშვილის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. პირველ კენჭისყრაზე საკითხის დადებითად გადაჭრას მხარი არავინ დაუჭირა, ხოლო მეორე კენჭისყრაზე — პლენურის წევრებმა თანხმობით უპასუხეს. ერთადერთი, ვინც ბოლომდე თავი შეიკავა, რეჟისორი რეზო ჩხეიძე იყო.

პლენურზე დასახელდა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კანდიდატურაც. ამ პოსტზე გივი გუმბარიძე ერთხმად აირჩიეს. აგრეთვე შეფასება მიეცა არაფორმალთა ლიდერების ქმედებასაც, რომლებიც ამ პერიოდისათვის უკვე დაპატიმრებულნი იყვნენ. რასაკვირველია, შეფასებები იყო კრიტიკული და უარყოფითი.

პლენურზე აშკარად იგრძნობოდა შევარდნაძის გავლენა. იგი მაშინ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კრემლიდანაც ახერხებდა ყოფილიყო საქართველოს უჩინარი ხელისუფალი, რომელიც „სამართალმემკვიდრე“ თვითონ ირჩევდა. ვინაიდან პატიაშვილმა შევარდნაძეს უარი უთხრა ეთქვა ტყუილი, რომ ვითომ საქართველოს ტერიტორიაზე ჯარები მისი მოთხოვნითა და დავალებით შემოვიდნენ, ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, პატიაშვილის მისამართით უარყოფითად განეწყო და ეცდებოდა,



რომ მისგან შეექმნა „განტევების ვაცი“, რაც სატანით შეპყრობილი არსებისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა. ეს ყოველივე მაღევე დაადასტურა, პატიაშვილის მისამართით, ცეკას მეორე მდივნის — ნიკოლსკის სატელეფონო ზარმა:

— შევარდნაძემ ვერ მოიცალა ვერც თქვენთან შესახვედრად და ვერც დასამშვიდობებლად. იგი დღეს მიფრინავს მოსკოვში.

,მოუცლელობის“ ახსნას დიდი პოლიტიკური მიხვედრილობა არ სჭირდებოდა, ისედაც ცხადი იყო ყველაფერი.

იგივე სიტუაცია დახვდა პატიაშვილს მოსკოვში, როდესაც გაემგზავრა საკავშირო ცენტრალური კომიტეტის პლენურზე დასასწრებად. გორბაჩოვმა არ მიიღო, შევარდნაძის მსგავსად მოუცლელობა მოიმიზება და მდივნის მეშვეობით შეუთვალა:

— გადაეცით ამხანაგ პატიაშვილს, რომ ახლა არ მცალია. იაკოვლევი ელოდება და მას შეხვდეს.

იაკოვლევი, სხვებთან შედარებით, ადამიანებთან ნორმალური ურთიერთობით გამოირჩეოდა და ამიტომაც არ იყო გასაკვირი, რომ პატიაშვილთან საუბარი თბილისში დატრიალებული ტრაგედიით გამოწვეული გულისტკივილით დაიწყო, შემდეგ კი საქმიან ნაწილზე გადავიდა:

— რას აპირებთ მომავალში? ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ საკავშირო მინისტრის მოადგილის პოსტი შემოგთავაზოთ მოსკოვში.



პატიაშვილი არც დაფიქრებულა და უპასუხა:

— გამორიცხულია. ჩემი და ჩემი ოჯახის ცხოვრება, წარსული, აწმყო და მომავალი საქართველოსთანაა და-კავშირებული, ამიტომ მე ვერ შევძლებ მოსკოვში საცხ-ოვრებლად და სამუშაოდ გადმოსვლას.

იგივე შეთავაზება მიიღო საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა პირველმა მდივანმა რაზუმოვსკისგან, რაზეც პატიაშვილისგან უარი მიიღო. ბოლოს, შეხვედრა შედგა შევარდნაძესთან საგარეო საქმეთა სამინისტროში. პატიაშვილი უყურებდა მის ყოფილ ხელმძღვანელს და აშკარად ხედავდა, რომ ის უკვე აღარ იყო ის ადამიანი, რომელთანაც წლების გან-მავლობაში პატივისცემა და ერთგულება აკავშირებდა. შეხვედრა იყო ცივი, სუბორდინაციული და ყოველგ-ვარ ადამიანურ, გულთბილ და თანამგრძნობ ემოციებს მოკლებული. ის პირდაპირ საქმეზე გადავიდა და პატი-აშვილს უთხრა:

— პლენუმზე დადგება საკითხი იმის თაობაზე, რომ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან ყველა ყოფილი პარტიული ფუნქციონერი გამოვიყვანოთ, მათ შორის გრომიკოც. გორბაჩივის გადაწყვეტილებით, როგორც გამონაკლისი, მხოლოდ შენ რჩები ცეკას შემადგენლობაში.

პატიაშვილმა შეკითხვას დუმილით უპასუხა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მისთვის ახლა ყველაფერი სულერთი იყო და კრემლის „მოწყალებისათვის“ მადლობის გადახ-დას არ აპირებდა. შევარდნაძე, რა თქმა უნდა, უკვე ინ-



ფორმირებული იყო რაზუმოვსკისთან და იაკოვლევთან პატიაშვილის შეხვედრების შედეგების შესახებ და ისიც იცოდა, რომ მან მოსკოვში სამუშაოდ გადასვლაზე უარი განაცხადა, ამიტომ ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე გააგრძელა დაწყებული საუბარი:

— ჩვენ ისიც ვიფიქრეთ, რომ საქართველოშიც მოგვეძებნა შენოვის სამუშაო ადგილი. რას იტყვი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავის“ გენერალური დირექტორის პოსტზე?

პატიაშვილმა შეხედა ამ სიყალბით განდიდებულ და სიცრუით გაუღენთილ არსებას, გაუკვირდა კიდეც მის-გან ასეთი შემოთავაზება. მან კარგად იცოდა, რომ ჯუმბერი ამ დარგის სპეციალისტი იყო და უყვარდა თავისი საქმიანობა. პატიაშვილი დაფიქრდა და უპასუხა:

— წინადადება აბსოლუტურად დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ვერც მას მივიღებ, რადგან ამ საწარმოს უკვე ჰყავს დირექტორი, რომელიც ჩემი მეგობარია.

— ეს პრობლემა არ არის, — უთხრა შევარდნაძემ, — ყველაფერს ისე მოვაგვარებთ, რომ არც ის შენი მეგობარი დარჩება უკმაყოფილო.

ცხრა აპრილის დადგმული სცენარი, რომელიც „უხილავმა ხელმა“ ისე წარმოადგინა, რომ კულისებშიც არ გამოჩენილა, იმ დიდი სპექტაკლის წინაპირობა იყო, რომელიც ღვთისმშობლის წილზედრ ქვეყანაში გამოცხადებისეული დიდი მეძავის მოსვლას მოასწავებდა.

## XI

აპრილი თბილისში უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. ქალაქი მაისს, ვარდობისთვეს ელოდებოდა, იმედი ჰქონდა, რომ ძალაში შესული გაზაფხული მეტ სითბოს შეიტანდა ადამიანთა გულებში, რომელიც აპრილის თვეში განვითარებული მოვლენების შედეგად გაცივდა და იმედის ჩასახვის ნაცვლად დიდი გულისწყვეტა მოუტანა მათ. კომენდანტის საათმა და შეიარაღებული სამხედროების ხეტიალმა ქალაქის ქუჩებში, ხალხში ხელისუფლებისადმი დიდი სიძულვილი გააღვივა. თბილისი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში სიხარულის ქალაქად იყო ცნობილი, დღეს ნაცრისფერი თალხით იყო შემოსილი. მხოლოდ გაზაფხულის მზე ქმნიდა ქალაქში ასე თუ ისე კეთილ განწყობას და მომავლის იმედით აღვსებდა ტრაგედიით დამძიმებულ მოსახლეობას.

გურამი თითქმის უკვე გამოჯანმრთელებულიყო. ახალგაზრდა და ძლიერმა ორგანიზმმა მალე სძლია მიღებულ ტრამვებს, თუმცა სნეულებამ სისუსტე მაინც დაუტოვა. იგი თავის ჯანმრთელობის მდგომარეობას იმდენად არ განიცდიდა, როგორც ამ პერიოდში თეკლასთან სიშორეს. ისინი მხოლოდ ტელეფონის მეშვეობით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს, რაც შეყვარებული ახალგაზრდებისთვის არაფერს ნიშნავდა. გურამს ყოველთვის თვალწინ ედგა მისი გულის სწორი. ამ იძულებითმა განშორებამ უფრო გაუძლიერა სიყვარული თეკლასადმი. ახლა ხვდებოდა თუ როგორ ძლიერ ჰყვა-



რებია, როგორ უნდოდა, რომ ბოდიში მოეხადა იმ გადატანილი ამბების გამო, მაგრამ არ ეძლეოდა საშუალება, რომ შეხვედროდა. „უნდა შევხვდე, — ფიქრობდა გურამი, — სხვანაირად გავგიუდები, — ახლა მახსენდება თუ სად, როდის ვხვდებოდი თეკლას და მენატრება ის დრო ... აღარ შემიძლია უმისობა ... ღმერთო, შენ მიშველე ... “. ბოლოს, გურამმა გადაწყვიტა, რომ მამისთვის გაენდოთავის გულის ნადები.

ლექსომ ყურადღებით მოუსმინა შვილს. იგი კარგად ხვდებოდა, რომ შვილის გამოჯანმრთელების ერთ-ერთ საშუალებას გურამის თეკლასთან შეხვედრა წარმოადგენდა. ამიტომ არ შეეძლო შვილისთვის აეკრძალა საყვარელი ადამიანის ნახვა.

— მე თანახმა ვარ, — უთხრა ლექსომ შვილს, — სიყვარულის წინააღმდეგ მე ვერ წავალ, ამის უფლება არ მაქვს, მაგრამ ყველაფერს თავის საზღვრები აქვს. ხომ ნახე საზღვრებს გარეთ გასვლამ რა შედეგი მოგიტანათ. მე ვფიქრობ, უმჯობესია სკოლაში შეხვდეთ ერთმანეთს და დანარჩენს მერე ცხოვრება გაჩვენებს.

— აბა, სოფელში წადიო? — გაიკვირვა გურამმა.  
— სოფელში წახვალ გამოცდების ჩაბარების შემდეგ,  
— გაეღიმა ლექსოს, — ჯერ ერთი, კლასი უნდა დახურდა მეორე, ასე დასუსტებული სად უნდა წახვიდე? მომაგრდები და მერე წახვალ, ზაფხულში სოფელში ყოფნას რა სჯობს. ძალიან კი გინდა სკოლის გაცდენა, მაგრამ არ გამოვა ეგ საქმე.

გურამი ერთ კვირაში სკოლაში მივიდა. ყველამ იცოდა, რაც გადახდა გურამს, მაგრამ ამაზე არავინ საუ-



ბრობდა. კლასელები, გურამის ვითომ კიბიდან ჩამოვარდნის ამბავზე, ერთმანეთში ხუმრობდნენ კიდეც — „ფული შევაგროვოთ და კარგი კიბე ვუყიდოთ, რომელიც პარკეტზე არ გაცურდებაო“. ერთადერთი თეკლა იყო, რომელიც კლასელების მიერ დადგმულ „სპექტაკლში“ არ მონაწილეობდა და თავისი დიდი და გაბრწყინებული თვალებით შესცეროდა გულის სწორს.

გურამი და თეკლა სკოლაში მხოლოდ ერთმანეთის მოკითხვას თუ ახერხებდნენ. ხან კლასელები არ აცლიდნენ, ხან მასწავლებლები. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ კი თეკლას ან მამა ელოდებოდა ხოლმე სკოლის აღაყაფის კართან, ან კიდევ დედა. ცხრა აპრილის შემდეგ მშობლებს ეშინოდათ, კიდევ რაიმე უბედურებას არ გადაჰყროდა მათი შვილი. გურამის და თეკლასთვის ასეთი მოკლე შეხვედრები და ერთმანეთის ნახვა ისედაც საკმარისი იყო, მაგრამ მათ ერთმანეთთან სიახლოვე და საუბარი სურდათ, რასაც სამწუხაროდ ვერ ახერხებდნენ. გაპარვაზე და გაქცევაზე ფიქრი ხომ, ცხრა აპრილის შემდეგ, ზედმეტი იყო.

ერთ დღესაც, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ბიოლოგის მასწავლებელმა განუცხადათ, რომ დირექციასთან შეათანხმა საკითხი და რამდენიმე საათით ვაკის პარკში წავიდოდნენ ბუნებაში გაკვეთილის ჩასატარებლად.

გაკვეთილის ჩატარების შემდეგ, მასწავლებელმა მოსწავლეებს მისცა უფლება ერთი საათი ესეირნათ პარკში და შემდეგ ყველანი ცენტრალურ შადრევანთან შეკრებილიყვნენ.



გურამის და თეკლას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ისინი გამოეყვნენ ძირითად ჯგუფს და „ლოკომოტივის“ სტადიონისკენ მიმავალ აღმართს შეუდგნენ. ირგვლივ გაზაფხულის სურნელი იდგა. ჰაერში ჟანგბადის ისეთი დიდი რაოდენობა ტრიალებდა, რომ მისი გემოს გასინჯვა და ჩაკბეჩა მოუნდებოდა ადამიანს. ჩიტების საამური ჭიკჭიკისაგან ხომ ყურთასმენა აღარ იყო. ახლა გურამზე ბედნიერი ადამიანი ამქვეყნად არ დაიარებოდა. ახალგაზრდები ერთმანეთის გვერდიგვერდ მიდიოდნენ და ხმას არ იღებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ ჰქონდათ ერთმანეთისთვის სათქმელი. ბოლოს, გურამმა თეკლას მხარზე მოჰკიდა ხელი და როგორც იქნა ენის ბორძიკით წარმოთქვა:

— თეკლა, კიდევ ერთხელ მინდა ბოდიში მოგიხადო ცხრა აპრილის ღამეს მომხდარი ამბისთვის. შენ რომ არა, ალბათ ...

— კარგი რა, გურამ, — აღელდა თეკლა, — მერამდენედ უნდა მითხრა ერთი და იგივე და მერამდენედ უნდა მომიხადო ბოდიში? სხვა სათქმელი არ გაქვს?

გურამი, მიუხედავად მისი გოლიათური აღნაგობისა, ძლიან მორცხვი იყო. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ თეკლას სიგიუმდე უყვარდა იგი. მაგრამ სიყვარულში გოგო ხომ არ გამუტყდებოდა, ამიტომ როგორც ვაჟკაცს მას უნდა გადაედგა ეს ნაბიჯი, თუმცა თავისი სიმორცხვიდან გამომდინარე, ვერა და ვერ ახერხებდა ამას. თეკლას უცებ გაეცინა. გურამი შეკრთა, მიხვდა რატო-მაც იცინოდა თეკლა. ბოლოს, თეკლამ ხელი მოჰკიდა გურამს და უთხრა:





— შენ რანაირი სოლოლაკელი ხარ! მართლა ოროსანი მოსწავლესავით იქცევი! მოდი ახლა და ორივემ ერთად ვთქვათ ერთი სიტყვა.

— რომელი, თეკლა? — ხმა აუკანკალდა გურამს.

— რომელი და ... მი-ყვარ-ხარ!

თითქოს ამას ელოდებოდა გურამი და იყვირა:

— მი-ყვარ-ხარ! ... მი-ყვარ-ხარ! ... მი-ყვარ-ხარ! ...

გარშემო ხეებზე რაც ჩიტები ისხდნენ, ამ შეძახილზე დაფრთხნენ და გაფრინდნენ, მხოლოდ შორიდან ისმოდა ბულბულის საამური გალობა, რომელიც შეყვარებულთა სულებს ესალბუნებოდა ...

გურამი მხრებში გაიმართა, როგორც იქნა თქვა სათქმელი, მართალია თეკლას დახმარებით, მაგრამ ხომ მაინც თქვა.

სახლში დაბრუნებული გურამი მშობლებმა ვეღარ იცნეს, იმდენად შეცვლილი იყო, ხალისიანი, მომლიმარი და მოსიყვარულე.

,თურმე რა ძალა ჰქონია სიყვარულს“, — ფიქრობდა გურამი, — „მიწას ვეღარ ვგრძნობ ფეხქვეშ, თითქოს ჰაერში დავდივარ, ყველაფრის ხალისი დამიბრუნდა. სი-ცოცხლე და ცხოვრება მიხარია. ღმერთო, დიდი მადლობა რომ გამაჩინე ამ ქვეყანაზე, შენ რომ არა თეკლას ხომ ვერ შევხვდებოდი ...“

მხოლოდ ერთი რამ ანუხებდა გურამს. სოფელში წასვლით ის თეკლას სიახლოვეს ვეღარ იქნებოდა. თეკლას აუხსნა თავის მდგომარეობა და მისგან ისეთი თბილი პასუხი მიიღო, რომ სიყვარული გაუასკეცდა:



— ოღონდ შენ იყავი კარგად და მე შენი გულისთვის ყველა სიძნელეს და გაჭირვებას გადავიტან. ცხრა მთას იქით რომ წახვიდე, იმდენ ხანს დაგელოდები, რამდენიც საჭიროა შენი მშვიდობით დაბრუნებისთვის.

გურამი ბედნიერი იყო. გადაწყვეტილი ჰქონდა, როგორც კი დაამთავრებდა სკოლას მაშინვე თეკლასთან ერთად შეექმნა ოჯახი. ეყოლებოდათ ბევრი შვილი და ერთმანეთის სიყვარულით დატკბებოდნენ სიცოცხლის ბოლომდე.

## XII

აპრილის ტრაგიკული ამბების შემდეგ, თბილისელების თვალწინ ისე სწრაფად გაილია გაზაფხული, რომ ვერც კი შენიშნეს სიცხიანი ზაფხულის დადგომა. ნოდარი ექიმმა ლექსოს კვლავ შეახსენა, რომ გურამი გაერიდებინა თბილისური სიცხისგან და დროზე გაეგზავნა სოფელში. გურამმა ბოლო გამოცდა რამდენიმე დღეში ჩააბარა და მოემზადა სოფელში წასასვლელად. ძალიან უჭირდა თეკლასთან განშორება, მაგრამ სხვა გზა არ იყო, მის ჯანმრთელობას ასე სჭირდებოდა. ეს თეკლამაც კარგად იცოდა და ამხნევებდა კიდეც გურამს:

— არაფერზე ინერვიულო, მე მუდამ შენთან ვიქენები ფიქრით, ოცნებით, ნატვრით. შენი ნაჩუქარი ყელსაბამი მუდამ თან მექნება, იმას ხომ შენი სურნელი ასდის.

— მე კიდევ, შენი სურათი მიმაქვს თან და როდესაც მოვინყენ მას დაველაპარაკები ხოლმე, — უთხრა გურამმა და დასძინა, — სოფლიდან რა ჩამოგიტანო?



თეკლამ ზევით აიხედა, საჩვენებელი თითი ტუჩებთან მიიტანა, თავისი ლამაზი თვალებით ალმაცერად გაიხედა შეყვარებულისკენ და უპასუხა:

— რა ჩამომიტანო და... რა ჩამომიტანო და... მინდვრის ყვავილების თაიგული ჩამომიტანე, — მერე გამომცდელად შეხედა გურამს და განაგრძო, — ხომ არ გეუხერხულება ყვავილების ხელში დაჭერა?

გურამმა თავისი გოლიათური ხელები ზევით აღაპყრო და დაიგუგუნა:

— არა, თეკლა!... შენი გულისთვის მთელი სოფლის მინდვრებს აქ ჩამოვიტან, თუ გინდა!... ოღონდ შენ რამე ისურვე, ჩემო სიყვარულო!...

მეორე დღეს ლექსო, ნატო და გურამი ძველი, მაგრამ კარგად შენახული „უიგულით“ კახეთისკენ მიჰქროდნენ. მინდვრებს გაზაფხულის სიმწვანე ჯერ კიდევ კარგად შემორჩენოდათ, თუმცა ზაფხულის სიცხე მაინც ცდილობდა შეეცვალა ბუნების იერსახე. ადამიანები მინდვრებში სარწყავ არხებს ასუფთავებდნენ. მოსალოდნელი გვალვების გამო, მოსავალს მორწყვა დასჭირდებოდა, ამიტომ თადარიგის დაჭერა აუცილებელი იყო.

— ეს მინდვრები თუ არ მორწყე მოსავალს არ მოგცემს, — თქვა ლექსომ და კიდევ ერთხელ გაიხედა მინდვრებში მოფუსფუსე ხალხისკენ, — აი, ჩვენს სოფელში კი მინა ტენიანია და მორწყვაც იშვიათად სჭირდება, ამიტომაც იქ ხილიც, ბოსტნეულიც და მწვანილიც კი გემრიელი და არომატულია.



— ეს შენ გეჩვენება მასე, — გაელიმა ნატოს და მეუღლეს გახედა, — ის მინა შენთვის მშობლიურია და ამიტომ იქაური შენთვის ყველაფერი განსაკუთრებულია.

— შეიძლება ასეც იყოს, ძვირფასო. მიყვარს ის ადგილები და რა ვქნა. — წამოიძახა მშობლიური მინის სიყვარულით გულანთებულმა ლექსომ და მანქანას სიჩქარე გამოუცვალა.

როგორც კი გრძელი აღმართი აიარა მანქანამ, ლექსომ გახარებულმა წამოიძახა:

— აგერ გამოჩნდა ჩვენი სოფელიც, ამწვანებულ მთებში დავანებული სამოთხე. აქ რა მოკლავს კაცს? ნეტავ რაღაც შემოსავალი მქონდეს და საერთოდ წამოვიდოდი ქალაქიდან და აქ ვიცხოვრებდი.

— მამა, — ჩაერთო საუბარში გურამი, — მაგას ახლა ჩემს გასაგონად თუ ამბობ, არაფერი გამოგივა. ჩემს სოლოლაკს მე არაფერში გავცვლი.

— ვნახოთ, — გაელიმა ლექსოს, — ნათქვამია: „გაგონილს ნანახი სჯობსო“.

— არა მგონია. — თავისას არ იშლიდა გურამი.

— კარგი, მაშინ სხვანაირად გეტყვი, — არ ცხრებოდა ლექსო, — თეკლა რომ აქ გადმოსახლდეს, მაშინ რომელი გირჩევნია — აქაურობა თუ სოლოლაკი?

გურამი მამის ნათქვამმა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, შეტრიიალდა მარჯვნივ და მანქანის ფანჯრიდან ბუნების დათვალიერებას შეუდგა.

როგორც კი სოფლისკენ მიმავალ აღმართს შეუდგნენ, თითქოს ჰაერიც, სიმწვანეც, ხალხიც რაღაც განსა-



კუთრებულად ეჩვენებოდათ. ზაფხულის ხვატით გათან-გული ბუნება სიგრილით ისე მიჩუმათებულიყო, რომ ადამიანს თავი სხვა განზომილებაში ეგონებოდა.

მასე ვაჩაძიანთ კარ-მიდამოს მიადგნენ. ეზოში გოროზად აღმართული მაღალი და სქელძირიანი ცაცხ-ვის ხეები იმის მანიშნებელი იყო, რომ აქ დიდი ხანია სახლობდა ძველი ქართული ჯიშ-ჯილაგის ხალხი. ორ-სართულიანი ქვიტკირის სახლი კოპწიად იყო ჩადგმული ხეებით დაბურულ სიმწვანეში. ხასხასა ბალახი მნახველს განსაკუთრებულ ხასიათზე აყენებდა. მოგინდებოდა, რომ უმაღ გაგეხადა ფეხსაცმელი და ამ ბუნებრივ ხალ-იჩაზე გაგევლო, მასზედ ამოსულ ყველა ყვავილს სათი-თაოდ მოფერებოდი და მისი სურნელით დამტკბარიყავო. წლის ყველაზე ცხელ დღესაც კი შეეძლო ადამიანს თავი ლალად ეგრძნო ბუნების ამ მშვენიერ სალხინობელში. ლექსო დადგა ეზოს შუაგულში, ხელები ზეცისკენ აღა-ჰყორ და აღფრთოვანებულმა წამოიძახა:

— თუ გინდა ცხადად წარმოიდგინო სამოთხე — აი, ეს არის!, — მერე გაიხედა მარცხნივ და მარჯვნივ წამომართული მთებისკენ, რომელიც ცივგომბორის ქედზე იყო მიბჯენილი და განაგრძო, — აგე! მარცხნი-დან მზე ამოდის, ხოლო მარჯვნივ — ჩადის, აქეთ აისია, იქით კი — დაისი.

— ჰო! აისი და დაისი გადაგარჩენს საყვედურს, შე მამის შვილო! — გაისმა მუხნარით დაფარული ტყიდან მოხუცის ხმა.

ლექსომ გაიხედა ტყისკენ და სიხარულისგან აღტკი-ნებულმა იყვირა:



— ნიკალა პაპა! სადა ხარ, კაცო! სახლიდან არავინ რომ არ გამოგვხედა, ცოტა ვინერვიულე. როგორა ხარ, პაპი?

— როგორცა მკითხულობ, შე მამის შვილო! ეგრე უნდა დავიწყება? მა ჯიგარი არ გეწვება ხოლმე!?

ნიკალა ლექსოს პაპის უმცროსი ძმა იყო. მეუღლე ადრე გარდაეცვალა და ობლად დარჩენილი ერთადერთი ქალიშვილი მალევე გაათხოვა მეზობელ სოფელში. ის იყო მისი პატრონი, თუმცა ნიკალას საპატრონოც არაფერი სჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე სიცოცხლის მერვე ათეული წელი გაესრულებინა, ვაჟკაცურად გამოიყურებოდა, ტყემიც დადიოდა, საქონელსაც უვლიდა და ორი წყვილი კრუხ-ნინილაც მოემრავლებინა. ერთადერთი კაცი იყო კახეთის ამ ულამაზეს სოფელში, რომლისგანაც არავის გინება არ გაეგონა. სძულდა ცუდი სიტყვების წარმოთქმა. თუ რაიმე ენყინებოდა ორი სიტყვით გამოხატავდა ხოლმე — „შე, მამის შვილოო!“ ახლაც ასე მიმართა თავის ძმის შვილიშვილს. დიდი ხანია ლექსო არ ყოფილა სოფელში, შორიდან მოიკითხავდა ხოლმე ნიკალა პაპას, რაზეც ეს უკანასკნელი ყოველთვის ერთი და იგივეს პასუხობდა:

„ შენი ქალაქური საჩუქრები კი არ მჭირდება, არამედ შენი და შენი ცოლ-შვილის ნახვა მინდა, შე მამის შვილო! მაი, პაპა არ გენატრება!?”

ახლაც იგივე გაიმეორა ნიკალა პაპამ და თან ყურიც აუნია ლექსოს. მერე ყველას სათითაოდ გადაეხვია, გულში ჩაიკრა, ცრემლიც წამოუვიდა და თავისი სისხ-



ლის და ხორცის ნახვით გახარებულმა სახლში შეიპატი-  
ჟა „სტუმრად“ გადაქცეული თავისი ჯიშ-ჯილაგი.

სახლში სიძველის სასიამოვნო სუნი იდგა. ოთახები  
დალაგებულ-დასუფთავებული იყო. ყველა საოჯახო  
ნივთი, მიუხედავად მისი სიძველისა — კრიალებდა.

— ფიქრია ხშირად მაკითხავს ხოლმე, — თქვა ღიმილ-  
ით ნიკალა პაპამ, — სახლის შინაგან საქმეთა მინისტრი  
ის არის, შიდა საქმეებს ის აკეთებს, მე საგარეო საქმეთა  
მინისტრი ვარ. რა ვქნა, აბა, იმ მადლიანმა გამჩენმა სა-  
კუთარი ბიჭი არ მალირსა და თქვენ კიდევა მოხუცი პაპა  
არ გაინტერესებთ.

— რას ამბობ, ნიკალა პაპა, — დაიმორცხვა ლექსომ,  
ჩვენ ძალიან გვიყვარხარ, მაგრამ ხომ იცი სამსახური,  
სახლი...

— ჰო, კარგი, — შეაწყვეტინა ნიკალა პაპამ, — დაინ-  
ყე თავიდან... ალარ გვინდა... რაც არის, არის...

— ნიკალა პაპა, — განაგრძო ლექსომ საუბარი, —  
ახლა ერთიანად უნდა ავანაზღაუროთ ის, რაზეც აქამდე  
და ახლაც მსაყვედურობ. აგე, ბიჭი ჩამოგიყვანე და შენ-  
თან დარჩება მთელი ზაფხული.

ნიკალას სახე გაუნათდა და გახარებულმა იკითხა:

— მომეყურა, თუ მართალს ამბობ?

— არ მოგეყურა ნიკალა პაპა, მართალია.

ლექსო მოუყვა პაპას, რაც გადახდა გურამს და რა  
ძნელი და რთული დღეები გამოიარა მისმა ოჯახმა.

ნიკალა პაპამ გურამი მეერდში ჩაიკრა, თავზე ხელი  
გადაუსვა, მერე შუბლზე აკოცა და უთხრა:



— გადარჩენილხარ, შვილო. ცხრა აპრილის ამბები ყველამ გავიგეთ, მაგრამ თუ გურამიც მოჰყვა მაგუბედურებაში არ ვიცოდი, — მერე ისევ ლექსოს შეხედა და განაგრძო, — არ უნდა შეგეტყობინებინა, შე მამის შვილო!?

— აღარ შეგაწუხე, პაპა, — მიუგო ლექსომ, — არ მინდოდა, გენერვიულა. ახლა კარგად არის და ექიმის რჩევით სოფელში ჩამოვიყვანეთ. ასე გვითხრა — სუფთა ჰაერი და სინწნარე სჭირდებაო. მე და ნატო კი ყოველ კვირას ჩამოვაკითხავთ. ისე რომ, ცოტა სიმყუდროვეს დაგირდვევთ.

— რას ამბობ, შვილო!? — თქვა ლექსოს სიტყვების მოსმენის შემდეგ გაკვირვებულმა ნიკალამ, — რა სიმყუდროვე!? რის სიმყუდროვე!? ჩემზე ბედნიერი კაცი დღეს არ არსებობს. დიდება და მადლობა უფალს დღევანდელი დღისთვის!

ამასობაში მოსალამოვდა კიდეც. ეზოს შემოგარენში ნელ-ნელა ინთებოდა ციცინათელების ნაზი ნათება, შორიდან კი ისმოდა ჭრიჭინების გაბმული ჭრიჭინი. მზე დიდი ხანია რაც ჩასულიყო მთის უკან, ცის კაბადონზე კი მთვარეს დაედგა ტახტი და დაჰყურებდა ახალი ცხოვრების მოლოდინში დადუმებულ ლვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას.

## XIII

დილით ლექსო მამლის ყივილმა გააღვიძა. ძილის შესაბრუნებლად საწოლში გვერდი იცვალა, მაგრამ ღია ფანჯარასთან ჩამოქროლილმა გრილმა და ჟანგბადით სავსე ნიავმა ძილი გაუკრთო და სასიამოვნო ხასიათზე დააყენა. საათს დახედა და გაკვირვებულმა ისევ ფანჯრისკენ გაიხედა, საიდანაც დილის ნიავთან ერთად, მზის სხივებიც ლამობდენ შემოჭრას — ჯერ მხოლოდ ექვსის ნახევარი იყო. „ამ დროს ქალაქში ყურთან წივილ-კივილი რომ ამიტეხო, ვერ გამაღვიძებ, — ფიქრობდა ლექსო, — აქ კი, აღარც მეძინება და ერთი სული მაქვს გარეთ როდის გავალ“. წამოდგა, ჩაიცვა და სახლის აივანზე გავიდა. უცებ, ორლობეში მიმავალი ნიკალა პაპა შენიშნა, რომელიც საქონელს მიერეკებოდა.

— რა კაცია ნიკალა? — გაედიმა ლექსოს, — ჩვენზე გვიან დაწვა დასაძინებლად და აგერ უკვე სად მიდის. ღმერთმა დიდხანს და ჯანმრთელად გამყოფოს, პაპი!

ბოლო სიტყვები ხმამაღლა წარმოთქვა ლექსომ, ისე ხმამაღლა, რომ ამის გამგონე შემოღობილში გამომწყვ-დეულმა ინდაურებმა ისეთი ხმაური ატეხეს, რომ მათი ჭუკები, გაქცევის მიზნით, ჯგუფ-ჯგუფად აწყდებოდნენ შემოღობილის რკინის ბადეს.

ლექსო გახალისდა. ხარბად დაიწყო დილის დაუბინძურებული პაერის სუნთქვა, მერე სახლში შებრუნდა და ხმამაღლა შესძახა:

— ხალხო! გაიღვიძეთ, სამოთხეში ვართ!





— კარგი, რა გაყვირებს, ლექსო! — სამზარეულოდან გამოსძახა ნატომ ქმარს, რომელსაც უკვე ყავის მომზადების თადარიგი დაეჭირა, — თავი დაანებე, არ გააღვიძო, არ გახსოვს ექიმმა რა გვითხრა!?

— ჰოო, კარგი, კარგი, დამავიწყდა, — მოიბოდიშა ლექსომ, — ამ სილამაზისგან გავითიშე. ჩემი ბრალი არ არის.

მალე ნიკალა პაპაც დაპრუნდა. სათავსოდან ახლად-მოწველილი რძით სავსე სათლი გამოიტანა, სამზარეულოს მაგიდაზე დადგა და ნატოს მიმართა:

— შვილო, სანამ ყველს ამოვიყვან, ქვაბში ჩაასხი რძე და აადუღე. გურამისთვის და თქვენთვისაც ძალიან კარგია, ყველაფერსა შველის, სუფთაა და ნატურალური.

ვაჩაძეებმა სუფთა ჰაერზე ისაუზმეს, ისადილეს, ინებივრეს და საღამოს თბილისში წასასვლელად ყოემზადნენ.

— აბა, პაპი, — უთხრა ლექსომ ნიკალას, თან ხელი მხარზე გადახვია და შუბლზე აკოცა, — გურამს გიტოვებდა შენებურად არ გაანებივრო, ხანდახან გვერდში დაიყენე და სოფლის საქმეებს მიაჩვიე.

ნიკალა პაპას გაეღიმა და მიუგო ლექსოს:

— შენ მაგაზე არ ინერვიულო, ყველაფერი რიგზე იქნება.

ლექსო და ნატო ჩასხდნენ მანქანაში და მალე თვალს მიეფარნენ

დღე დღეს მისდევდა, გურამი ნელ-ნელა შეეჩვია სოფლის ცხოვრებას, ფერზეც მოვიდა, ნიკალა პაპას საშინაო საქმეებშიც ეხმარებოდა და ასე გადიოდა დრო.



ერთ დილით ნიკალა პაპამ ვირს გადაჰკიდა ვაზის შესაწამლი აპარატი, შაბიამანი, კირი, სხვა ნივთები და წასასვლელად მოემზადა. ახლადგაღვიძებული გურამი დაინტერესდა საით აპირებდა პაპა წასვლას.

- ვენახი უნდა შევწამლო, შვილო. — უპასუხა გურამს.
- მეც წამოვალ, პაპა, სახლში მარტომ რა ვაკეთო?
- წამოდი, გურამ, — მიუგო ნიკალამ, — ოღონდ იმ პირობით, რომ იქ ჩეროში გაჩერდები და მზეზე არ გახვალ, თორემ შენს თავს ეგ არ მოუხდება, ხომ იცი?

გურამმა თანხმობის ნიშნად თავი დახარა, დაიხურა თბილისიდან საგანგებოდ წამოლებული ჩალის ქუდი და ნიკალა პაპასთან ერთად გაუდგა ვენახისკენ მიმავალ გზას.

ვაჩაძიაანთ ზვრები იქვე დაბლობში იყო გაშენებული, სოფლის მოსახლეობის ვენახებთან ერთად. ისინი ერთმანეთთან იყვნენ შეთანხმებულნი, რომ დათქმულ დროს ერთდროულად შეენამლათ ვაზი, რათა უფრო მყარად ყოფილიყო მცენარე დაცული მავნებლებისა-გან. ამ მეთოდმა გაამართლა და ამიტომ ახლაც, ზვრები სავსე იყო მოფუსფუსე ადამიანებით. გურამმა მათ შორის მღვდელიც შენიშნა და ნიკალა პაპას ჰკითხა:

- პაპა, მღვდელი რას აკეთებს აქ?
- ჩვენი ვენახის მეზობლად ეკლესიის ზვრებია და თავის სტიქაროსნებთან ერთად არის მოსული ვაზის შესაწამლად, — მიუგო ნიკალამ, — სხვათა შორის კარგად უკლიან და მოსავალიც საუკეთესო მოსდით.

ნიკალამ გურამი ვენახის თავში მდგარ კაკლის ხის ქვეშ გამართულ სკამზე დასვა და უთხრა:



— პირობა მომეცი, რომ მზეზე არ გახვალ. მე სადღაც სამ საათში მოვრჩები საქმეს და მერე წავალთ. მანამდე აგე, უურნალები წამოგიღე და გადახედე, ჩემმა გოგომ მომიტანა — კარგი რამეცები წერიაო.

გურამი ისე გაერთო უურნალების კითხვით, რომ ვერც შენიშნა როგორ მიუახლოვდა მამაო.

— მშვიდობა, შვილო, — უთხრა მამაომ გურამს, ჯვარი გადასახა და სკამზე ჩამოჯდა, — მე მამა ანტონი ვარ, ამ სოფლის ეკლესიის წინამძღვარი. შენ, როგორც ჩანს, აქაური არ ხარ?

— თბილისიდან ვარ, მამაო, — მიუგო გურამმა, — ნიკალა ვაჩნაძის შვილთაშვილი ვარ.

— ჰოო, ნიკალა მაგარი კაცია, ღვთის შვილია. ნეტავ ყველა მაგისთანა მშრომელი იყოს, ეშველებოდა ჩვენს ქვეყანას. და შენ რატომ არ ეხმარები? შესანამლი აპარატი მძიმეა ბერიკაციისთვის.

— ტვინის შერყევა მქონდა, მამაო, მზეზე გასვლა და სიმძიმეების აწევა აკრძალული მაქვს. ექიმმა სიწყნარე და სუფთა ჰაერზე ყოფნა გამომიწერა და ამიტომ ვარ აქ პაპასთან.

— ალბათ, დაეცი ხომ? — ჩაეძია მამაო.

— არა, ცხრა აპრილის ღამეს მოვყევი ჭყლეტაში და თავი კედელს მივარტყი, — მიუგო გურამმა, — სერიოზული ჭრილობა მქონდა.

— გადარჩენილხარ, შვილო. ღმერთმა დაგიფარა. სანამ აქ იქნები, ჩვენთან ეკლესიაში მოდი ხოლმე და პარაკლისს წაგიკითხავ.



— აუცილებლად, მამაო, — თქვა გურამმა და ფეხზე წამოდგა, — მე ისედაც უნდა მოვსულიყავი თქვენთან. დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესის მრევლის წევრი ვარ და ჩემმა მოძღვარმა, მამა მიქაელმა წამოსვლის წინ კურთხევა მომცა, მოვსულიყავი თქვენთან, აღსარება ჩამებარებინა და ვზიარებულიყავი.

— კი, შვილო, აუცილებლად მოდი. უფალი დიდია და აუცილებლად გამოგაჯანმრთელებს. ახლა თქვენისთანა ახალგაზრდები სჭირდება ჩვენს სამშობლოს.

მამა ანტონი მრავალჭირგამოვლილი კაცი გახლდათ. იგი და მისი თაობის ადამიანები, კომუნისტურ საზოგადოებაში გაიზარდნენ. მან გაიარა ის რთული პერიოდი, რაც მსოფლიო ომმა დაუტოვა ქვეყანას — გაჭირვება, შიმშილი, უღმერთობა. მაგრამ სოფელში ადამიანების თანადგომამ და სიყვარულმა მათ ოჯახსაც გადაატანინა ის რთული პერიოდი და სულ მაღლე ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა. მამა ანტონს, რომელსაც ერისკაცობაშიც ანტონი ერქვა, ბავშვობიდან თან სდევდა რაღაც უხილავის შიში, რომელიც თანდათან უძლიერდებოდა. ბოლოს, გადაწყვიტა ალავერდში წასულიყო და მღვდლისთვის გაენდო თავისი მდგომარეობა. მამაომ მოუსმინა ანტონს და ღიმილით უთხრა: „შვილო, ის უხილავი, რომლის შიშსაც შენ განიცდი — უფალია. ეს კარგია, რადგან ადამიანს არავისი და არაფრის შიში არ უნდა ჰქონდეს, გარდა ღმერთისა და საკუთარი ცოდვებისა. ეცადე, რომ ახლოს მიხვიდე უფალთან, აკეთე კეთილი საქმეები და უფლის ანგელოზი გიჩვენებს გზას ჭეშმარიტებისას“.



ანტონმა გულთან მიიტანა მღვდლის ნათქვამი და ეცადა შეეცვალა თავისი ცხოვრება. მან, თანამოაზ-რეებთან ერთად, დაიწყო სოფელში მდებარე დან-გრეული წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის აღდგენა, რომელიც კომუნისტებმა ორჯერ დაუნგრიეს. ანტონმა დახმარებისთვის მიაკითხა საქართველოს ძეგლთა დაცვის სამმართველოს, მათ კი ეკლესიის საძირკველ-ზე კედლების აშენება ისტორიული ძეგლის დამახინჯებად მიიჩნიეს, რაც კანონის უხეში დარღვევა იყო და შვიდი წლით ციხეში იზოლირებას ნიშნავდა. შემდეგ კი კომუნისტურ-ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიულად „დაუყვავეს“, აღუთქვეს დახმარება, რომ მას არ დააჭერინებდნენ და საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ სანაცვლოდ შეიძლება ქრთამიც მოეთხოვათ. ანტონი გამოპრუნდა უკან, ძეგლთა დაცვის სამმართველოსკენ აღარც გაუხედავს, თუმცა საგონებელში ჩავარდა, როგორ მოეხერხებინა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა.

არ გასულა დიდი ხანი და ანტონს სიზმარში მოხდენილი ჭაბუკი გამოეცხადა, რომელიც რატომდაც თავის გარდაცვლილ ძმას — გიორგის მიამსგავსა. ჭაბუკმა მკაცრად მოსთხოვა: „რატომ არ აშენებ ეკლესიასო!?” ანტონი გაბრაზებულა — „როგორ ბედავს უმცროსი ძმა ჩემთან ბრძანებით საუბარსო!?", მაგრამ კარგად რომ დაჰკვირვებია, ის ძმა კი არა, წმიდა დიდმონამე გიორგი ყოფილა.

ეს უკვე წმიდანის მიერ ეკლესიის მშენებლობაზე კურთხევას ნიშნავდა. ანტონმა მეორე დღესვე განაგრ-



ძო ტაძრის მშენებლობა, ხელისუფლებიდან აღარავინ გაჰკარებია მას. როგორც კი დაამთავრა ტაძრის მშენებლობა, იმავე ღამეს სიზმარი ნახა, თითქოს ამავე ეკლესიაში აკურთხეს მღვდლად. გამოღვიძებულს გასცინებია: „სად მე და სად მღვდელიო?“ მალევე უნახავს კიდევ ერთი სიზმარი, ტაძარში საეკლესიო პირებმა მღვდლად აკურთხეს და სახელად ისევ ანტონი დაარქევს. ყოველივე მომხდარმა და დანახულმა სერიოზულად დააფიქრა ანტონი და სიონის ტაძარში პატრიარქს ეახლა. უწმიდესსა და უნეტარესს ყველაფერი უამბო. რამდენიმე დღის შემდეგ, პატრიარქის მდივანმა სიონის ტაძრის ცნობილ მედავითნე ანტისასთან გააგზავნა, რომელმაც დააწყებინა საეკლესიო სწავლება. ერთი წლის შემდეგ, ანტონი დედა ანტისას შუამდგომლობით, პატრიარქმა სვეტიცხოველში გააგზავნა, სადაც მოღვაწეობა დაიწყო სტიქაროსნად, შემდეგ აიყვანეს დიაკონის ხარისხში და ბოლოს, თავისივე აშენებულ ეკლესიაში მღვდლად დაასხეს ხელი. მას შემდეგ აყვანილი იქნა დეკანოზის ხარისხში და ორ სტიქაროსანთან ერთად ემსახურებოდა სოფლის მოსახლეობას.

გურამი მოუყვა მამა ანტონს რაც გადახდა თავს. ამასობაში ნიკალა პაპაც გამოჩნდა, დაემთავრებინა ვენახის შენამვლა. მიესალმა მამაოს და პკითხა:

- გაიცანი ჩემი შვილთაშვილი, მამაო?
- გავიცანი, ნიკალა, კარგი ბიჭი ჩანს, — უპასუხა მამაომ, — ჩემთან ეკლესიაშიც მოვიპატიუე. მერე იქ გავაგრძელებთ საუბარს.



— აუცილებლად, მამაო, — გაეხარდა ნიკალას, — ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

ნიკალა და გურამი დაემშვიდობნენ მამა ანტონს და დაადგნენ სახლისკენ მიმავალ გზას.

## XIV

მიუხედავად თბილისური ცხელი ზაფხულისა, ქალაქი ხალხით იყო სავსე. ადამიანები რაღაც ახლის მოლოდინ-ში იყვნენ. ლექსოც იმ ქალაქელთა რიცხვში იყო, რომე-ლიც სამსახურში ჩვეულ რეჟიმში დადიოდნენ, მაგრამ დაფიქრებული ბრუნდებოდნენ ოჯახებში. ყველას ერთი აზრი უტრიალებდა გონებაში — „რა იქნება ხვალ?“

ერთ საღამოს, ლექსოს ნოდარი ექიმი ესტუმრა და გურამის ჯანმრთელობის მდგომარეობა იკითხა.

— ისე შენთან როგორი სიგრილეა, ლექსო, ქალაქში იწვის ყველაფერი.

— გეთანხმები, ნოდარ, — მიუგო ლექსომ, — რო-გორც კი დავითაშვილზე გასტრონომს გამოსცდები, ტემპერატურა რადიკალურად იცვლება და ღამე მაინც მძინავს ნორმალურად.

ნატომ სტუმარს ხილი, ნამცხვარი და ყავა მიართვა. ლექსო გაცხარდა:

— ყავა გვინდა ახლა ჩვენ! ? გაშალე სუფრა! რა ღვინო ჩამოვიტანე სოფლიდან, რომ იცოდეს ნოდარმა, ნამცხ-ვარს და ხილს პირს არ დააკარებს!

— ოპ! ოპ! ოპ! — იუარა ნოდარი ექიმმა, — დალევა არ მიხსენო!



— რატომ, ძმაო? პურ-მარილზე წიხლს მიკრავ თუ როგორაა შენი საქმე? — ხუმრობანარევი სიმკაცრით წამოიძახა ლექსომ და ლვინის მოსატანად წამოდგომა დააპირა.

— არა, თუ ძმა ხარ, ლექსო, — შეეხვეწა ნოდარი, — ნამდვილად ვერ დავლევ. რომ მახსენდება, მერე ჩემს დახუთულ ოროთახიან „ხრუშოვეკაში“ უნდა დავწვე დასაძინებლად, ახლავე კოშმარები მელანდება.

ორივემ ხმამაღლა გაიცინა. ლექსომ ნოდარს მხარზე ხელი დაარტყა და უთხრა:

— აგერ, ძმაო, ახლა ახალი ხელისუფლება მოვა და კონდენციონერიან ბინებს დაგირიგებთ ექიმებს.

— მეტი არაა ჩემი მტერი, ლექსო, — მიუგო ნოდარმა, — ვინაა მაგის გამკეთებელი? ესენი? მიტინგებით რომ უნდათ ქვეყნის აშენება? „სოფლის შენებას რა უნდაო!“ ყვირილით აშენებული ქვეყანა ჯერ არავის უნახავს. ისე-თი მეურნე კაცის გამვება ხელისუფლებიდან, როგორიც ჯუმბერ პატიაშვილია, შეიძლებოდა?

— გეტყობა, რაღაც იცი შენ ახალი, — სიტყვა შეა-წყვეტინა ლექსომ ექიმს, — არ მეტყვი?

— კი, ლექსო, ვიცი, — დაუდასტურა ნოდარმა, — მამაჩემი კარგად იცნობს ჯუმბერს და გუშინ მოინახულა. დიდხანს უსაუბრიათ. რაღაც-რაღაცეები მეც მო-მიყვა მამაჩემმა, იმ მიზნით, რომ იცოდე ვისთან გვაქვს საქმეო. რა თქმა უნდა, ბევრი რამ არ თქვა და არც მე მიკითხავს, ძალიან გულდანწყვეტილი იყო. პატიაშვილს უთქვამს: „არაფორმალებისგან სიკეთეს არ ველოდი,



მაგრამ მერაბ კოსტავასგან მიკვირს, ამათ როგორ აჰყვა. უმძიმესი ცხოვრების მიუხედავად, ბოლომდე ბავშვივით სუფთა და გულუბრყვილო ადამიანად დარჩა... მერაბი რომ ციხეში იჯდა, დედამისმა, ოლღა დემურიამ წერილი გამომიგზავნა, რომელიც ასე იწყებოდა „შვილო ჯუმბერ...“. ოლღა დემურია მთხოვდა, რომ საქართველოში გადმოგვეყვანა მერაბ კოსტავა, რომელიც მაშინ შორეულ აღმოსავლეთში იხდიდა სასჯელს. მერაბი იმხანად ავად იყო. მის ჯანმრთელობაზე ცუდად მოქმედებდა შორეული აღმოსავლეთის კლიმატი და ციხის აუტანელი პირობები, ამას ზედ დაერთო შვილის ტრაგიული გარდაცვალებაც. რაც მთავარია, დისიდენტთა შორის მერაბი იყო ერთადერთი, რომელიც ჯერ კიდევ იხდიდა სასჯელს. დანარჩენი, უკლებლივ ყველა, თავისუფლები იყვნენ და საკუთარი ცხოვრებაც აწყობილი ჰქონდათ. ზოგი ინსტიტუტებში დასაქმდა და ზოგმაც სამეცნიერო მუშაობას მიჰყო ხელი. ერთადერთი იყო მერაბი, რომელიც ვერ გატეხეს და ისევ ციხეში იჯდა. მე ინაურს დავუკავშირდი და ვკითხე, რისი გაკეთება შეგვეძლო მერაბ კოსტავას გასათავისუფლებლად. როგორც ინაურმა მითხრა: შორეული აღმოსავლეთიდან მერაბის გათავისუფლებას პირდაპირ ვერ შევძლებდით, ამიტომ იგი, როგორც პატიმარი, ისევ საქართველოში უნდა გადმოგვეყვანა, ხოლო მერე მალევე გაგვეთავისუფლებინა. თუ ინაურის მცდელობა შედეგს ვერ გამოიღებდა, მაშინ მე პირადად ჩავიდოდი კრემლში და შესაბამის უწყებას ვთხოვდი კოსტავას გათავისუფლებას. თუმცა, მალევე



გაირკვა, რომ ინაურმა მოახერხა და მერაბი შორეული აღმოსავლეთიდან მართლაც გადმოვიყვანეთ საქართველოში და იგი ქსნის კოლონიაში განაწესეს, საიდანაც, როგორც ჩაფიქრებული გვქონდა, სამ თვეში გავათავისუფლეთ. მერე მოვიდა ის ჩემთან და მადლობა გადამიხადა, თან დასძინა: „მე მადლობას იმისთვის კი არ გიხდი, რომ ციხიდან გამათავისუფლე. მადლობელი ვარ იმისთვის, რომ ქართველ ხალხს უყვარხარ ...“ სიმართლე გითხრა, სახტად დავრჩი. ცოტა ხნის შემდეგ კი, როცა საქართველოს მომავალ ბედზე ვსაუბრობდით, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივანს, „ცეკას“ შენობაში, ცკ-ს მდივნის კაბინეტში მერაბ კოსტავა მორიგ შოკის მომგვრელ ფრაზას მეუბნება: „ჩვენ დავამარცხებთ რუსების იმპერიას! ...“ აი, აქ კი საბოლოოდ დავრცმუნდი, რომ ჩემი მონდომებისა და სურვილის, ჩვენი საერთო ბავშვობისა თუ ახალგაზრდობის წლების მიუხედავად, მე და მერაბი საერთო ენას ვერასდროს გამოვნახავდით, რადგან სამყაროს, მათ შორის საკუთარ სამშობლოსაც, სხვადასხვა ორბიტიდან ვუყურებდით. მაქსიმუმი, რაც ჩვენი ურთიერთობიდან შეიძლებოდა გადარჩენილიყო, წარსულის მოგონება და ადამიანური, კაცური ურთიერთობა იყო. ჩვენ ხომ ორი წელი ერთად ვსწავლობდით მუსიკალურ სკოლაშიც, რომელიც წილკნის ქუჩაზე მდებარეობდა. რამდენჯერმე ზაფხულის სასკოლო არდადეგებიც კოჯორში ერთად გავატარეთ. მე მას შევთავაზე სამსახური კულტურის სამინისტროში, რაზეც საბოლოოდ უარი თქვა და მუსიკალურ სკო-



ლაში რიგით მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. არ ვიცი მერაბის ამგვარ გადაწყვეტილებაზე ვინმემ იქონია თუ არა გავლენა. არც ის არის გამორიცხული, რომ მას იმ-თავითვე გადაწყვეტილი ჰქონდა, ჩვენი წინადადება არ მიეღო, მაგრამ როგორც ჩანს, გულწრფელ შეთავაზებაზე უარი ვერ მითხრა და სიკეთის გაკეთების უფლებაც დამიტოვა“.

— საინტერესოა, — თქვა ლექსომ, რომელიც ყურადღებით უსმენდა ნოდარს, — გამოდის, რომ მერაბ კოსტავამ რადიკალურად შეცვალა თავისი გადაწყვეტილება და დაუპირისპირდა იმ ადამიანს, ვინც ის ციხეთა ჯოჯოხეთიდან იხსნა?

— როგორც ჩანს შეაცვლევინეს, — უპასუხა ნოდარმა, — მეშინია, რომ ეს ყველაფერი ცუდად არ დამთავრდეს. წესიერი და მართლა პატრიოტი კაცია მერაბ კოსტავა. მაგრად აირევა, ლექსო, სიტუაცია.

— ღმერთმადაგვიფაროს, ნოდარ. ძალიან დამაფიქრე, ხომ იცი?

## XV

სოფელში დღეები ნელა გადიოდა. ყველა მათგანი თითქმის ერთმანეთს ჰქავდა. ქალაქის ხმაურს მიჩვეული გურამი ხანდახან ადგილს ვერ პოულობდა და თვითონაც ვერ ხვდებოდა რატომ. სოფლის სიმყუდროვეს მეზობლების გადაძახილი და დილა-სალამოს ზანზალაკებიანი ძროხები თუ არღვევდნენ ხოლმე. ხოლო შა-



ბათ-კვირას — ეკლესიის ზარის გუგუნი, რომელიც ორ მთას შორის მდებარე სოფლის ყველა მაცხოვრებელს ამცნობდა, რომ მისულიყვნენ ღვთის სახლში და ელო-ცათ სამყაროს შემქმნელის წინაშე ერის, ქვეყნის და სა-კუთარი ოჯახების გადარჩენისთვის.

გურამი საღამოს ლოცვას დაესწრო. ანალოდიაზე დაბრძანებულ წმიდა გორგის ხატს რომ ემთხვია, გად-აწყვიტა ტაძრის ბოლოს დამდგარიყო და იქიდან ესმინა ლოცვისთვის. იქვე, სასანთლის უკან დაბრძანებული იყო წმიდა პირველმოწამე, მოციქულთა სწორის თეკლას ხატი. გურამმა პირჯვარი გადაიწერა და ხატს ემთხვია. წმიდანის ხატმა თავისი თეკლა გაახსენა. გული აუჩქარ-და ჭაბუკს, ის თეკლას გარდა ვერავის ხედავდა ირგვლივ და არც არაფერი ესმოდა. იყურებოდა საკურთხევ-ლისკენ, სადაც ამბიონზე მოსიარულე მამა ანტონი საცე-ცხლურით საკმეველს აკმევდა, მაგრამ გურამი ფიქრე-ბით თეკლასთან იყო — „ნეტავ სად არის? რას აკეთებს? ძალიან მომენატრა, ვეღარ ვძლევ მის გარეშე...“. ფიქრი მისკენ სანთლით ხელში მომავალმა სტიქაროსნის და-ნახვამ შეაწყვეტინა, რომელსაც უკან საცეცხლურით მამა ანტონი მოჰყვებოდა. როგორც კი მამაო გურამს მი-უახლოვდა, გაუღიმა და უთხრა:

- მადლობა, რომ მოხვედი, ღმერთმა დაგლოცოს!
- თქვენთან ერთად, მამაო. — უპასუხა გურამმა და თავი დახარა.
- ხვალისთვის აღსარებისთვის მოემზადე და გაზი-არებ. — მიუგო მამაომ და გააგრძელა კმევა.



გურამმა ზეთი იცხო და ჩამოლოცვის შემდეგ სახლისკენ გასწია. თეკლაზე ფიქრი არ სცილდებოდა, ყველგან მისი სახე ელანდებოდა. სახლში მისულმა, ვახშმობის შემდეგ, როგორც კი ზიარების წინა ლოცვების კითხვა დაიწყო, მაშინდა შეწყდა ყველანაირი ფიქრი და ხილვა და გურამის გონება მხოლოდ ლოცვებმა მოიცვა.

მეორე დღეს, კვირას, გურამმა მამა ანტონს ჩააპარა აღსარება და ეზიარა. ჯვარზე მთხვევის დროს, მამაომ სთხოვა გურამს, რომ დალოდებოდა მას, მანამდე კი სანამ მამაო ბარძიმს მიიღებდა, ზიარების შემდგომი ლოცვები წაეკითხა. გურამმა კურთხევა შეასრულა და მამა ანტონიც გამოჩნდა. მამაომ ხელი მოჰკიდა გურამს და უთხრა:

— წამოდი, ახლა მე და შენ ვიტრაპეზოთ და თან ვისაუბროთ.

— მამაო, კი მაგრამ ...

— არავითარი „კი მაგრამ“, ეს კურთხევაა, ხოლო კურთხევა უნდა შეასრულო. — გაელიმა მამა ანტონს და სტუმარს სატრაპეზოში შეუძლვა.

ტრაპეზი, რა თქმა უნდა, მოკრძალებული იყო, თუმცა არც ისეთი, რომ ადამიანი ვერ დანაყრებულიყო. დედას პური, ერთი ბოთლი ღვინო, ყველი, მწვანილი, კიტრი, პომიდორი, კომბოსტოს მწნილი და შემწვარი თევზი. მამაომ ლოცვა წაიკითხა, აკურთხა ტრაპეზი და უთხრა გურამს:

— მე, რაც მღვდლად მაკურთხეს, ხორცს აღარ მივირთმევ, ეს იციან ჩვენი მრევლის წევრებმა და ამიტომ



ხორცით მომზადებული კერძები არ მოაქვთ. მადლობა უფალს, რომ არ გვაკლებს ამქვეყნიურ საზრდელს.

— თუ საიდუმლო არ არის, ხორცს რატომ არ მიირთ-მევთ, მამაო? — ჰკითხა გურამმა მამა ანტონს.

— როდესაც მღვდლად მაკურთხეს, — მიუგო მამაომ, თან პური გატეხა და გურამს მიაწოდა, — სიზმრად ანგე-ლოზი გამომეცხადა და მითხრა: „თუ გინდა ჯოჯოხეთში არ მოხვდე, ხორცი არ ჭამოო“. როდესაც გამომეღვიძა, ვერ გავაცნობიერე, რას ნიშნავდა მისი სიტყვები, მაგრამ მერე მივხვდი, ჩემს ახალგაზრდობაში არაეკლესიური ცხოვრების გამო, ძალიან ბევრი ცოდვა მქონდა ჩადენი-ლი და მისი შენდობისთვის საჭირო იყო ამის გაკეთება. უფალი გვცდის ყველას, ვინ როგორ გავუძლებთ განსაც-დელებს და მერე იმის მიხედვით მოგვიჩენს იმქვეყნად ჩვენს საკადრის ადგილებს. ასე რომ, თავიდან გამიჭირ-და, მაგრამ მალე შევეჩვიე და სიმსუბუქეც ვიგრძენი.

ტრაპეზის მიღების შემდეგ, ეკლესიის ეზოში დიდი ჭადრის ხის ქვეშ გამართულ სკამზე დასხდნენ მამა ან-ტონი და გურამი.

— მამაო, ნიკალა პაპამ მითხრა, რომ თქვენ დიდი პოემა გაქვთ დაწერილი ჩვენს ისტორიულ წარსულზე. ძალიან დავინტერესდი, რადგან ჩემი ქვეყნის ისტორია ძალიან მიყვარს და თუ გაქვთ დრო, იქნებ მომიყვეთ მის შესახებ.

— დიახ, ყმაწვილო, — გაეღიმა მამაოს, — პოემა „და-ვით აღმაშენებელი“ ჯერ კიდევ მანამდე დავწერე, სანამ სასულიერო პირი გავხდებოდი, ნიკალას წაკითხული



აქვს თავიდან ბოლომდე, მაგრამ ძალიან მაქებს ხოლმე ყველასთან, რასაც ნამდვილად არ ვიმსახურებ, უყვარს პაპაშენს ხანდახან გაზვიადება.

— შენდობას ვითხოვ, მამაო, — მიუგო გურამმა, — პაპაჩემი ტყუილად არავის შეაქებს, პირიქით, ზოგჯერ ისეთი მწარე გამონათქვამები აქვს ასეთი თემების მიმართ, რომ ჩვენც გვიკვირს ხოლმე.

— ძალიან რთულ თემას შევეჭიდე, — განაგრძო მამაომ საუბარი, — რომ არა ღმერთის თანადგომა, ნებისმიერი მოკვდავისათვის ძალიან ძნელია და თითქმის შეუძლებელი, აღწერო ისეთი დიდი მეფის ცხოვრება და მოღვაწეობა, როგორიც დავით აღმაშენებელია. ისტორიული კანონზომიერება შობს დიდ მოღვაწეებს, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისინი თვითონაც წარმართავენ ისტორიას და არც თუ იშვიათად მთავარ როლს თამაშობენ მოვლენათა მსვლელობაში. ღმერთმა დავით აღმაშენებელი იხსნა სიკვდილისაგან. რომ არა მთავარანგელოზის პატარა ხატი, რომელიც მკერდზე ეკიდა მეფეს და რომელმა ხატმაც აისხლიტა მტრისგან ნატყორცნი ისარი, როდესაც ის პერანგის ამარა იდგა დილაადრიან თავის კარავთან, დღეს ჩვენი სამშობლო იქნებოდათუარადედამინის ზურგზე, არავინ იცისუზენაესის გარდა. მაშინ გადაარჩინა ღმერთმა საქართველოს მომავალი, გადაარჩინა ყველა ის დიდი საქმე, რომელიც დავით აღმაშენებელს უნდა გაეკეთებინა არა მარტო თავისი ქვეყნისთვის, არამედ მსოფლიო კაცობრიობისთვის. გადაარჩინა კაცი, რომელიც განაგებდა ქართვე-



ლი ხალხის ბედ-იღბალს. ის მარტო მუხლჩაუხერელი და სულგრძელი კაცი როდი გახლდათ, არამედ ღვთისგან გამორჩეული და ჭეშმარიტად ღვთივკურთხეული წმიდა მეფე. მე უფლება არ მქონდა არ შემესრულებინა ღმერთის კურთხევა, რომელიც ანგელოზის მეშვეობით მემცნო ავადყოფობის დროს. მაშინ ერის კაცმა ეს გამოცხადება ვერ გავაცნობიერე, რაღაც მოჩვენებად აღვიქვი, მაგრამ როდესაც გამოვჯანმრთელდი, ჩემდა უნებურად ავიღე ხელში კალამი და შევუდექი წერას. არასდროს, გარდა სკოლის დავალებებისა, არაფერი დამწერა, არც ისტორიული და მითუმეტეს ფილოლოგიური განათლება მქონდა მიღებული, მაგრამ რაღაც უხილავი მოქმედებდა ჩემს გულსა და გონებაზე და ქალალდზე გადამქონდა ის, რაც აქამდე აზრადაც არ მომსვლია, რომ დამეწერა. ყველა სტროფი პოემისა ქრისტეს სიყვარულით იყო გაჯერებული. თანდათან ვხვდებოდი, რომ ჩემში იღვიძებდა მართლმადიდებლური რწმენა და ის მეომრული სული, რომელიც მტკიცედ იყო ჩადუღაბებული ქართველი ერის გენში. საიდან მოდიოდა ასეთი სიტყვათა წყობა მე ვერ ვხვდებოდი, თუმცა ის დანამდვილებით ვიცოდი, რომ ის ქალალდზე უნდა გადამეტანა:

ცოდვათა მონანიებით ღვთის წინ ცრემლებით ვმშვიდდებით,  
ღვთით არის ჩვენი ცხოვრება, ურწმუნო ღმერთს არ ვჭირდებით,  
ღვთის შიშისაგან ტირილით, ცოდვებით განვიწმინდებით,  
ყოველი საქმე კეთილი იწყება ღვთისა დიდებით.  
ქრისტე ღმერთი ყველა ერებს მშვიდობისკენ მოგვიწოდებს,  
ვინაც ვიცავთ ღვთის მშვიდობას, ღვთის შეილებად მათ გვიწოდებს,



რომ არ ვიცავთ მართალ რწმენას, კაცთა მოდგმა ტანჯვით გოდებს,  
მართლმორნმუნე ღმერთან ხარობს, ღმერთს სძულს

ვინც ფლობს ოქროს ზოდებს.

მამა ანტონმა თავისი, ძველი ტყავის ჩანთა გახსნა  
და წიგნად დაბეჭდილი პოემა „დავით ალმაშენებელი“  
ამოიღო.

— მამაო, — ისარგებლა გურამმა პაუზით და ჰეიტხა  
მოძღვარს, — ასეთ დიდ წიგნს შეუსვენებლივ წერდით  
თუ დიდი დრო დაგჭირდათ ამისთვის?

— ეტაპობრივად ვწერდი. — უპასუხა მამა ანტონმა,  
— გააჩინა ოა შეგონებას მოგანოდებდა უხილავი ავტო-  
რი ამ წიგნისა. აშკარად ვგრძნობდი, რომ ეს სტროფები  
სადღაც სხვაგან განიხილებოდა და შემდეგ, უხილავი სხ-  
ივით ჩემთან იგზავნებოდა. აი, მაგალითად მამცნეს, რომ  
დგებოდა ის პერიოდი, როდესაც საქართველოში შემო-  
ქრებოდა სხვადასხვა აღმსარებლობები, რომელიც აქ  
უკვე მოქმედ რელიგიურ მიმდინარეობებთან ერთად,  
ბრძოლას დაიწყებდნენ ქართველებისა და მართლმა-  
დიდებლობის წინააღმდეგ. ეს კი შაირით ასე გამოიხატა:

კეთილ მწყემსსა ვინც არ უსმენს, ბოლოს იმან ვერ იხარა,

მართალ რწმენის უარყოფით, ბევრი სისხლი დაიღვარა,

შევუერთდეთ ქრისტეს სამწყსოს, ეშმაკმა ვინ დაიფარა,

ქრისტე არის კეთილ მწყემსი, ყველა გავხდეთ მისი ფარა.

ახლა დროა, ღვთის მოშიშნო, თვით მგოსანმაც რომ იქველოს,

ადიდებდეს მართალ რწმენას, წყევდეს, ვინც სპობს საქართველოს,

ცემა-ტყეპა-შიმშილითა ძროხამ რა უნდ მოგვიწველოს,

როგორც ღმერთიჩვემს მტრებს მოსპობს, ისე ღმერთიმაჩვენ გვშველოს.





გურამი ყურადღებით უსმენდა მამა ანტონს და უკვირდა, რომ ასეთი ბრძენი მოძღვრები რატომ არ მოღვაწეობდნენ ქალაქებში, იქ ხომ უფრო საჭირონი იყვნენ ხალხში რჩმების განსამტკიცებლად. ეს სიტუაცია მისთვის ჯერ ამოუხსნელი იყო, ამიტომ შეკითხვის დასმისგან თავი შეიკავა და ისევ პოემის ირგვლივ ჰკითხა მამა ანტონს:

— ნიკალა პაპა მიყვებოდა, დავით აღმაშენებელმა თურქებთან დიდი ომი გამართა დიდგორის ველზე. ამის შესახებაც გექნებათ დაწერილი რაიმე ხომ, მამა?

— ჰო! — თქვა მამა ანტონმა და გაელიმა, — პაპაშენმა შეფარულად მითხრა: „ისე აღნერ შენ დიდგორის ომს, რომ თითქოს იქ იყავი და მონაწილეობდიო?“ აბა, მე იქ რა მინდოდა, მაგრამ ვინც მკარნახობდა ამ ამბავს, ის ხომ ესწრებოდა ამ ომს. პოემის კულმინაციას და სრულყოფას წარმოადგენს დიდგორის ომში ღვთიურ ძალთა ბრძოლა. რატომლაც, ჩვენი ისტორიკოსები დიდგორის ომში ქართველთა გამარჯვებას მხოლოდ დავით მეფის გონივრულ ტაქტიკურ მოქმედებასა და ქართველთა თავდადებულ ბრძოლას მიაწერენ, რაც მტრის სიმრავლის ფონზე ცოტა უცნაური უნდა იყოს. სამას ათასიანი, კარგად შეიარაღებული ჯარის სამ საათში დამარცხება ადამიანური გონებითა და ძალებით ნაკლებად შესაძლებელია, რასაც თან ემატებოდა ყივჩალთა უნდობლობის ფაქტორიც. ბრძოლის სასწორი, ქართველთა მხარეს რომ ღმერთის შეწევნით იქნა გადმოწეული, ამას აქაც ვწერ — „ამ ომსა ვინ მოიგებდა,



კაცური ღონე ძალებით“. გაფიცხებული ომის დროს, თვით დავით მეფემ შენიშნა თეთრ ცხენზე მჯდომი მზეჭაბუკი, რომელიც მუსრს ავლებდა მტერს, მისი ძლევა-მოსილი მახვილით ბევრი მუსლიმანი დაეცა ბრძოლის ველზე, გმირს კი, დაღლაც არ ეტყობოდა. ბრძოლის დამთავრების შემდეგ, როდესაც თბილისის თავზე მტერზე გამარჯვების სახელდასელო ნადიმი გაიმართა, დავითმა ადიდა წმიდა სამება, მადლობა გადაუხადა ღმერთს ერის სახელით საქართველოს გადარჩენისათვის და მოიკითხა ის თეთრ ცხენისანი, შავნაბდიანი, თმახუჭუჭა მზეჭაბუკი, რომელსაც გამარჯვებაში ლომის წილი მიუძღვოდა. მზეჭაბუკი იქვე იჯდა სუფრასთან. შენიშნა რა მეფემ, მისკენ გაემართა:

წავიდა მისკენ საკოცნად, ცრემლი სისხლშიდა გარია,

ნაბადს სწვდა, მისდგა საკოცნად, ის გახდა უჩინარია.

ამის მნახველი მეფე ერთ ადგილზე გაშეშდა, გაოცებისაგან აღარ იცოდა რა მოემოქმედა:

ისე მათ ეტყვის სვიმონი: ყველამ იცოდეთ მინდაო,

ამ ომში ქრისტე იბრძოდა, ხატით გიორგი წმიდაო,

ა, შენ დიდება ჯვარცმულო, ვის ჩვენთვის სისხლი გდინდაო,

დღეს შენი მაღლი ლვთაებრი, რა უხვად გადმოგვდინდაო.

შენთვის ჯვარს ეცვა, უფალო, მეფე დავითი მზადაო,

მასვე დიდება გიორგი, ვინც ჩვენთვის აქ დაგბადაო,

აქვე აშენდეს ტაძარი, დიდი არა გაქვთ ვადაო,

წმიდა გიორგის სახელზე, გიორგი შავნაბადაო.

— არ ვიცოდი, მამაო, შავნაბადას ისტორია. — ნარმოთქვა გაკვირვებულმა გურამმა.



— უფრო მეტი, შვილო, — მიუგო მამა ანტონმა, — ამ ამბის თვითმხილველნი მარტო ერის ხალხი კი არ იყვნენ, არამედ სასულიერო პირებიც. წმიდა გიორგისთან ერთად დიდგორის ველზე იბრძოდა ოცდარვა ეპისკოპოსი და ორი ათასამდე მღვდელი. აბა, უსმინე:

მღვდელნი ხმიანად ყვიროდნენ — ბრძოლას ნუ შეამჩატითო, ჩვენს გვერდში იბრძვის იქსო, წმიდა გიორგის ხატითო, იქსო ქრისტეს ერი ვართ, გმირობით, არ ღალატითო, ქრისტესთვის ფიცით ერთგულნი, ბევრ ერთან გარდამატითო. მღვდელობა მედგრად იბრძოდა, დევგმირთა შესადარები, მარჯვენით ხმლითა ცელავდნენ, ფარად ხელთ ეპყრათ ჯვარები, იგი გახარებს, არ შედრუნენ, დიოდათ სისხლის ღვარები, უფროის — ზეცას დაბეჭდეს მათი სახელი, გვარები.

მეფემ მარიამობის დღესასწაულიც დიდგორში გადაიხადა. დაიწყო სახალხო ლხენა. დავითმა ბრძანა, რომ დაწყვილებულიყვნენ ქალნი და კაცნი და გადაუხდიდა მათ სახალხო ქორწილს. ამასთან ერთად, ასაჩუქრებდა ოქროთი, რათა შექმნილიყო ახალი ქართული ოჯახები და გამრავლებულიყო ერი. მეფემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ქრისტეს რჯულის ერთგული იყო და მიმტკიცებლობა გამოიჩინა ტყვეთა მიმართ. ბრძანა მათი სამშობლოში გაშვება:

ერთ თვის შემდეგ გადაწყვიტა ტყვე თურქების სახლს გაშვება, ნახევარი იქვე რჩება, საქართველოს არ ეშვება, ქრისტეს რჯულზე მოვინათვლით, ქრისტესგან რომ გვქონდეს შვება, ნახევარი მოინათლა, სთქვეს: სხვა აქ არ დაიშვება.



ქართველებმა საზღვაო ომიც მოუგეს მტერს. სისხლით შეიღება პონტოს ზღვა. ბევრი მამულიშვილი დაიღუპა ამ ომში. მაგრამ სამშობლო გადაარჩინეს მტის შემოსევისაგან და საბოლოოდ დაუკარგეს მათ მადა ზღვაზე ყაჩაღობისა:

თვითონ ღმერთიც ამაყობდა ქართველების თავდადებით, მტრის ურიცხვი ჯარი გაწყდა, ღმერთთან მღვდელთა დალადებით, ქართველებმა ბევრი იხსნეს ურწმუნოთა დავადებით. წყეულიმც არს ქართველთ მტერი, მხეცთა ჯიში დაბადებით. წყეულიმც არს, ვინც ამცრებს, ჩვენთვის ჯვარცმულ ღმერთის იქსოს, ვინც ჩვენ გვჩაგრავს, ქრისტეს შუბი იმ სატანას გულს უნდ ესოს, მოუშმინოთჩვენთვის ჯვარცმულს, სრულვყოთ, რაც მან განაწეოს, ქრისტე არის კეთილ მწყემსი, ყველა ერი მან უნდ მწყემსოს.

გურამმა მამაოს წიგნი გამოართვა, გადაშალა და გაკვირვებულმა წარმოთქვა:

— მამაო, რამ დაგანერინათ ამხელა პოემა? მგონი „ვეფხისტყაოსანზე“ დიდია. ნიკალა პაპამ მითხრა, რომ დავით აღმაშენებელს რუსეთიც გადაურჩენია ყივჩაღთა თავდასხმისაგან.

— ასე იყო ნამდვილად, — მიუგო მამა ანტონმა, — კიევთან მდგარ ყივჩაღებს ქალაქის დაპყრობა სურდათ. პატარ-პატარა თავდასხმებით ლაშქარი შეთხელებითა და მაცნე აფრინეს დამატებითი ძალების მოსაშველიებლად. მოვლენები კი სულ სხვაგვარად განვითარებულა:

დიდ ლაშქარს ველით, მზადა ვართ, მზე არის ამომდინარი, სხვა მაცნე მოდის, ვაი მე, სთქვა ჩვენთვის მოსაკვდინარი, დავითმა იგი ლაშქარი მოასპო, ჰყო უჩინარი, შევქმნით გლოვა-ტირილი, დავითის შესაგინარი.



ამის შემდეგ ყივჩალებმა, ბუბექარის მეთაურობით ფიცი დადეს მოეკლათ დავით მეფე, მაგრამ მეფეს ღმერ-თი იფარავდა და ბუბექარი რას დააკლებდა, რასაც იგი თვითონვე ამბობდა:

თუ შევისრულე თვით იცით, ჩემი ფიცი და წადილი,  
დავითმა ხმალი წამართვა, თავს დამახურა მანდილი,  
მივყევ ეშმაკის რჩევასა, მაჭამა მწარე სადილი,  
დიდი ყოფილა ღვთის რისხვა, მის წინ დიდება-ქადილი.

— ძალიან საინტერესო წიგნი ჩანს, მამაო, — თქვა გუ-რამმა, როდესაც მამაომ დაამთავრა თხრობა, — თუ მათხ-ოვებთ ამ წიგნს, წავიკითხავდი ყურადღებით. ძალიან მაინტერესებს დავით აღმაშენებლის ისტორია და პო-ეტურად თქვენი ხედვა ამ უდიდესი პიროვნების შესახებ.

— წაილე, შვილო, და წაიკითხე, — უთხრა მამაომ, — შენ საქართველოს მომავალი ხარ და აუცილებლად უნდა იცოდე ჩვენი სამშობლოს გმირული წარსული. რთული დრო მოდის, ეროვნული და მართლმადიდებელი ადამი-ანები დიდი წერის ქვეშ მოვექცევით და რომ შევძლოთ თავის დაცვა, წარსულზე დაყრდნობით უნდა შევძლოთ მომავალი ცხოვრების აშენება. ღმერთმა დაგლოცოს, შვილო, და გზა გაგინათოს.

გურამი მიდიოდა სახლისკენ და მის გონებაში ისევ მამა ანტონის მიერ მოთხრობილი გმირი წინაპრების თავგადასვლები ტრიალებდა. ძალიან უნდოდა, რომ მათ მსგავსად სასახელო ქართველი გამხდარიყო.

## XVI

თბილისში ცხოვრება ჩვეული რიტმიდან ამოვარდნილიყო. ერთ დროს სიხარულის და სიყვარულის ქალაქი შუა ზაფხულში რაღაც უხილავი ბურუსით იყო მოცული. ადამიანები, რომლებიც აქამდე ქუჩაში ერთმანეთს ლიმილით ხვდებოდნენ, თითქოს შეცვლილიყვნენ და ამ უხილავი ბურუსის გამო ერთმანეთს თვალს არიდებდნენ. ყველა თავჩაღუნული და მოსალოდნელ უბედურებაზე ფიქრით შეპყრობილი მოძრაობდა, ზოგჯერ უმისამართოდაც. თითქოს, ხალისიანი ცხოვრება წარსულს ჩაბარებოდა და მომავალი, სადღაც ბურუსში ჩაფლული ლაბირინთივით მოჩანდა, რომელშიც გზის გაკვლევა ძნელი იყო. ერთადერთი ცხელი წერტილი, ისედაც სიცხისგან გათანგულ მთელს ქალაქში, მთავრობის სახლის წინ მდებარე მოედანი იყო, სადაც მიტინგების დამთავრებას ბოლო არ უჩანდა, პირიქით, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან დაუსრულებელ წაკადად მოედინებოდა ხალხი, რათა რესპუბლიკის დედაქალაქში გამოეხატა თავისი ნება და სოლიდარობა გამოეცხადებინა ეროვნული ძალებისათვის. რაც შეეხება ხელისუფლებას, უკვე იგრძნობოდა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები თვითლიკვიდაციის რეჟიმში მუშაობდნენ. თითქოს კომუნისტური პარტიის ორგანოებმა და მთავრობამ მართვის სადავეები თვითდინებაზე მიუშვა, არადა საბჭოთა კავშირი ჯერ არ იყო დაშლილი, მსოფლიოს ერთ მე-ექვსედზე გველეშაპივით გაწოლილიყო და სად, რომელ



რესპუბლიკაში მოიქნევდა კუდს, არავინ იცოდა. კომუნისტური პარტიის წევრებმაც ნელ-ნელა დაიწყეს „გადაბარვება“ ეროვნულ ძალებში. არც ამას უშლიდა ხელს არავინ. ერთადერთი, რაც ნაკლებად შესამჩნევი იყო, „უხილავი ხელი“ ეროვნულ ძალებში ეძებდა ლიდერს, რომელიც შეძლებდა ახალი სისტემის ჩამოყალიბებას, რათა უშიშროების მიერ არაფორმალებში ჩანერგილი თანამშრომლები ლიდერის გარშემო შემოეკრიბა. თუმცა „უხილავი ხელი“ არ ჩქარობდა. ჯერ ქაოსი და ბურუსი იყო საჭირო, ეროვნული ძალების ერთმანეთთან დაჯახება, ყველანაირი მეთოდების გამოყენებით მათი გათითოკაცება და დასუსტება...

...ხალხი კი, რომელიც ნელ-ნელა გადაეჩვია შრომას, ქალაქისკენ მოისწრაფვოდა და მიტინგებზე შეძახილებით ირთობდა თავს. საღამოს კი, მიაკითხავდნენ რესტორნებს, რა თქმა უნდა, ვისაც ამის შესაძლებლობა ჰქონდა, თუ არადა ჩამოსხდებოდნენ სადმე, სვამდნენ ცხრა აპრილს დალუპული ადამიანების შესანდობარს და თან მთავრობას აგინებდნენ ...

...ესეც „უხილავი ხელის“ გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო ...

ლექსომ მამა მიქაელს მიაკითხა ეკლესიაში. მამაოს ახალი დამთავრებული ჰქონდა პარაკლისი, ლექსოს დანახვაზე გაეღიმა, ხელი ჩამოართვა სულიერ შვილს და უთხრა:

— ახლა ვაპირებდი შენთან დარეკვას. როგორ არის გურამი? ხომ არ მოიწყინა სოფელში?



— არა, მამაო, — უპასუხა ლექსომ, — პირიქით, სოფელში სუფთა ჰაერზეა, აქ რა უნდა აკეთოს, ამ სიცხეში. მეც, შაბათ-კვირას იქით ვაპირებ წასვლას და კურთხევის ასაღებად მოვედი.

— კარგია. ისე სტუმრებს არ მიიღებ? — ჰყითხა მამაომ და გაეცინა.

— რატომაც არა, — მიუგო ლექსომ, — სტუმარი ლვ-თისაა.

— ლექსო, — დაიწყო ისევ მამა მიქაელმა, — მამა ან-ტონი, თქვენი სოფლის მღვდელი და მე ერთად ვსტიქა-როსნობდით სვეტიცხოველში. ეგ ძველი ყაიდის კაცია და ხილვების და სიზმრების ახსნა კარგად იცის, არ მახსოვს ზუსტად, მგონი ბებიას უსწავლებია. ერთი სას-წაული ხილვა მქონდა და მინდა გავესაუბრო, თან ერ-თობლივ წირვა-ლოცვასაც ჩავატარებთ და პაპაშენსაც გავიცნობ, როგორც შენ ყვები, მაგარი კაცი ჩანს.

— მამაო, თქვენი სტუმრობა დიდი პატივი იქნება ჩე-მთვის, — გაეხარდა ლექსოს, — შაბათს დილით სახლში გამოგივლი და წავიდეთ.

ორი დღის შემდეგ მამა მიქაელი, ლექსო და ნატრ ლე-ქსოს „უიგულით“ კახეთისკენ მიჰქროდნენ. ზაფხულში სოფელში წასვლა ქალაქის ხვატიდან თავის დაღწევის უებარი საშუალებაა. ლექსო მეორე გზით წავიდა სოფ-ლისკენ. მართალია გზა აქ ცოტა დანგრეული იყო, მა-გრამ ფოთლოვანი ტყის სიგრილე და სუფთა ჰაერი მალ-ამოდ ედებოდა ადამიანის გუნება-განწყობას.



— დალოცვილი ქვეყანა გვაქვს, — თქვა მამა მიქა-ელმა, მანქანის ფანჯარა ჩამოსწია ბოლომდე და ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა, — რაც მოვდივართ, ვუკვირდები და ჰაერი უკვე სამჯერ შეიცვალა. ეს უკვე ტყის ჰაერია, უფრო მსუყე და გემრიელი.

— ჰაერი და ბუნება იქ უნდა ნახო, მამაო, — მიუგო ლექსომ, — ალბათ სამოთხე ეგეთია.

— ვნახოთ, ვნახოთ, ჩემო ლექსო, ნათქვამია: „გაგ-ონილს ნანახი სჯობსო“, — თქვა მამაომ და მცირე ხნის შემდეგ განაგრძო, — რაც შეეხება სამოთხეს, ეგ არც შენ გინახავს და არც მე. იქ მოხვედრა არ არის ადვილი.

— მაშინ რა გამოდის, მამაო, ვერ ვცხონდებით?

— თუ ღვთის კანონებით ვიცხოვრებთ, უფალი გად-მოგვხედავს, მაგრამ ერში ცხოვრებით ამის მიღწევა ძნე-ლია, რადგან ამ დროს ადამიანი უდიდესი ცივილიზაციის წინ დგას და ძნელია მისთვის ამ ქვეყნიურ სიამოვნებაზე უარის თქმა, რაც მას ისეთ ცოდვაში აგდებს, რომელ-საც ის ზოგჯერ თვითონაც ვერ აცნობიერებს. ასე რომ, ხშირად უხდება აღსარებაში ერთი და იგივე ცოდვის მონანიება. ეს პროცესი გრძელდება დაუსრულებლად, ამ ერთი და იგივე ცოდვის გამოსწორებას მრევლის ძალიან მცირე ნაწილი თუ ახერხებს, ხოლო უმრავლესობა ამ ცოდვის მონა ხდება. საჭიროა გამუდმებული ლოცვა და მარხვა, რათა ეშმაკი განიდევნოს ადამიანისგან, რასაც ის ვერ ახერხებს ამ ცხოვრების ორომტრიალის გამო. უმრავლესობა მონასტერში ვერ მიდის, სადაც ამისთვის უკეთესი პირობებია და ასე დაუსრულებლად მიმდინ-არეობს ამ ჯადოსნურ წრეზე ტრიალი.



— გამოსავალი რაშია, მამაო? — იკითხა ლექსომ.

— გამოსავალი იმაშია, — უპასუხა მამაომ, — რომ ადამიანმა თავის თავში უნდა გამონახოს ძალა და წლების განმავლობაში ილოცოს და დაიცვას მარხვა. უფალი დაინახავს რა, რომ ადამიანი მისკენ მიდის, მას დაეხმარება და გამოიყვანს ამ მდგომარეობიდან. ღმერ-თისთვის კი შეუძლებელი არაფერია.

ლექსომ პირველი გადაიწერა და სოფლისკენ მიმა-ვალ გზაზე გადაუხვია.

სოფლის და ნიკალა პაპას კარ-მიდამოს ნახვამ მამა მიქაელზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. გურ-ამს ძალიან გაუხარდა მამა მიქაელის სტუმრობა. ცოტა დაიბნა კიდეც, არ მოელოდა.

— ასეთ ულამაზეს ადგილას და ასეთი პაპის ხელში, შენს გამოჯანმრთელებას ვერც ერთი ბოროტი ძალა ვერ აღუდგება წინ, — უთხრა გურამს მამა მიქაელმა, — ხომ ხარ კარგად?

— დიახ, მამაო, — უპასუხა გურამმა, — თითქმის ალ-არაფერი მაწუხებს. თან წირვა-ლოცვასაც არ ვაცდენ და ლოცვებსაც ვკითხულობ.

— კარგია, — მიუგო მამაომ, — დღეს და ხვალ მეც ვი-ლოცებ თქვენთან ერთად.

ნიკალა პაპამ დააპურა სტუმრები. შემდეგ ცოტა დაისვენეს და გაუდგნენ ეკლესიისკენ მიმავალ გზას. მამა ანტონის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მამა მიქაელი დაინახა. არ მოელოდა მის აქ გა-მოჩენას. ყოფილმა სტიქაროსნებმა დიდი სიყვარულით



მოიკითხეს ერთმანეთი. მალე ზარიც დაირეკა, ლოცვა იწყებოდა. მამები საკურთხეველში შევიდნენ და დაიწყეს ერთობლივი ლოცვა.

ლოცვის დამთავრების შემდეგ მამა ანტონმა მრევ-ლის წევრებისგან ალსარება ჩაიბარა, განიმოსა, გა-მოვიდა ეკლესიის ეზოში და სტუმრებისკენ გაემარ-თა, რომლებიც დიდი მუხის ქვეშ შეკრებილიყვნენ და ელოდებოდნენ მამა ანტონის გამოსვლას.

— ახლა ჩემთან წავიდეთ სახლში და ვიტრაპეზოთ. — შორიდანვე დაიძახა მამა ანტონმა.

— არ გამოვა ეგ საქმე, მამაო, — გაელიმა ლექსოს და მოკრძალებით წარმოთქვა, — ნიკალა პაპამ დაგიბარათ: „ყველაფერი მზად არის და გელოდებითო. ვიცი, მამა ანტონი შეგენინააღმდეგება, მაგრამ ისიც მოეხსენება, რომ წლოვანებით უფროსის სიტყვა როგორ უნდა დაა-ფასოსო“.

მამა ანტონმა ხელები მაღლა აღაპყრო, მერე პირჯ-ვარი გადაიწერა და წარმოთქვა:

— რა გაეწყობა, ნიკალას სიტყვა კანონია, ვერ შეეწი-ნააღმდეგები.

ვახშამმა დიდხანს არ გასტანა, რადგან მეორე დღეს წირვა უნდა აღევლინათ მამებს. სახლის აივანზე მდგარ სავარძლებში ჩასხდნენ და ვახშმის დროს დაწყებული საუბარი განაგრძეს.

— მამაო, — მიმართა მამა მიქაელმა მამა ანტონს, — შენთან საქმეზე ჩამოვედი. ვიცი, რომ ხილვებსა და სიზმრებში კარგად ერკვევი და შეგიძლია მათი ახსნა. რაღაც-რაღაცეებში ვერ გავერკვიე და იქნებ დამეხმარო.



— შენ ისეთ ორომტრიალში გიხდება მსახურება, —  
მიუგო მამა ანტონმა, — მოვლენების ეპიცენტრში ხარ  
და არ არის გასაკვირი გაგიჭირდეს გარკვევა, რომელ  
დინებაში უნდა ეძებო ჭეშმარიტება. მე, როგორც ერთი  
პატარა სოფლის მღვდელს, თუ რაიმე დახმარების გაწე-  
ვა შემიძლია, დაგეხმარები აპა, რას ვიზაძ.

— მამაო, დიდი მადლობა თანაგრძნობისთვის, —  
თქვა მამა მიქაელმა, პირჯვარი გადაიწერა და განაგრძო,  
— ეკლესიის ეზოში პატარა სენაკი გვაქვს, რომელშიც  
ვისვენებთ ხოლმე მღვდლები მსახურების შემდეგ. სენ-  
აკის კედლებზე სხვადასხვა ხატებთან ერთად, ქაშუეთის  
ტაძრის ნახატიც არის მოთავსებული. ლამაზი ნახატია,  
რამდენჯერაც გინდა შეხედო, ყოველთვის რაღაც ახალს  
აღმოაჩენ. რამდენიმე დღის წინ, ლოცვის დამთავრე-  
ბის შემდეგ, შევედი სენაკში, ჩავჯერი სავარძელში და  
ჩემი ყურადღება ისევ ამ ნახატმა მიიპყრო. რაღაც მო-  
მენტში ჩამთვლიმა კიდეც, ისე, რომ ნახატი ჩემს თვალ-  
წინ სხვადასხვა რაკურსით ტრიალებდა. რუსთაველის  
პროსპექტის მოპირდაპირე მხარეს, მთავრობის სახლის  
მაგივრად დავინახე, მის ადგილას ადრე მდებარე, ალე-  
ქსანდრე წეველის სახელობის ტაძარი, რომელიც რა-  
ტომლაც შავი ფერის იყო. მის წინ, ერთ მხარეს, იდგნენ  
შარვალ-კოსტიუმში გამოწყობილი და ჰალსტუხებით  
მკერდდამშვენებული ადამიანები, ხოლო მეორე მხ-  
არეს, სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი და იარ-  
ალასხმული სამხედროები. ქაშუეთის ტაძრის წინ კი  
სამღვდელოება იკრიბებოდა. უცებ, პირველი საშუალო



სკოლის ტერიტორიიდან გამოჩნდა ცხვარი, რომელიც, სავარაუდოდ, იქვე მდებარე უშიშროების კომიტეტიდან იყო გამოშვებული. ცხვარი ნაირ-ნაირი ბრჭყვიალა ფერის სამკაულებით და ნაჭრებით იყო შემკული. გავი-და რუსთაველის პროსპექტზე და ლენინის მოედნისკენ წავიდა. სამხედროებმა იარაღი მოიმარჯვეს და ზეცის-კენ დაიწყეს ტყვიების სროლა. ჰალსტუხიანებმა სიცილი ატეხეს, ხოლო სამღვდელოება იდგა გაუნძრევლად, არც პირჯვარი იწერდნენ და, როგორც შევატყვე, არც ლოცუ-ლობდნენ. ცხვარი კი მიდიოდა და როდესაც გაუსწორდა პიონერთა სასახლეს, გაუჩინარდა... მე ვეძებდი, მაგრამ ვერ ვხედავდი... ამასობაში გამომეღვიძა... ათასი აზრი მიტრიალებს თავში, ვხვდები, რომ ეს ყველაფერი ჩვენს ყოფასთან და განსაკუთრებით მომავალთან არის დაკავ-შირებული, მაგრამ ვერ გავერკვიე და ამიტომაც ჩამოგა-კითხე, ჩემო მამაო ანტონ.

— საინტერესოა, — თქვა მამა ანტონმა და პირჯ-ვარი გადაიწერა, — ეს მართლა განსაკუთრებული ხილ-ვაა, თან რაღაც უბედურების მომასწავებელი. მამაო, დაფიქრება დამჭირდება. ხვალ წირვა გვაქვს. დრო მო-მეცი, ალბათ ანგელოზი რაიმეს მამცნობს და აუცილებ-ლად გაგაგებინება. ხოლო ეს როდის იქნება, შენ ჩემზე კარგად იცი, ანგელოზები ამას ჩვენ არ გვითანხმებენ.

— გაიხარე, მამაო, ასეც ვფიქრობდი, რომ დახმარე-ბის ხელს გამომიწვდიდი.

მეორე დღეს, მამებმა ერთობლივი წირვა ალავლინეს და ჩამოლოცვის შემდეგ იქადაგეს. მამა ანტონმა ქად-



აგებაში ყურადღება გაამახვილა სამშობლოს სიყვარულზე, მრევლს მიუთითა მიხეილ საბინინის მიერ დაწერილ „საქართველოს სამოთხის“ ხატისკენ და წარმოთქვა:

— მე მინდა ყველას კურთხევა მოგცეთ, რომ ყოველ-დღე, განსაკუთრებით კი ლოცვისას, ხშირად წარმოთქვათ ეს ლოცვა: „აცხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი. ძლევაა ჯუარითა ბარბაროზთა ზედა ღმრთივდაცულსა ერსა ჩუენსა მოანიჭე და საფარველსა ქუეშე მისსა დაიცევ, რადთა ვიტყოდეთ: უფარო, დიდება შენდა“.

წირვის დამთავრების შემდეგ, მამა ანტონმა მაინც თავისი „გაიტანა“ და სტუმრები სატრაპეზოში დაპატიჟა. ყოფილმა სტიქაროსნებმა ბევრი ისაუბრეს, ბევრი რამ გაიხსენეს წარსულიდან და დაემშვიდობნენ ერთმანეთს. გურამი მოძღვრებს ტაძრის ჭიშკართან ელოდებოდა. ლექსოს გაუკვირდა შვილის აქ ყოფნა და გაკვირვებულმა ჰკითხა:

— შენ რა, არ წახვედი სახლში?  
— მამა მიქაელთან მაქვს საქმე და იმიტომ შევყოვნდი.  
— მიუგო ჭიშკრის ბოძთან ატუზულმა გურამმა მამას და თმებზე ხელი გადაისვა, რაც იმას ნიშნავდა, რომ რაღაც განსაკუთრებული საქმისთვის ელოდებოდა მოძღვარს.

მამა მიქაელი თითქოს მიუხვდა გურამს სანადელს და შორიდანვე დაუძახა:

— რაო? ვაჟკაც! ამჯერად რა მოიფიქრე?  
— მამაო, — ძლივს ამოილო ხმა გურამმა, — მე... მე... უკვე კარგად ვარ და წამოგყვებით თბილისში რაა?



— რა გინდა, ბიჭო, თბილისში, — გაეცინა მამა მიქა-ელს, — რა გინდა იმ სიცხეში? დუღს იქაურობა. აქ არ სჯობს? ამ, მართლა სამოთხეში?

— რა ვიცი, აბა, — თქვა თავჩალუნულმა გურამ-მა, — მომენატრა სახლი და ქალაქი. თან თავს კარგად ვგრძნობ.

— მაგას, მამაო, სახლი და ქალაქი კი არა, ვიცი ვინც მოენატრა, — გაელიმა ლექსოს და გურამს შეხედა, — ეგრე არ არის, რომერ? არ გამოვა, რაც შენ გინდა. ექიმ-მა თქვა, მცირე ხნით კიდევ გაჩერდეს სოფელში და მერე წამოვიდესო.

გურამმა კი მოუსმინა მამას, მაგრამ თვალებში არ შეუხედავს და მამაოებს მიაპყრო მზერა. მამა ანტონმა გურამის თვალებში შეყვარებული კაცის მუდარა ამოი-კითხა, მივიდა, მხარზე ხელი დაადო და ყველას გასაგო-ნად თქვა:

— მე მალე წავალ თბილისში საქმეზე, მამა მიქაელიც უნდა მოვინახულო და გურამსაც წამოვიყვან. გვაძლევ კურთხევას, მამა მიქაელ?

მამა მიქაელს გაელიმა და მიუგო:

— რა თქმა უნდა, მამაო, ლექსოც დაგვეთანხმება, ალბათ.

სხვა რა გზა ჰქონდა „რომეოს“ მამას, ხელები გაშალა და შვილს შეხედა, რომელსაც სახე გაბადვროდა და პირ-ჯვარს იწერდა. როდესაც მამაოები და ლექსო მანქანაში სხდებოდნენ, გურამმა პერანგის ჯიბიდან თეკლას ფო-ტოსურათი ამოიღო, აკოცა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მალე გნახავ და შეპირებულ მინდვრის ყვავილებ-საც ჩამოგიტან.





## XVII

ლექსოს სამსახური ქალაქის ცენტრში, მთავრობის სასახლესთან ახლოს იყო და ამიტომაც სურდა თუ არ სურდა ყველა მიტინგის მონაწილე იყო, მით უმეტეს ზაფხულში, როდესაც კონდენციონერის უქონლობის გამო, სამუშაო ოთახის ყველა ფანჯარა თანამშრომლებს ღიად ჰქონდათ დატოვებული და მომიტინგეთა წარმოთქმული სიტყვები თუ ოვაციები კარგად ესმოდათ. ეს იმდენად დამღლელი იყო, რომ სჯობდა ისევ მიტინგზე მისულიყავი და როგორც იტყვიან „თვალისოთვის წყალი დაგელევინებინა“.

თბილისური ზაფხულის ერთ დღეს ლექსომ გადაწყვიტა სამსახურიდან გასულიყო და მიტინგს დასწრებოდა, რადგან იქიდან ისეთი გონების დამღლელი ხმაური გამოდიოდა, რომ შეუძლებელი იყო ნორმალურად ემუშავა ადამიანს. ლექსო გავიდა რუსთაველის პროსპექტზე და გეზი მთავრობის სასახლისკენ აიღო. პროსპექტი აღარ ჰგავდა იმ დასუფთავებულ და მოწესრიგებულ ქუჩას, რომლითაც მუდამ ამაყობდა ქართველი კაცი. მომიტინგების უმრავლესობა, რომლებიც ძირითადად რაიონებიდან იყვნენ ჩამოსულნი, ღამეს მთავრობის სასახლის წინ მდებარე მოედანზე და მის შემოგარენში ათევდნენ, ამიტომ ირგვლივ მიმოფანტული საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომლის გატანასაც უკვე პარალიზებული დასუფთავების სამსახური ვერ ახერხებდა, სიცხვში იხრნებოდა და არასასიამოვნო სუნი, ისედაც დასიცხულ გარემოს უფრო აუტანელს ხდიდა.



ყოველივე ამის ნახვამ და მომიტინგეების მიერ რუ-პორებში კივილმა ლექსო ცუდ ხასიათზე დააყენა და ის იყო აპირებდა უკან მიბრუნებას, რომ უცებ ხალხში თავ-ისი თანამშრომელი შოთა შენიშნა, რომელიც რამდენიმე კაცს ეკამათებოდა. გადაწყვიტა მისულიყო მასთან და გაერკვია, რა ხდებოდა. შოთა ხმამაღლა ელაპარაკებო-და მის წინ მდგომ ჭალარა, სანდომიანი სახის მამაკაცს:

— თქვენ! ინტელიგენციის წარმომადგენლებმა ძალიან დიდი ბარიერები შეგვიქმნით! ვერ თმობთ იმ პრივილ-ეგიებს, რომლებიც მოგანიჭათ საბჭოთა სისტემამ და ქვეყანა ისევ გინდათ, რომ მონობაში დატოვოთ! ...

ჭალარა კაცი, რომელიც მართლა ინტელიგენციის წარმომადგენელს ჰგავდა, წყნარად და ყურადღებით უსმენდა შოთას და როდესაც ამ უკანასკნელმა სიგარე-ტი მაგრად მოქაჩა, ჭალარამ ისარგებლა ამ პაუზით და წყნარად უთხრა:

— ახალგაზრდავ, თქვენ ახლა მხოლოდ ემოცია გალაპარაკებთ, რაც შექმნილი მდგომარეობის რეალ-ობის შეგრძნების და გაანალიზების უნარს გიკარგავთ. ხომ არ სჯობს დაწყნარდეთ, ცივი გონებით შევხედოთ ყველაფერს და ისე მივიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რა უფრო საჭიროა დღეს ჩვენი ქვეყნისთ-ვის, უფრო სწორედ მისი გადარჩენისთვის.

— რა ანალიზზეა საუბარი, ბატონო! — გაცხარდა შოთა, — რომელ ცივ გონებაზე, როდესაც ხალხი შეეწი-რა ამ საქმეს! აი, აქ ამ კიბეებზე ჩახოცეს უმრავლესობა! იმათ მონობა არ უნდოდათ და არც ჩვენ ვაპირებთ! დამ-თავრდა რუსების მონობა!



— ახალგაზრდავ, — კვლავ აუღელვებლად დაინტყო საუბარი ჭაღარამ, — მტკნარ სიცრუედ და ისტორიის დამახინჯებად მიმაჩინა ის მოსაზრება, თითქოს ჩვენ საბჭოთა კავშირში, როგორც თქვენ ბრძანებთ: „რუსეთის მონები“ ვართ. საბჭოთა წყობა, რომელიც ქვეყნის მოწყობის სისტემაა, თხუთმეტივე რესპუბლიკას თანაბარ პირობებში აყენებს და თუ ვინმეს მეტ-ნაკლებად „სასათბურე“ ბირობები აქვს, ეს ჩვენი რესპუბლიკაა.

— „სასათბურე“ პირობები? — გაედიმა შოთას და მისი გამომეტყველება ცინიზმით აივსო, — რომელ „სასათბურე“ პირობებზე მელაპარაკებით, ბატონო! მაშინ, როდესაც საქართველოს გაყვლეფაზე მუშაობს რუსეთი!

— ვერ დაგეთანხმებით, ყმაწვილო, — მიუგო შოთას ჭაღარამ, — დღეს, თითოეულ საბჭოთა მოქალაქეზე შემოსავალი ერთ წელიწადში შეადგენს ორმოცდაორი ათასი დოლარის ოდენობას საბჭოთა რუბლებში. აქ მარტო ხელფასი არ იგულისხმება, ის ზღვაში წვეთია ამ თანხაში. აქ იგულისხმება ყველა ის დოტაცია თუ სუბსიდირება, რომელიც საკავშირო ბიუჯეტიდან ფინანსდება. თქვენ მართლა გვონიათ, რომ სანამ ქვეყანა აირეოდა, ბენზინი ათი კაპიკი ღირდა? გაზი და ელექტროენეგია — ოთხი კაპიკი, პური - ოცდარვა კაპიკი და ბევრი სხვა რამ. ამასთან, ვინაიდან ქართველებს საბჭოეთში სხვა ერებთან შედარებით პრივილეგირებული მდგომარეობა გვიკავია, ვახერხებთ სხვა რესპუბლიკებიდან შემოვიტანოთ ფულადი თუ მატერიალური საშუალებები და ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავალი კიდევ ოცდაათი ათასი დოლარით გავზარდოთ ...



— მაგაში სხვა ქვეყნებიც დაგვეხმარებიან. — შეა-  
წყვეტინა სიტყვა შოთამ.

— ვინ დაგეხმარება? — იკითხა ჭალარამ.

— ვინ და ამერიკა, ევროპა და მსოფლიოს სხვა ქვე-  
ყნები.

— ერთი რამე დაიმახსოვრე, ყმაწვილო, — მიუგო  
ჭალარამ, — მაგ ქვეყნებს, რომელიც ახლა შენ ჩამოთ-  
ვალე, საქართველოს მხოლოდ ტერიტორია და ნედლეუ-  
ლი აინტერესებთ. ეგენი რომ ხალხის კეთილდღეობაზე  
ფიქრობდნენ, ამერიკელები არ ამოწყვეტდნენ ამერიკა-  
ში ას მილიონ აპორიგენ მოსახლეობას. ღმერთმა დაგვი-  
ფაროს და ჩვენც ამისთვის ვართ განწირულები ...

... მიტინგის ტრიბუნიდან კი ვიღაც ქალი განწირული  
ხმით ლანძღავდა კომუნისტებს და საბჭოეთს ...

შოთა თითქოს დაწყნარდა, მასზე იმოქმედა ჭალარას  
სიტყვებმა. გამუდმებით სიგარეტს სიგარეტზე ეწეო-  
და, არ ისვენებდა, თუმცა ბოლომდე არ გატყდა და ისევ  
გააგრძელა:

— ამ ყოველივესაც იმიტომ აკეთებდა, რომ მონობა-  
ში ვყოლოდით. გასაქანს არ აძლევდა თავისუფალ აზრს,  
რომ რაიმე ახალი შექმნილიყო!

— არც ამ საკითხში დაგეთანხმებით, ახალგაზრ-  
დავ, — აუღელვებლად მიუგო ჭალარამ, — ისინი, ვინც  
მონობაზე ასე ხელაღებით ლაპარაკობს, ვერ ან არ აც-  
ნობიერებენ, რომ ამით პირველ რიგში საკუთარ ხალხს,  
საკუთარ ერს აყენებენ შეურაცხყოფას. ავიწყდებათ ან  
ივიწყებენ იმასაც, რომ სწორედ საბჭოთა ეპოქას უკავ-



შირდება ქართული კინოს, თეატრის, მწერლობისა და ზოგადად ქართული კულტურისა და ხელოვნების რენესანსი. ყოველგვარი ნიშნის მოგების გარეშე მინდა გითხრათ, ყმანვილო, რომ დამონებული ერი, მით უფრო შემოქმედი, ვერ შექმნიდა ისეთ შედევრებს, როგორიც დღემდე შეიქმნა. ქართველი ხელოვანების, მეცნიერებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებისთვის ყოველთვის ღიაა საბჭოთა კავშირის ნებისმიერი სამეცნიერო დარბაზისა თუ სამთავრობო ლოჟის კარი. პატივი და აღიარება არ აკლია მშრომელთა კლასსაც. უფრო მეტიც, ქართველი შრომისა და ომის გმირები, რიგითი მუშები და გლეხები გაცილებით დაფასებულნი არიან რუსეთში, ვიდრე აქ, საკუთარ ქვეყანაში...

— რუსები შოვინისტები არიან! ... — უცებ წამოიძახა შოთამ, — საკმარისია, დროა თავის თავს მიხედონ! ...

— ყმანვილო, — მშვიდად მიუგო ჭალარამ, — რასაკვირველია, შოვინისტური გამოხდომები ყველა ერსა და სახელმწიფო წყობას მეტნაკლებად ახასიათებს. ყოფილა ანტიქართული მოსაზრებების გახმოვანებაც, მაგრამ შეურაცხყოფა უპასუხოდ არასდროს დაგვიტოვებია. თუნდაც გავიხსენოთ სამოცდათვრამეტი წლის თოთხმეტი აპრილი. ასე რომ, ნუ ვჩქარობთ, ხომ ხედავთ თვითონ იშლება ქვეყანა ...

... ტრიბუნიდან ვიღაც რაც ძალი და ღონე ჰქონდა ყვიროდა მეგაფონში. შეიძლება ამანაც იმოქმედა ისე-დაც წყობილებიდან გამოსულ შოთაზე და ამ უკანასკნელმა უცებ იყვირა:



— სწორი თქვა ბატონმა ზვიადმა: თქვენ ყველანი კრემლის აგენტები ხართ! ... ნითელი ინტელიგენცია! ... ჩვენი ქვეყნის დამაქცევარნი! ...

ლექსო მიხვდა, რომ სიტუაცია დაიძაბა და შეიძლება ხელჩართულ ჩხუბში გადასულიყო, რაც ამ უკანასკნელ პერიოდში ხშირად ხდებოდა მიტინგების მსვლელობის დროს. ამიტომ ხელი მოჰკიდა შოთას და ქაშუეთის ეკლესიისკენ წაიყვანა. მეგაფონში კი კვლავ ვიღაც ყვიროდა...

...მიტინგზე შეკრებილი ხალხის თავზე კი რაღაც წაცრისფერი, უფორმო ღრუბელი დაცურავდა. ლექსო ვერ მიხვდა ეს ზაფხულის ხვატი იყო თუ უცრად ჩამოწოლილი ბურუსი ...

## XVIII

ორშაბათს დილით, მამა ანტონი და გურამი მამაოს მანქანით თბილისში ჩამოვიდნენ. მამა ანტონმა გურამი სახლთან ჩამოსვა, დალოცა და წარმატებები უსურვა. მერე საპატრიარქოში წავიდა, ხოლო რამდენიმე საათის შემდეგ დიდუბის ეკლესიისკენ გასწია. მამა მიქაელი ტაძარში დახვდა. გაეხარდა მამა ანტონის სტუმრობა, მოიკითხეს ერთმანეთი და ორივემ სენაკისკენ გასწიეს.

— გამიხარდა შენი სტუმრობა, მამაო, — უთხრა მამა მიქაელმა მამა ანტონს, სენაკის კარი გააღო და შეიპატიჟა სტუმარი, — დაბრძანდი, მამაო, ახლავე გაგიმასპინძლდები.



— ნუ შეწუხდები, მამაო, — იუარა მამა ანტონმა და კედელზე დაბრძანებული ხატების დათვალიერება დაინიო. ქაშუეთის ტაძრის სურათს მიაპყრო მზერა, მერე მამა მიქაელს მიუბრუნდა და ჰკითხა, — ეს არის ის სურათი?

— კი, მამაო, — გაეღიმა მამა მიქაელს, — ეგ არის, რომლის დანახვისასაც ჩემი სიზმარი მახსენდება და დღემდე ვერ ამოვხსენი რას ნიშნავდა.

მამა ანტონმა კიდევ დიდხანს უყურა სურათს, მერე იქვე მდგარ ხის სკამზე ჩამოჯდა და უთხრა მამა მიქაელს:

— სიზმარში მქონდა გამოცხადება. თბილისში ვიყავი, ქაშუეთის ტაძარში. ანგელოზმა ბიბლია გადამიშალა და მითხრა: „წაიკითხეო!“ წიგნი იყო „ლევიანნი“, თავი მეთექვსმეტე, რა თქმა უნდა, გეხსომება წიგნის ეს თავები: „ 20. მორჩება საწმიდარს, სადღესასწაულო კარვის და სამსხვერპლოს განწმედას და მიიყვანს ცოცხალ ვაცს. 21. თავზე დაასხამს ორთავე ხელს აარონი ცოცხალ ვაცს და ალიარებს მასზე ისრაელიანთა ყველა უკეთურებას, ყველა შეცოდებას და ყველა ცოდვას, ატვირთვინებს ვაცს და გაუშვებს უდაბნოში საგანგებო კაცის ხელით. 22. წაიღებს ვაცი ყველა მათ უკეთურებას დასაკარგავისაკენ; გაუშვებს თხას უდაბნოში. 23. შევა აარონი სადღესასწაულო კარავში, გაიხდის სელის შესამოსლებს, რომლებიც შეიმოსა საწმიდარში შესვლის წინ და იქ დატოვებს მათ, 24. დაიბანს ტანს წყლით წმიდა ადგილას, ჩაიცვამს თავის ტანისამოსს, გამოვა გარეთ და შეს-



წირავს აღსავლენს თავისთვის და აღსავლენს ერისთვის და განწმედს თავის თავს და ერს. 25. ცოდვის გამოსასყიდ ქონს დასწვავს სამსხვერპლოზე. 26. განტევების ვაცის წამყვანმა უნდა გაირეცხოს ტანისამოსი და წყლით დაიბანოს ტანი; მერე შეეძლება ბანაკში შესვლა ... ". მერე, მყისვე განმეშორა ანგელოზი და ეს სურათი დამიდგა თვალნინ. უცებ, ტაძრის სამხრეთის კარიდან წმიდა დავით გარეჯელი გამოვიდა ...

— წმიდა დავით გარეჯელი? — გაიკვირვა მამა მიქაელმა, — საიდან? როგორ? ... რამდენი საუკუნე გავიდა ...

— მეც გამიკვირდა, — განაგრძო მამა ანტონმა, — მაგრამ ღვთის განგებას ჩვენ უგუნურნი როგორ ჩავწვდებით, მამაო!? ... თეთრი ანაფორა ეცვა და თეთრი წვერი უფარავდა მკერდს... შორიდანვე დაიძახა: „იმ ცოდვილი ქალის ცოდვის აღიარების და მონანიების მიუხედავად, სატანა მაინც არ განეშორა აქაურობას! აქ ორი ტაძარი დაანგრიეს! ქვაშვეთს ვერ ერევიან, რადგან მისი აშენება თვით დიდმოწამე წმიდა გიორგიმ მიბრძანა. მაგრამ სასულიერო პირები ვერ უვლიან აქაურობას, ვერ აღავლენენ ჭეშმარიტ ღვთისმსახურებას და ამიტომაც არის, რომ უფალი განრისხებულია ჩვენზე!“ ... მე დაჩოქილი და თავჩაღუნული ვუსმენდი წმიდა მამას და ვერ მივხვდი, როგორ მომიახლოვდა და დამადგა თავზე... ჯვარი გარდამსახა და მითხრა: „ვიცი, რაზეც ხარ მოსული, მამა ანტონ! განტევების ვაცის ამბავი გაინტერესებს. მე მხოლოდ იმას გეტყვი, რომ მას, როგორც განტევების ვაცს თავიანთ ცოდვებს აჰკიდებენ, როგორც საერო, ისე სა-



სულიერო ხელისუფლება. ხოლო ვინ არის განტევების ვაცი, ეს შენ ძალიან კარგად იცი და ჩემი რჩევა არ გჭირდება. შენ ის იშვიათი მღვდელი ხარ, რომლის ლოცვაც ჩენითან ზეცაში ამოდის, ამიტომ არ გაგიჭირდება შექმნილ არეულობაში გარკვევა!“

მამა ანტონმა თხრობა დაამთავრა, თუმცა ქაშუეთის ტაძრის სურათისთვის თვალი არ მოუცილებია. მამა მიქაელიც გაჩუმებული იჯდა სავარძელში. ბოლოს, სიჩუმე ისევ მასპინძელმა დაარღვია:

— მე მაინც მგონია, მამაო, რომ განტევების ვაცი ამათ უკვე შეარჩიეს და ეს პატიაშვილია.

— რატომ ფიქრობ ასე? — ჰკითხა მამა ანტონმა ისე, რომ სურათისთვის თვალი არ მოუცილებია.

— იმიტომ, რომ პატიაშვილი გადადგა და გადამდგარი კაცისთვის, მით უმეტეს რესპუბლიკის ხელმძღვანელისთვის, ცოდვების ატვირთვა ადვილია.

— მე, ასე არ ვფიქრობ, მამაო, — გაეღიმა მამა ანტონს,

— პატიაშვილი რომ არ გადამდგარიყო, მაშინ მართლა გახდებოდა განტევების ვაცი, მაგრამ დაინდო უფალმა და განარიდა თანამდებობას. მას რომ გაეგრძელებინა ხელმძღვანელობა, კიდევ ბევრ შეცდომას დაუშვებდა ან დააშვებინებდნენ და ამით თავისი მტრების წისქვილზე დაასხამდა წყალს. ახლა მიდის განტევების ვაცის ძიება, თუ უკვე არ ჰყავთ მოძებნილი და ის არაფორმალებში ანუ ეროვნულ ძალებშია.

— და ვინ არის, მამაო, ის ადამიანი? — წარმოთქვა განცვიფრებულმა მამა მიქაელმა და ამ სიტყვებს თითქოს გული ამოაყოლაო, — შენ უკვე იცი ეს?



— სამწუხაროდ, მამაო, — მიუგო მამა ანტონმა და მკერდზე დაკიდებული ჯვარი მარჯვენა ხელით შეისწორა, — მხოლოდ არ ვიცი ორიდან რომელს აირჩივენ სატანის მიმდევრები, — მერე მცირე ხნით შეჩერდა, პირჯვარი გადაიწერა და განაგრძო, — ან ზვიადი, ან მერაბი.

მამა მიქაელი კვლავ განცვიფრებული შეპყურებდა მამა ანტონს. მას ჯერ კიდევ ვერ გაეცნობიერებინა მამა ანტონის ნათქვამი, ამიტომ თავისდაუნებურად, აკანკალებული ხმით ძლიერ წარმოთქვა:

— ეგ როგორ, მამაო?

— მომისმინე, მამაო, — უპასუხა მამა ანტონმა, — ბიბლია გვასწავლის: „თავზე დაასხამს ორთავე ხელს აარონი ცოცხალ ვაცს და აღიარებს მასზე ისრაელიანთა ყველა უკეთურებას, ყველა შეცოდებას და ყველა ცოდვას, ატვირთვინებს ვაცს და გაუშვებს უდაბნოში საგანგებო კაცის ხელით“. კარგად მოგეხსენება ფარისევლები გარეგნულად ყველაფერს ისე აკეთებენ, როგორც ეს წმიდა წერილში სწერია, სინამდვილეში ყველა მათი მოქმედება მზაკვრობაა. აქაც ასეა — საკუთარი ცოდვები, რომელიც კომუნისტური წყობილების დროს დააგროვეს საერო და სასულიერო ხელისუფლებებმა, უნდა ტვირთად აჰკიდონ ისეთ ადამიანს, რომელიც ორივე მათგანის მოწინააღმდეგე და მამხილებელი იყო და არის. ამას კი გააკეთებენ იმ დროს, როდესაც მას ხელისუფლებაში მოიყვანენ და თავიანთ მზაკვრულ გეგმას მისივე გარემოცვის მეშვეობით გააკეთებენ, მერე კი გაუხსნიან გზას და „პალსტუხიანების“ სიცილ-ხარხ-



არით, სამღვდელოების მდუმარებით და სამხედროების ტყვიის სროლით გააცილებენ და ვინც გააცილებს, ის საგანგებო კაციც განწირული ადამიანის გარემოცვიდან იქნება. ამასთან, აქ საგულისხმოა კიდევ ერთი რამ, ოცდამეოთხე მუხლში სწერია: „ცოდვის გამოსასყიდ ქონს დასწვავს სამსხვერპლოზე“. აი, ეს, მე ვფიქრობ, სუფთა და წმიდა ადამიანის მოკვლას მოასწავებს ...

— შენდობას ვითხოვ, მამაო, — შეაწყვეტინა საუბარი მამა ანტონს მამა მიქაელმა, — ამდენი ხალხი დაიღუპა ცხრა აპრილს და კიდევ ერთი ადამიანის მოკვდინება?

— სამწუხაროა, — მიუგო მამა ანტონმა, — ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს ყველას, ვინც ცხრა აპრილს გარდაიცვალა, მაგრამ მათი სიკვდილი უფრო შემთხვევითობასთან იყო დაკავშირებული. იქ რომელიმე მათგანის მაგივრად შეიძლება მეც ვყოფილიყავი, მაგრამ ეს შემთხვევა, რომელზეც ახლა მე ვსაუბრობ — გამიზნული იქნება. სატანას მსხვერპლი შერჩეული ჰყავს, უბრალოდ, მისი მოციქული დედამიწაზე შესაფერის მომენტს ელოდება.

— რაც ახლა შენ მომიყევი მამაო, — თქვა დაფიქრებულმა მამა მიქაელმა, — სულით ხორცამდე შემძრა. გამოდის, რომ საქართველოს მომავალი, ბურუსით არის მოცული. რა გზას უნდა დავადგეთ, მამაო?

— ამ კითხვას რომ ვუსვამ ჩემს თავს, ცრემლით მევსება თვალები, — ძლივს ამოთქვა ეს სიტყვები მამა ანტონმა და თვალებზე ცრემლი მოადგა. დიდხანს იყო ასე გარინდული, ბოლოს მხრებში გასწორდა, წვერ-





ზე ხელი ჩამოისვა და განაგრძო, — ამას წინათ ჩემთან ტაძარში ერთი ჩვენი ყოფილი ხელისუფალი იყო ჩამოსული. ამ თემაზე ვსაუბრობდით. საინტერესო რამ მითხრა, რომელსაც თუ შევძელი სიტყვა-სიტყვით გადმოგცემ — „სამშობლო, ალბათ, ყველაზე ღირებულია, რასაც ადამიანი უფლისგან ჯილდოდ იღებს, წინაპრებისგან — მემკვიდრეობად, შთამომავლებისთვის კი — უდიდეს პასუხისმგებლობად. სამშობლო არასდროს არის „აქ და ამჟამად“, ის ყოველთვის იყო წარსულში და მან უნდა იარსებოს მომავალშიც. ყველა ისე ემსახურება, როგორც ესმის და როგორც შეუძლია. სამწუხაროც სწორედ ის არის, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემთხვევაში, ჩვენ დავკარგავთ „მსახურის“ ფუნქციას და ხელისუფლებები „გამომძალველებად“ მოგვევლინებიან. ნებისმიერ ეპოქასა და სახელმწიფო მოწყობის პირობებში, არსებობს სხვადასხვა სოციალური კლასები და ფენები, მაგრამ ილიასეული „ხიდჩატეხილობის“ პრობლემა ნამდვილად აღარ უნდა იდგეს დღევანდელ საქართველოში. როდესაც მაგალითად თანამედროვე ევროპა მოგვყავს, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ იმავე ევროპაში, ომის დროს, ინგლისის დედოფლის სასახლიდან კვამლი არ ამოდიოდა, როცა მოსახლეობას შეშა არ ჰქონდა. როცა ხალხი ტირის, ხელმწიფეს სიცილის უფლება არ აქვს. მშიერი ხალხის ხელმწიფე მაძლარი არ უნდა იყოს, მით უფრო არ უნდა ჰქონდეს მას საკუთარი მოსახლეობის გაღატაკების ხარჯზე გამდიდრების უფლება. არ შეიძლება ხალხს გამუდმებით სანახაობას სთავაზობდე,



მაშინაც კი, თუ მას „პურს აძლევ“. პურისა და სანახაობის დონეზე დასული საზოგადოება არც არაფერს ქმნის და არც არაფერს აშენებს, იგი მხოლოდ ფლანგავს დროსა და ენერგიას. ფლანგავს და კარგავს, როგორც საკუთრივ ადამიანების, ასევე ქვეყნის სასიცოცხლო პოტენციალს... — ამ სიტყვებმა დამაფიქრა ჩვენი ქვეყნის მომავალზე, რომელიც, როგორც შენ აღნიშნე, „ბურუსით არის მოცული“.

— რატომ, მამაო? რა არის ამის მიზეზი? — იკითხა მამა მიქაელმა.

— ჩვენი სიმცირე, მამაო.

— საქართველოს მუდამ ეს პრობლემა ჰქონდა, მაგრამ აქამდე მოვედით. — არ ცხრებოდა მამა მიქაელი.

— შენ კარგად იცი, მამაო, — მიუგო მამა ანტონმა, — რომ ქართველები საზეპურო ერი ვართ ანუ კავკასიაში ერთადერთი ერი, რომელსაც გააჩნია ზეციური სამშობლო — ზეციური საქართველო. ამოგიკითხავს უფლის სიტყვები: „ჰოი, დედაო ჩემო, არა უგულებელყო ერი იგი საზეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათვის“. მართლმადიდებლობა იყო, არის და იქნება ერთადერთი გზა ზეციური სამშობლოსაკენ. კავკასიაში მართლმადიდებლობა და ქართველობა სინონიმებია. ამიტომ უცხოტომელების უმრავლესობამ, რომლებმაც კარგად იცოდნენ სად იყო ცხონების გზა, სხვადასხვა გზებითა და სამუალებებით შემოაღწიეს საქართველოში, დასახლდნენ და მოინათლნენ კიდეც. შემდეგ ქართულ გვარებზეც დაეწერნენ. მიუხედავად



მათი „გაქართველებისა“, ჩვენი მეფეები სომხებსა და ებრაელებს მაინც არ ენდობოდნენ და არ მიჰყავდათ საომრად, ისინი ძირითადად ეკონომიკური საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი და სამეფო ხაზინის შევსებაზე მუშაობდნენ. ეს, რა თქმა უნდა, კარგი იყო ქვეყნისთვის, მაგრამ დემოგრაფიული თვალსაზრისით — არა, პირიქით — კატასტროფულიც კი. რადგან ომებში ქართველები წყდებოდნენ, ხოლო ზურგში უცხოფომელები მრავლდებოდნენ. ამასთან მათ უმრავლესობას ნებისმიერ დროს შეიძლებოდა „ხელი მოეწერა“ ქვეყნის ღალატისთვის. ამჟამად, მათი შთამომავლებით არის გავსებული არა მარტო მოქმედი ხელისუფლება, არამედ არაფორმალების დაჯგუფებებიც, აღარაფერს ვამბობ უშიშროების სტრუქტურებზე. სულ მალე დადგება დრო, რომ ისინი მოვლენ ხელისუფლების სათავეში და საქართველოს მოჯადოებულ წრეზე წაიყვანენ და იმ პატიოსანი ადამიანის თქმისა არ იყოს — „საზოგადოებას პურისა და სანახაობის დონეზე დაიყვანენ“. აი, ეს არის, მამა მიქაელ, ის ბურუსი, რომელზეც მე და შენ ვსაუბრობთ და რომელიც ნელ-ნელა ეშვება მთელ საქართველოზე.

მამებმა დიდუბის ღვთისმშობლის ხატთან პარაკლისი წაიკითხეს და სამშობლოსა და ერის გადარჩენა სთხოვეს დედა ღვთისას.

## XIX

ბინაში შესვლისთანავე გურამი სამზარეულოში მოფუსფუსე ნატოს გადაეხვია, გადაკოცნა და მაშინვე ლოჯიაში გავარდა. ფანჯრის რაფაზე დადებულ ტელეფონს დასწრება და თეკლას ტელეფონის ნომერი აკრიფა.

შვილის მოულოდნელი დაპრუნებით გაოცებული და გახარებული ნატო გურამს ფეხდაფეს გაჰყვა და როგორც კი დააპირა დალაპარაკებოდა, ამ დროს გურამია ტელეფონის ყურმილში „ვაჟუაცური“ სინაზით წარმოთქვა:

— თეკლა, შენ ხარ? ...

ნატოს ხმა აღარ ამოუღია და ფეხაკრეფით ისევ სამზარეულოში დაპრუნდა. ხუთ წუთში ბინაში შემოსასვლელი კარი დაჯახუნდა და კიბეებზე ვიღაცამ სწრაფად ჩაირბინა. ნატო მაშინვე მიხვდა, გურამი სადაც გარბოდა, ლოჯიას ფანჯარა გამოაღო, გადაიხედა ეზოში და სწრაფი ნაბიჯით მიმავალ შვილს, რომელსაც ხელში ქაღალდში შეფუთული რაღაც საგანი ეჭირა, გადასძახა:

— იქნებ დროზე მოხვიდე და დედა ნორმალურად მოიკითხო!?

— მოვალ! ... მოვალ! ... მალე მოვალ, დედა! ... მაპატიე!

გურამი და თეკლა ერთმანეთს ბოტანიკურ ბაღში შეხვდნენ. გურამი უყურებდა მისკენ მომავალ თეკლას და ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, რომ მის ირგვლივ ყველა სულიერი არსებები და უსულო საგნები შეყვარებულები იყვნენ. რამდენჯერ ყოფილა ბოტანიკურ ბაღში და ასეთი



ლამაზი არასდროს მოსჩვენებია, ყველა და ყველაფერი მის გარშემო ტრიალებდა, მას ეფერებოდა, ლამის ცა-მაც დაიწია და მზეც დედამიწის სტუმარი გახდა. თეკლა ბრნეინავდა, მოდიოდა გურამისკენ და თან მთელი სამ-ყაროს სიმშვენიერე მოჰქონდა. გურამმა ქალალდში სა-განგებოდ შეფუთული მინდვრის ყვავილების თაიგული ამოიღო და მასთან მოახლოებულ თეკლას შეაგება:

— ამ ყვავილებით უნდა დაგიწნა შარავანდედი, ჩემო სიყვარულო, როგორ მომნატრებიხარ!

— არ დაგვიწყებია შეპირებული მინდვრის ყვავილე-ბი, ჩემო სიცოცხლევ! — შესძახა თეკლამ და გურამს გა-დაეხვია.

ჯერ არ დაბადებულა მსოფლიოში ადამიანი, რომელ-იც შეძლებდა სიყვარულის დროის გაზომვას... ის უსას-რულო და განუსაზღვრელია, თუნდაც მიწიერი დროით სულ რამდენიმე წამს გაგრძელდეს... გურამს თეკლა მკერდში ჩაეხუტებინა, გამვლელ-გამომვლელნი ღიმ-ილით აკვირდებოდნენ შეყვარებულ წყვილს, ხოლო თუ ვინმე ახლოს ჩაუვლიდა მათ, ცდილობდა, რომ თითქმის ფეხის წვერებზე გაევლო, რათა შეყვარებული წყვილის იდილია არ დაერღვია...

თუმცა, ასეთ დროს ხშირად გამოჩნდება ხოლმე ვი-ლაც, ვინც ეგრეთ წოდებულ სამართლიანობას და წეს-რიგს იცავს საზოგადოების თავშეყრის ადგილებში. სიყვარულის უკიდეგანო გრძნობებში ჩაძირულ ახალ-გაზრდებს მიუახლოვდა თეთრ ტანსაცმელსა და ჩალის ქუდში გამოწყობილი მოხუცი ქალი, ხელჯოხი რამდენ-ჯერმე დაარტყა მიწას და იყვირა:



— ცხელა! ცხელა! ... იწვის ყველაფერი! ... რა დღეში ხართ! ... არ გრცხვენიათ! ... მომინდომეს ამ შუა ზაფხულში სიყვარულობანა! ...

— როგორ გეტყობათ, ქალბატონო, რომ შინაბერად დაბერებულხართ! — გაისმა შორიახლოს მოსეირნე, ასევე თეთრ ტანსაცმელსა და თეთრ ცილინდრში გამოწყობილი მოხუცი კაცის ხრინნიანი ხმა, რომელიც ასევე ყავარჯენს დაყრდნობოდა და უკმაყოფილოდ იქნევდა აქეთ-იქით თავს.

ქალი შებრუნდა მოხუცი კაცისკენ, შინაბერისეული გამომეტყველებით შეხედა და ზიზღნარევი ხმით იყვირა:

— ტფუ! ძველი მექალთანე! ქალაქისთვის შეუფერებელი! ...

მოხუცების კამათით სახტად დარჩენილმა თეკლამ და გურამმა ერთმანეთს შეხედეს, უცებ მოწყდნენ ადგილს და სიცილ-კისკისით ბალის სილრმეში გაუჩინარდნენ. ჩანჩქერამდე ასე ირბინეს, თუმცა მალევე ვერ გაუძლეს ვნებათალელვას, შეჩერდნენ და კვლავ ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— მე უშენოდ ველარ გავძლებ, გურამ... აღარ მიმატოვო... ძალიან გთხოვ... ხომ შემპირდები, რომ აღარ მიმატოვებ?

— გპირდები, ჩემო სიყვარულო... — ძლივს ამოთქვა გურამმა, — მაგრამ შენ იცი, რაც მოხდა... მორჩა... ყველაფერი დამთავრდა... ჩვენ ველარავინ დაგვაცილებს...

შეყვარებულები ჩანჩქერისკენ წავიდნენ, ერთი ხის ძირას დასხდნენ, იმდენად იყვნენ ტრფიალით გათან-



გულნი, რომ საუბარს ვეღარ ახერხებდნენ, არადა რამ-დენი რამ ჰქონდათ ერთმანეთისთვის მოსაყოლი. ბოლოს, სასიამოვნო დუმილი ისევ თეკლამ დაარღვია:

- ნიკალა პაპა როგორ გყავს?
- მშვენივრად. მოკითხვა შემოგითვალა.
- საიდან მიცნობს? — გაუკვირდა თეკლას.
- ყველაფერი მოვუყევი და რა მითხრა იცი? — მიუ-გო გურამმა, — მანამ არ მოვკვდები, სანამ თქვენ შვილს არ მოვესწრებიო.

თეკლამ დაიმორცხვა, ლოყებზე სილამაზის და-მამშვენებელმა სიწითლემ გადაურბინა და უსაყვედურა გურამს:

- შეყარე ხომ ქვეყანა!?
- ქვეყანა კი არა! — წამოიძახა გურამმა, ფეხზე წა-მოდგა, ხელები გაშალა და განაგრძო, — ახლა ავალ ნარიყალაზე, მთელ თბილისს გადავხედავ და ბოლო ხმაზე ვიყვირებ — თეკლა, მიყვარხარ! მი-ყვარ-ხარ! მი-ყვარ-ხარ! მი-ყვარ-ხარ! თბილისის ყველა უბანი ექოს მომცემს და ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება ამ ქვეყანაზე!

თეკლამ ახედა ხელებგაშლილ გურამს და ჰკითხა:

- ერთ დღესაც რომ გადაგიაროს ამ სიყვარულმა და მიმატოვო, მერე რა იქნება? რას იყვირებ?

- არასდროს, ჩემო სიყვარულო! ეს არასდროს მოხ-დება, — უპასუხა გაოცებულმა გურამმა, ისევ თეკლას გვერდით დაჯდა, ხელი გადახვია და აკანკალებული ხმით ჰკითხა, — ხომ იცი, რაც არის სიყვარული?





— სიყვარულიიი? — გაიკვირვა თეკლამ, — როგორ არ ვიცი. რამდენიმე დღის წინ ევროპელი ფილოსოფოსების გამონათქვამებს ვკითხულობდი და იქ ერთი, აღარ მახსოვს გვარი, წერდა, რომ „სიყვარული არის ის გრძნობა, როდესაც შენი შეყვარებულის ინტერესებს, შენს ინტერესებზე მაღლა აყენებო“.

— რაო? — გაეცინა გურამს, — ეგ სიტყვები იმ ფილოსოფოსმა სიყვარულზე თქვა თუ პოლიტიკაზე?

— სიყვარულზე, კარგად მახსოვს. — იწყინა თეკლამ.

— ცივი ევროპის ცივმა ფილოსოფოსებმა სიყვარულის რა იციან, თეკლა. სიყვარული გულის სითბოა, რომელიც არასდროს ცივდება. — ომახიანად წარმოთქვა გურამმა და მდელოზე გულალმა დაწვა, შეხედა ცას და განაგრძო, — სიყვარული არის ამ ლამაზი ცის, ხეების, მიწის, შენი სახლის, შენი წიგნების, რვეულების და კიდევ ვინ მოთვლის რის ერთობლიობა, რომელიც შენს გარშემო ტრიალებს. ახლა მე შენ გხედავ, როგორც სამყაროს ცენტრს, რომლის გარშემოც ყველაფერი მოძრაობს და ეს ბრუნვა შეერთებულია ჩემს გულთან.

— და გული რომ გაცივდეს იმ ცივი ევროპის ცივი ფილოსოფოსებივით? — ნიშნის მოგებით იკითხა თეკლამ.

— არ გაცივდება. — თქვა თავის თავში ღრმად დარწმუნებულმა გურამმა

— ვითომ რატომ? — არ ეშვებოდა თეკლა.

— თეკლა, — გაეღიმა გურამს. წამოიწია, ხელი მოხვია შეყვარებულს და მიუგო, — მთელი სამყაროს ბრუნვა თუ ჩემს გულთან არის შეერთებული, ამ გულს რა გააციებს. მაშინ სამყარო უნდა გაჩერდეს.



თეკლამ ჩანთა გახსნა, ორი პატარა ფურცელი და საწ-  
ერი კალამი ამოიღო. ერთ ფურცელზე გურამის სახელი  
დაწერა და ქვეშ გული მიუხატა, ხოლო მეორეზე — თავ-  
ისი სახელი დაწერა და ისიც ლამაზად მოხაზული გულით  
შეამკო. ეს უკანასკნელი გურამს გაუწოდა და უთხრა:

— აი, ჩემი გული. ხოლო შენი გული ჩემთან იქნე-  
ბა. ერთმანეთის გულებს მოვეფეროთ ყოველთვის და  
როდესაც ერთად ვიქნებით — გავაერთიანოთ.

გურამმა გულის ჯიბეში ჩაიდო ფურცელი, თეკლა  
მკერდში ჩაიხუტა და უთხრა:

— გპირდები, ჩვენი გულები ერთმანეთის მიმართ სი-  
ცოცხლის ბოლომდე არ გაცივდება.

## XX

ცხრა აპრილის ტრაგედიის შემდეგ დრო თითქოს  
გაჩერდა, უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა — და-  
კოჭლდა. ნათქვამია: „ფარა, რომ შემობრუნდება, კოჭ-  
ლი ცხვარი წინ მოექცევაო“. ასე იყო საქართველოშიც,  
„კოჭლი ცხვარი“ შემობრუნებულ დროებას წინ გაუძლ-  
ვა და მასთან ერთად მიჰყავდა ქვეყნის ორომტრიალით  
გაოგნებული ადამიანები, რომლებიც ყოფითი პრობლე-  
მებით დამძიმებულნი საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილიყვნენ  
და ვერც აცნობიერებდნენ, რომ კოჭლ დროებას ისინი  
დიდი და ღრმა უფსერულისკენ მიჰყავდა. ბევრს უჭირ-  
და ამ გლობალური უფსერულის აღქმა, რომელშიც ყვე-  
ლანი, სამშობლოსთან ერთად, უნდა გადაჩეხილიყვნენ.



ხალხის ლიდერებად გამოჩნდნენ ისეთი ეგრეთ წოდებული თეორეტიკოსები, რომელთაც ქვეყნის კი არა, ორკაციანი კოლექტივის მართვის გამოცდილებაც არ ჰქონიათ და მიტინგზე დგომისა და სხვისი კრიტიკის გარდა ცხოვრებაში არაფერი უკეთებიათ.

... დრო კი „მიიზღაზნებოდა“ უფსკრულისკენ ...

სამაგიეროდ გაორმაგებული ტემპით მუშაობდნენ უშიშროების ორგანოები. ეროვნულ მოძრაობაში „ჩან-ერგილი“ საკუთარი კადრებით ცდილობდნენ ჭეშმარიტი მამაულიშვილების გაუვნებელყოფას და თავიანთი „დამუშავებული“ ადამიანების სახალხო მოძრაობის ლიდერებად წარმოჩენას. ყოველივე ამის შედეგი იყო მერაბ კოსტავას მკვლელობა. ასრულდა მამა ანტონის წინასწარმეტყველება: „სატანას მსხვერპლი შერჩეული ჰყავს, უბრალოდ მისი მოციქული დედამიწაზე შესაფერის მომენტს ელოდება“. სუფთა და უმნიკვლო მამულიშვილის სიკვდილმა ეროვნულ მოძრაობაში დიდი გადაჯგუფებები გამოიწვია, რაც, რა თქმა უნდა, უშიშროების და საქართველოს მტრების „წისქვილზე ასხამდა წყალს“. შედეგად, საქართველოში ეროვნულმა მოძრაობამ გაიმარჯვა, რომლის შემადგენლობაში უმრავლესობას კრემლის კადრები შეადგენდნენ და ეს არც იყო გასაკვირი, რადგან საბჭოთა კავშირი, როგორც თხუთმეტი რესპუბლიკისგან შემდგარი ქვეყანა ჯერ კიდევ განაგრძობდა ფუნქციონირებას.

ლექსოს სამსახური, ისე როგორც სხვა მრავალი უნიკატი, დაშლის პირას იყო და ამიტომ მას ან სახლში ნახა-



ვდიოთ ან კიდევ ქუჩაში. ახალი წლის წინა დღეები იყო და ლექსო რუსთაველის პროსპექტის გავლით, სახლისკენ ფეხით მიდიოდა. უცებ, ნაცნობი ხმა შემოესმა, მიიხედა და უნივერმალ „თბილისის“ კიბეებზე შოთა შენიშნა. ლექსოს გაეხარდა ყოფილი თანამშრომლის დანახვა, გადაეხვია, მოიკითხა და ჰკითხა:

- სად დაიკარგე, ძმაო? აღარ ჩანხარ, წასული იყავი?
- არა, ძმაო, — უპასუხა შოთამ, — სად მცალია წასასვლელად, ამდენი საქმეა ქვეყანაში.

ლექსომ შეამჩნია, რომ შოთას გარეგნობასთან ერთად, ხმის ტონალობაც შეცვლილი ჰქონდა, ზუსტად ისეთი დიდკაცობისას „ხმის დაყენებას“ რომ ეძახიან. თუმცა, არ გაჰკვირვებია, რადგან შოთა დღე და ღამეს მიტინგებზე ატარებდა, ეროვნულ მოძრაობაში იყო ჩართული და მრავალი წინააღმდეგობების გადალახვაც მოუწია.

— სად მუშაობ ახლა? — ჰკითხა ისევ ლექსომ.  
— თბილისის საკრებულოში! — ამაყად წარმოთქვა შოთამ, — ათას ცხრას თვრამეტი წლის შემდეგ ისევ დავუბრუნდით დამოუკიდებელი საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებს და ანი ნახე შენ ქვეყნის მშენებლობა.

— აქამდე ვანგრევდით, შოთა!? — იწყინა ლექსომ, როგორც არქიტექტორმა, — რაც ჩემი და შენი დახაზული პროექტებით თბილისში შენობები აშენდა ...

— კაი ახლა, ლექსო, — გაეღიმა გადიდკაცებულ შოთას, — ვის რაში სჭირდება კომუნისტების აშენებული შენობები, ნუ მაცინებ ახლა ...



ლექსომ გაჩუმება არჩია, რადგან კარგად იცოდა ასეთ კამათს როგორი გაგრძელებაც მოჰყვებოდა. შოთას ხელი მხარზე დაადო და უთხრა:

— გილოცავ, ძმაო, ღმერთმა ხელი მოგიმართოს. იმე-დია რაიმე სამსახურს მეც მომიხერხებ, თორემ ჩვენი კანტორა კი იცი, რომ იხურება.

— რაღა დროს კანტორებია, ლექსო, — მიუგო შოთამ, — ახლა ასოციაციები და ფირმები იწყებენ საქმიანობას. რაღაცას მოგიხერხებ, რაზეა საუბარი. თან ვიცი, რომ ჩვენი მომხრე ხარ და არ იქნება პრობლემა.

— კარგი, ძმაო, დაგირეკავ. — თქვა ლექსომ და წას-ასვლელად მოემზადა.

— მოიცა, ძმაო, — წამოიძახა შოთამ და მეგობარს ხელკავი გამოსდო, — წამოდი, ახლა კაი ადგილას უნდა წაგიყვანო.

— სად? — იკითხა გაოცებულმა ლექსომ.

— გახსოვს, ჩემო ლექსო, სულ ოცნებად რომ გვქონ-და გადაქცეული რესტორან „მუხრანთუბანში“ შესვლა და ქიფი?

— როგორ არ მახსოვს, — გაეღიმა ლექსოს, — მაგ რესტორანში შესასვლელ საშვებს ქალაქის აღმასკომი იძლეოდა, ჩვენ კი იქამდე ხელი არ მიგვიწვდებოდა.

— ჰოოდა, ახლა წავიდეთ და შევუბეროთ ჩვენებუ-რად. ჩვენებს აქვთ გაშლილი სუფრა. გაიცნობ ჭეშმარიტ მამულიშვილებს, თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს ელიტას.

— როგორ, — გაოცება ვერ დამალა ლექსომ, — მე ხომ იქ შენს გარდა არავის ვიცნობ. უხერხულია.



— მე რომ გეუბნები, ესე იგი არ არის არაფერი საუხე-ერხულო. წავედით, ლექსო, აქვეა, ფეხით ხუთ წუთში იქა ვართ.

ლექსო და შოთა როდესაც რესტორანში შევიდნენ, პოლიტიკოსთა ბანკეტი ახალი დაწყებული იყო. ვინაიდან თამადა ფეხზე იდგა და სადღეგრძელოს სათქმელად ემზადებოდა, ბიჭები წყნარად დასხდნენ ადმინისტრატორის მიერ შეთავაზებულ სკამებზე და მოემზადნენ სადღეგრძელოს მოსასმენად. ლექსომ როგორც კი შეხედა თამადას, მაშინვე იცნო. ის კომუნისტური პარტიის კალინინის რაიონული კომიტეტის ერთ-ერთი განყოფილების უფროსად მუშაობდა, მხოლოდ ვერ გაიხსენა რომელ დარგს კურირებდა. მაგრამ ის კი კარგად იცოდა, რომ არაფორმალური მოძრაობის წინააღმდეგი გახლდათ, და ამასთან ერთად კარგად ჩამოყალიბებული ათეისტი და ეკლესიის მისამართით ცინიკური გამოხტომებით გამოირჩეოდა.

— გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს ბატონ ზვიად გამსახურდიას თამადობით! — ხმამაღლა წარმოოთქვა თამადამ

დაახლოებით ორმოცდაათმა თანამეინახემ „გაუმარჯოს!“ შეძახილით დასტური მისცა თამადას და ყველამ ფეხზე ადგომით, ზეაღმართული შეკრული მარჯვენით, ერთხმად დაჭექა სიმღერა „შავლეგო“. ლექსო უყურებდა ამ აღტკინებულ ადამიანებს, რომელთაგან ბევრს იცნობდა და ფიქრობდა: „აქ მყოფთაგან ნახევარზე მეტ-მა არც იცის ვისზეა ეს სიმღერა, თავის დროზე რატომ



მდეროდა ხალხი, ეროვნულმა მოძრაობამ ასე ძლიერად რატომ აიტაცა და ფაქტობრივად თავის ჰიმნად აქცია. არ იციან, იმიტომ, რომ სუფრის წევრთა უმრავლესობა მიტმასნილია ეროვნულ მოძრაობაზე. შეატყვეს რა, რომ კომუნისტებმა ფარ-ხმალი დაყარეს, უცებ მოიშორეს პარტბილეთები ან საგულდაგულოდ გადამალეს „რა იცი, იქნებ ჩვენები ისევ მოძრუნდნენო“. ეს ერთგული ლენინელები „შავლეგოს“ სიმღერ-სიმღერით, მარჯვენა ხელაღმართულები გადაბარგდნენ ეროვნულ მოძრაობაში. არც ერთ მიტინგს არ აცდენდნენ, ტელეკამერების წინ ტრიალებდნენ, რომ ხალხის თვალში ავტორიტეტი მოეპოვებინათ. ამათგან ბევრმა ეს შეძლო და მაშინვე დაუპირისპირდნენ მართლა ეროვნულ და პატრიოტ ადამიანებს და სულ „კრემლის აგენტების“ შეძახილებით გამოყარეს ხელისუფლებიდან. ამ უვიცი და თაღლითი ადამიანების მოსვლამ მთავრობაში, მაშინვე დაარტყა მახვილი რესპუბლიკის ეკონომიკას, რამაც გამოიწვია სანედლეულო ბაზრის დაკარგვა და უცხოელების მიერ საქართველოს არასანდო პარტნიორად მიჩნევა. ამან სტიქიურობისკენ უბიძგა ისედაც დაუწყობელ საქართველოს სამომხმარებლო ბაზარს და უფსკრულისკენ გააქანა. კაცი არ დარჩა ხელისუფლებაში, რომ ეკონომიკას მოჰკიდოს ხელი, ყველა პოლიტიკოსობს და ამ პოლიტიკოსობით ხრავს, რაც კიდევ დარჩა საქართველოში, რადგან საქმის კეთება არავინ იცის“.

ლექსოს ფიქრი მუსიკამ შეაწყვეტინა. საგანგებოდ მოწვეულმა ორკესტრმა საქართველოში გავრცელებუ-



ლი საცეკვაო მუსიკა — „შალახო“ დაუკრა. უცებ, სკამი-დან წამოხტა ერთ-ერთი სუფრის წევრი და ორკესტრის წევრებს უყვირა:

— შენყვიტეთ მაგ მუსიკის დაკვრა! არ არის ქართული! ორკესტრმა მაშინვე შენყვიტა დაკვრა და კაცი „აფრინა“ სუფრისკენ შეკითხვით: „რა დავუკრათ ბატონოო“. პასუხი ასეთი იყო: „თბილისომ“.

ლექსო მიხვდა, რომ რესტორანში სიტუაცია თან-დათან გამწვავდებოდა და არჩია, რომ გასცლოდა აქა-ურობას. ბოდიში მოუხადა გვერდზე მსხდომ სუფრის წევრებს და ის იყო წასვლა დააპირა, რომ ერთ-ერთმა თანამეინახემ დაუძახა:

— მეგობარო, დარჩით! ჩვენ აქ თავისუფლად ვსუნთქვთ, რუსული კოლონიალიზმისგან განვთავისუ-ფლდით და გავიხაროთ.

ლექსომ გაუღიმა უკვე ბახუსისგან საკმაოდ „პა-ტივცემულ“ თანამეინახეს და მოკრძალებით მიუგო:

— დიდი მადლობა, ბატონო. რომ არ მეჩარე-ბოდეს წამდვილად დავრჩებოდი. ასე რომ, თავისუფალ სუნთქვას ქუჩაში გავაგრძელებ.

რესტორნის გარდერობთან ლაბადის ასაღებად მი-სულ ლექსოს წასვამი შუანის მამაკაცი მიუახლოვდა, ხელი ჩამოართვა და ლექსის კითხვა დაიწყო:

რა არაგველნი, რის არაგველნი,  
ქართველი კაცი სტომაქზე ფიქრობს,  
„გიშები იყვნენ! ის უბედურნი!“  
უმრავლესობა დღეს ასე ფიქრობს.



მაშ, რღად გვინდა წინაპართ ქება?

თუ არ ვაგრძელებთ მათ საქმეს წმიდას,

გუგულის ბარტყი მრავლდება ბევრი

და მათი იყოს ეს წმიდა მიწაც!

ნასვამმა მამაკაცმა ლექსის კითხვა დაამთავრა, მარჯვენა ხელის გაშლილი მტევნის შუბლზე მიდებით ლექსოს პატივი მიაგო და რეტორნის გასასვლელისკენ წავიდა. ლექსო დააფიქრა უცნობის სიტყვებმა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ნუთუ!?



## მართა ნაცილი

I

ლექსო და გურამი სახლში ისხდნენ და ტელევიზორს უცქერდნენ. საქართველოში დატრიალებულ მოვლენებს ცენტრალური ტელევიზია აშუქებდა. პირდაპირ ეთერში შევარდნაძის თბილისში ჩამოსვლის რეპორტაჟს გადასცემდნენ. აგერ, თვითმფრინავის ტრაპზე გამოჩნდა ბევრისთვის „ნანატრი“ ედუარდი. მას ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს სამშობლოს გადარჩენისთვის საჭირო რომ ყოფილიყო, ახლავე „დადებდა“ თავს ეშაფოტზე. თეთრ თმებს ქარი უნენავდა. დროგამოშვებით თმებს ხელის თითებით ისწორებდა და ახლადნაკურთხი მეფის მედიდურობით დასცქეროდა მის წინ მოგროვილ ქართველებს. ამ ბრძოში უმრავლესობა სახელმწიფო გადატრიალების მონაწილენი და მათზე მიტმასნილი ვიგინდარები იყვნენ, ხოლო მთლიანობაში წარმოადგენდნენ ერის ღალატით ფრთაშესხმულ სკამის მაძიებელ ნაძირალებს, რომელთა გაღიმებულ სახეებზე აშკარად ამოიკითხავდით, რომ თითოეული მათგანი შევარდნაძეში მხსნელს ხედავდა, იმ მხსნელს, რომელიც მათ პირად ბედნიერებას მოუტანდა. ტრაპიდან მიწაზე ჩამოსულ ედუარდს ჰკოცნიდნენ, ვინც იქამდე ვერ აღწევდა, ყოველნაირად ცდილობდა, მის ხელს ან თუნდაც ტანსაცმელს შეხებოდა. შევარდნაძე კი თავ-ანეული მიაბიჯებდა წინ, მარჯვენა ხელის თითებით



ისევ თმებს იჭერდა და წააგავდა სამშობლოსათვის თავდადებულ წმიდანს, ხოლო მასზე „მიკერებული“ ბრძო კი — ეკლესიის მრევლს, რომელიც მასში მხსნელს ხედავდა. იყო კი ის მხსნელი? თუ პირიქით — ანტიქრისტე? ან ანტიქრისტეს „მოციქული“, ამ კითხვაზე პასუხს მომავალი გასცემდა. ტელევიზიის ჟურნალისტები კი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მის ქება-დიდებაში. იქ შეკრებილი ხალხი ცოტა მწყობრად რომ დაგეყენებინათ და რამდენიმე დროშაც აგეფრიალებინათ, თავი წამდვილად პირველი მაისის ან შვიდი წოებრის დემონსტრაციაზე გეგონებოდათ. ლექსოს ნერვებმა უმტყუნა, ადგა, მივიდა ტელევიზორთან და სხვა არხზე გადართო. იქაც იგივე გადაცემა მიდიოდა. ამან სულ გადარია ვაჩნაძე, ტელევიზორი გათიშა და იყვირა:

— ეს რომ ააშენებს საქართველოს!? ვაი, ჯერ ამის და მერე ჩვენს პატრონს! ჩამოათრიეს თეთრი მელა!

— რა იცი, მამა, — შეეპასუხა სავარძელში გაუნძრევლად მჯდარი გურამი, — იქნებ პირიქით მოხდეს და ეშველოს ქვეყანას?

— ამის წაშველი და აშენებული მე ჯერ არ მინახავს, უფრო გაცხარდა ლექსო, — და თუ ვინმეს უნახავს, იქნებ მაჩვენო!

— რა ვიცი, საერთაშორისო დონის პოლიტიკოსიაო, ყველა მაგას ლაპარაკობს ქალაქში — არ იხევდა უკან გურამი, — დავიჯერო ყველა ცდება? ...

— საერთაშორისო დონის პოლიტიკოსი არ ვიცი მე! — ბობოქრობდა ისევ ლექსო, — მაგრამ საერთაშორ-



ისო დონის აფერისტი როა, ეს მთელმა საქართველომ იცის! კომუნისტების დროს მიწერების მეტი არაფერი გაუკეთებია და მაგ საქმით ნაშოვნი ფულით ჩამოიკიდა გმირის წოდება და გახდა პოლიტბიუროს წევრი. ეგ ხალხისთვის არაფერს გააკეთებს!

— აბა, მაშინ გამსახურდია ყოფილა ქვეყნისთვის საჭირო კაცი და რატომ გააძევეს? — იკითხა გურამმა და სავარძელში გასწორდა.

გამსახურდიას ხსენებაზე ლექსო თითქოს დამშვიდა, ოთახში გაიარ-გამოიარა, მერე გურამს შეხედა და წყნარად მიუგო:

— ხალხში იტყვიან ხოლმე: „თავის თავის უბედური იყო“ ზვიადს სამშობლო უყვარდა, მაგრამ პოლიტიკოსი არ იყო და ამიტომ ხშირად ტყუვდებოდა, ვერ შეძლო შიდა პოლიტიკური სამზარეულოს დალაგება და აგერ შედეგიც მიიღო თვითონაც და ჩვენც. სწორედ გამსახურდიას პოლიტიკური მიამიტობით ისარგებლა ამ თეთრმა მელამ, აუმხედრა პატიაშვილს, რადგან იცოდა, რომ თვითონ ვერ მოერეოდა, მერე მოიყვანა ხელისუფლებაში, ნელ-ნელა დაასუსტა, უამრავი ცოდვა აჰკიდა, როგორც განტევების ვაცს, ქვეყნიდან გააგდებინა და აგერ თვითონ „თეთრი რაშით“ შემოვიდა საქართველოში ...

— მე მაინც ვფიქრობ, — შეაწყვეტინა ლექსოს სიტყვა გურამმა, — რაღაც სასიკეთოს გააკეთებს საქართველოსთვის, მართლა ხომ არ გაგვწირავს?

— შვილ! — გაცხარდა ისევ ლექსო, — ეკლესიაში ტყუილად ხომ არ დადიხარ!? იქ ხომ გვასწავლეს: „ვისაც



არ უყვარს ქრისტედა არ სცნობს მას, ის ანტიქრისტეა“. ეს მონათლულიც კი არ არის. ამ ასაკის კაცი მონათლული რომ არ იქნება, ის ანტიქრისტეა, აბა, ვინ არის?

— კომუნისტების დროს თანამდებობის პირი რომ მონათლულიყო, დახვრეტა არ ასცდებოდა, ეს ხომ კარგად იცი? — თავისას არ იშლიდა გურამი და გათიშული ტელევიზორის ეკრანს თვალს არ აცილებდა.

— პატარაც თანამდებობის პირი იყო? — გამომწვევად იყითხა ლექსომ, — მმობლებმაც არ მოანათლინეს, იმიტომ, რომ ეშმაკად უნდა გაეზარდათ!

ეს თქვა ლექსომ, გურამისკენ წავიდა, თავზე დაადგა შვილს და უთხრა:

— ვაუკაც! გამოიხედე აქეთ! ნუ მიშტერებიხარ მაგ გათიშულ ტელევიზორს, ეგ გინდა ჩართული იყოს და გინდა გამორთული, ეშმაკი მაინც შიგ ზის და არც არას-დროს გამოვა მაგ ყუთიდან!

— კარგი რა, მამა! — თქვა შეწუხებულმა გურამმა, ზანტად წამოიზლაზნა სავარძლიდან, ოროსანი მოსწავლესავით დადგა ლექსოს წინ და განაგრძო, — რა გინდა? დავაშავე რამე?

— მომისმინე, შვილო, — მიუგო გურამს უკვე დამშვიდებულმა ლექსომ, — მე შენი და შენნაირების მომავალი მაღლვებს და მანერვიულებს, თორემ მე ჩემი, ავადთუ კარგად, გავიარე. ბევრი კარგიც ვნახე და ბევრი ცუდიც. შენ მომავალ წელს ამთავრებ სკოლას და დადგები ცხოვრების გზაჯვარედინზე, სადაც უნდა აირჩიო, რომელი გზით წახვიდე წუთისოფელში. მე რომ შენხელა



ვიყავი, ასარჩევი გზა ბევრი იყო და დროც მშვიდობიანი გვქონდა. ეს სატანა, რომელიც ცოტა ხნის წინ, ქარისგან აწენილ თმებს ხელის თითებით აკავებდა, ასარჩევს კი არა, ყველა სავალ გზას ჩაგიკეტავთ და მხოლოდ ქვეყნიდან გასასვლელ, გადასაკარგავ გზას დაგიტოვებთ, რათა საქართველო ერთხელ და სამუდამოდ დაცალოს ქართველებისგან ...

— საიდან მოიტანე ეს ამბები, მამა? შენ რა იცი რას ფიქრობს ეგ კაცი? — სცადა ლექსოსთან შეკამათება გურამმა.

— შვილ! შენ ნეიტრონის ბომბი ხომ იცი რაც არის?

— რავი, ბომბია რა ... — აიჩეჩა მხრები გურამმა.

— მისმინე, — თქვა ლექსომ და შვილს თვალი თვალში გაუყარა, — ნეიტრონის ბომბი აფეთქების დროს სპობს მხოლოდ ცოცხალ არსებებს, დანარჩენი უვნებელი რჩება. ეს ბომბი რომ გამოიგონეს, მაშინ შევარდნაძე საქართველოში ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო და ერთ-ერთ საიდუმლო შეკრებაზე ასეთი რამ უთქვამს: „ნეტავ, მთელი ქართველობა ერთ ადგილას შემაკრებინა და შუაში ნეიტრონის ბომბი ჩამომაგდებინა“. მაშინ ყველას ეს ნათქვამი ცხელ გულზე გამოგონილი ბოროტი ხუმრობა ეგონა. ახლა კი რეალობად იქცა, ხომ ხედავ, ხალხის შეგროვება აეროპორტიდან დაიწყო. თან, შეიარაღებული მხედრიონი და გვარდია გარეთ, გასასვლელში ელოდება ...

— კარგირა, მამა, რაღაცეებს ნუ იგონებ! — წამოიძახა გურამმა და ბინის გასასვლელი კარისკენ წავიდა, თან



თავისითვის ბუტბუტებდა, — რას სჭირს ამ ხალხს, ყველაფერს უკუღმა ხედავენ და ლაპარაკობენ ...

მამამ თვალი გააყოლა შვილს, რომელმაც სადარბაზოს კიბეები სწრაფად ჩაირბინა და ეზოში გავიდა. ლექსო ფანჯარასთან მივიდა და ხედავდა, გურამი სწრაფი ნაბიჯით როგორ დაეშვა დალმართზე. შვილს ჯვარი გადასახა, ლრმად ჩაისუნთქა და ჩაილაპარაკა:

— თეკლასთან წავიდა. ღმერთმა ბედნიერი ოჯახი შეაქმნინოთ და, რა თქმა უნდა, დრო დაუდგეთ ბედნიერი და, რაც მთავარია, მშვიდობიანი. უფალი არ განირავს მათ, ამას ნამდვილად ვგრძნობ.

## II

თბილისში ზაფხული დიდი სიცხეებით დაიწყო. გურამს ერთი წელინადი დარჩენოდა სკოლის დამთავრებამდე. არც თეკლას და არც გურამის მშობლები ახალგაზრდებს შეუღლების უფლებას არ აძლევდნენ, სანამ სკოლას არ დაამთავრებდნენ. გურამი სახლში ადგილს ვერ პოულობდა. ძნელია, როდესაც შეყვარებული მეზობლად ცხოვრობს. სულ გინდა, რომ მასთან იყო ან კიდევ მისგან ძალიან შორს. ახლაც იჯიჯლინა გურამმა სახლში, თეკლა მშობლებთან ერთად სოფელში წასულიყო და თვითონაც არ უნდოდა თბილისში გაჩერება. ბოლოს, დაითანხმა ლექსო და ნატო და სოფელში გაემგზავრა ნიკალა პაპასთან. ძველი, „პაზიკის“ მარკის ავტობუსი, მოტორის „კვნესა-კვნესით“ ძლივს მიღოლავდა



გზაზე. გურამი ძირითადად თვლემდა და თვალწინ სულ თეკლას სახე ედგა. დაესიზმრა, რომ თეკლა ამოვიდა ავტობუსში და მის გვერდზე დაჯდა. მაშინვე „გააღვიძა“ თავის თავი და მარჯვინ გაიხედა. თეკლას მაგიერ მის გვერდით შუახნის ქალბატონი იჯდა და ნავთლულის ავტოსადგურში ნაყიდ ფუნთუშას მიირთმევდა. გურამს სახეზე შერჩა სიზმარში გალიმებული სახე და გულში ღმერთს სიზმარში დაბრუნება სთხოვა. როგორც იქნა „პაზიკმა“ ბლუილ-ბლუილით ააღწია სოფლამდე. გურამს სახეზე გრილი და სასიამოვნო ნიავი მოესალბუნა და მგზავრობით მიღებული დაღლილობა მაშინვე მოუხსნა. სახლში მისულს ნიკალა პაპა ადგილზე არ დახვდა. მეზობელმა უთხრა: „ვენახში წავიდა და დაიბარა, მალე არ მოვპრუნდებიო“.

გურამი ნელ-ნელა გაუდგა ეკლესიის მიმართულებით მიმავალ გზას. იმდენად ესიამოვნა სიგრილეში და სუფთა ჰაერზე სიარული, რომ სურდა ეს გზა უსასრულოდ გაგრძელებულიყო.

ეკლესიის ეზოში, დიდი ჭადრის ხის ქვეშ ხალხი შეკრებილიყო. მამა ანტონი იჯდა სახელდახელოდ გამართულ ხის გრძელ სკამზე და ქადაგებდა. გურამს დიდი ხანია არ ენახა მამა ანტონი. მოხუცი მოძღვარი მხნედ გამოიყურებოდა. თეთრი წვერ-ულვაშით შემოსილი, საუკუნესავით მხრებგანიერი ქრისტეს თიხის კაცი, ამაყად იჯდა სკამზე ახალგაზრდებით გარშემორტყმული და ღიმილ-სა და სითბოს აფრქვევდა. მის მაყვალივით შავ თვალებში ბევრ ჭირ-ვარამს ამოიკითხავდით. როგორც ჩანდა,



ღმერთს იგი განსაკუთრებული სულიერი მისით ჰყავდა დედამიწაზე გამოგზავნილი. მამა ანტონიც, მიუხედავად წელთა სიმრავლისა, ახალგაზრდული ენერგიით ასრულებდა უფლის დავალებას. გურამი მორიდებით მიუახლოვდა ხალხს, შეჩერდა და ყური მიუგდო ბრძენკაცის საუბარს. მამა ანტონი კი მისი ჩვეული რიტორიკით განაგრძობდა მრევლის დამოძღვრას:

— რას გვეუბნება პირველი მცნება: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი, ჩემსა გარეშე“. კომუნისტებისა რა უნდა გაგიკირდეს, როცა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში დავიდეთ საშვილიშვილო ცოდვა. მატიანეში დაწერილია: „მე-13 საუკუნე. საქართველო სასჯელისთვის ემზადება. რა სიკეთისათვის? ეკლესია გაყალბდა, ამპარტავნებამ იმ ზომამდე ითარება, რომ თამარ დედოფალი სამების პიპოსტასში მეოთხე წევრად შერაცხეს, ხოლო ძე მისი რაცხეს ქრისტეს სწორად. ეკლესია მოკვდა. სასჯელი არ აყოვნებს, მონღლოლების უღელს დაიდგამს საქართველო“. მემატიანები, ახლა ისტორიკოსებს რომ ვუწოდებთ, ოდითგანვე მომხდარის გადმოცემით კმაყოფილდებოდნენ, რომლის ანალიზს არ აკეთებდნენ. პირიქით, ბევრ რამეს აზვიადებდნენ და ხშირად ფაქტების გაყალბებასაც არ ერიდებოდნენ. რაც შეეხება მონღლოლებს, მათი განდევნის შემდეგ არც თუ დიდი დრო იყო გასული, რა თქმა უნდა, ისტორიისთვის, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საქართველო ისევ მონღლოლებმა დაიპყრეს, ოლონდ ამჟამად რუსმა მონღლოლებ-



მა. აბა, წარმოიდგინეთ, ორასი წელიწადი მონღოლი რუსეთში იჯდა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, „რუსი კარგად რომ გახეხო, მონღოლი შეგრჩება ხელშიო“. თუ ვინმეს ჰგონია, მონღოლი კულიკოვოს ველზე რუსმა დაამარცხა, ძალიან ცდება. მონღოლი თავისმა სისხლმა და ხორცმა – რუსმა მონღოლმა დაამარცხა. ორასი წელი რვა თაობაა. ასე რომ, მონღოლი საფუძვლიანად ჩაჯდა რუსში. ასეთმა რუსმა დაიპყრო საქართველო ათას რვაას პირველ წელს, უკვე მეორედ, მაშინვე გააუქმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია და დაუქვემდებარა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ნიკონურ მიმდინარეობას, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეში ჩამოყალიბდა რუსეთში და რომელზეც საკმაო გავლენას ახდენდა მსოფლიო მასონური მოძრაობა. მესამედ უკვე ბოლშევიკმა რუსმა მონღოლებმა, საქართველო დაიპყრეს ათას ცხრაას ოცდაერთ წელს და როგორც ანტიქრისტეს მიმდევრებმა, მაშინვე ბრძოლა გამოუცხადეს ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას. მათ კარგად იცოდნენ, რომ თუ ქართველ კაცში წაშლიდნენ ღმერთისადმი სიყვარულს, მისი დამორჩილება ძალიან ადვილი იქნებოდა. მე კარგად მახსოვს, ჩვენს სოფელში ბოლშევიკებმა, რომელთაც მხარი ზოგიერთმა ადგილობრივმა მაცხოვრებელმაც დაუჭირა, გაძარცვეს ეს წმიდა ტაძარი, რომლის ეზოშიც ახლა ჩვენ ვიმყოფებით, შეურაცხყვეს უფალი და ხალხს „სალოცავად“ დიდი მონგოლოიდის, ლენინის სურათი ჩამოუკიდეს. „ღმერთგამოცვლილი“ სოფლელები შეესივნენ წმიდა გიორგის ტაძარსა და ეზოს, დასწრება-



ზე იყვნენ, ვინ ვის აჯობებდა უფლის სახლის ძარცვაში. ზოგიერთს სახლში საფლავის ქვებიც კი მიჰქონდა, მშენებლობისთვის გამომადგებაო. მადა ჭამაში მოდისო და კერპთაყვანისმცემელთა ბრბომ ტაძრის ეზოს მითვისებაც დაიწყო. ეს რომ ბოლშევიკებმა დაინახეს, იფიქრეს, ხალხი დიდ ლუქმას წაგვართმევსო და ტაძრამდე აღარ მიუშვეს ისინი. სულ მაღლე ტაძარში სოფლის მეურნეობის პროდუქტების საწყობი გაიხსნა. ძირითადად აზერბაიჯანიდან გადმოტანილ თხილს ინახავდნენ. მოსახლეობამ კი მაინც მიიტაცა ეკლესის ეზოს პატარ-პატარა ნაკვეთები. ამის გამკეთებელი ზოგი მოკვდა, ზოგმა თავი ჩამოიხრჩო და საერთოდ ტაძრის გარშემო ბევრი შვილმკვდარი ოჯახი ცხოვრობს. ასე იცის უფლის მცნებების დარღვევამ. ჩვენ უნდა გვნამდეს, გვიყვარდეს, ვსასოებდეთ და თაყვანს ვცემდეთ ჭეშმარიტ ღმერთს. დღეს, როგორც არასდროს, სწორედ ეს კანონია დარღვეული, ურნმუნობა, ღმერთის არსებობისა და სულის უკვდავებისადმი ეჭვი ბინდავს ადამიანის გულსა და გონებას. ზოგიერთნი მისდევენ მისნობას, ხშირია მწვალებლობა, მკრეხელობა მღვდლისადმი, ეკლესის სიწმინდისა და წმიდა საიდუმლოსადმი უსულგულო დამოკიდებულება. ადამიანები ღმერთის ნაცვლად იმედს ამყარებენ მათზე, რომელნიც არიან ძლიერნი ამა სოფლისანი, ანდა საკუთარ მაღალ თანამდებობასა და სიმდიდრეზე. გაძლიერდა ათასნაირი სექტები.

— მამაო, — გაისმა ხალხში ახალგაზრდა კაცის ხმა, — ქართველ კაცს საუკუნეების განმავლობაში გაუძლია ურჯულოთა შემოტევებისათვის და არ დაუთმია მართლ-



მადიდებლობა. ჩვენ ყოველთვის სულით ძლიერნი ვიყავით. ახლა რა დაგვემართა, ასე უბრძოლველად რომ ვტოვებთ სათაყვანებელ რჯულს?

— დღეს, კომუნისტების მმართველობის პერიოდში,  
 — მიუგო მამა ანტონმა, — ყველაფერი ზევიდან იგეგ-  
 მება, მათ შორის ავადმყოფებიც და თქვენ წარმოიდგ-  
 ინეთ, მკვდრებიც კი. ამასთან ყველა გეგმას თავისი  
 შესრულების ინსტრუქცია ახლავს, რასაც ადამიანის  
 დამოუკიდებელი აზროვნების უნარი ნულამდე დაჰყ-  
 ავს. ახლა, როდესაც კომუნისტების პოზიციებს თმობენ,  
 ასეთი დაპროგრამირებული ადამიანი უმოქმედო გახდა,  
 მისი გონება ზევიდან დაშვებული მითითებების გარეშე  
 დარჩა და წარმოიშვა სიცარიელე. აი, აქ კი დასწრება-  
 ზე არიან სხვადასხვა სექტები და ჯადოქრები, რათა  
 საკუთარი მიმდინარეობის პროგრამებით შეავსონ ადა-  
 მიანების დაცარიელებული გონება და თავისკენ გადაი-  
 ბირონ ისინი. ახლა მიპასუხეთ თქვენ, მათ მიაღწიეს თუ  
 არა ამას? იმ დღეს გზაზე ერთი ქალი შემხვდა. მაშინვე  
 მივხვდი, რომ ქალაქელი იყო. ასე მომაძახა: „სოფელ  
 ელთას გზა მიმასწავლე, მოლასთან მინდა მისვლაო“.  
 მე ვუთხარი: „ეკლესიის გზას მიგასწავლი, მოლასას  
 კი არა-მეთქი“. რა აღარ ველაპარაკე, მაგრამ შეაყარე  
 კედელს ცერცვი! ბოლოს გამნარებულმა იკივლა: „მე  
 მოლას გზა მჭირდება და არა ეკლესიის, შე გამოჩერჩე-  
 ტებულო ბებეროო“. მე კიდევ ერთხელ ვცადე მისთვის  
 ჭეშმარიტების გზა მეჩვენებინა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს  
 ვუთხარი: „მოლას სოფლის გზა ვიცი, მაგრამ არ გე-



ტყვი-მეთქი!“ აი, რატომ გვსჯის უფალი! მისი კანონების დარღვევას პირველივე მცნებიდან ვიწყებთ!

— მამაო, — გაისმა ხალხში, — თქვენგან ხშირად გვსმენია ჩვენი სახელოვანი ნინაპრების შესახებ, რომლებმაც მრავალჯერ იხსნეს ჩვენი ქვეყანა განსაცდელისაგან. საოცარია, ეს მებრძოლი სული მეცხრამეტე საუკუნის ქართველებში რამ ჩაკლა, რომ ასე დაბლა დაუხარეს რუსეთს თავი?

— სოლომონ ბრძენი ვინ იყო, ხომ იცით? — იკითხა მამა ანტონმა.

— რა თქმა უნდა! — იყო პასუხი.

— ჰოდა, — განაგრძო მამაომ, — ერთხელ მისმა გარემოცვამ გადაწყვიტა საკუთარი მეფე ამპარტავნებაში ჩაეგდო და ჰკითხეს: „ყველაზე ძლიერი და მდიდარი კაცი ვინ არის მსოფლიოშიო“. ამას კი კითხვა რად უნდოდა, როცა ყველამ იცოდა, რომ ასეთი კაცი თვით სოლომონი იყო. იფიქრეს ჩიხში შევიყვანთ და თავის თავზე ქებას ვათქმევინებთო. მან კი იცით, რა უპასუხა?

— „ყველაზე ძლიერი და მდიდარი კაცი ის არის მსოფლიოში, ვისაც ეშინის უფლისაო“. აი, სწორედ უფლის შიშის გრძნობა ჩაკლეს რუსმა მონღლოლებმა ქართველებში. ღმერთის ნაცვლად ფიზიკური სხეულებისადმი და არასულიერი საგნებისადმი თაყვანისცემის სურვილი გაუძლიერეს, რამაც თავის მხრივ წარმოშვა სხვა ცოდვითი მიღრეკილებებისადმი მონობა. ზოგს სიმდიდრის შეძენისაკენ გაუხსნეს გზა, რადგან შეატყვეს, რომ მათი კერპი იყო სიმდიდრე, ზოგი პატივმოყვარეობის ავადმყ-



ოფური სენით იქნა შეპყრობილი. ზოგმა მთავარ საქმედ ხორციელი სიამოვნება გაიხადა, ზოგმა ლოთობა, აზარტული თამაშები და ბევრი რამ უზნეო მოქმედებანი. ღმერთი და მისადმი მსახურება დაავიწყდათ. ქართველი თავად-აზნაურები თავისი თავის კერპებად რომ ექციათ, ჩინ-მედლებსა და ნოდებებს არ აკლებდნენ. ამის შემდეგ ბევრმა თავისი თავი ღმერთზე მაღლა დააყენა. მათი „ღვანლის“ დამფასებელი რუსთა მეფე და მისი ჩინოვნი-კები კერპებად გაიხადა. რწმენა სათადარიგო საქმედ აქ-ცია. როდესაც რაიმე მატერიალური დასჭირდებოდა, მხ-ოლოდ მაშინ ახსენდებოდა უფალი და მისი ეკლესია. აი, აქ დაირღვა უფლის მეორე მცნება: „არა ჰქმნე თავისა შენისა კერპნი, არცა ყოვლადვე მსგავსნი, რაოდენი არს ცათა შინა ზე, და რაოდენი არს ქუეყანასა ზედა ქუე, და რაოდენი არს წყალთა შინა ქუეშე ქვეყანასა: არა თაყვანი სცე მათ, არცა მსახურებდე მათ“. ასეთი კერპთაყვანის-ცემის პირობებში, თვით ცოდნის შეძენის დაუოკებელი სურვილი, მეცნიერულ აღმოჩენათა სიმრავლე ფასს კარ-გავს, თუ მას რწმენა და სიყვარული არ განსაზღვრავს, რადგან ასეთი ცოდნა შეიძლება დიდი ბოროტების მომ-ტანი გახდეს. აი, ასეთი ვერაგი მიზნები ამოძრავებ-დათ და დღესაც ამოძრავებთ რუს მონღლოლებს ქართ-ველებისადმი, ნაწილობრივ ამას მიაღწიეს კიდეც. ჩვენს სოფელში ერთი კაცი, რომელიც უკვე ცოცხალი აღარაა, კომუნისტებმა ეკლესიის ნარმატებული ძარცვისა და დაქცევისათვის ლამის გმირად აღიარეს. მასაც თავში აუვარდა. თავი ამაღლებულ პიროვნებად წარმოიდგინა



და ამპარტავნებაში ჩავარდნილმა, სხვა გასართობი რომ ვერ ნახა, ოცდაჩვიდმეტში ხალხის დასმენა დაიწყო და ბევრი პატიოსანი ოჯახი გააუბედურა. უფალმა მაშინვე არ მოუვლინა სასჯელი. აცალა, იქნებ გონის მოეგოს და მოინანიოსო, მაგრამ უშედეგოდ. ოთხი ვაჟკაცი ჰყავდა, ოთხივე მისი დასატირებელი გახდა. მეუღლე გარდაეცვალა, ხოლო თვითონ ჯერ დაბრმავდა, მერე ინსულტი დაემართა. ღმერთს ეხვეწებოდა მომკალიო, მაგრამ ვერ კვდებოდა. ჯიუტობდა და დანაშაულის აღიარება არ უნდოდა. ბოლოს გონის მოეგო და აღიარა თავისი ცოდვები, რის შემდეგაც განუტევა სული. ასე რომ, იყავით ბრძენი, თავშეკავებულნი, თავმდაბალნი, ღვთისმსასოებელნი და მებრძოლი სული თქვენში არასდროს ჩაკვდება. ამასთან გახსოვდეთ, რომ ღმერთის სახელი ყოველთვის დიდი კრძალვითა და შიშით უნდა წარმოთქვა, რასაც გვასწავლის მესამე მცნება: „არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა“. ესაია წინასწარმეტყველი ასე აგვიწერს თავის ხილვას: „ვიხილე უფალი მჯდარი ამაღლებული, ზეაღმართულ ტახტზე, და მისი კალთები ავსებდა ტაძარს. თავით სერაფიმები ედგნენ, ექვს-ექვსი ფრთა ესხა თითოეულს; ორით სახეს იფარავდნენ, ორით ფეხებს იფარავდნენ, ორით ფრენდნენ და . . . ამბობდნენ: წმიდა! წმიდა! წმიდა საბაოთ უფალი! მისი დიდებით სავსეა ქვეყნიერება“. აი, როგორი მოწინებით მსახურებენ ღმერთს ზეციური ძალები. მით უმეტეს, ჩვენ მეტი რიდი და თაყვანისცემა გვმართებს. დანაშაულია, როდესაც უბრალო და უსარგებლო ლაპარაკისას ღმერთის



სახელს ახსენებენ. კიდევ უფრო დიდი და მძიმე ცოდვაა თუ ღმერთის სახელით ტყუილად იფიცებენ. ღმერთის გმობა, ღმერთის სამართლის განკითხვა, ლოცვისას უფლისყურობა, აღთქმის დარღვევა და კიდევ მრავალი სხვა ცოდვა წინააღმდეგია მესამე მცნებისა. ხოლო უფლისადმი მიძღვნილი მცნებანი, მეოთხე მცნებით სრულდება: „მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა ჰყავიგი, ექვს დღეს იქმოდე, და ჰქმნე მათ შინა ყოველივე საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი, არს უფლისა ღმრთისა შენისა“.

— მამაო, — გაისმა ხალხში, — ეს მეშვიდე დღე თუ შაბათი იყო, კვირა როგორლაა დასვენების დღე?

— შვილო ჩემო, — უპასუხა მამა ანტონმა, — ქრისტიანები უქმობენ შაბათსაც და კვირასაც, რადგან კვირა იესო ქრისტეს აღდგომისა და ჩვენი ხსნის დღეა. ამ მცნების დარღვევით ცოდავენ ისინი, რომლებიც ამ დღეებში არ უქმობენ, არ ზეიმობენ. დღესასწაული ყოველთვის წინა დღის საღამოდან იწყება. თუ მორწმუნე ხარ, ამ დღეს ყველა საქმე უნდა დატოვო და ეკლესიაში წახვიდე, რათა მიიღო ღმერთის კურთხევა. დღესასწაულისა და კვირის წირვაზე დასწრება ხომ ყოვლად აუცილებელია. წირვისას იკითხება და იგალობება სპეციალური ლოცვები, რომელიც დიდი ძალის მიმცემია რწმენითა და სიყვარულით მოსულთათვის. სამწუხაროდ, დღეს ხშირია ოჯახები, რომელთა წევრები გამუდმებით მუშაობენ, არ იციან შაბათ-კვირა და დღესასწაული. ისინი, როგორც წესი, უბარაქონი და უმადლონი არიან, რადგანაც მათზე



არ არის ღმერთის ლოცვა-კურთხევა. ეს ყველაფერი გადაგვარდა კომუნისტების შემოსევის შემდეგ. შაბათის უქმეობა რომ გაეპათილებინათ, შაბათობები შემოიღეს და ეს ღონისძიებები ხან შაბათს, ხან კვირას ეწყობოდა. ბევრი სხვა ანტიქრისტიანული საქმიანობაც გააჩაღეს. გადმოცემით ქრისტეს ჯვარზედ წამებას ვარაუდობენ პირველ აპრილს, ამიტომ კომუნისტებმა ასეთი ხუმრობა გაავრცელეს; „დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია“ ან კიდევ „სანამ პავლე მოვიდოდა, პეტრეს ტყავი გააძრესო“. ბოლოს გადაწყვიტეს მთავარი მოციქულის სახელის მასხრად აგდება და მთელი საქართველო „სიმონას“ გაიძახოდა, რაც დაბალი დონის და უვიც პიროვნებას ნიშნავდა. ამას დაემატა ისიც, რომ ბევრმა კაცმა, ვისაც სიმონი ერქვა, თავისი გაუნათლებლობისა და სიბეჭის გამო, სახელი გადაიკეთა. ასე რომ, სატანისტ-კომუნისტებმა ტვინი აურიეს ხალხს. მერე ეს არ აკმარეს და საათების გადაწევა-გადმოწევა დაიწყეს, რითაც ბევრი ადამიანი დასწეულდა. ჩვენ თუ უფლის მიერ დაწესებულ დასვენების დღეებს არ დავუბრუნდით, შეიძლება მალე გადავშენდეთ.

მამა ანტონი წამოდგა სკამიდან, გაიხედა ეკლესი-ისკენ, პირჯვარი გადაიწერა და განაგრძო ქადაგება:

— ახლა კი განვიხილოთ ის მცნებები, რომლებიც უშუალოდ ჩვენ გვეხება. აბა, კარგად დაუგდეთ ყური, შვილებო, უფალი რას გვეუბნება მეხუთე მცნებით: „პატივი-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილ გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედა“. მე არ-



ავის ვაყენებ შეურაცხყოფას, ცნობილია ისიც, რომ ყველა თაობა ერთი და იგივე საზომით არ იზომება, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ ჩემი ახალგაზრდობის დროს ზნეობრივი ნორმები უფრო მეტად იყო დაცული, ვიდრე ახლა. ახალგაზრდობის გადაგვარების საქმეში ისევ რუსი მონღოლების მოდგმამ — კომუნისტებმა შეიტანეს ლომის წილი. მათ თავიანთი ყალბი იდეოლოგით მშობლები წაართვეს შვილებს და მათ მაგივრად აიძულებდნენ, პატივი ეცათ კომუნისტური პარტიის იდეალებისა და მათი ბელადებისათვის. ახალგაზრდობა დააბრმავეს. იყო ხშირი შემთხვევები, რომ შვილები ასმენდნენ მშობლებს სხვადასხვა „დანაშაულის“ გამო. ასეთებს მიეკუთვნებოდა: სამშობლოს და სარწმუნოების სიყვარული, პატივისცემა წინაპრებისადმი, ეროვნულობისადმი და ასე შემდეგ. ამით მათ მიაღწიეს იმას, რომ მოსახლეობის უმრავლესობა სპეცსამსახურების აგენტებად აქციეს და მათი ცრუდასმენების მეშვეობით ოცდაათიან წლებში ბევრი პატიოსანი ადამიანი დაისაჯა სიკვდილით და სამუდამო კატორლით. მონღოლ-კომუნისტებმა ადამიანის გონებიდან ამოგლიჯეს მეხუთე მცნება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არეგულირებდა ამ საქმეს. ეს მეტად მნიშვნელოვანი მცნებაა, ხალხო! მშობლების პატივისცემაზეა დამოკიდებული შვილების კეთილდღეობა. წმიდა წერილი გვასწავლის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დედ-მამის დალოცვას, ოლონდ დალოცვა უნდა იყოს დამსახურებული, მშობლების დაფასებით მოპოვებული. განსაკუთრებული ყურადღება სჭირდე-



ბა ავადმყოფ, ხანდაზმულ, დაუძლურებულ მშობლებს. არადა, ზოგიერთი თავიდან იშორებს და ელოდება მათ სიკვდილს. ზოგმა ასეთი ქმედება შემოსავლის წყარო-დაც აქცია. ეს საშინელი სისასტიკეა. მშობლები სწუხ-ან, ტირიან შვილების უდიერი საქციელის გამო, თუმცა, უმეტეს წილად თვითონ არიან დამნაშავენი, რადგან ქრისტიანული რწმენითა და სიყვარულით არ აღზარდეს ისინი. დედ-მამის უპატივცემულობის მიზეზით შვილები შემდეგ სხვადასხვა ავადმყოფობებით იტანჯებიან. მათ ოჯახში არ არის სიმშვიდე და სიყვარული. მეხუთე მცნე-ბა ასევე გულისხმობს კეთილ დამოკიდებულებას უფრო-სი ადამიანების, ახლობლების მიმართ; მაგრამ თუ მშო-ბელი ან ნებისმიერი სხვა პიროვნება ჩვენგან ღმერთის საწინააღმდეგო საქმის აღსრულებას ითხოვს, არა ვართ ვალდებული დავემორჩილოთ მას. უფლის ყველა სიტყ-ვა და შეგონება თითოეული მართლმადიდებელი ქრის-ტიანისთვის ცხოვრების წესად უნდა იქცეს, მაგრამ მე მაინც მინდა, რომ ეს მცნება, რომელსაც ახლა გეტყვით, გულში კარგად ამოიჭრათ და გახსოვდეთ, რომ უფლის მიერ ნაბოძები სიცოცხლის წართმევა გარდა უფლისა, არავის ძალუძს — მეექვსე მცნება: „არა კაც ჰკლა!“

ჭადრის ქვეშ შეკრებილ ხალხს შორის სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. უცებ ჭადრის ხის ფოთლებმა შრია-ლი დაიწყეს. მამა ანტონმა აიხედა ზევით. დიდხანს უყურა მოშრიალე ხეს. შემდეგ ნიავი შეჩერდა, ხიდან ერთადერ-თი ხმელი ფოთოლი ჩამოვარდა, რომელიც ზამთარგამ-ოვლილ ხეს შერჩენოდა და მამა ანტონის ფეხებთან დაე-



ცა. მოძღვარი დაიხარა, ხელში აიღო ხმელი ფოთოლი, დიდხანს უყურა. ცრემლით აევსო თვალები. არ უნდოდა, რომ შეემჩნია, მაგრამ თავს ვერ იკავებდა. ბოლოს დაწყნარდა. ღრმად ჩაისუნთქა. ხმელი ფოთოლი იქვე მდგარ სკამზე დადო, ხალხს თვალი შეავლო და დაიწყო:

— ეს ამბავი ორმოცდაათი წლის წინ მოხდა. როგორც გითხარით, ამ ეკლესიას კომუნისტები საწყობად იყენებდნენ. საწყობი კი რა საწყობია თუ მას ქურდმა არ მიაკითხა. ფერისცვალების ღამეს, რომელიც ღრუბლიანობის გამო ძალიან ბნელი იყო, საწყობს შუაღამისას ორი ჩვენი თანასოფლელი მიადგა. ადვილად გატეხეს კარი და დაიწყეს თავისი შავი საქმე. ვინაიდან ტაძარს ღობე მორღვეული ჰქონდა, მოსახლეობა მის ეზოს ერთმანეთთან მოკლე გზით მისასვლელად იყენებდა. სწორედ ამ გზაზე მიდიოდა სოფლის ერთ-ერთი წესიერი და მორწმუნე კაცი - რეზო გვარიშვილი. სტუმრად ყოფილიყო ბიძაშვილთან და უკან დასაპრუნებელ გზად ტაძრის ეზო აერჩია, სიტყვა უთქვამს ბიძაშვილთან: „ფერისცვალების ღამეს ტაძართან პირველას გადავიწერ, ცოტას ვილოცებ, მაინც ღამეა ვერავინ დამინახავსო“. ტაძრის კართან მისულს, შიგნიდან ხმაური შემოესმა — „რომელი ხარო?“ — დაუძახია. ხმაური წამით შეწყვეტილა, მაგრამ ხმა არავის ამოუღია. რეზოს ასანთი აუნთია და ტაძარში შესულა. ამ დროს ვიღაცას დაუძახია: „მოკალი, თორემ ჩაგვიმვებსო!“ ამის თქმა იყო და ერთ-ერთ ქურდს დანა დაურტყამს მისთვის მუცელში. რეზო ფიზიკურად დიდი და ჯანიანი კაცი იყო. დაჭრილს მკვლელისთვის ხელი



ჩაუვლია და დაულრიალია: „ვინა ხარო!“ მერე გარეთ გა-  
მოუთრევია, აი, ამ ჭადრის ქვეშ, მაგრამ მკვლელი გასხ-  
ლტომია სისხლისგან დაცლილ რეზოს, დანა მეორედ  
მოუქნევია და ჭრილობა გულის არეში მიუყენებია. შემ-  
დეგ ამ არაკაცს მომაკვდავი ადამიანი ჭადრის ქვეშ, ტაძ-  
რის შესასვლელ კართან, მართლა ღვთის ანაბარა დაუგ-  
დია და თავის თანამზრახველთან ერთად გაქცეულა.  
უფალმა იმდენი ძალი და ღონე მისცა ისედაც ფიზიკუ-  
რად ძლიერ გვარიშვილს, რომ საკუთარ სახლამდე  
ცოცხალს მიუღწევია და სული იქ დაულევია, თან უცვნია  
მკვლელი და დაუსახელებია კიდეც. მეორე დღეს მე ვი-  
ყავი მისული მკვლელობის ადგილზე და ჭადრის ხიდან  
ჩამოვარდნილი ერთადერთი ხმელი ფოთოლი ვიპოვე,  
აი, ზუსტად ასეთი, როგორიც ახლა ჩამოვარდა. მკვლე-  
ლი ციხიდან მალე გამოვიდა, დაქორნინდა, ბიჭიც შეეძ-  
ინა და მალე ყველაფერი დაავინყდა. მას კი დაავინყდა,  
მაგრამ ღმერთს არ ავინყდება არაფერი. მკვლელობიდან  
ოცდაათი წლის თავზე მკვლელის ვაჟი მანქანით მიდი-  
ოდა გზაზე. ფხიზელსა და გონიერ ახალგაზრდას უცებ  
საჭე აუთამაშდა ხელში და დაეჯახა ისეთივე ჭადრის  
ხეს, როგორთანაც მამამისმა კაცი მოკლა. დარტყმა არ  
იყო ძლიერი, მაგრამ ახალგაზრდა კაცი ადგილზე გარ-  
დაიცვალა. როდესაც გასინჯეს, გული ჰქონდა გახეთქი-  
ლი, ხოლო ერთი ნეკნი ღვიძლში შერჭობოდა. ეს ალბათ,  
რეზო გვარიშვილისთვის მიყენებული იმ ორი ჭრილობის  
საზღაური იყო. ის ნესიერი ახალგაზრდა მამის ცოდვას  
გადაჰყვა. საკვირველი კი ის იყო, რომ ავარიის ადგი-





ლას ჭადრის ხიდან ერთადერთი ხმელი ფოთოლი იყო ჩამოვარდნილი. ასე რომ, მკვლელობა საშინელი დანაშაულია. სხვისი სიცოცხლის ხელმყოფი სცოდავს არა მარტო ადამიანის, არამედ ღმერთის წინაშეც, რადგან ჩვენ არა გვაქეს უფლება, ღმერთის მიერ მინიჭებული სიცოცხლე მოვუსპოთ ადამიანს. მკვლელობის განსაკუთრებული სახეა აბორტი. ამ დროს თვით დედა ხდება მკვლელი საკუთარი შვილისა. სამწუხაროდ, ბევრნი ვერ გრძნობენ დანაშაულს, არადა ამისათვის მკაცრად დაისჯებიან. რა თქმა უნდა, დაისჯება ისიც, ვინც აბორტს აკეთებს. ერთი გინეკოლოგი ქალი გვყავდა სოფელში. უფალმა ჯერ მოძღვრის მეშვეობით გააფრთხილა. რომ არ შეისმინა, იმით დასაჯა, რომ შვილიშვილი დაეღუპა არც თუ ისეთ მძიმე ავარიაში. ყველა გადარჩა, ის კი გარდაიცვალა. საშინელი ცოდვაა თვითმკვლელობა. იგი პროტესტია ღმერთის ნების წინააღმდეგ და სულიწმიდის გმობად ითვლება. თვითმკვლელი, თუ იგი ფსიქიურად დავადებული არ არის, საბოლოოდ წარინყმედს სულს. მისთვის ლოცვაც კი არ შეიძლება. თვითმკვლელად ითვლება სიგარეტის მწეველი ადამიანი, რომელიც ამ ეშმაკის საკმეველით ღმერთის მიერ ბოძებულ სულს ნელ-ნელა კლავს ნიკოტინით. ფიზიკურის გარდა, არის სხვა სახის მკვლელობაც: შეურაცხყოფით, ცრუმონწმეობით, დასმენით, ცილისწამებით. წმიდა იოანე ღვთისმეტყველი გვასწავლის: „ყოველსა, რომელსა სძულდეს ძმაი თვისი, იგი კაცის მკვლელი არს და იცით, რა-



მეთუ ყოველსა კაცის-მკულელსა არა აქუს ცხოვრებაი საუკუნო“.

მამა ანტონმა სტიქაროსანს უხმო და კურთხევა მისცა ტაძრიდან ნაკურთხი წყალი და უსუპი მოეტანა, ხოლო თვითონ კი განაგრძო:

— მეშვიდე მცნება — „არა იმრუშო!“ — კრძალავს არაკანონიერ, დანაშაულებრივ ურთიერთობას ქალ-სა და კაცს შორის. აქ შედის შემდეგი ცოდვები: სიძვა, მრუშობა, სისხლის აღრევა, გარყვნილება, ცოლ-ქმრუ-ლი ცხოვრების დამახინჯებული სახეები და სხვა. ჩვენს ქვეყანაში, როდესაც ეგრეთ წოდებულმა დემოკრატიამ შემოაბიჯა, რატომღაც ადამიანების უმრავლესობამ ცხოვრების ეს ფორმა სრულ თავისუფლებად აღიქვა და თავის თავს თავის შეკავების ყველა კარი გაუღო, რამაც გამოხატულება პირველ რიგში ცხოვრების ამ ბინძურ წესში ჰპოვა. სიძვის მოყვარულთა ხროვა ფულისა და სიმდიდრისკენ მიიწევდნენ და ზოგმა თურქეთში და ზოგმა კი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ამოყო თავი. „სიძვაი და ყოველი არაწმიდებაი... ნუღაცა სახლდები-ან თქვენს შორის“, — გვაფრთხილებს პავლე მოციქუ-ლი. ადამიანს დიდი თავშეკავება მართებს. აკი ბრძანებს უფალი: „თუ კაცი ნდომით შეხედავს ქალს, მან უკვე იმ-რუშა თავის გულში“. არაწმიდა ფიქრები, სურვილები, უხამსი სიმღერები და ხუმრობები, ზედმეტი გართობა, უზნეო სანახაობები, ნაყროვანება, სასმელის უზომო სმა არის ცოდვა, რომელიც მეშვიდე მცნების დარღვევითა და მძიმე დანაშაულით მთავრდება. დანაშაულს კი მოს-



დევს ღმერთის სასჯელი. მერვე მცნება — „არა იპარო!“ ძალიან დიდი ცოდვაა ქურდობა, — განაგრძობდა მამაო, — ქურდი კაცობრიობის არსებობის მანძილზე ყოველთვის მკაცრად ისჯებოდა. არავის აქვს უფლება აიღოს ის, რაც მას არ ეკუთვნის. აქ შედის შემდეგი ცოდვები: ქურდობა, ანუ სხვისი ნივთის, სხვისი საკუთრების მალულად აღება; ძარცვა — სხვისი ქონების ძალით მიტაცება; მკრეხელობა — ღმერთისათვის მიძღვნილი, შენირული ნივთებისა და საერთოდ, საეკლესიო ქონების მითვისება ან მოპარვა; მექრთამეობა, მევახშეობა, მუქთახორობა და ვინ მოთვლის კიდევ რა. კომუნისტებმა კი თავისი ბინძური მიზნების მიღწევისათვის კანონიერი ქურდის ინსტიტუტი შექმნეს და ამით ხალხის დამონების და განადგურების ახალი მეთოდები შეიმუშავეს. კანონიერი ქურდი მათი იარაღი იყო ხალხის თავისუფლების წინააღმდეგ. ისინი მთავრობასთან ერთად მართავდნენ უდიდეს გულაგებს, კოლონიებს და ციხეებს. თავიანთი ნამდვილი სახე რომ დამალონ, ზოგჯერ კანონიერი ქურდები და დამნაშავენი, თავისი საქციიელის გამართლების მიზნით სახარებიდან იშველიებენ იმ ავაზაკის მაგალითს, რომელიც მაცხოვართან ერთად აწამეს და რომელიც მასთან ერთად სამოთხეში მოხვდა. ავაზაკი შეწყნარებული იქნა, რადგან სიკვდილის წინ მოასწრო მონანიება. მან მთელი არსებით იგრძნო თავისი განვლილი ცხოვრების სიმძიმე და განაჩენიც სამართლიანად გამოუტანა თავს და თავის ამხანაგს, რომელსაც მასთან ერთად აწამებდნენ. ჯვარზე გაერული კი მიუბრუნდა



მაცხოვარს და უთხრა: „ჩვენ სამართლად ღირსი, რომელი ვქმენით, მოგვეგების“. იმდენად ძლიერი იყო მასში სინანული, რომ ცოდვით დამძიმებული მისი გული განიწმინდა და იგრძნო ის, რასაც სხვები ვერ ხვდებოდნენ. იგრძნო, რომ მის გვერდით ღმერთი ენამებოდა, ამიტომაც სთხოვა: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა“ და მიუგო იესომ: „ამენ გეტყვი შენ: დღეს ჩემთანა იყო სამოთხესა“. ეს ყველაფერი დღევანდელმა ქურდებმა იციან და იმის მაგივრად, რომ არ გაიმეორონ ქრისტესდროინდელი ავაზაკის შეცდომები, პირიქით უარესს სჩადიან, იმ იმედით, რომ ბოლოს მოვინანიებთ და შეგვინდობს უფალიო. ეს კი ასე არ არის. შენ თუ წინასწარ იცი, რომ რასაც ჩაიდენ, ის ცოდვაა, მას შენდობა არა აქვს. მართალია ღმერთის მოწყალებას არა აქვს საზღვარი, მაგრამ ღმერთის ნების წინააღმდეგ გამიზნულად წასულ ადამიანს, მხოლოდ ჯოჯოხეთი თუ გამოასწორება.

მეცხრე მცნება — „არა ცილ-სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა!“

— მამაო, — გაისმა მრევლში, — თქვენ წელან გვითხარით, რომ ჩვენს სოფელში დაბეზღებითა და ცილისწამებით ბევრი პატიოსანი ადამიანი განადგურდა. რამ უნდა აიძულოს კაცი, რომ ასეთი არაადამიანური ნაბიჯი გადადგას?

— სატანამ, შვილო, — უპასუხა მამაომ, — ღმერთის დავიწყების გამო ქართველები მკაცრად დაისაჯნენ, მათ წინაპრების ცოდვამ უწიათ. ჩვენი უბედურება ის



იყო და არის, რომ ქართველი ქართველის წინააღმდეგ იბრძოდა. ეს სამარცხვინო ომი დღესაც გრძელდება, მხოლოდ სხვადასხვა ფორმებით. ადრე, როდესაც ქართველს ქართველის დამარცხება სურდა, საშველად უცხო ტომის ხალხს უხმობდა ხოლმე. ხან თათარს, ხან სომებს, ხან რუსს, ხან ოსს და ვინ იცის, კიდევ ვის. შემდეგ ამ თავის დამხმარე ხალხს თავისივე მამულში ასახლებდა და ასე იცავდა თავს მოყვასისაგან. ბევრმა ისინი გააქართველა კიდეც. საუკუნეების განმავლობაში უცხო თესლი გამრავლდა საქართველოში. მათ ქართველების მიმართ ზიზღი არ მოიშალეს. სწორედ ეს ფაქტორი გამოიყენეს ბოლშევიკებმა და მათთვის არასასურველი ქართველების მოცილება ისევ უცხო თესლის მეშვეობით დაიწყეს. ჩვენში ასეთი ხალხი ბევრი ცხოვრობდა და ახლაც გუგულებივით არიან ჩაბუდებული ქართველთა ბუდეში. მათ ფრთები ოცდაჩვიდმეტში გაშალეს და სოფლის საუკეთესო ხალხი ცილისწამებითა და დაბეზღებით ჩეკისტების ხელში ჩააგდეს. ეს უკანასკნელი კი ჩიტებივით ხოცავდნენ მათ, ასახლებდნენ ციმბირის გულაგებში და შიშს თესავდნენ ხალხში, რათა ისინი ყურმოჭრილ მონებად გაეხადათ. ამას კიდეც მიაღწიეს, თუმცა ღმერთისგან დაუსჯელნი არ დარჩენილან. მძიმე ცოდვაა: ცრუმონმეობა, ცილისწამება, დაბეზღება, მოძმის განკითხვა. ლირსი მამა ანტონი გვასწავლის: „ურჩებულის ენა ნაკლებ საშიშია, ვიდრე ენა ცილისმწამებლისა, რადგან ასეთი კაცი ჩხუბსა და განხეთქილებას აგდებს მშვიდობით მცხოვრებ ადამიანთა შორის, სთე-



სავს ბოროტებას და ღვარძლს ახლობლებში, არღვევს ერთობას. ვინც ასეთ ადამიანს სახლის კარს გაუდებს, თვითონაც ცოდვის მორევში ჩავარდება. ასეთ კაცთან ურთიერთობა მკვლელთან ურთიერთობას ნიშნავს“. ცილისმნამებლის ენა მსგავსია გველის შხამისა. უმჯობესიც კია გველისა და მორიელის გვერდით ცხოვრება, ვიდრე ცილისმნამებელთან ახლოს ყოფნა, რადგან იგი თავისი სენით სხვასაც აავადებს და ისინი ერთად განიკითხებიან ღმერთის სამსჯავროზე. ღმერთი მოწყალეა, მაგრამ იცოდეთ, ცილისმნამების ცოდვა ძნელად შეენდობა კაცს. წმიდა ანტონ დიდი გვაფრთხილებს: „ნუ შეგრცხვებათ ასეთი ადამიანებისაგან განზე გადგომისა, თორემ მათი შხამით თქვენც დაავადდებითო“.

მეათე მცნება — „არა გული გითქმოდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, არა გული გითქმოდეს სახლისათვის მოყვასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვრისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაცა იყვნეს მოყვასისა შენისა“. შური! ხომ გახსოვთ, როგორ განმარტავს მას სულბან-საბა: „შური არს მწუხარებაი სხვისა კეთილსა ზედა“. წმიდა ბასილი დიდი გვასწავლის: „სხვა ცოდვა უფრო უხეშია და სულშიც ისე არ ღვივდება, როგორც შური. შური კი ისე სჭამს კაცის სულს, როგორც უანგი რკინას“. აი, ასე გამოიჭამა ეს ქვეყანა და დღეს შურისგან გამოფიტულ ადამიანებს იმის თავიც აღარა აქვთ, რომ ეკლესიაში მოვიდნენ, ცოდვები მოინანიონ და პატიება შესთხოვონ უფალს. მათ ვერ გადალახეს ის ზღვარი, რაც საუკუნო



სიცოცხლემდე მიიყვანს. იქნებ, თქვენ აუხსნათ, შვილებო, რომ ეს აუცილებელია მათი სულის გადარჩენისათვის. უფალი ჩვენი ხსნისათვის გაეკრა ჯვარზე, ჩვენ კი იმის უნარიც კი არ გაგვაჩნია, რომ ერთმანეთს მიუუტევოთ. ასეთი, სრულყოფილებამდე ლტოლვადაკარგული ადამიანების ხელით ქვეყანა ვერასდროს აშენდებოდა, ამიტომაც ნანგრევებილა შეგვრჩა ხელში.

მამა ანტონმა სტიქაროსანს უსუპი გამოართვა, ხალხს ნაკურთხი წყალი აპკურა და ხმამაღლა წარმოთქვა: უფალი ბრძანებს — „ალიღეთ უღელი ჩემი თქუნ ზედა, რამეთუ, უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტვირთი ჩემი სუბუქ არს“.

როდესაც ეკლესის ეზოში შეკრებილი ადამიანები გამოემშვიდობნენ მამაოს და სახლებისკენ მიმავალ გზას გაუდგნენ, გურამი ეახლა მამა ანტონს. მამაო გადაეხვია გურამს, გაულიმა და ჰყითხა:

— როდის მოხვედი? დიდი ხანია აქ ხარ?

— კი, მამაო. ათივე მცნებას ვუსმინე და ძალიან ბევრი რამ გავიგე.

— კარგია, შვილო, — გაეხარდა მოძღვარს, — თქვენი თაობისთვის ასეთი ქადაგებები, როგორც ადამიანისთვის ჰაერი და წყალი, ისეა აუცილებელი. რაო, გურამ? ქალაქის სიცხეს გამოექეცი?

— ქალაქის სიცხეს და სიყვარულს, მამაო. — მიუგო გურამმა. — სკოლას რომ დაამთავრებთ მერე მოგცემთ დაქორწინების უფლებასო. ასე გვითხრეს მშობლებმა...

— რას იზამ, არ უნდა დაარღვიო მეხუთე მცნება., — თქვა მამაომ და გურამს ჯვარი გადასახა, — ჯერ კიდევ



როული გზა გაქვს გასავლელი, შვილო, ამიტომ ნუ იჩ-ქარებ, ნამდვილი სიყვარული ასე ადვილად ხელმისაწვდომი არ არის. წამოდი, ახლა ნიკალას ჩავაკითხოთ ვენახში და სახლში წამოვიყვანოთ. მაგისთვის ამდენი მუშაობა არ შეიძლება.

### III

საქართველოში შევარდნაძის ჩამოსვლამ ერთგვარად დაამშვიდა ქვეყნის აბობოქრებული, ეგრეთ წოდებული პოლიტიკური ელიტა. თვით უბრალო ხალხიც რაღაც სასწაულს ელოდა მისგან, როგორც აღიარებული მსოფლიო დონის პოლიტიკოსისაგან. მასთან ურთიერთობის დასამყარებლად მიისწრაფოდა მოსახლეობის უმრავლესობა, დაწყებული პოლიტიკოსებიდან, ქურდული სამყაროს ავტორიტეტებით დამთავრებული. საქართველოში ახალი ეპოქა იწყებოდა.

ათას ცხრაას ოთხმოცდათორმეტი წელი საქართველოში, პოლიტიკური და სოციალური თვალსაზრისით ძალიან „ცხელი“ გამოდგა. აფხაზეთში სიტუაცია კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა, ან თუ კონტროლდებოდა, მხოლოდ სხვისი ხელით. ეს სხვა კი ორივე მხარის, ქართველების და აფხაზების საერთო მტერი გახლდათ.

ქართველ პოლიტიკოსებს კი არ ეცალათ აფხაზეთისთვის. გაცხოველებული მზადება მიღიოდა საპარლამენტო არჩევნებისთვის და ყველა პოლიტიკური პარტია, მოძრაობა, გაერთიანება და კიდევ კაცმა არ იცის



რა და ვინ, არსებული თუ არარსებული, ერთმანეთში ვაჭრობდნენ. სახელმწიფო მეთაურთან ერთი-ერთზე შეხვედრებით, ყველა ცდილობდა ეროვნულობის იმი-ჯის შექმნას, რაც მათი აზრით, პარლამენტში მათვის ადგილების რაოდენობის გაზრდის გარანტი იქნებოდა. არაფერს არ ერიდებოდნენ, განსაკუთრებით ერთმანე-თის ჩაშვებას. სახელმწიფო მეთაურს კი ეს ყოველივე არ აინტერესებდა, იგი ყველას თავს უქნევდა, ხოლო გულში რა ედო, ეს ძნელი გამოსაცნობი იყო საშოვარზე გადაგე-ბული და არა სახელმწიფოს მომავლისთვის მზრუნველი ჩვენი ვაიპოლიტიკოსებისთვის.

ეშმაკეთში კი, სადაც საქართველოს დაქცევისა და გადანაწილების გეგმა იწერებოდა, შორს გამიზნულ გეგმებზე ფიქრობდნენ. შევარდნაძეს საქართველოს „ტახტი“ იმიტომ კი არ უბოძეს, რომ მასზე, როგორც საბჭოთა კავშირის გამყიდველზე, მზე და მთვარე ამოსდიოდათ, არამედ იმიტომ, რომ მას „გამეფების“ სანაცვლოდ ხარკი უნდა გადაეხადა. ეს ხარკი კი, არც მეტი და არც ნაკლები საქართველოს საუკეთესო ტერ-იტორიები იყო. ეს გადაწყვეტილება რომ ეშმაკეთში იქნა მიღებული, იქიდანაც დასტურდება, რომ ათას ცხ-რას ოთხმოცდათორმეტი წლის თოთხმეტ აგვისტოს, ტრადიციული მარიამობის მარხვის დაწყებისას, როდე-საც მართლმადიდებლურ ტაძრებში იდღესასწაულება შემოყვანება პატიოსნისა ძელისა ცხოველმყოფელისა ჯვრისა, იკურთხება მცირე აიაზმა, მორნმუნენი ეამბო-რებიან ტაძარში დაბრძანებულ ჯვარს და შენევნას შეს-



თხოვენ უფალს, საქართველოს სახელმწიფო მეთაურმა ომი ნამოიწყო და ჯარი შეიყვანა აფხაზეთში.

აღსრულდა ნეტარი ავგუსტინეს წინასწარმეტყველება: „მთავრობა სამართლიანობის გარეშე ავაზაკთა უბრალო ხროვაა!“

სახელმწიფო მეთაურმა თავისი მზაკვრული გეგმის შესასრულებლად სამი ძირითადი მიმართულება აირჩია. პირველი — საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მხარის ხარჯის სახით გადასაცემად, აფხაზეთში ომი დაიწყო. მან კარგად იცოდა, რომ ომში საჯარისო ნაწილებთან ერთად, ქვეყნის მამულიშვილთა საუკეთესო და საღად მოაზროვნე ადამიანები წავიდოდნენ, ვისთვისაც სამშობლოს ბედი სულერთი არ იყო. ომიდან, რა თქმა უნდა, ყველა ვერ დაბრუნდებოდა და ეს მისი რეალური მონინააღმდეგების რიცხვს შეამცირებდა და არაფორმალურ ბანდფორმირებებს შორის შუღლს ჩამოაგდებდა. მეორე — ომთან ერთად დაიწყო საპარლამენტო საარჩევნო კამპანია და რაც საქართველოში ქართველი და არაქართველი სამშობლოს გამყიდველები და ნაძირლები იყვნენ, ყველას თბილისში მოუყარა თავი და აღმასრულებელ ხელისუფლებაში და საკანონმდებლო ორგანოში თანამდებობისთვის ბრძოლის მარათონში ჩართო. მესამე — აქტიურად დაიწყო საქართველოს დაშლის პროცესი, დაძაბა სიტუაცია სამაჩაბლოსა და აჭარაში და საჭიროების შემთხვევაში მათ გაყიდვაზეც არ იტყოდა უარს. ამ ყველაფერს ხელს უწყობდა საპატრიიარქოს დუმილიც, რომელიც მხოლოდ ერთ რამეზე

ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში დაიწყო უზ-  
ნეოთა და უმეცართა როკვაი საშინელი.

#### IV

მარიამობის წირვიდან სახლში მობრუნებულ ლექსოს  
სავარძელში ჩასძინებოდა. უცებ ტელეფონი ანკრიალ-  
და. ლექსო ძლივს გამოერკვა ძილ-ბურანიდან, ნამოდ-  
გა სავარძლიდან, აილო ტელეფონის ყურმილი და ნახ-  
ევრადმძინარებ ძლივს ამოთქვა:

— ბატონო!

ხაზზე მამა ანტონი იყო. ლექსო საუბრისას უცებ გა-  
მოფინებულდა, ნელ-ნელა თვალები უფართოვდებოდა და  
სახეზე მთლად წამონითლდა. ბოლოს, ძლივს წარმოთქა:

— ახლავე წამოვალთ, მამაო. გმადლობ, რომ  
შემატყობინე.

ლექსომ ყურმილი დადო და იქვე მდგარ სკამზე ჩამო-  
ჯდა. სამზარეულოდან გამოსული წატო და გურამი



გაშეშებულნი იდგნენ, ლექსოს შესცქეროდნენ და ხმის ამოლებას ვერ ბედავდნენ. ბოლოს, ისევ ლექსო წამოდგა და ამცნო ცოლსა და შვილს:

— ნიკალა პაპა გარდაიცვალა! წავედით!

საღამოს ვაჩნაძეები უკვე სოფელში ავიდნენ. მამა ანტონი მათ ეზოს ჭიშკართან დახვდა. გადაეხვია ლექსოს და მიუსამძიმრა ნიკალას გარდაცვალება.

— ერთი კვირის წინ დავტოვე, — თქვა აცრემლებულმა ლექსომ, — კარგად იყო, არაფერი სჭირდა და რა მოხდა, მამაო? ...

— დღეს ტაძარში იყო, წირვას დაესწრო, ეზიარა,  
— მიუგო მამა ანტონმა, — ტრაპეზზე დავპატიჟე, მაგრამ არ დარჩა — „რაღაც ვერ ვარ კარგად, ალბათ დავიღალე, წავალ დავისვენებო“. შუადღეს მეზობელი გადასულა საქმეზე და სახლის აივანზე, ტახტზე დაწოლილი უნახავს, უკვე გარდაცვლილი. მაშინვე შემატყობინეს და სანამ თქვენ ჩამოხვიდოდით ყველაფერი მოვაწესრიგეთ. დედა ღვთისამ წაიყვანა თავისთან თავის მიძინების დღეს. ბედნიერი და ნაზიარები გავიდა ამ ქვეყნიდან. ახლა კი დანარჩენზე მოვილაპარაკოთ და პატივი მივაგოთ ნიკალას.

მთელმა სოფელმა დაიტირა ნიკალა ვაჩნაძე. მასზე კარგის მეტი არ უთქვამს არავის, არც მის სიცოცხლეში და არც მისი გარდაცვალების შემდეგ. მამა მიქაელიც ჩამობრძანდა და მამა ანტონთან ერთად ჩაუტარეს ნიკალას პანაშვიდი, წესი აუგეს, საფლავამდე მიაცილეს და იქაც წესისამებრ მიაგეს პატივი.



ლექსომ და ნიკალას ქალიშვილმა, ფიქრიამ თავის ოჯახის წევრებთან ერთად, ნიკალა პაპას გარდაცვალებიდან მეცხრე დღემდე დაჰყვეს სოფელში, საფლავზე გავიდნენ, მამა ანტონმა ჩაატარა პანაშვილი, მერე დასხდნენ ოჯახის ახლობლები მამა ანტონთან ერთად და ჭიქა წაუქციეს ღირსეულ ქართველს. ტრაპეზის შემდეგ მამა ანტონმა ჯიბიდან ამოილო ოთხად დაკეცილი ქალალდი, გაშალა და მიმართა ნიკალას ოჯახის წევრებს:

— შვილები, ეს ნიკალას ანდერძია, რომელიც მე გადმომცა, რათა მისი გარდაცვალების შემდეგ წამეკითხა თქვენთვის. ფიქრიამ უარი თქვა მამაპაპისეულ სახლზე და კარ-მიდამოზე, რადგან მისი მეუღლის ოჯახს თავისიც ბევრი აქვს მისახედი, ერთი ქალიშვილი ჰყავთ და ისიც გათხოვდება და თავის გზას ნახავსო. ამიტომ ფიქრია სახლიდან მხოლოდ დედის ნივთებს წაიღებს და დანარჩენი უძრავ-მოძრავი ქონება, დიდი ვენახის გარდა, ჩემს შვილთაშვილს გურამს გადაეცითო. ხოლო დიდი ვენახი ჩვენს ეკლესიას შესწირა, პატარა კი გურამს დაუტოვა, ის ქალაქელია და მეტს ვერ მოუვლისო. განსაკუთრებული ყურადღება ანდერძში გამახვილებული აქვს სანადირო თოფზე, რომელიც მის ფრონტელ ძმაკაცს ტულიდან გამოუგზავნია. აი, ნახეთ როგორ წერს: „მე და გურამს ამ თოფით ხშირად გვინადირია. ძალიან მაგარი თოფია და გურამს უთხარი, ჩემი სიკვდილის შემდეგ, ეს თოფი წაიღოს ქალაქში, თორემ ბევრ აქაურსა აქ თვალი აქვს მასზე დადგმული და არ მინდა, რომ დაიკარგოს. ეგ კიდევ ბევრჯერ გამოადგება გურამს და გაუფრთხილდეს“. დანარჩენს კიდევ ბევრ რამეს



ნერს და თვითონ წაიკითხეთ და როგორც გადაწყვეტთ,  
ისე მოვიქცეთ.

— დიდი მადლობა, მამაო, — თქვა აცრემლებულ-  
მა ფიქრიამ, — ჩვენ რაღა უნდა ვთქვათ. ეს ყველაფერი  
მამამ მე თვითონ მითხრა და ჩემს ოჯახთან შეთანხმებით  
დაწერა ანდერძი. ჩვენ ამ კარ-მიდამოს ვერ მოვუვლით,  
გურამი კი ახალგაზრდა კაცია, თან ლექსოს ოჯახს სოფე-  
ლი არა აქვს და მათ უფრო წაადგებათ. იმ ვენახს კიდევ  
ეკლესიის მრევლი უფრო მოუვლის და არ წაახდენს. ცო-  
დოა ეგ ვაზი, მთელი სიცოცხლე შეალია მაგის აშენებას.

— ლექსო, შენ რას იტყვი? — ჰკითხა მამა ანტონმა.

— მადლობის მეტი რა მეთქმის, მამაო, — მიუგო  
ლექსომ, — ჩემთვის ნიკალა პაპას სიტყვა ყოველთვის  
კანონი იყო, არის და იქნება.

ნიკალა პაპას ახლობლები მამა ანტონთან ერთად  
გარდაცვალებიდან მეორმოცე დღის აღნიშვნის ორგა-  
ნიზაციულ საკითხებზე შეთანხმდნენ, საუკუნეების გან-  
მავლობაში ბოქლომდაუდებელი ჭიშკარი დაკეტეს და  
დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

თბილისში ჩამოსული გურამი მოუსვენრობამ შეიპყ-  
რო. ნიკალა პაპას გარდაცვალებამ მასზე განსაკუთრებ-  
ულად იმოქმედა, ერთ ადგილას ვეღარ ჩერდებოდა. ხან  
თეკლასთან იყო, ხან მეგობრებთან. სახლში დაბრუნებუ-  
ლი სოფლიდან წამოღებულ, ნიკალა პაპას ნაჩუქარ  
თოფს შეხედავდა და სევდა შეიპყრობდა ხოლმე. ვერ  
წარმოედგინა, რომ პაპა ამ ქვეყნად აღარ იყო, სოფელში  
ჩასულს აღარ დახვდებოდა, ერთად ვენახში სამუშაოდ



და სანადიროდ ვეღარ წავიდოდნენ და, რაც მთავარია, ნიკალა პაპა გურამის და თეკლას ოჯახის შექმნას ვერ მოესწორო. დიდ სიცარიელეს დაედო ბინა ახალგაზრდა კაცის გულში. სკოლაში სწავლა ახალი დაწყებული იყო და სწავლასაც ვერ უდებდა გულს, გაკვეთილებს ხშირად აცდენდა და განმარტოების სენით იყო შეპყრობილი. ერთხელ, საღამოს სახლში მარტო იყო. ნიკალა პაპას თოფი დაშალა, კარგად გაწმინდა, ამასობაში ბევრი რამ გაიხსენა სოფლის ცხოვრებიდან, მერე ისევ ააწყო იარაღი, ჩაჯდა სავარძელში, თოფი ჩაიხუჭა და ისევ ფიქრებში ჩაიძირა. გურამს ნელ-ნელა ძილიც მოერია და ჩათვლიმა. სიზმარში ნიკალა პაპა გამოეცხადა, შორიდან უღიმოდა და ხელს უქნევდა. გურამს ახლოს მისვლა უნდოდა, მაგრამ ადგილიდან ვერ იძვროდა. ბოლოს, ისევ ნიკალა პაპამ გამოიყვანა მდგომარეობიდან და დაუძახა: „მოსასვლელად ნუ გაირჯები, პაპა! აქამდე არავინ მოგიშვებს, ეს სხვა გზაა, რომელიც მე მარტომ უნდა გავიარო მეორმოცე დღემდე!“ გურამი შეწუხდა და უთხრა: „უშენობა მიჭირს პაპი! ამ ქვეყანაზე ადგილს ვეღარ ვპოულობ, ძალიან დამაკლდი, შენი დარიგებები რომ აღარ მესმის, სულ ავირიე! შენს მაგივრად შენს ნაჩუქარ თოფს ვეფერები და ველაპარაკები. იქნებ რაიმე მირჩიო, რა გავაკეთო!?” ნიკალამ შვილთაშვილს კვლავ გაულიმა და გამოსძახა: „ძველად, როდესაც ვაჟკაცები ასეთ მდგომარეობაში ვარდებოდნენ, გონი და მკლავი რომ არ დაჟანგებოდათ, უცხო ქვეყანაში სამუშაოდ ან საომრად მიდიოდნენ, რათა თავისი სამშობლოსთვის



რაიმე სიკეთე მოეტანათ! შენ არც ჭკუა-გონება გაკლია და მკლავიც კარგად გიჭრის. დროა, შენც მოძებნო შენი გზა. მე კი მუდამ შენთან ვიქნები, რადგან ღმერთი ჩვენ სიყვარულს არ გაწირავს, პირიქით, იმედი მაქვს, რომ ის მარადიული იქნება!“

— რა გჭირს, ადამიანო! — ჩაესმა გურამს ნაცნობი ხმა, — რას ჩაგიხუტებია ეს თოფი! ვინმე წაგართმევს თუ როგორ არის შენი საქმე!?

გურამმა უცებ გაახილა თვალები და მომლიმარი ლექსო დაინახა, რომელიც თავზე წამოსდგომოდა, ერთი ხელი თოფის ლულაზე ჰქონდა მოკიდებული, მეორეთი კი გურამს მხარზე ეფერებოდა.

— რა მოხდა, შვილო!? — იცინოდა ლექსო, — რა შეიარაღებული ზიხარ, აფხაზეთში ხომ არ მიდიხარ საომრად!?

აფხაზეთის გაგონებაზე გურამი გამოფხიზლდა. უცებ, სიზმარი და სიცხადე ერთმანეთში აერია და მამის სიტყვები ნიკალა პაპას დარიგების გაგრძელებად ჩათვალა — „აფხაზეთში არა? ... ჰოო, აი, თურმერის თქმას აპირებდა პაპა... აი, თურმერომელ გზას უნდა დავადგე, მაგრამ ეს, რომ ამათ გაიგონ, სახლიდან აღარ გამიშვებენ ...“

— საომრად არა, ისა, — მიუგო ახლადგამოლვიძებულმა გურამმა, ნელ-ნელა ადგა სავარძლიდან და განაგრძო, — თოფი გავწმინდე, ავაწყე და ჩამეძინა.

— ჰოდა, ახლა როგორც ააწყე ისე დაშალე და შეინახე თავის ადგილას! — სიმკაცრე გაურია ლექსომ საუბარ-ში, — და ნუ ეთამაშები მაგ თოფს!



— პოო, კარგი. — დაეთანხმა გურამი. მის გონებაში კი მხოლოდ ერთი სიტყვა ტრიალებდა — „აფხაზეთი ... აფხაზეთი ... აფხაზეთი ...“

გურამი ორი დღე განმარტოებული და დაფიქრებული დადიოდა. თეკლასაც იშვიათად ეკონტაქტებოდა. სამშობლოს სიყვარულმა მასში ყველაფერი გადაწონა ერთ მხარეს. მიხვდა, რომ ღმერთის მერე სამშობლოს სიყვარულია უპირველესი. ახლა გაახსენდა რაფიელ ერისთავის ლექსი, რომლის ზეპირად სწავლაც სკოლაში ეზარებოდა: „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა ...“. ნიკალა პაპას სიტყვებს კი, რომელიც მან სიზმარში უთხრა, ანდერძივით გულით დაატარებდა. ისიც გაარკვია, რომ ორ დღეში სანაპიროდან სამი ავტობუსი — „იკარუსი“ გადიოდა ფოთისკენ, რომელსაც მოხალისე მებრძოლები მიჰყავდა და შესაბამისი საბრძოლო მასალა და სურსათ-სანოვაგე მიჰქონდა. გურამისთვის ყველაფერი კარგად აეწყო. წინა დღეს ლექსო და ნატო სოფელში აპირებდნენ წასვლას ნიკალა პაპას საფლავის მოსაწესრიგებლად და ღამეც იქ დარჩებოდნენ. გურამი არ მიჰყავდათ, რადგან სკოლაში გაკვეთილები ჰქონდა, ისედაც ბევრი გააცდინა და არ უნდოდათ, რომ ჩამორჩენილიყო სწავლაში. „ქურდს რა უნდა, ბელი ღამეო.“ — ჩემზეა ნათქვამი, — ფიქრობდა გურამი, თან ეცოდებოდა მშობლები, მის ომში გაპარვას რომ გაიგებდნენ, რა დღეში ჩავარდებოდნენ. გურამი ხომ დედისერთა იყო. თავს იმით ინუგეშებდა, რომ სამშობლოს სიყვარული უპირატესია და ამ შემთხვევაში ის ღმერთთან და ადა-



მიანთან მართალი იქნებოდა. ალბათ, მოძღვარიც შეუნდობდა თვითხებობას. — მაგრამ თეკლა... ის ხომ ვერ გადაიტანდა ამას... ხომ გადაირევა, რომ გაიგებს... არა! სამშობლო უპირველეს ყოვლისა!...“ — საბოლოოდ გადაწყვიტა გურამმა.

იმ ღამეს თითქმის არ დაუძინია, თან სახლში მარტო იყო. დილით ნიკალა პაპას დაშლილი თოფი სხვა ნივთებთან ერთად ჩაალაგა ზურგჩანთაში, გადაიწერა პირჯვარი, გამოიკეტა ბინის კარი და დაეშვა სანაპიროსკენ. ავტობუსებთან გამცილებელნი უფრო ბევრნი იყვნენ, ვიდრე ომში წამსვლელები. კოლონა მალევე დაიძრა, თუმცა მცირე დროით ვახუშტის ხიდთან გაჩერდა. ხიდის ბურჯში მდექარე საწყობიდან მუყაოს ყუთებში შეფუთული სურსათი გამოიტანეს, ჩატვირთეს ავტობუსებში და გაუდგნენ გზას. გზადაგზა ავტობუსებში ახალ-ახალი მოხალისე მეომრები ამოდიოდნენ, რომლებიც მტერთან ბრძოლის შინით იყვნენ ავსებულნი და ერთი სული ჰქონდათ ჩასულიყვნენ დისლოკაციის ადგილებში. რიკოთის უღელტეხილზე რომ გადავიდნენ, გურამს ჩასთვლიმა და ფოთის შესასვლელში გამოედვიძა. მეომართა უმრავლესობა ბორანით გაგრაში აპირებდა გადასვლას, ამიტომ ავტობუსებიც იქ გაჩერდნენ. ბორანი შუალამისას უნდა გასულიყო. გურამმა გადაწყვიტა დაერევა თბილისში და თეკლასთვის აეხსნა ყველაფერი. საქალაქთაშორისო სატელეფონო განყოფილებაშიც ლოდინი მოუნია, რადგან კავშირი არ იყო თბილისთან. ბოლოს, როგორც იქნა დაუკავშირდა თეკლას. გურამის ხმის გაგონებაზე თეკლამ ლამის იკივლა:



— სად ხარ, გურამ! გირეკავდი ...

ამ სიტყვებზე გურამს წინასწარ მომზადებული, თეკლასთვის სათქმელი ტექსტი დაავიწყდა და პირდა-პირ უთხრა:

— ფოთში ვარ, თეკლა.

— რა გინდა მანდ, ბიჭო!?

— ომში მივდივარ, გაგრაში.

ყურმილში სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. გუ-რამი ამაოდ ცდილობდა ალო, ალოს შეძახილით თეკლას ხმის გაგონებას. ბოლოს, როდესაც იმედი გადაეწურა, გაიგონა თეკლას ნამტირალევი ხმა:

— გაგიუდი, ბიჭო! ...

— თეკლა... მე მალე ჩამოვალ... არ ინერვიულო... მე სამშობლო უნდა დავიცვა... აბა, რის კაცი ვარ!?...

— ბიჭო, თქვენებმა იციან? — არ ცხრებოდა თეკლა.

— არა. გამოვიპარე. ლექსო და ნატო ხვალ ჩამოვ-ლენ სოფლიდან და შენ უნდა გააგებინო. მე ხვალ უკვე გაგრაში ვიქნები და თუ იქნება საშუალება, იქიდან და-ვურეკავ. მამა მიქაელს და მამა ანტონს გააგებინონ, ბოდიში მომხადონ და სთხოვონ, რომ ლოცვებში მომიხ-სენიონ, შენ კი ...

ამ დროს ყურმილში მორიგე იპერატორის ხმა გაისმა:

— თქვენი დრო ამოიწურა, გთხოვთ დაკიდოთ ყურ-მილი...

## V

მოსკოვში გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, სექტემბრის დასაწყისში გაგრასთან სამხედრო მოქმედებები შეწყვეტილი იყო, ამიტომაც ბორანი, ყოველგვარი პრობლემების გარეშე მიადგა გაგრის სანაპიროს. ნაპირზე მას უკვე ელოდებოდნენ შეიარაღებული ადამიანები. ზოგს სამხედრო ფორმა ეცვა, ზოგს სამოქალაქო, ზოგი შორტებითაც გამოსულიყო, თუმცა ცეცხლსასროლი იარაღი ყველას თან ჰქონდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ რეგიონში, მიუხედავად ცეცხლის შეწყვეტისა, სიტუაცია მაინც დაძაბული რჩებოდა.

ბორნიდან ადამიანები ჯერ ჩასულებიც არ იყვნენ, რომ იქ ავეჯის და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საგნების ამოტანა დაიწყეს. ორი კაცი ფეხსვებიანად ამოღებულ და შეფუთულ პალმის ხესაც მოათრევდა. გურამი გაკვირვებული უყურებდა ამ ყოველივეს, ვერ გაეცნობიერებინა რა ხდებოდა, როდესაც გვერდით შუახნის მამაკაცი ამოუდგა, ხელკავი გაუყარა და უთხრა:

— წამოდი, შვილო, წამოდი, აქ უკვე სახელმწიფო კანონები აღარ მოქმედებს, ეს ომის კანონია. ომს თავისი კანონები აქვს და არაფერი არ უნდა გაგიკვირდეს.

როგორც კი ნაპირზე გადავიდნენ, გურამის ახლადგაცნობილ მამაკაცს ერთმა სამხედროფორმიანმა და ავტომატგადაკიდებულმა კაცმა დაუძახა:

— ძმაო! ეგ ბავშვი შენია!?

— არა. ჩემი არ არის. ბორანით ერთად ჩამოვედით. — უპასუხა უცნობმა.



— კარგი. — თქვა სამხედროფორმიანმა, — შენ იქით გრუპაში გადადი, ეს კიდევ აქ დატოვე! — მერე გურამი შეათვალიერა და განაგრძო, — ვინ გამოგაგზავნა, ბიჭო!?

გურამი კარგად დააკვირდა სამხედროფორმიანს, რომელსაც აქვარად ეტყობოდა, რომ ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ იყო, თუმცა სამხრეებზე დაკერებული ვარსკვლავებით ჩანდა, რომ უბრალო ჯარისკაცი არ უნდა ყოფილიყო. მის უკან კიდევ რამდენიმე ჯარისკაცი იყო ჩაცუცქული და სიგარეტს ეწეოდნენ. გურამმა წყნარად, აღელვების გარეშე უპასუხა:

- გამოვიპარე სახლიდან. მინდა, რომ ვიომო.
- მერე, ბიჭო, საომრად „რუგზაკებით“ კი არ მიდიან,
- გაეცინა სამხედროფორმიანს, — იარაღი გაქვს!?
- თოფი მაქვს! — ამაყად მიუგო გურამმა.
- აბა, გვაჩვენე!

გურამმა სწრაფად გახსნა ზურგჩანთა, ამოილო თოფი, სწრაფად ააწყო და დაანახა სამხედროებს. ყველამ სიცილი დაიწყო. გული რომ იჯერეს, ერთმა ჩაცუცქულმა ჯარისკაცმა ჰქონდა:

- მაგ მწყერებზე სანადირო თოფით გინდა იბრძოლო, ძმაო!?
  - სადაური კაცი ხარ? — ჰქონდა სამხედროფორმიანმა.
  - სოლოლაკელი.
- სოლოლაკის გაგონებაზე ყველანი შეიშმუშნენ:
- ვა! თბილისელი ხარ, ტო!? სოლოლაკში ლევუშას იცნობ? — იკითხა ისევ ჩაცუცქულმა.
  - ლევუშასაც ვიცნობ და პავლუშასაც! შენ რომელი უბნელი ხარ!? — ჰქონდა გურამმა.



— ვა! უუე თავდასხმაზეც გადმოვიდა, — გაეცინა ჩა-  
ცუცქულს, სიგარეტი მოქაჩა და ვითომ სერიოზულად  
დაასკვნა, — გამოდგება ხო იცი!

— ჰო! კარგი, კარგი! — წამოიძახა სამხედროფორმ-  
იანმა, — მე ამ ოცეულის მეთაური ვარ! ოთარი მქვია,  
ზედმეტსახელად „ჩორტიკას“ მეძახიან. წამოდი ჩვენთან!

ბიჭებმა ხელი ჩამოართვეს გურამს და იქვე მდებარე  
დასახლებული პუნქტისკენ გასწიეს. ერთ-ერთ შენობა-  
ში შევიდნენ, რომელიც, როგორც ჩანდა, ადრე სახელმ-  
წიფო დაწესებულება იყო. გურამი სხვებთან ერთად დიდ  
ოთახში დააბინავეს. „ჩორტიკაშ“ გასვლისას ყველას  
გასაგონად თქვა:

— ახლა მართალია საბრძოლო ოპერაციები შეწყვ-  
ეტილია, მაგრამ ჩვენ მაინც ვპატრულირებთ გაგრასა  
და მის შემოგარენში, ამიტომ ნებისმიერ დროს შეიძლება  
მიიღოთ ბრძანება. ასე რომ, იცოდეთ!

გურამს ავტომატიც მისცეს, სროლაშიც ავარჯიშეს,  
სამხედრო წესებიც ასწავლეს მეტ-ნაკლებად და სხვა ბი-  
ჭებთან ერთად დაზვერვით ოპერაციებზეც გააგზავნეს.  
ვაჩინაძემ ყველაფერს კარგად გაართვა თავი. ქალაქში  
პატრულირების დროს გურამმა რამდენჯერმე ჩაუარა  
საქალაქთაშორისო სატელეფონო განყოფილებას, მა-  
გრამ ვერ ბედავდა თეკლასთან დარეკვას, წინასწარ  
იცოდა, რა სიტყვების „ქარიშხალიც“ წამოვიდოდა, რო-  
გორც თეკლასგან, ასევე მშობლებისგან. არადა, კავშირი  
აუცილებელი იყო, რა იცი, როგორ ელოდებოდნენ მის  
ზარს. ბოლოს, გაბედა და დარეკა. თეკლამ გურამის ხმის



გაგონებაზე ისევ ტირილი დაიწყო და რომ დაწყნარდა, მხოლოდ ორი სიტყვის წარმოთქმა მოახერხა:

— როდის ჩამოხვალ?

— მე ჯერ ვერ ჩამოვალ, თეკლა, — უპასუხა გურამ-მა, — გავრეკავთ მტერს და მერე. შენ ეგ მითხარი, ჩე-მებმა რაო?

— მამაშენი ცემით გემუქრება. ასე მითხრა: „როდე-საც დაგირეკავს უთხარი, დროზე ჩამოვიდეს თბილის-ში, რა დროს მაგის ომიაო!“ — მიუგო თეკლამ და ისევ აქვითინდა. მერე დაწყნარდა და განაგრძო, — „სახლის ტელეფონის ნომერი დაავიწყდა, რატომ არ რეკავსო? ...“

უცებ კავშირი გაწყდა. გურამი კაბინიდან გამოვარდა და ოპერატორს შეხედა. სანამ რაიმეს ეტყოდა, მორიგე ოპერატორმა მხრები აიჩეჩა, თავი გაიქნია და ამით ანიშ-ნა — „კავშირის გაწყვეტა ჩვენი ბრალი არ არისო“.

გურამი გაბრაზებული დაიძრა შენობის გასასვლე-ლისკენ და უცებ მოპირდაპირე მხრიდან მომავალ მა-მაკაცს შეეჯახა. შეხედა და მაშინვე იცნო. ეს ის კაცი იყო, ბორანზე რომ შეხვდა. გურამს სიბრაზემ უცებ გადაუარა, გაუღიმა მასზე ასაკით გაცილებით უფროს ნაცნობს და მორიდებით უთხრა:

— მაპატიე, ძია...

გურამმა კარგად რომ შეათვალიერა სამხედრო ფორ-მაში გამოწყობილი, კაპიტნის სამხრეებიანი „ძია“, უცებ გასწორდა და სამხედრო წესისამებრ მოახსენა:

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო კაპიტანო!



— კარგი, კარგი, თავისუფლად, — გაეღიმა უცნობს,  
როგორ ხარ, ყმანვილო? სახლი ხომ არ მოგენატრა?  
ალბათ დარეკე მშობლებთან?

— არა. მერიდება დარეკვა, ბატონო კაპიტანო. მე ხომ  
გამოვიპარე.

— ასე არ შეიძლება, არ შეიძლება, შვილო, — უთხრა კა-  
პიტანმა, ცოტა შეყოვნდა და განაგრძო, — შენი სახელი?

— გურამი.

— მე ნიკოლოზი მქვია. ისე ნიკოს მეძახიან. შინაურუ-  
ლად შენც ასე მომმართე, — გაუღიმა კაპიტანმა გურამს,  
მერე ხელკავი გამოსდო, შენობაში შეატრიალა და უთხ-  
რა, — ასე არ შეიძლება, გურამ, მშობლები ინერვიულე-  
ბენ. გეძებენ ალბათ.

— არა, ნიკო ძია, — მიუგო გურამმა, — არც ასეთი  
უპასუხისმგებლო ვარ, ჯერ კიდევ ფოთიდან ჩემს შეყ-  
ვარებულს დავურეკე და მან გააგებინა. მე თვითონ ვერ  
ვურეკავ — მერიდება.

— წამოდი, მე დაველაპარაკები. — შესთავაზა ნიკომ.

— კავშირი გაწყდა.

— აუჰ! ეგ რა მითხარი. მეც დარეკვას ვაპირებდი, —  
თქვა ნიკომ და მცირე დროით ჩაფიქრდა, მერე ხელი ჩაი-  
ქნია და განაგრძო, — სხვა? ბიჭები როგორ გექცევიან?

— რა ვიცი... კარგად. რაღაცეებს მასწავლიან.

— კარგი, აბა, — გაუღიმა ნიკომ გურამს, ხელი ჩამო-  
ართვა და უთხრა, — მე ყოფილ ავლანელების დაჯგუფე-  
ბაში ვარ და თუ რაიმე დაგჭირდება მომაკითხე, არ მო-  
გერიდოს.



— არის! ბატონო კაპიტანო! — წესისამებრ მოახსენა გურამმა და ზღვისკენ მიმავალ ქუჩას გაუყვა.

შავი ზღვა, წელიწადის ამ დროს, როგორც ყოველთვის წყნარი და ენით აუწერელი სილამაზის იყო. ლაუვარდოვან ცასთან ისეთ ჰარმონიას ქმნიდა, რომ ადამიანს სურვილი გაგიჩნდებოდა ცასა და ზღვას შორის გენავარდა და მოფერებოდი ოქროსფერ მზეს. ალბათ, ამიტომაც უყვარდათ ასაკოვან ადამიანებს სექტემბერში ზღვაზე დასვენება, რომელსაც ხავერდოვან სეზონს ეძახდნენ. მაგრამ საკმარისი იყო ზურგით დამდგარიყვავი ზღვისკენ, რომ ეს სილამაზე და რომანტიულობა თვალს და ხელს შუა გაგიქრებოდა. ერთ დროს სიქათქათით განთქმულ გაგრას შავი ფერი გადაკვროდა, დაცარიელებულიყო და თითქოს ამოუცნობ ბურუსში იყო გახვეული.

გურამმა მამისგან იცოდა და მამა მიქაელმაც საფუძვლიანად აუხსნა, რომ ასეთი ბურუსი კარგს არაფერს უქადა ქვეყანას და ხალხს. ასეთი დაბინძურებული სიწყნარე, რომელიც გაგრაში და მის შემოგარენში ჩამომდგარიყო, ცხრა აპრილის უფრო მასშტაბურ გამეორებას მოასწავებდა. ეს ვითარება კი არც ზედა და არც ქვედა „ეშელონებში“ არავის ადარდებდა. ამ ყველაფრის უკან ვიღაც უხილავ ძალთა ინტერესები იდგა.

გურამი დიდხანს უყურებდა ზღვას და ხმელეთს, თან ხელში სანაპიროზე მოგროვილ ნიჟარებს ათამაშებდა. ბოლოს, ეს უკანასკნელი ზღვისკენ მოისროლა და ხმამაღლა წარმოთქვა:

— ზღვისკენ გაიხედავ სამოთხეს დაინახავ, ხმელეთისკენ გაიხედავ — ჯოჯოხეთს. ზღვაზე სიარული



და ზეცაში ფრენა ჩვენ არ ვიცით, ამიტომ ისევ ჯოჯოხე-  
ეთში მოგვიწევს წასვლა.

საცხოვრებელ კორპუსში მისულ გურამს, შესასვ-  
ლელში „ჩორტიკას“ ეგრეთ წოდებული „მარჯვენა  
ხელი“ დახვდა და უთხრა:

— უფროსმა დაგიბარა: „როგორც დაღამდება, ეზოში  
ჩამოვიდეს, ოპერაციაზე გავდივაროთ!“

დაღამებას აღარაფერი აკლდა. გურამი ავიდა ოთახ-  
ში, საბრძოლო ალქურვილობა მოირგო და ისევ ეზოში  
დაბრუნდა. დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია, „ჩორტი-  
კა“ მწვანე „უიგულით“ გამოჩნდა თავის ორ განუყრელ  
„ჩაცუცქულთან“ ერთად. გურამს გაუკვირდა, მანქანით  
რანაირ ოპერაციაზე უნდა წასულიყვნენ, თან „უიგულს“  
ნომრები არ ჰქონდა. მალე გაგრა უკან მოიტოვეს და  
აღმართს შეუდგნენ. დიდხანს არ უვლიათ. „ჩორტიკამ“  
სადღაც წაძვნარში გააჩერა მანქანა, ფარები ჩააქრო და  
ანიშნა ბიჭებს — „წავედითო!“ ირგვლივ სიბნელე იყო,  
არაფერი ჩანდა. რამდენიმე ასეული მეტრის შემდეგ,  
ორსართულიანი სახლის სილუეტი გამოჩნდა, ერთ ფან-  
ჯარაში სინათლე ბჟუტავდა, როგორც ჩანს სანთელი  
ჰქონდათ დანთებული, რადგან ელექტროენერგია ხშირ-  
ად ითიშებოდა ხოლმე. აფხაზური სოფლებისთვის დამახ-  
ასიათებელი დასახლება იყო. სახლები ერთმანეთისგან  
დიდი მანძილით იყო დაცილებული და ამიტომ ფანჯარა-  
ში დანთებული სანთელი ზღვის სანაპიროს შუქურასავით  
ანათებდა. „ჩორტიკამ“ სახლში შესასვლელ კარს წიხლი  
ჰკრა, ავტომატი ააკაკანა, შევარდა იმ ოთახში, საიდანაც  
სანთლის შუქი გამოდიოდა და იყვირა:



— ყველანი დაწექით! თქვენი ხმა არ გავიგო!

ორი ჯარისკაცი ანთებული ფარნებით მეორე სარ-  
თულზე ავიდნენ, მომხდარისგან ერთ ადგილას გაშეშე-  
ბულ გურამს კი „ჩორტიკამ“ უყვირა:

— შენ აქ მოძი!

გურამი შევიდა ოთახში და თვალებს არ დაუჯერა.  
შიშისგან დამფრთხალი ოჯახის წევრები — ახალგაზ-  
რდა ქალი ორი მცირენლოვანი ბავშვით მოხუც კაცთან  
და ქალთან ერთად ოთახის კუთხეში იყვნენ მიყუულნი  
და შიშისგან კანკალებდნენ. ბავშვებმა ტირილი დაიწყეს.  
ახალგაზრდა ქალს, რომელიც სავარაუდოდ მათი დედა  
უნდა ყოფილიყო, აღარ იცოდა რა მოემოქმედა.

„ესენი არიან მტრები!“ — გაუელვა გურამს გონება-  
ში. ვაჩნაძეს ჯერ კიდევ კარგად არ ჰქონდა გაცნობიერე-  
ბული, რა ხდებოდა მის თავს, რომ „ჩორტიკამ“ იყვირა:

— აბა, დროზე! ვიცი, რაც გაქვთ! მოგვეცით და გა-  
ვალთ! სამაგიეროდ ყველას ცოცხალს დაგტოვებთ!

ერთადერთს, ვისაც ჯერ კიდევ სიმშვიდე შეენარჩუ-  
ნებინა, მოხუცი კაცი იყო. მან აულელვებლად მიმართა  
„ჩორტიკას“:

— ყველაფერს მოგცემთ, რაც გაგვაჩნია, ოლონდ  
ბავშვებს და ქალებს არაფერი დაუშავოთ.

ამ დროს ის ორი ჯარისკაციც დაბრუნდა და ოთახში  
შემოსვლისთანავე მოახსენეს „უფროსს“:

— ზევით სიფთაა! არავინაა!

— მერე, აქამდე სადა ხართ! — იყვირა ისევ „ჩორტიკამ“.

— რაღაცეები ვნახეთ, მერე ბამბანერკა ვიპოვეთ და ...



- როდის უნდა ისწავლოთ ჭკუა, თქვე სირებო! ბამ-ბანერკისთვის მოხვედით აქ? თუ მოცლილები ხართ!?
- ბატონო ჩემო, — მიმართა მოხუცმა „ჩორტიკას“, — რაც გაგვაჩნია ჩვენ, ფული და ძვირფასეულობა აქ ამ ორ ოთხში გვაქვს. ასე რომ, ყველაფერს მოგართმევთ და თქვენ თუ საჭიროდ ჩათვლით, გაჩერიკეთ სახლი.
- რომ გავჩერიკო და ვიპოვო, მერე რას იზამ! — იყ-ვირა „ჩორტიკამ“.
- ჩემი სიცოცხლით ვაგებ პასუხს! — მორიდებით თქვა მოხუცმა და თავი დახარა.
- კარგი! ეგრე იყოს! — ნიშნის მოგებით წამოიყვირა „ჩორტიკამ“ და ბიჭებს გასძახა, — აბა, დაშმონეთ!
- ბავშვები როგორც იყო დააწყნარა დედამ, მაგრამ მათ თვალებში ისეთ შიშს დაესადგურებინა, რომ გურ-ამს გული შეუწუხდა, მაგრამ არ შეუმჩნევია, ცდილობდა მოეკრიბა ძალლონე და გაეაზრებინა ყველაფერი.
- ამასობაში მოხუცმა, რა თქმა უნდა, „ჩორტიკას“ თანდასწრებით, კარადიდან ძველებური ზარდახშა გად-მოილო და როგორც კი გახსნა დააპირა, „ჩორტიკამ“ ხელიდან გამოგლიჯა, ავტომატის ლულით კედლისკენ უბიძგა და გურამს გასძახა:
- მიაყენე ესენი კუთხეში და თუ რომელიმე გაინძრე-ვა, ესროლე! შენ ჯერ ხომ არავინ მოგიკლავს და ეგ იქნე-ბა შენი პირველი ნათლობა!
- გურამი უკვე ცივი გონებით აზროვნებდა. „არა კაც კლა!“ — გაახსენდა მამა ანტონის სიტყვები, რომელსაც ის ეკლესიის ეზოში ქადაგებდა. — „რა ვქნა, მამაო? კაცს



მე ნამდვილად ვერ მოვკლავ, ხოლო არაკაცს ნამდვილად არ დავინდობ!“ მერე ავტომატის ჩამკეტი გახსნა, ტყვია ლულაში გადაჭედა და იარაღი კუთხეში მიმწყვდეული ოჯახის მიმართულებით მიმართა. მოხუცი ოჯახის ნევრებს გადაეფარა და ასე გაშეშდა. ამასობაში „ჩაცუცქულებიც“ შემოვიდნენ ოთახში და მოახსენეს „ჩორტიკას“, რომელსაც გახსნილი ზარდახშა სანთელთან მიეტანა და ათვალიერებდა:

— სულ გადავქექეთ, ძმაო და ვერაფერი ვნახეთ, მხოლოდ კიდევ ერთი ბამბანერკა ვიპოვეთ.

— ჰო, კარგი! — იყვირა „ჩორტიკამ“, — გასკდა თქვენი მუცელი! რამ შეგაყვარათ ეგ შოკოლადი! მიდი, იკიშკავეთ, თქვენი!... მერე გაეცინა. უცებ, სერიოზული გამომეტყველება მიიღო და განაგრძო, — ნამალზე კარგად მიდის, არა?

— ასწორებს, ძმაო! კარგად მიდის!

ბიჭებმა ავტომატები კედელზე მიაყუდეს და ბამბანერკების გახსნა დაიწყეს, ხოლო „ჩორტიკამ“ ოქროულის დათვალიერება განაგრძო.

— ამათ რას უშვრები, ჩორტიკი!? — ოჯახის ნევრებისკენ მიანიშნა ერთმა „ჩაცუცქულმა“, რომელიც შოკოლადებს მზესუმზირასავით იყრიდა პირში.

— სამოთხეში გავაგზავნით, ძმაო, სამოთხეში! — გადაიხარხა „ჩორტიკამ“, — ეს სახლიდან გამოპარული ბაცანა კი მოინათლება.

„უკვე დროა!“ — გაუელვა გურამს გონებაში, — „ღმერთო, მაპატიე! ღმერთო, შემიწყალე!“



გურამი უცებ შემოტრიალდა და ავტომატის ჯერით ჩაცხრილა სამივე, ისე, რომ ვერც ერთმა ვერ მოასწრო მისკენ გახედვაც კი.

სროლას ქალების წივილ-კივილი და ბავშვების სასონარკვეთილი ტირილი მოჰყვა. ერთადერთი, ვინც სიმშვიდით შეხვდა მომხდარს — მოხუცი გახლდათ. ის ფრთხილად მოუახლოვდა გურამს, მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— დიდი მადლობა, შვილო. ვაუკაცი ყოფილხარ! ღმერთმა დაგლოცოს!

გურამი იდგა გახევებული, ხელში ავტომატი იმავე მდგომარეობაში ეჭირა, როგორც სროლის დროს. მხოლოდ ერთ რამეს ეკითხებოდა თავის თავს: „მტერთან საბრძოლველად წამოვედი და ჩვენები დავხოცე!? ... რატომ!? ... რატომ!? ... რატომ!? ...“ მერე შემოტრიალდა და მხოლოდ მაშინ აღიქვა რეალური მდგომარეობა. არავისთვის არაფერი უთქვამს, ავტომატი ზურგზე გადაიკიდა და სიბნელეში გაუჩინარდა. როგორც იქნა ბაზამდე მიაღწია, მაგრამ არ შევიდა, „ავლანელების“ დისლოკაციის ადგილისკენ აიღო გეზი. საბედნიეროდ, ნიკო ადგილზე დახვდა. გურამმა ყველაფერი მოუყვა კაპიტანს. ნიკოს ბევრი არ უფიქრია და მაშინვე კითხვა დაუსვა გურამს:

- თოფი სადა გაქვს?
- ოთახში დავტოვე!
- წავედით! სასწრაფოდ გამოიტანე ნივთებთან ერთად და გამომყევი!



მალე ორივე სანაპიროზე გავიდნენ. ბორანი უკვე გასვლას აპირებდა. ნიკომ გურამს ხელი მოჰკიდა და უთხრა:

— კარგად მომისმინე, შვილო! შენ ვინც დახოცე, მარადიორები იყვნენ. აკლებული ჰქონდათ აქაურობა, იმიტომ წაგიყვანეს, რომ გამოუცდელი იყავი და ეგონათ, თავის ჭკუაზე გაგატარებდნენ. ახლა წადი თბილისში და აქეთ აღარ გამოიხედო, შენთვის ომი ჯერ ადრეა! თუ ცოცხალი გადავრჩი — მოგძებნი. აბა, კარგად!

მეორე დღეს გურამი იდგა ფოთის პორტის ტერიტორიაზე და ვერ გადაეწყვიტა, საით წასულიყო. თბილისში წასვლა წამდვილად არ უნდოდა. რა უნდა ეთქვა:

,„ომი დამთავრდა და ჩამოვედიო!“ თუ „შემეშინდა და წამოვედიო!“

წამდვილ მიზეზს წამდვილად ვერ იტყოდა. არც წასვლა უნდოდა სახლში. აფხაზეთში განვითარებულმა მოვლენებმა თითქოს ანდამატივით იმოქმედა მასზე. ამ დროს, პორტის შემოსასვლელთან, მამამისის ყოფილი თანამშრომელი, შოთა დაინახა.

— შოთა ძია! — წამოიძახა გურამმა და პორტის შემოსასვლელისკენ გაიქცა.

— ოპ! გურამ! საიდან სადაო!? — გაეხარდა შოთას და გურამს გადაეხვია, — ვიცი შენი ამბები, გამოიპარე ხომ!?

— რა ვქნა, შოთა ძია, ვერ გავჩერდები სახლში, როდესაც ჩემს ქვეყანას მტერი ახვევია თავს! — მიუგო გურამმა, — მაგრამ აქაც მაგარი ქაოსია. თავს ვერ აბავენ ვერაფერს.



— არ უნდა გაეძევებინათ ხალხის მიერ არჩეული მთავრობა და არ იქნებოდა ეს ქაოსი! — მოკლედ მოჭრა შოთამ და მერე გურამს ჰკითხა, — შენ აქ საიდან მოხვდი?

გურამი მოყუფა შოთას, რაც თავს გადახდა, არაფერი დაუმალავს. ისიც უთხრა, რომ ამ ამბების გამო სახლში ვერ დაბრუნდებოდა და თან სურდა, ჩართულიყო საომარ მოქმედებებში ნორმალურ და წესიერ ხელმძღვანელთან.

— კაი, რახან არ იშლი, ჩემს მეგობართან მოგცემ სარეკომენდაციო წერილს, სოხუმთანაა დაბანაკებული.

შოთამ ჯიბეები მოიჩხრიკა და ერთი გაყვითლებული თაბახის ფურცელი მოიძია. კალამი, იქვე მდგარ პურის გამყიდველს გამოართვა, სკამზე ჩამოჯდა და შეუდგა წერას:

„ჩემო ბორის.

ამ ბარათის მომტანი გურამი ვაჩნაებ ჩემს თვალწინ გაზრდილი ბიჭია. მამამისი ჩემი მეგობარი და მეზობელია. გული ერჩის და არ ჩერდება თბილისში, უნდა თავის წვლილი შეიტანოს იმ დიდ საქმეში, რასაც ჰქვია აფხაზეთის ომი. მინდა, რომ გყავდეს შენს ბატალიონში და ისე მიხედო, როგორც შენს პატარა თანამებრძოლს, არაფერში შეგარცხვენს. ალბათ მეც მალე ჩამოვალ და დანარჩენ აქაურ ამბებს შემდეგ მოგიყვები. მომიკითხე ბიჭები.

პატივისცემით, შოთა.“

შოთამ წერილი გურამს გადასცა და უთხრა:

— ეს გადაეცი და დანარჩენი თვითონ იცის. აბა, შენ იცი! მშვიდობით დაგვიბრუნდი!

გურამმა თვალი გააყოლა პორტის გასასვლელისკენ მიმავალ შოთას, მერე წერილი ჯიბეში ჩაიდო და



გაიხედ-გამოიხედა. ამ დროს, ახალგაზრდების ჯგუფი გამოჩნდა პორტის ტერიტორიაზე. გურამი მიუახლოვდა მათ და ჰკითხა:

- გამარჯობა! საით, ბიჭებო!?
  - სოხუმში, ძმაო!
  - თბილისელები ხართ!?
  - კი! რა არის, პრობლემაა რამე!?
  - არა, მეც თბილისელი ვარ! თქვენთან ერთად წამოვალ!
  - რაზეა ბაზარი, ძმაო!
- ერთი საათის შემდეგ ბორანი სოხუმისკენ მიცურავდა.

## VI

ათას ცხრაას ოთხმოცდათორმეტი წლის ოქტომბერს გაგრა დაეცა. სეპარატისტებმა რუსებისა და ჩრდილოეთ კავკასიელების დახმარებით არნახული ტერორი მოაწყვეს, სასტიკად გაუსწორდნენ ქართულ მოსახლეობას. ნაცვლად იმისა, რომ ქართულ მხარეს საპირისპირო ზომები მიეღო, თერთმეტ ოქტომბერს ზარ-ზეიმით ჩაატარეს საპარლამენტო არჩევნები და „უხილავი ხელი“ „ხილული“ გახადეს. ნათქვამია: „ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო“ და შევარდნაძემაც თუ საქართველოს დასაქცევად სადმე რაიმე დოკუმენტი იყო ხელმოსაწერი, ყველაფერი თავისი ბეჭდით დაადასტურა და პარლამენტმაც მხარი დაუჭირა. მანქურთების ხელისუფლებამ ქვეყანა მიიყვანა იმ დონემდე, რომ აფხაზეთის ომში მონინაალმდეგე მხარეებს ერთი ხელმძღვანელი ჰყავდათ.



პარლამენტის არჩევის შემდეგ საქართველოში ას-  
პარეზზე ახალი ძალები გამოვიდნენ, რომლებმაც  
ჩაიგდეს რა ძალაუფლება ხელში, ქვეყანაში გავლენის  
სფეროების ახალი გადანაწილება დაიწყეს. აფხაზეთში  
განვითარებულმა მოვლენებმა უკანა პლანზე გადაინ-  
აცვლა. იღვრებოდა უდანაშაულო ხალხის სისხლი, ხელ-  
იდან ხელში გადადიოდა და ნადგურდებოდა წინაპრების  
მიერ დღემდე მოტანილი ძირძველი ქართული მინა-წყა-  
ლი. უცხოტომელები ინაწილებდნენ აფხაზეთში მიწებს.  
ხელისუფლება კი არაფერს აკეთებდა გარდა ერთისა —  
— სულ ახალ-ახალ საჯიშე ბიჭებს აგზავნიდა ომში და  
საზარბაზნე ხორცად სწირავდა.

აფხაზეთში ნელ-ნელა სააშკარაოზე გამოვიდნენ სო-  
მხები, რომლებიც აქამდე თავის შავ-ბნელ საქმეებს  
სხვებზე ამოფარებულნი აკეთებდნენ. ქართველ მემა-  
ტიანებს ისინი მოხსენიებულნი ჰყავთ, როგორც „სასწო-  
რის მაყურებელნი“. შეხედეს რა შექმნილ სიტუაციას, მათ  
ამ შემთხვევაშიც იგივე გაიმეორეს. სომხებმა აღარ დააყ-  
ოვნეს და გაზაფხულზე შექმნეს ბაგრამიანის ბატალიონი,  
რომელიც სასტიკად უსწორდებოდა ქართველებს.

ფრონტისწინახაზზე ძირითადად პატრიოტივაჟკაცე-  
ბი იბრძოდნენ. მათი უმრავლესობა მტრის ტყვიისაგან  
განგმირული დაეცა ბრძოლის ველზე, ხოლო მოროდიო-  
რები და მათზე მიტმასნილი ნაძირლები ნელ-ნელა მო-  
ბრუნდნენ ქვეყანაში და აფხაზეთის ომის მონაწილის  
სახელით თავისი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯვას მი-  
ჰყვეს ხელი. ისინი შეესივნენ ორგანიზაციებს, ფირმებს,



საწარმოებს, მაღაზიებს, იმ საბაბით, რომ, როდესაც ისინი აფხაზეთში სამშობლოსათვის და თითოეული მოქალაქისათვის „სისხლს ღვრიდნენ“, ესენი აქ ფულს შოულობდნენ. დაინტყო დიდი განუკითხაობის პერიოდი. მძარცველები ოჯახებში უვარდებოდნენ ხალხს და რაც ხელში მოხვდებოდათ გამოჰქონდათ. არ ერიდებოდნენ არც კაცის კვლას. ეს მათთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამ ავაზაკების ძირითადი ნაწილი ის ახალგაზრდები იყვნენ, რომლებიც ხელისუფლებამ სახელმწიფო გადატრიალებისთვის დაგეშა. ისინი მომზადებულნი იყვნენ სამოქალაქო ომისთვის, რომელიც უნდა ეწარმოებინათ კომუნისტური პერიოდის შემდეგ ხალხის მიერ არჩეული მთავრობის წინააღმდეგ. სახელმწიფო გადატრიალებამ, რომელიც ისტორიაში თბილისის ომის სახელწოდებით შევიდა და სულ რამდენიმე დღე გასტანა, ვერ დააკმაყოფილა ამ ახალგაზრდების „მოთხოვნები“. ისინი, ხელისუფლების სათავეში სისხლით მოსულ მთავრობას, ბუმერანგივით უკან რომ არ შემოტრიალებოდნენ, მაქსიმალურად „დასვეს“ წამალზე და მისცეს თავისუფლება, ემოროდიორათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. შემდეგ აფხაზეთში „ანადირეს“. ომიდან გამოქცეულებმა სამეგრელოს „გადაუარეს“ და ბოლოს, თბილისა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში დაინტენსიურებდა, ამიტომ გადაწყვი-

ვინაიდან ხელისუფლებას აფხაზეთში ომი ჯერ დამთავრებული არ ჰქონდა, თავისი გაზრდილი მოროდიორების განადგურებას ვერ შეძლებდა, ამიტომ გადაწყვი-



ტა მათთვის თავისუფლება მიეცა და დროის გაყვანის მიზნით, საკუთარი ხალხი შეეჩერებინა საჯიჯგნად.

ქვეყანა ობობას მიერ დახლართულ ქსელში გაბმულ მსხვერპლს დაემსგავსა. რუსთაველზე, მთავრობის სახლის თავზე ჩამოწოლილი ბურუსი, ნლების შემდეგ, გაზრდილიყო და უკვე სრულიად საქართველოს გადაფარებოდა.

## VII

გურამს სოხუმში გადასვლის შემდეგ დისლოკაციის ადგილი არ შეუცვლია. მათი ბატალიონი ეგრეთ წოდებული „გოსდაჩების“ ერთ-ერთ კორპუსში იყო განლაგებული. გაგრის დაცემის შემდეგ, მათ გაგრის ბატალიონი და სვანები შემოუერთდნენ. ასე რომ, შეიქმნა ძალიან ძლიერ მებრძოლთა დანაყოფი. მაღალი საბრძოლო თვისებები გამოავლინეს, აგრეთვე, თბილისის მხედრიონმა და ყარყარაშვილის კორპუსმა. ათას ცხრაას ოთხმოცდაცამეტი წლის მარტში გუმისთასთან ბრძოლაში მათი უპირატესობა საგრძნობლად გამოიკვეთა. მოწინააღმდეგე მხარემ ათასამდე მებრძოლი დაკარგა, რამაც პანიკაში ჩააგდო აფხაზური მხარე, თუმცა ქართულ მხარეს ზევიდან კონტრშეტევაზე გადასვლის უფლება არ მისცეს.

გურამმა ამ ბრძოლებში საკმაოდ დიდი გამოცდილება დააგროვა და გამოაფხიზლა მის გენში მიძინებული მეომრული სული, რომელიც საუკუნეების სიღრმიდან მოსდევდა ვაჩინაძეების სახელოვან ჯიშ-ჯილაგს.



მისი ასეთი წარმატება იმანაც განაპირობა, რომ გა-  
გრელებთან ერთად ჩამოვიდა მისი ახლადგაცნობილი  
უფროსი მეგობარი, ყოფილი ავლანელი ნიკო, რომელიც  
გურამს ბრძოლის ტაქტიკას ასწავლიდა და ბევრჯერ  
გამოუვალი მდგომარეობიდანაც კი გამოუხსნია. თუმ-  
ცა, ახალგაზრდა ვაჩინაძეს ბედიც სწყალობდა. როდესაც  
ფრონტის ხაზთან ქვეყნის მთავარსარდალი შევარდნაძე  
ჩადიოდა, მას აბინავებდნენ „გოსდაჩების“ პირველ კორ-  
პუსში. რა თქმა უნდა, შევარდნაძის ჩასვლას, აგენტურის  
მეშვეობით, მაშინვე იგებდა აფხაზური მხარე და დაბომ-  
ბვას იწყებდა. ვინაიდნა „გოსდაჩების“ კორპუსებს სოხ-  
უმის მხრიდან ეფარებოდა გორაკი, ამიტომ არტილერია  
პირდაპირი დამიზნებით ვერ ბომბავდა კორპუსებს და  
იძულებული იყო, შეეცვალა ტრაექტორია, რაც საბ-  
ოლოვ ჯამში იწვევდა მთელი ტერიტორიის გადათხრას  
და ვერც ვერავინ გათვლიდა, ბომბი რას და როდის დაე-  
ცემოდა. მხოლოდ მთავარსარდალი და მისი შტაბი იყო  
დაცული, რადგან კორპუსს გააჩინდა ბუნეერი. ერთ-ერ-  
თი ასეთი დაბომბვის დროს, ბედის ანაბარა დარჩენილი  
მეომრები, როგორც ყოველთვის, თავშესაფრის ამაოდ  
ძებნით დაკავდნენ. გურამმაც მოძებნა მიწით გატენილი  
ტომრები, მიაფარა ფანჯრებს, თუმცა თვითონვე იცო-  
და, რომ ამას თვითდამშვიდების მიზნით აკეთებდა და  
სხვა არაფერი. დაბომბვა აღარ გაჩერდა, იქმნებოდა სა-  
ფრთხე, რომ კორპუსის კედლები დანგრეულიყო. გამო-  
სავალი კი არ ჩანდა. შენობაში არ იყო ადამიანი დაცული,  
ეზოში კი — მით უმეტეს... დაბომბვამ ინტენსიური ხა-



სიათი მიიღო... გადარჩენის ნაკლები შანსიღა რჩებოდა. გურამმა მოიძია ჩანთაში გადანახული ლიტრიან ბოთლში ჩასხმული სამედიცინო სპირტი, ავიდა კორპუსის ჰორიზონტალურად დაგებულ სახურავზე, მონახა ჩამოსაჯდომი ადგილი, მოთავსდა იქ და მოიყუდა სპირტით სავსე ბოთლი. სადამდეც შეძლო დალია, მერე სიგარეტი ამოიღო, გაბოლა და ხმამაღლა იყვირა:

— თქვენი დედაც!... მაინც უნდა მოვკვდე და ამ სილა-მაზით მაინც დავტკბე!...

ამასობაში, ბაბუშერას აეროდრომის მხარეს დისლო-ცირებულმა ქართულმა არტილერიამაც გახსნა საპა-სუხო ცეცხლი. სპირტით გაბრუებული გურამი უყურებდა ძმათა სიძულვილით ცაში გაღვივებულ ცეცხლს და თავის ფილტვებიდან ამოშვებულ თამბაქოს რგოლებად გადაქცეული კვამლით უერთდებოდა ამ ჯოჯოხეთის ფეირვერკებს. უცებ, ქვევიდან ყვირილი მოესმა:

— გურამ, ჩამოდი! ... მოგკლავენ! ...

სპირტით და სიგარეტის კვამლით გაბრუებული გურამი ადგა, გადაიხედა კორპუსის ეზოში და პალმებს ამოფარებულ თანამებრძოლებს გადასძახა:

— რა მნიშვნელობა აქვს „კრიშაზე“ მომკლავენ თუ პალმის ქვეშ!... ან ამ კორპუსის სიფრიფანა კედლები დაგვიცავს!?... თუ გვიწერია სიკვდილი, ის გადაწყვეტს!

— და ხელი ზეცისკენ ასწია გურამმა, მერე პირჯვარი გადაინერა, მოიძია ბოთლი, რაშიც სპირტი იყო ჩასხმული, მოიყუდა, დალია და ისიც ჯოჯოხეთის ცეცხლისკენ ისროლა და ზედ სიგარეტის ნამწვავიც მიაყოლა...

Սածեգնոյրոգ, ոմ լամես արազոն ճամացեպուլա, մեռլոգ կորպուսեծու քարմեմո աթալո լրմուլուն ցահնդա ...

Մեռրե գոլուտ, Շեշարդնամես կորպուստան մոազոտես „ցած-24“ մարզու ազգոմանյանամ ճա մտացարսարդալո ճապուս սամ տանամթրոմելուան յրտաճ ցայրկազեպելո մոմարտուլուն ցայմց ზավրա...»

Ռյուսետու եղլուսույուլուն մոյր ցուսոյերծերեգուանո դեսանգու ոհիամիորեմո ցագմուսեմու Շեմդեց, յորոնցից մջգոմարյուն էալուան ճաստածա. ուսոնո, բաւ կո ցնածի ցա- ճայլունքեծուատ, պայլագոյը սամացուրեծ ճացուրեծ մատո ճա- մարպեծա, պալույուլո սամեցրո ճաչցույունքեծու մեժվե- ոնուտ, տույմու Շեյսլունքելո ուսո. րոցորու ոյնա Շեցցա մոլուարակյածա ճա յարտպայլուն ցայրտուանճնեն սայրտո միւրու նոնաալմդեց. սամտացրոն ճա լուտո յունալուա սամեցրո Շենայրտեծու ցայրտուանճուլմա էալյումա սած- ոլուոգ ցանացուրյ սայսուլո դեսանգու ճա որո ատասո ցուսոյերու ծերեցու „ճագցա“. մերյ ուսեց ցումուստու յորոնցու մոյսիրունճնեն. ոյ ցամլուն Շեյսլունքելո ուսո. այեած- յեծ ար ցայլունճատ հրդուու կազասուու ճա սեցա պայտ մեռմրեծու ցամեծու յորոնցու սաթուան, ամուգու Շեմոցա- րյնշո այդանելո սյոն օդցա ճա ծրմուլա կո արա, ցահերյ- ծա ուսո Շեյսլունքելո. զոնաաւան յորոնցու ամ մոնակացետից ոնցունուրու սրուլա ար մոմդունարյունճա, Շիածու եղլոմծ- լունանելուն ցաճանցուու, աելուա հիամուսուլո մեռմրեծու ցայց նացնա ոյ, եռլու սուպուացուամո ցասարկազեց ուսոնո ցա- մուգուու մեռմրեծու մոամացրյ. յրտո ասետո, արւ ոյ աե- ալցցա թրճա ցացո, ցորամա ճա նուու ցայց նացնես. ցացնո- ծու Շեմդեց նոյում ցորամո ցանեմո ցուերդից ճա յութրա:





— ბიჭო! ეს მგონი ცოტა ვერ არის თავის მატორზე და ავტომატი როგორ ვანდოთ!? აქეთ არ დაგვიწყოს სროლა!

— მოიტა ის ძველი კარაბინი ავკიდოთ, — მიუგო გურამმა და თან ღიმილი მოადგა სახეზე, — ტყვიები კი გვაქვს ბლომად, გავუშვათ ზღვის პირას რომ ხეებია და ივარვიშოს სროლაში. მივხვდებით რა ჩიტია.

აჰკიდეს კარაბინი ახლადმოსულს, მისცეს ტყვიებით სავსე ერთი ჩანთა და გააგზავნეს მონიშნულ „სასროლეთზე“. ნახევარ საათში მობრუნდა და სახეგაბადრულმა მოახსენა ნიკოს და გურამს:

— კაროჩე, ყველა ტყვია ვისროლე და ტყვიას ტყვიაში ვაჯენ!

— ვაპ! ყოჩალ, ძმაო! — შეაქო ნიკომ...

— მაიცა! მაიცა! — შეაწყვეტინა გურამმა, — და რას ესროლე?

ახლადმოსულმა თითქოს გაკვირვება გამოხატა, ხელები გაშალა და სერიოზულად წარმოთქვა:

— როგორ თუ რას ვესროლე? ყველა ტყვია ზღვაში ვისროლე! არც ერთი არ ამიცდენია...

— ვაა! — გაიკვირვა ნიკომ და გურამს გადახედა, — ხედავ, ზღვას ყველა ტყვია მოარტყა...

მერე „სნაიპერს“ მიუბრუნდა და უთხრა:

— შტაბში მოვახსენებ ყველაფერს და ისინი მოგხედავენ, ძმაო.

## VIII

ივლისში ფრონტზე მდგომარეობა უკიდურესად და-იძაბა. მთავარსარდალი თითქმის სულ დისლოკაციის ადგილზე იყო. შესაბამისად, „გოსდაჩების“ კორპუსების დაბომბვაც ხშირად ხდებოდა. ერთ დილით, როდესაც სამხედრო განწესება მიმდინარეობდა, მოწინააღმდეგის მხრიდან გამოსროლილი ჭურვი პირდაპირ განწესებაზე ჩამწკრივებული სამხედროების გვერდით დაეცა, მაგრამ არ ამუშავდა, რადგან ირიბად დავარდა, ასთალტმა აისხ-ლიტა, ქვევით ჩაგორდა და პალმებში აფეთქდა. მთელი ბატალიონი გადაურჩა სიკვდილს. შემთხვევით არაფერი ხდება. ეს ცუდის მომასწავებელი ამბავი იყო.

ბატალიონის ხელმძღვანელმა მწყობრიდან გამოი-ძახა წინასწარ შერჩეული ორმოცი მეომარი და მთავარ-სარდლის ბრძანება გააცნო. ბრძანება იყო მოკლე და კონკრეტული: „სოფელი შრომა უნდა აიღოთ!“

სოფელი შრომა, ყოფილი მიხაილოვეა, მდებარეობს სოხუმიდან ათ კილომეტრზე აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, მდინარე აღმოსავლეთ გუმისთას მარცხ-ენა ნაპირზე. დაზვერვის მონაცემებით სოფელში აფხ-აზური მხარის ერთ-ერთი ძლიერი შეიარაღებული და-ჯგუფება იყო განლაგებული. ფრონტზე უპირატესობის მოპოვების მიზნით, სოფელი შრომა ქართული მხარის კონტროლის ქვეშ უნდა მოქცეულიყო, ამიტომ სასწა-ფოდ იქ გამაგრებული მოწინააღმდეგის ლიკვიდაცია უნდა მომხდარიყო. ვინაიდან ბატალიონი ძირითადად



გაგრელებით იყო დაკომპლექტებული, მათ არ იცოდნენ ეს ადგილები და ამიტომ შტაბიდან გამოაგზავნეს მეგზურებად ორი ადგილობრივი სომეხი. ორმოცი მეომრის-გან ორი ოცეული შექმნეს. ვინაიდან სოფელი მაღლობზე იყო შეფენილი, ერთ ოცეულს ზევიდან უნდა შემოევლო და დაერტყა მოწინააღმდეგისათვის, ხოლო მეორეს — ქვევიდან. მეგზურებად ოცეულებს თითო-თითო სომეხი ჩაუყენეს. როგორც შტაბიდან აცნობეს მეთაურებს, სომხებმა სოფლის ადგილმდებარეობა კარგად იცოდნენ და თან სანდონი იყვნენ.

— სომეხი და სანდო? — თავისთვის ჩაილაპარაკა ნიკომ და ხელი ჩაიქნია.

— ნიკო ძია, — გამოეხმაურა გურამი, — ეს იმ არა-რატიანცის შკოლის ხალხი ხომ არ არიან, ერეკლეს რომ უღალატეს?

— მარტო ერეკლეს!? — არ ცხრებოდა ნიკო.

— ლაპარაკი! — გაისმა მეთაურის მკაცრი ხმა, — შტაბში უკეთ იციან, ვინ ვინ არის და თქვენი გასარჩევი არ არის სამხედრო ტაქტიკა! ყველამ თავის საქმეს მიხედოს!

— ბატონო ვიცე-პოლკოვნიკო, — შეეპასუხა ნიკო მეთაურს, — ბოდიშს ვიხდი. ვიცით, რომ ბრძანება განსჯას არ ექვემდებარება, მაგრამ ის მაინც გვითხარით, ვისთან ან როგორ შეიარაღებასთან გვაქვს საქმე.

— ოჰ! ეს ავღანელები! — აუწია ხმას მეთაურმა, — სულ პროფესორობთ და მიზეზებს ეძებთ! მთავარსარდლის ბრძანებაა, მიზანს ერთმა ოცეულმა შეუტიოს ქვევ-



იდან, მეორემ — ზევიდან, გაანადგუროს მოწინააღმ-დეგე და აიღოს სოფელი შრომა თავისი კონტროლის ქვეშ! გაიგე, ბატონო კაპიტანო!

ვიცე-პოლკოვნიკმა უკანასკნელი სიტყვები თითქმის ყვირილით წარმოთქვა, კაპიტნის სამხრეებს დახედა და განაგრძო დამოძღვრა:

— ეს ბრძანებაა! წინააღმდეგ შემთხვევაში... იცი, რაც მოყვება ამას!

გურამი და ნიკო იმ ოცეულში გაანაწილეს, რომელსაც ქვედა მხრიდან უნდა დაერტყა მოწინააღმდეგისათვის.

ოცეულები ოპერაციაზე გვიან ღამით გავიდნენ. ცას სქელი ღრუბელი გადაკვროდა, რის გამოც უკუნი სიბ-ნელე ჩამოწოლილიყო და ირგვლივ თითქმის არაფერი ჩანდა. სოფელთან მიახლოებისთანავე ოცეულები გაიყვნენ. მეომრებმა ფრთხილად დაიწყეს გადაადგილება. გეგმის მიხედვით ცეცხლი იმ ოცეულს უნდა გაეხსნა, რომელიც ზევიდან მოუვლიდა მოწინააღმდეგეს. ამას უნდა მოჰყოლოდა ქვედა მხარის ოცეულის ამოქმედება.

გურამი და ნიკო, სომებს მეგზურთან ერთად, წინ მიუძლოდნენ ოცეულს. რამდენიმე ასეული მეტრის გავლის შემდეგ, მცირე დროით შეჩერდნენ, კიდევ ერთხელ შეათანხმეს მოქმედების გეგმა, მოემზადნენ გზის გასაგრძელებლად, რათა მერე გაშლილიყვნენ და ცეცხლის გასახსნელი ადგილები შეერჩიათ. ნიკომ მეგზურს უხმო, მაგრამ ამაოდ, სომები გამქრალიყო.

— ეგეც შენი არარატიანცი! — გადაულაპარაკა ნიკომ გურამს, — მიგვატოვა ბედის ანაბარა მაგ შობელ-ძალლმა!



მეგზურის ღალატმა ოცეულში დაბნეულობა გამოიწვია. არც ზედა მხარის ოცეულიდან ისმოდა რაიმე. ზოგიერთმა მეომარმა უკან დახევის წინადადება წამოაყენა, ზოგმა — „ზედა ოცეულს დაველოდოთ, იქნებ მალე გახსნას ცეცხლი და ჩვენც შევუტიოთო“. ამ ორჭოფობაში იყვნენ, რომ გურამმა ზევით, სოფლის მხარეს, მოკიდებული სიგარეტის მბჟუტავი ალი დაინახა და ნიკოს ანიშნა. დანახულის გააზრებაც ვერ მოასწრეს, რომ მოწინააღმდეგის მხრიდან ხმა გაისმა:

— ქართველები ხართ!

უკუნეთ სიბნელეში მეხივით გავარდა ეს ხმა. ქართველებმა არ იცოდნენ, ეპასუხათ თუ არა. ვინ უხმობდა, მტერი თუ მოყვარე? პასუხის გაუცემლობაც არ შეიძლებოდა — რა იცი, იქნებ ვინმე შველას ითხოვდა. ბოლოს, ისევ ოცეულის მეთაურმა გასცა პასუხი:

— ქართველები ვართ! რა ხდება!?

იქითა მხრიდან პასუხი არ დააყოვნეს:

— ჰოდა, თქვენი დედაც! ...

მოპასუხეს სიტყვები დამთავრებული არ ჰქონდა, ისეთი ცეცხლი გახსნეს სოფლიდან, რომ მთელი არემარედლესავით განათდა. ოცეულმა, როგორც შეეძლო მოასწრო გაშლა, მაგრამ სამი გვამი მაინც დარჩა ადგილზე. სროლის დროს აშკარად გამოჩნდა, რომ აფხაზური მხარე კარგად მომზადებულიყო ბრძოლისთვის და უახლესი შეიარაღებაც ჰქონდა. ქართველები ავტომატებით და ტყვიამფრქვევებით ვერაფერს გახდებოდნენ, მით უმეტეს წამგებიანი პოზიცია ეკავათ. უკან დახევა ზედა



ოცეულის ბრძოლაში მიტოვებას ნიშნავდა. საცეცხლე წერტილების გარდა ვერაფერს ხედავდნენ მეომრები, ამიტომ ისროდნენ იქით, საიდანაც ცეცხლი გამოვარდებოდა ხოლმე. ასეთმა ბრძოლის მანერამ, რა თქმა უნდა, არ გაამართლა...

...ზედა მხარის ოცეული კვლავ დუმდა...

...ქვედა ოცეულის სროლის ინტენსიურობა ნელ-ნელა ჩაცხრა...

გურამი, ხეს. ამოფარებული, შეუჩერებლად ისროდა ავტომატიდან. უცებ შემოტრიალდა, ხეს ზურგით მიეყრდნო და ავტომატის მჭიდი სწრაფად გამოცვალა. ამ დროს ნიკოს ხმა შემოესმა:

— გურამ, უნდა გავიდეთ! დაჭრილებია გასაყვანი და მეც გამკანონეს!

გურამი უცებ გამოერკვა. მხოლოდ მოწინააღმდეგის მხრიდან ისმოდა სროლის ხმა. ქართული ოცეული დადუმებულიყო. გურამი და ნიკო მცირე ხნით გაჩერდნენ ადგილზე, მოწინააღმდეგებმაც შეწყვიტა სროლა. ბიჭებმა ნელ-ნელა დაიხიეს უკან, გზადაგზა დაჭრილებს შეაშველეს ხელი, მაგრამ როგორც ჩანს შენიშნეს სოფლიდან და კვლავ გახსნეს ცეცხლი. თუმცა ქართველები უკვე სამშვიდობოს იყვნენ გასულნი. ნიკოსთვის ტყვიას ფეხი გაეკანრა, ხოლო გურამისთვის — მკლავი. ოთხი მეომარი კი მძიმედ იყო დაჭრილი.

ბაზაზე მისულებს, ზედა მხარის ოცეული ადგილზე დახვდა. მათაც გაპარვიათ სომეხი და გადაწყვეტილება მიუღიათ, რომ უკან დაბრუნებულიყვნენ.



გურამმა გულის ჯიბიდან თეკლას მიერ ბოტანიკურ ბაღში ქალალდზე დახატული გული ამოიღო, აკოცა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— არ არსებობს, ჩვენი გულები შეერთდება.

## IX

ივლისის ბოლოს, სოჭში მიღწეული შეთანხმებით, ქართულ საჯარისო ფორმირებებს და დაქირავებულ „ბოევიკებს“ უნდა დაეტოვებინათ აფხაზეთის ტერიტორია, ხოლო რუსეთის საჯარისო ფორმირებებს უნდა განეხორციელებინათ კონტროლი. მძიმე ტექნიკა მართლაც დაშორიშორებული იქნა ფრონტის ხაზიდან, მაგრამ საჯარისო ნაწილები ინარჩუნებდნენ დისლოკაციის ადგილებს. „გოსდაჩების“ ბაზა ჩვეულებრივ განაგრძობდა ფუნქციონირებას, თუმცა შედარებით ნაკლები დატვირთვით. მეომრების უმრავლესობა საფუძვლიანად იყო დამოკიდებული ნარკოტიკზე, მის გარეშე მათი ყოფა შეუძლებელი გახდა. ბაზაზე სამხედროებიდან ერთადერთი ნიკო იყო, რომელიც არც ეწეოდა, არც სვამდა და არც ნარკოტიკს იღებდა. გურამი ნარკოტიკისგან შორს იყო, მაგრამ სასმელსა და სიგარეტს არ იკლებდა. ასე მიდიოდა ფრონტული ცხოვრება. არავინ იცოდა, მეორე დღეს ვინ დარჩებოდა ცოცხალი და ვინ გადავიდოდა მარადიული ცხოვრების გზაზე, ამიტომ ჯარისკაცები არ იკლებდნენ ნამიერ სიამოვნებასაც კი, როცა ამის საშუალება მიეცემოდათ. ერთხელ, ფრონტის ხაზზე ორივე





მხარემ სროლა დროებით შეწყვიტა. უცებ, ქართულ მხარეს ზურგიდან ჯავშანტრანსპორტიორი მიადგა. მოულოდნელობისაგან ყველამ უკან გაიხედა. ვერ მიხვდნენ, რა ხდებოდა, იარაღიც კი შემოატრიალეს. ამასობაში ჯავშანტრანსპორტიორის ზედა კარი გაიხსნა, თავი მეომარმა ამოყო და ქართულად დაიყვირა:

— გამარჯობათ, ძმებო! თქვენიანი ვარ!

მეომრები სანგრებიდან გაკვირვებული უყურებდნენ „დაუპატიუებელ სტუმარს“ და ხმას არ იღებდნენ, ან რა უნდა ეკითხათ ამ გაგანია ოშში. უხერხული დუმილი ისევ „სტუმარმა“ დაარღვია:

— გიტარა ხომ არა გაქვთ?

მეომრებმა ერთმანეთს გადახედეს. ისევ არავის ამოულია ხმა ან რა პასუხი უნდა გაეცათ ამ კითხვაზე.

„სტუმარმა“ თვალი მოავლო სანგრებში საბრძოლო მზადყოფნაში მყოფ ჯარისკაცებს და ისევ ხმამაღლა წარმოთქვა:

— ბიჭები ვქეიფობთ და გიტარა გვინდოდა!

მერე ჯავშანტრანსპორტიორში გაუჩინარდა, კარიც დაიხურა ზევიდან, შემოატრიალა საბრძოლო მანქანა და წავიდა.

სექტემბერი სოხუმში ჩვეულებრივად დაიწყო. ქალაქიდან გასული ხალხი, უკან მობრუნდა, სკოლებში დაიწყო სწავლა და იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი ნელ-ნელა ცხოვრებისეულ კალაპოტში ჩადგებოდა. თექვსმეტ სექტემბერს სეპარატისტებმა შეთანხმება, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, დაარღვიეს



და იერიშზე გადავიდნენ. მათ რუსეთმა არტილერია და ავიაცია დაახმარა. როგორც ჩანდა, შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ აფხაზებმა და რუსებმა სოხუმზე შეტევის მოსამზადებლად გამოიყენეს. ქართულ მხარეს მძიმე ტექნიკა ფრონტის ხაზიდან გატანილი ჰქონდა, შესაბამისად სოხუმის დაცვაც შესუსტებული იყო და ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ მოწინააღმდეგემ ადვილად შემოაღწია ქალაქში. ქართველები ბრძოლით იხევდნენ უკან და გზადაგზა უამრავ მშვიდობიან მოსახლეთა და მებრძოლთა გვამებს ტოვებდნენ. ეს იყო კარგად დაგეგმილი დალატი ქართველი ხალხის წინააღმდეგ, რომლის „შემოქმედნიც“, როგორც გარეშე, ასევე შინაური მტრები იყვნენ.

გურამმა და მისმა თანამებრძოლებმა ბრძოლით დატოვეს სოხუმი და გავიდნენ მთებში. სამშვიდობოს გასულებს ჭრილობები მაშინ გაახსენდათ. გურამი მარცხენა ხელში იყო დაჭრილი, ხოლო ნიკოსთვის ტყვიას მარჯვენა ფეხის წვივი გაეკაწრა.

— რა ვქნათ, ნიკო ძია!? — დაარღვია დამარცხებით გამოწვეული სიჩუმე გურამმა, — ეს ყველაფერი უნდა შევარჩინოთ ამათ!?

— რას იზამ, გურამ, ხომ იცი, ნათქვამია: „ძალა აღმართს ხნავსო“, — მიუგო ნიკომ გურამს და ხის ძირას ჩამჭდარმა ჭრილობის სპირტით დამუშავება განაგრძო, — შრომასთან თუ სომხებმა გაგვყიდეს, აქ ამ გაქართველებულმა ძალის შვილებმა გვიღალატეს. ასეა! აქ ეგენი არიან, თბილისში ჩახვალ და იქაც ეგენი დაგხვდებიან.



მოგეშლება ნერვები, ავტომატის ჯერს მიუშვებ და ან უნდა გაიქცე ან ციხეში ჩაჯდე! აქ კიდევ, იმას მაინც გავაკეთებ, რომ სამშობლოს წართმევისათვის ჩეჩინებზე და სომხებზე ჯავრი ვიყარო! ისე არ მოვკვდები, რომ თან რამდენიმე გადამთიელი არ გავიყოლო! ამიტომ, თქვენი არ ვიცი და მე პარტიზანობას ვიწყებ! გამომყვებით თუ არა, ეგ თქვენი გადასანყვეტია!

გურამს ერთი წამით არ უყოფმანია და მაშინვე წამოიძახა:

— ნიკო ძია! მე შენთან ვარ!

მერე ზურგზე მიმაგრებული ნიკალა პაპას ნაჩუქარი თოფი ამოიღო, რომლისთვისაც ლულები დაემოკლებინა, ხელში შეათამაშა, აკოცა და იყვირა:

— ნიკალა პაპაც ჩვენთან არის! აბა! კიდევ ვინ მოდის პარტიზანად! არჩევანი თქვენზეა, ბიჭებო!

ყველა ერთხმად დაეთანხმა გურამს.

აფხაზეთის მთებში ქართულმა საბრძოლო სულმა კიდევ ერთხელ გამოიღვიძა და უთანასწორო ბრძოლაში თავისი „სიტყვის სათქმელად“ მოემზადა.

სამი თვის განმავლობაში ნიკოს და გურამის პარტიზანულმა დაჯგუფებამ რამდენიმე ჩასაფრება მოაწყვეს და ბევრი სეპარატისტი და გადამთიელი გამოასალმეს სიცოცხლეს. დეკემბერში რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა აფხაზეთის ტერიტორიის მასიური წმენდა დაიწყეს. მათთან დაპირისპირებას აზრი აღარ ჰქონდა. პარტიზანებმა ბრძოლით კოდორის ხეობისკენ დაიხის და მთების გავლით გადმოვიდნენ ქართული მხარის



კონტროლირებად ტერიტორიაზე. მეორე დღეს კი უკვე თბილისში იყვნენ.

დედაქალაქში ხალხი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა, არ იგრძნობოდა ომით გამოწვეული ტკივილი, თითქოს ეს მხოლოდ აფხაზეთიდან ლტოლვილების ტრაგედია იყო. რესტორნები გადავსებული იყო მოქეიფე ადამიანებით. იყო გაჩაღებული გაუთავებელი ტაშ-ფანდური.

ამ ყველაფერს უცქერდნენ თბილისის ქუჩებში საბრძოლო აღჭურვილობით მოსიარულე ნიკო და გურამი. გაკვირვებულნი იყვნენ და უხმოდ მიუყვებოდნენ რუსთაველის პროსპექტს. ბოლოს, სიჩუმე ისევ ნიკომ დაარღვია:

— გურამ! რატომდაც ასე მგონია, რომ ჩვენ სხვა საქართველოდან ჩამოვედით!

## X

გურამი და ნიკო თავისუფლების მოედანზე დაემშვიდობნენ ერთმანეთს. გურამი შეუყვა მშობლიური სოლოლაკის აღმართს. იარაღასხმულ კაცს რომ ხედავდნენ, გამვლელები ერიდებოდნენ. თბილისისთვის ავტომატის კაკანი უცხო აღარ იყო, განსაკუთრებით ღამე. მავანს სრულიად უმიზეზოდ შეეძლო დღისით, მზისით, ჩაეცხოლა ქუჩაში უდანაშაულო კაცი და გამკითხავი არავინ იყო. გურამი მიხვდა, რომ თბილისი ის თბილისი აღარ იყო, მხიარულ სახეებს ვეღარ ხედავდა. ადამი-



ანები მოღუშულნი, თავდახრილნი და გაღიზიანებულნი დადიონენ. თავის სკოლას რომ გაუარა, შეჩერდა. საახალწლო არდადეგების გამო, სკოლაში სწავლის პროცესი შეწყვეტილი იყო. მაინც შეიხედა ფანჯარაში, ცარიელი მერხების დანახვამ თავისი ბავშვობა გაახსენა. მერე მოპირდაპირე მხარეს გადავიდა, სადაც თონის პური ცხვებოდა. აფხაზეთში ბევრჯერ უნატრია აქაური გამომცხვარი თონის პური. ხაბაზმა იცნო გურამი, ცომის გუნდების ამოყვანას თავი მიანება, გამოვიდა პურის გასაცემ ოთახში, გაიღიმა და გახარებულმა შესძახა:

— ვაჲ! ჩამოხვედი, გურამჩიკ! როგორ გვანერვიულე, ტო! მთელი სკოლა შენზე ლაპარაკობდა, არაფერი შეემთხვესო. შენ კიდე აი, როგორი საღ-სალამათი დაგვიბრუნდი! როგორა ხარ, გურამ?

— როგორ ვიქნები, აბა, ძია პეტრე! — მიუგო გურამა, — სამშობლო დაგვიჩაგრეს! წაგვართვეს! ...

— შენ ჯანზე ხო ხარ, ბიჭო! ? ჭრილობები, რამე ხო არ გაწუხებს?

— მე კი ვარ ჯანზე. ძალიან უნდოდათ, მაგრამ ვერ მომკლეს!

— შენი მტერი მოკვდეს, გურამჩიკ! შენი მტერი! — არ ცხრებოდა პეტრე, — აქაური პური არ მოგენატრა?

— მომენატრა რომელია, — გაეცინა გურამს, — ძილში კი არ მესიზმრებოდა?!

— აი, ახალი ამოღებულია, მიირთვი, შვილო. — თქვა გახარებულმა პეტრემ და გურამს ცხელ-ცხელი ლავაში მიაწოდა.



გურამმა როგორც კი ჯიბისკენ წაიღო ხელი, პეტრემ ხელები გაასავსავა და ლამის იკივლა:

— არა გრცხვენია, გურამჩიკ! ქალაქელები არა ვართ. ფეშქეში იყოს! ღმერთმა შეგარგოს!

გურამმა მადლობა გადაუხადა პეტრეს და სახლისკენ გააგრძელა გზა. დავითაშვილზე, გასტრონომს რომ გასცდა, მთაწმინდიდან ნიავმა დაუბერა. მართალია ცივი იყო ნიავი, მაგრამ გურამს მალამოსავით დაედო სახეზე და სუნთქვა გაუადვილა. რესტორან „სამადლოსთან“ ბავშვები ბურთით თამაშობდნენ. გურამის მეზობელმა პატარა ვაჟამ, როგორც კი დაინახა აღმართზე მომავალი გურამი, ისეთი ყვირილი დაიწყო, რომ ლამის რესტორნის შეზარხოშებული კლიენტებიც კი გარეთ გამოცვიდნენ:

— გურამი ჩამოვიდააა! ... გურამი ჩამოვიდააა! ... გურამი ჩამოვიდააა! ...

ბავშვები შემოეხვივნენ გურამს, ჩასჭიდეს ხელი და გააქციეს სახლისკენ. ნატო პატარა ბავშვივით ჩამორბოდა სადარბაზოს კიბეებზე, მეზობლებს დროულად ხელი რომ არ შეეშველებინათ, ალბათ დაგორდებოდა. სახე გაფითრებოდა. მეზობელი ქალები ვერ ხვდებოდნენ, ეს სიხარულისგან დაემართა თუ ნერვიულობისაგან, ამიტომ ხელი აღარ გაუშვეს და ისე ჩაახუტეს თავის შვილს. დედა-შვილი ტიროდა. ეს გრძნობა ალბათ მონატრებაზე მეტი იყო, რომლის სახელიც კაცობრიობას ჯერ კიდევ არ გამოეგონა, თუმცა ასეთი გრძნობა ნამდვილად რომ არსებობდა, ამის მომსწრე სოლოლაკის ერთ-ერთი უბნის მაცხოვრებლები იყვნენ. ეს ყველაფერი მათ თვალწინ ხდებოდა.



უცებ, კორპუსთან „უიგულმა“ დაამუხრუჭა, გაიღო ავტომობილის კარი და ლექსო კი არ გადმოვიდა, არამედ გადმოფრინდა, თან ხელში ლავაშები ეჭირა. როგორც ჩანს პურის საყიდლად გაჩერდა თონესთან და პეტრემ ახარა შვილის დაბრუნება. იქვე გაჩერებულ უცნობისთვის უთხოვია სახლში ამოყვანა. „უიგულის“ პატრონმა თურმე, რომ გაიგო ეს ამბავი, წამებში ამოიყვანა ლექსო სახლში. ლექსო, ნატო და გურამი დიდხანს იყვნენ ჩახუტებულები, ბავშვები მათ გარშემო დარბოდნენ და მხიარულობდნენ, ხოლო მეზობელი ქალები სიხარულის ცრემლმორეულნი იდგნენ და ყოველთვის, ამ უშუქობაში, ახალი ამბების გამგონე ენას რომ ვერ აჩერებდნენ ხოლმე, ახლა ხმას ვეღარ იღებდნენ და თვითონაც ვერ ხვდებოდნენ რატომ.

ერთი საათის შემდეგ, ლექსოს ოჯახში მეზობლები გურამის სადლეგრძელოს სვამდნენ. გურამმა ბოდიში მოუხადა სტუმრებს და საზარეულოში გავიდა. ყველამ იცოდა, რაც აწუხებდა ახალგაზრდა კაცს, ამიტომ ყურადღება ისევ სადლეგრძელოებისკენ მიმართეს და კახური ღვინით გონება და მადაგახსნილებმა მრავალუამიერიც შემოსძახეს. ამ დროს გურამი უკვე სადარბაზოს კიბეებზე ჩარბოდა და თეკლასთან შესახვედრად მიისწრაფვოდა ...



გურამმა და თეკლამ გადაწყვიტეს, რომ ჯვარი სოფელში, წმიდა გიორგის ეკლესიაში დაენერათ და მოკრძალებული საქორწილო სუფრაც ნიკალა პაპას სახლში გაეშალათ. ჯვრისწერის რიტუალი მამა ანტონ-მა და მამა მიქაელმა ჩაატარეს. როგორც იქნა აღსრულ-და ბავშვობიდან ერთმანეთზე უზომოდ შეყვარებული წყვილის ოცნება და ისინი შეუღლდნენ. საქორწინო გვირგვინდადგმული გურამი და თეკლა ისეთი ლამა-ზები იყვნენ, რომ ადამიანი ერთხელ თუ შეხედავდა, მერე თვალს ვერ მოაცილებდა. სანთლების შუქზე ისე ბრწყინავდნენ, გეგონებოდათ ანგელოზებს ღვთიური შარავანდედით შეემოსათ ეს ბედნიერი წყვილი და ალე-ლუიას გალობით დასტრიალებდნენ თავს. გურამის მე-ჯვარე ნიკო იყო, ხოლო თეკლასი, მისივე თანაკლასელი და მესაიდუმლე — მაკა.

მამა ანტონმა და მამა მიქაელმა ნეფე-პატარძალს ამბიონზე უხმეს და გამოაცხადეს ცოლ-ქმრად. მამა ან-ტონმა თვალიდან ცრემლი მოინმინდა და წარმოთქვა:

— რა ბედნიერი იქნებოდა ნიკალა, ამ დღეს რომ მოს-წრებოდა. ხალხო, ჩემი შვილებო, დღეს ჭეშმარიტმა სი-ყვარულმა იზეიმა. ამ დღემდე გურამს და თეკლას ბევრი წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდათ. სიყვარული თვი-თონ ღმერთია. ამიტომაც არის, რომ მისი კურთხევით ხდება ჯვრისწერა და ის მეუღლებს, რომელნიც ერთხ-ორც ხდებიან, თავზე აბერტყავს მარადიულ სიკეთეს



ანუ სიყვარულს. და თუ ცოლ-ქმარი ღვთის მცნებების დამცველნი იქნებიან, მათი სიყვარულის წინაშე ქედს მოიდრეკენ თვით სიკეთის მტრებიც კი. სიყვარული არის ყოველი კეთილი საქმის დასაწყისი, მისი საშუალებით განაგდებს ადამიანი ბოროტ ვნებებს და იძენს ანგელოზთა მსგავს სიწმიდეს. არ არსებობს ბოროტთან ბრძოლის უფრო ძლიერი საშუალება, იგი აღანთებს ადამიანს და მოაქვს მასთან გამოუთქმელი, ღვთაებრივი ნუგეში და სიხარული. სიყვარულით ივიწყებს ადამიანი ქვეყნიურ სიმძიმეებს და ხდება თანაზიარი ზეციური სიხარულისა. მე შევთხოვ უფალს, რომ თქვენ ჭეშმარიტი სიყვარულის დაცვისათვის მოგცეთ ძალა, რათა მისი შეწევნით შეძლოთ ბოროტ ვნებათაგან და გულისთქმათაგან თავის გათავისუფლება, იმრავლოთ, აღზარდოთ შვილები ქრისტესმიერი სიყვარულით, გადაიხადოთ სიკეთით ამქვეყნიური ვალდებულებანი, რათა შემდგომში განწმენდილებმა დაიმკვიდროთ ადგილი ზეცას და მარადიული შვებით იხაროთ მართალთა თანა და აქებდეთ და ადიდებდეთ სახიერ ღმერთს, რომლისა არს დიდება და პატივი, უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

სანამ ეკლესიდან გამოვიდოდნენ, გურამმა მამაოებისგან აიღო კურთხევა და თეკლასთან ერთად, ნიკალა პაპას საფლავზე წავიდა, სანთელი დაანთო და ჩასძახა პაპას საფლავში:

— პაპი! ომში შენი სახელი არ შემირცხვენია! ვფიცავ! ახლაც ისე ვიცხოვრებ თეკლასთან ერთად, რომ ჩემი ოჯახი სხვებისთვის სამაგალითო იყოს!



მერე მანქანიდან გადმოიღო ნიკალა პაპას თოფი და მხედრული წესით ისროლა.

სახლში მიბრუნებულებს სტუმრები დიდი პატივით დახვდნენ. ნეფე-პატარძალმა თავისი ადგილი დაიკავეს და სანამ თამადა დაიწყებდა თავის მოვალეობის შესრულებას, გურამმა თეკლას ყურში ჩასჩურჩულა:

— თან გაქვს?

— მე ეს სულ თან დამაქვს. — უპასუხა თეკლამ და ჩანთიდან ქაღალდზე დახატული გული ამოიღო, რომელიც ბოტანიკურ ბაღში დახატა და ზედ გურამის სახელი დააწერა, ხოლო გურამს, ასევე ქაღალდზე დახატული გული და ზედ დაწერილი თავისი სახელი გადასცა.

გურამმა ასევე ამოიღო თავისი ქაღალდის გული, რომელსაც ომის პერიოდში გულის ჯიბეში სათუთად ინახავდა ხოლმე და თეკლას გულს გვერდზე დაუდო.

ორივე გულმა ისევ ერთად დაიდო ბინა. ეს უკვე ბედნიერი მომავლის ნიშანი იყო.

ნიკალა პაპას სახლიდან დილამდე მთელს არემარეში მრავალუამიერის საამო ჰანგები ისმოდა.



წიგნში გამოყენებულია დოკუმენტური მასალა წიგნიდან „23 წლის შემდეგ“, ლექსები — მამა შალვა გოლისელის პოემიდან „დავით აღმაშენებელი“ და ბატონი ირაკლი ლომიძის მოგონებები აფხაზეთის ომიდან.



[www.mtsignobari.ge](http://www.mtsignobari.ge)

დაიბეჭდა შპს „მწიგნობარის“ სტამბაში

0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71



ვისაც ერთხელ მაინც გა-  
ნუცდია ქეშმარიტი სიყვარ-  
ულის ძალა, მიხვდებოდა,  
თუ რა დიდი მოფრთხილება  
სჭირდება მას, რა სათუთა  
და ფაქტიზი მოსავლელია ეს  
უდიდესი გრძნობა. ღმერთი  
შეყვარებულ ადამიანებზე  
სხვადასხვა განსაცდელს  
უშვებს და ეინც გაუძლებს  
და გაითავისებს მას, ის  
სამუდამოდ მკვიდრდება  
უფალში – სიყვარულიდან  
გადადის ერთგულებაში და  
ერთგულებიდან მარადისო-  
ბაში.

ISBN 978-9941-485-75-1



9 789941 485753 >